კვირის პალიტრა

მზე

N18(151) 1/V.-7/V.2003. ფასი 60 თ.

თბილისში მულატი ბავშვები მომრავლდნენ

1168
2003

„სიძე არასოდეს მინახავს, მხოლოდ ის ვიცი, რომ ზანგია...“

ქართველი მეცნიერი გლობალურ ვირუსებს შეებრძოლება

ნინო ქათამაძეს ბალახის ჩაცმა და ტყეში სიმღერა სურს

სასიყვარულო სამკუთხედი — „დავრწმუნდი, რომ უსამართლოდ მოვიქეცი...“

ფანეტა არჩვაძე:

„...ჩემმა ერთმა კოლეგამ მაშინვე მომცა. აღბათ ეგონა, რომ ჩემთვის მინდოდა. მე კი ფარეგს იმდენი ნავუსვი, რომ მთლიანად შევდებე. მახსოვს, აყვირდა: ვაიმე, ჩემი ფრანგული პომადაო!.. სწორედ იმ პომადის ნყალობით ჩამოვედი მშვიდობიანად...“

გვ. 10

ქვირის-ფურცელი
ეზო
№18 (151)
1 - 7 მაისი 2003
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
დღეს პირველი მაისია ანუ „ძებნილები და ჯერონიმო“ ქართულ პოლიტიკაში 3
ერთი კითხვა 4
თემა
თბილისში მულატი ბავშვები მომრავლდნენ 7
ქალი საჭესთან
კინოსინჯით დაწყებული შოფრობა ქანეტა არჩვაძეს თითქმის დღევანდლამდე გამოჰყვა 10
კრიმინალი
● ცოლის შეურაცხყოფისთვის შური მკვლელობით იძია 12
● „ცხოვრება ჯოჯოხეთად მიქცია, ვეღარ გავუძელი და მოვკალი...“ 14
საზოგადოება
პოლიტიკური გამყინვარება და ეკონომიკური გვალვა ანუ „ხვალ თუ კარგი დარია, გვეტყვის ჭიამაია“ 16
ჭრელი მსოფლიო 19
გამოხმაურება
● „თქვენი ქურნალის მაღლიერები ვართ“ 20
● „თქვენმა წერილმა დიდი იმედი ჩამისახა...“ 21
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 22
მამები და შვილები
ნუგზარ ერგემლიძემ წიგნების წერას მიჰყო ხელი და სიმღერების არანქირებას შვილს ანდობს 22
მსახიობი
კონფლიქტი, კურიოზი, უხერხულობა, რომელიც თან ახლავს ფილმის გახმოვანებას 24
მეცნიერი
ნანოტექნოლოგიები – რობოტები სისხლძარღვებში და ქსელში ჩაბრუნებული ელექტროენერგია 26
სალონი
ნინო ქათამაძეს ბალახის ჩაცმა და ფეხშიშველს ტყეში სიმღერა სურს 28
ადამიანი
„დავხურე ლუდის ბარი და გავხსენი პოეზიის ქოხი“ 30
რჩევები
უსიამოვნებების დავიწყებისა და სულიერი სიმშვიდის მოპოვების 20 ხერხი 32

თბილისში მულატი ბავშვები მომრავლდნენ

დედის გული ხომ იცით? – ჯერ გაბრაზდა, გაიბუტა, მაგრამ მერე შეგვირიგდა. ბავშვები ძალიან უყვარს. მატერიალურადაც გვეხმარება. სამწუხაროდ, დედა ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც ზურგი არ შემაქცია.

7

ნინო ქათამაძეს ბალახის ჩაცმა და ფეხშიშველს ტყეში სიმღერა სურს

მარგოს რომ არ შეცხოვრა, ფისო მოვიყვანე, რომელსაც პია დავარქვი. სახელი „პიანინო“ „გავიყავით“. ერთი ჩინური ინსტრუმენტი მაქვს, რომელიც ჩამოკიდებულია და ხელს რომ ჩამოჰკრავ, უკრავს. როდესაც პია თამაშობს, ჩამოჰკრავს ხოლმე თათს ამ ინსტრუმენტს და იმის ფონზე მეძახის ნინოს.

28

ქალი ქმრის ნათესავმა გააუპატიურა

აღმოჩნდა, რომ ნანას სამსახურში ყველა გაფრთხილებული ჰყავდა: ლევანმა თუ რამე გკითხოთ, უთხარით, ვითომ კიბეზე დავეცი. თანამშრომლები ასეც მოიქცნენ, თუმცა, სინამდვილეში რაც მოხდა, ცოდნენ.

12

ნანოტექნოლოგიები – რობოტები სისხლძარღვებში და ქსელში ჩაბრუნებული ელექტროენერგია



შესაძლებელია, ჩვენ მიერ შექმნილი ნანორობოტები გავუშვათ სისხლძარღვთა სისტემაში და მივცეთ კონკრეტული დავალება – გაანადგუროს ქოლესტერინის ნაგროვები. იმავე მეთოდით შესაძლებელი გახდება კიბოსაგან განკურნება. ნანოროპოტი ეს არის ხელოვნურად დამზადებული ორგანიზმი.

26

ტაძარი
ბრწყინვალე შვიდეული 34
ბედი კაცისა
თოფის ლულაგე იჯდა ეშმაკი... 35
სასარგებლო აზრები
აფორიზმების ენციკლოპედია 36
ფავორიტები
გზა არაქისის გამყიდველიდან მულტიმილიონერამდე 37
საფეხბურთო მინდვრებზე 38
ფფოთისთავები
ველური ვნებები ტყავის ბურთის გარშემო 39
ვარსკვლავი
ჰიტ-აღლუმების ახალ ლიდერს პოპულარობა თვით ემინემმა „დაანათლა“ 40
რომანი
რუსუდან ბერიძე. დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (გაგრძელება) 42
პირადი ცხოვრება
ქან-პოლ ბელმონდო: „ქალების გარეშე არარაობა ვარ!“ 46
სპორტული მოზაიკა 48
ავტო 49
მოგზაურის დღიურები
მოწმენდილ ცაგე მეხი ამერიკაშიც ვარდება 50
დიზაინერი
რამდენი უჯდებათ ელიტარებს საქორწილო სუფრა 53
ტესტი
ერთგული მკითხველი 54
გადასალებ მოედანზე 55
ჯანმრთელობა
- საგაფხულო შეტევა ჭარბ წონაგე 56
- დღეგრძელობის საიდუმლო 57
- კითხვა-პასუხი 59

კალეიდოსკოპი 60
სკანვორდი 61
ჰოროსკოპი
კვირის (5-11 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62
ტესტი
როგორი ინტუიცია გაქვთ? 63
იუმორი
გამოჩენილ ადამიანთა ხუმრობები 64

გარეკანზე: გიორგი ჭორჭოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

ნუგზარ ერგემლიძემ წიგნების წერას მიჰყო ხელი და სიმღერების არანჟირებას შვილს ანდობს

ალბათ თეატრალურში უნდა ჩაბარეს. თუმცა, ვურჩევ, კლიპმეიკერობა, სცენარისტობა ან სხვა ამგვარი აირჩიოს. რაც მე მაინტერესებს, მინდა, რომ ჩემს შვილსაც აინტერესებდეს. სერგო ზაქარიაძე ამბობდა ხოლმე: „მსახიობს სჭირდება ბედი“.

22

პონფლიქტი, კურიოზი, უხერხულობა, რომელიც თან ახლავს ფილმის გახმოვანებას

თანამშრომლები სულ მსაყვედურობენ – რაგომ არ თხოვდებით? სულ ბოევიკებს რომ მახმოვანებინებთ, აბა, რომელი კაცი მითხოვს? ჩემგან მარტო – „მოგკლავ!“, „გესვრი!“, „დაწექი!“, „არ გაინძრე!“ – ესმით. გამახმოვანებინეთ, ბატონო „ეროტიკა“ და იქნებ, ვინმეს გული შევუფანცქალო-მეთქი...

24

ჰიტ-აღლუმების ახალ ლიდერს პოპულარობა თვით ემინემმა „დაანათლა“

უბრალოდ დაუჯერებელი იყო, რომ როცა ინგლისში დავბრუნდი, მიუხედავად აშშ-ში მოპოვებული უდიდესი აღიარებისა, ჩემს სამშობლოში წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ „ნოუ ენჯელის“ შესახებ.

40

დაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი

უცბად, დეას გული სიხარულისგან შეუხტა. „გურამი! ნამდვილად გურამი დაბრუნდა!“ – გაიფიქრა მან შემდეგ, თაიგული გულში ჩაიხუტა, აღელვებული, გარეთ გავარდა, ირგვლივ ანთებული თვალებით მიმოიხედა და ადგილზე გაშეშდა.

42



დღეს პირველი მაისია ანუ „ძებნილები და ჯერონიმო" ქართულ პოლიციაში

ეპიგრაფი: „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა?!

ანა-ბანა, ანა-ბანა... ა, რა დღემდე მოგვიყვანა!..“

აფსუს, რა დრო იყო, „პარადზე“ რომ გამოვდიოდით!.. ყველა სკოლასა და ინსტიტუტში, ფაბრიკასა და ქარხანაში ერთი კვირით ადრე წყდებოდა სასწავლო და სამუშაო პროცესი და საპირველმაისო მზადება ჩაღდებოდა: ვინ ფეხაწყობილ სიარულში ვარჯიშობდა, ვინ ფორმებს კერავდა და ვინ დეკორაციებს აკეთებდა, რომ რაც შეიძლებოდა, ორიგინალურად გაგვევლო იმ ტრიბუნის წინ, რომლიდანაც დღევანდელი პრეზიდენტი, ჯერ კიდევ მაშინ გვიქნევდა ხელს. ჩვენც ასე „დაქნეულები“ მივაბიჯებდით, ხელში კი 365 ცალი ლენინის სურათი უნდა გვჭეროდა. სად ეცალა ლენინს ამდენი სურათის გადასაღებად? – ბოლოს და ბოლოს, პროლეტარიატის ბელადი იყო თუ ფოტომოდელი?!. ყურში კი ჩემზე უარესი პროვოკატორის სიტყვები ჩაგვესმოდა: „ტრიბუნას უახლოვდებიან ამა და ამ ქარხნის მოწინავე მუშები, რომლებმაც ხუთწლედის გეგმა სამ წელიწადში შეასრულეს...“ ნეტავ, სად გვეჩქარებოდა? ხუთი წლის გასაკეთებელს რომ სამ წელიწადში გაგაკეთებინებენ, მეტი მონობა რაღა გინდა?! ასეთი ტემპით ბამბის პლანტაციებშიც არ ამუშავებდნენ კაპიტალისტები ზანგებს.

ჰოდა, ჩვენც შეგვიჩნდა ეშმაკი, ავვრიდაგვრია, სტახანოვური მოძრაობის მაგივრად ეროვნული მოძრაობა წამოგვაწყებინა, წითელი დროშების ნაცვლად შინდისფერი დაგვაჭერინა, „ლიდება სკკპ“-ს ნაცვლად – „სამშობლო“ გვაძახებინა, მიგვანგრ-მოგვანგრევინა ჩვენივე ხელებით აგურ-აგურ აშენებული სოციალიზმი და კაპიტალისტებად გვაქცია. ჩვენც ცოტა ზედმეტადაც „წავიკაპიტალისტეთ“, სულ გავაუქმეთ სახელმწიფო ორგანიზაციები და კერძო სტრუქტურებად გადავაკეთეთ. შედეგად, ხელში შემოგვრჩა უპასუხისმგებლო – ანუ შპს „პარლამენტი“, ერთი პირის საწარმო „კანცელარია“ და ინდკერვის ატელიე „საკრებულო“, სადაც ყველაზე ძვირად ღირებული „როჟები“ იკერება.

ის კაციც ჩამოვიდა ტრიბუნიდან, ხელს რომ გვიქნევდა და რომ არ დავკარგულიყავით დამოუკიდებელი არჩევანის ლაბირინთებში, ისევ სათავეში ჩაგვიდგა გზააბნეულ ფარას, კომბალიც დაატრიალა და „ცოფ-ცოფეს“ ძახილით გავგრეკა დასავლეთის „საძოვრებზე“.

ჩვენ კი რით გადავუხადეთ ერთგულების საფასური? კრიჭაში ჩავუდექით, ყელში ხმელი მჭადივით გავეჩხირეთ და პროტესტიც კი შევბედეთ. სასაცილოა, პირდაპირ! ერთი ჩემი კოლეგა – პროვოკატორის განცხადება მახსენდება, სხვისი სახელით გაკეთებული:

„– ჩემი შვილი პრეზიდენტი გახდება!

პანტელეიმონ გიორგაძე

– მეტი არაა ჩემი მტერი!

ამბროსი შევარდნაძე“.

სამშობლოდან რუსთველივით გადახვეწილ ამ პატრიოტს დავაბრალეთ საპირველმაისო დემონსტრაციების დღევანდელი ფორმა – მოძრაობა „კმარა“. თითქოს №1 ტერორისტად გამოცხადებული ბატონი იგორი დგას ამ „კმარას“ უკან, მაგრამ მორიგი ბლეფია ყველაფერიო – ამასაც ამბობენ. ყური მოვკარი, გიორგაძე და შევარდნაძე თურმე ისეთივე ძმები ყოფილან, როგორებიც „ძებნილები და ჯერონიმოა“. თანაც, გიორგაძე ხომ მართლა ძებნილია ინტერპოლის მიერ, ჯერონიმო კი, ინდიელთა რომელიღაც „დაჩმორიკებული“ ტომის ბელადს (ნამდვილად ვიცი) ერქვა. ჰოდა, ეს სახელებიც ზედგამოჭრილია მათთვის. „ახალი საქართველოსათვის“ მებრძოლი „ჯარისკაციც“ – ქალბატონი ირინაც მინდა დავამშვიდო და ვუთხრა, რომ მოძრაობა „კმარაც“ სწორედ პრეზიდენტის მხარდასაჭერად ყოფილა აგორებული. ეს სიტყვა დევიზის შემოკლებული ფორმაა, ზედმეტი საღებავი რომ არ დაეხარჯოთ ასფალტის აჭრელებისას. სრული სახელწოდება კი ასე ჟღერს: „კმარა, ბატონო პრეზიდენტო, თქვენს წასვლაზე ფიქრი!“

კარგი, ახლა, გული არ გაგისკდეთ – სად მიდის და ვინ უშვებსო?! თანამდებობიდან წასვლაზე არ არის აქ ლაპარაკი, ქალაქიდან და მით უმეტეს, საქართველოდან გასვლაა ნაგულისხმევი. ცუდად გვაქვს დაცდილი და იმიტომ.

რაც საქართველოში ხდება, ეშმაკის მიერ მოკვარახჭინებული, სწორედ მაშინ ხდება, როცა „მფარველი ანგელოზი“ ტოვებს მას – ანუ როცა პრეზიდენტი სადმე მიბრძანდება ვიზიტით.

ამიტომ – გამოდით ქუჩებში, ჩვენც გული გავიხარეთ პირველი მაისის გახსენებით და თქვენც გული იჯერეთ „კმარას“ ძახილით! პირველი აპრილიც ხომ სოლიდარობის და ამხანაგობის დღესასწაული იყო. თქვენც უმღერეთ მათ მეგობრობას:

„შავი პრინცის ძმები – ძებნილები და ჯერონიმო,

შენ ჩვენი რომ გაიგო, ბევრი უნდა იკაიფო...“

ისე, მართლა კარგი სიმღერაა: ტექსტიც საკაიფო აქვს და მელოდიაც „ასწორებს“. ჰიმნად ხომ არ აგვეღო? რატომაც არა? – ის ჰიმნი მაინც არავინ იცის, ეს კი ჰიტადაა ქცეული და ყველას ენაზე აკერია. თანაც აქტუალურია: ძმობას, ერთობას და თავისუფალ კაიფს ქადაგებს, რაც ყველაზე მეტად სჭირდება და ხელს აძლევს ჩვენს მთავრობას: ძმობაც, ერთობაც და ნაკაიფარი თუ მოკაიფე ქვეყანაც, რომელიც გაცილებით იოლი სამართავია.

ასე რომ, ფხიზლად ვიყოთ, არსად გავუშვათ ჩვენი პრეზიდენტი, თორემ: „დღეს პირველი მაისია, მოტყუება ხალისია!..“

P.S. განცხადება: „22 აპრილს, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციასთან უნდა მომხდარიყო პრეზიდენტის კორტეჟის საშინელი ავტოკატასტროფა.

კიევის სამიტთან დაკავშირებით, ავტოკატასტროფა გადატანილია სამომავლოდ, 9 მაისის იქით...

ტერორისტები...“

პროვოკატორი

შემოდგომაზე მახათას მთაზე ტაძრის მშენებლობა დაიწყება

— 29 აპრილს, ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული ვიზეიმეთ. ორი წლის წინ გამოცხადებაში ღვთისმშობელმა მახათას მთაზე მონასტრის მშენებლობისაკენ მოგვიწოდა. უკვე შექმნილია ივერიის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის ფონდი. სავარაუდოდ, როდის დაიწყება მშენებლობა?

ცხუმ-აფხაზეთის ***მიტროპოლიტი დანიელი:***

— პროექტის განხილვა და შემდგომ მშენებლობის დაწყება შემოდგომისთვის არის ნავარაუდევი. საერთოდ, გამოცხადებისადმი კი, საზოგადოებას არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს: ერთი ნაწილი მეტისმეტად კრიტიკულია, მეორე — მეტისმეტად აღტაცებული. არც ერთი უკიდურესობა არ ვარგა. ასეთ დროს, ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ ზომიერება და სიფრთხილე, რათა მოვლენას სწორი შეფასება მივცეთ. ამ გამოცხადებისადმი საზოგადოებაში შექმნილმა განწყობილებამ და მახათას მთაზე მიმდინარე მოვლენებმა განსაზღვრა ეკლესიის პოზიციაც. მთელი ორი წლის განმავლობაში, ნებისმიერ ამინდში, გამოცხადებაში მითითებულ ადგილზე ყოველდღიურად მიდიან ადამიანთა ჯგუფები და ლოცულობენ. მახათას მთაზე უკვე ერთი წელია, რაც ასკეტურ პირობებში მოღვაწეობს სამი ბერი. მათ სულ რამდენიმე თვის წინ აიტანეს იქ საცხოვრებელი ვაგონი. მანამდე, მიტოვებულ სადგომში ისეთ პირობებში ცხოვრობდნენ, რომ ღმერთის ნება რომ არა, ამდენ გაჭირვებას ვერ გაუძლებდნენ. 29 აპრილს, მახათას მთაზე საზეიმო წირვა-ლოცვა აღევლინა და იმედი მაქვს, ღვთის შეწევნით, ტაძრის მშენებლობაც მალე დაიწყება. ■

„ვისაც ჩემი გაქურდვა უნდოდა, ის „საქმის მიმცემმა“ შეაცდინა“

— როგორც შსს თანამშრომლები აცხადებენ, პოლიციამ თქვენს გასაქურდად მოსული ბოროტმოქმედები თქვენი მეზობლის ბინაში დააკავა. როგორ მოხვდნენ ისინი იქ?

ბაკურ ბაკურაძე*, დიზაინერი:*

— ბოროტმოქმედები ისეთი დაბნეულები იყვნენ, რომ დამრჩა შთაბეჭდილება — ბინაში შემოსვლისთანავე, ისინი სახტად დარჩნენ, რადგან არ დახვდათ ის, რასაც ელოდნენ. სახელიც კი მკითხეს: რამე ხომ არ გვეშლებაო? — რადგან წასაღები არაფერი იყო. ვფიქრობ, ისინი „საქმის მიმცემმა“ შეაცდინა და გაწირა. ალბათ იმ პიროვნებას მომავალში, კარგი დღე არ დაადგება. ჩვენ ამ ბინაში დროებით ვცხოვრობთ, ახალ სახლს ვიშენებთ და მთელი შემოსავალი მშენებლობაში მიდის. მქონდა მხოლოდ 100 დოლარი; დავამატე მეუღლის 30 ლარი, ოქროულობა და ყაჩაღებს ვუთხარი: წაიღეთ, რაც გვაქვს და წადით, სანამ პოლიცია მოვა-მეთქი. რატომღაც ეს აზრი ამეკვიატა, თანაც — ჩემ წინ ცხოვრობს სოსო ალავიძე და ეზო მუდმივად დაცულია. მათი შემოსვლიდან 15 წუთის შემდეგ, კარზე გაისმა ზარი. მე რამდენჯერმე ვთქვი: აი, ხომ გეუბნებოდით — მალე წადით, პოლიცია მოვა-მეთქი... მაგრამ ხმა არავინ გამცა. ისინი ისე ჩუმად მოქმედებდნენ, რომ არც გამიგია, როგორ დატოვეს სახლი; პოლიციის თანამშრომლები მიხვდნენ, რომ ბოროტმოქმედები აივნიდან მეზობელ სახლში გადავიდნენ. იმ სახლში მარტოხელა, მორწმუნე ქალი ცხოვრობს, რომელიც იმ დღეს, ეკლესიაში იყო წასული. პოლიციის თანამშრომლებმა კარი შეამტვრიეს და ყაჩაღები დააკავეს. სიმართლე გითხრათ, როდესაც ის სამი ახალგაზრდა პოლიციამ ხელბორკილებით ჩაიყვანა ძირს, სიბრალულის გრძნობა გამიჩნდა, რადგან აბსოლუტური სისულელის გამო (მათ ჩვენი მობილური ტელეფონებიც კი არ წაუღიათ; როგორც მერე აღმოვაჩინე, მხოლოდ 100 დოლარი წაიღეს) თავისუფლება დაკარგეს. ყაჩაღობის მუხლი კი, 6-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. ■

„ვერ წარმოვიდგენდი, რომ ეს სიმღერები XXI საუკუნის რიტმს მოერგებოდა“

— ერთ კითხვაში, სამი მაინც უნდა ჩავტიო: რატომ ჰქვია 9 მაისისთვის დაგეგმილ თქვენს კონცერტს „იმპერია“, რამ განაპირობა აფიშებზე საბჭოური სიმბოლიკის უხვად გამოყენება და რამდენად მომგებიანია მომღერლისთვის, სპორტის სასახლეში სიმღერა?

ეკა კვალიაშვილი*, მომღერალი:*

— პროგრამაში რუს და ქართველ კომპოზიტორთა საბჭოური პერიოდის სიმღერების გარემიქსებული ვარიანტები აჟღერდება. სიმღერებს მხოლოდ მე ვიმღერებ, მაგრამ ჩემთან ერთად სცენაზე 80 კაცს იხილავთ, რადგანაც მომზადებული გვაქვს მასშტაბური შოუწარმოდგენა. აქვე ვიტყვი, რომ კოსტიუმები ცნობილმა დიზაინერმა ავთო ცქვიტინიძემ დაგვიმზადა, წარმოდგენის ქორეოგრაფი კი, ჩემი მეუღლე, ბესიკ ბაკურაძე გახლავთ. სულ 20 სიმღერა აჟღერდება. სანამ პროგრამაზე მუშაობას დავიწყებდი, ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ეს სიმღერები XXI საუკუნის რიტმსა და ჟღერადობას მოერგებოდა... რაც შეეხება სპორტის სასახლეს — ეს სწორედ ის ნაგებობაა, სადაც საბჭოთა პერიოდში, ყველა მასშტაბური თავყრილობა და შეკრება ხდებოდა. ჩვენს შოუწარმოდგენაში კი, დიდი დატვირთვა აქვს სიმბოლიკას. დანარჩენი სიურპრიზად დავტოვოთ... ■

„ერთი წამითაც კი არ გავჩერდები პარლამენტში“

— ამბობენ, რომ ოპოზიციის საარჩევნო სიას თქვენ ჩაუდგებით სათავეში. ვითომ მზად ხართ ამისათვის?

გია გაჩეჩილაძე, *მომღერალი:*

— ასეთი რამ ჯერ ჩემთვის არ შემოუთავაზებიათ, მაგრამ თუ შემომთავაზებენ, ალბათ დავთანხმდები, მაგრამ ერთი წამითაც კი არ გავჩერდები პარლამენტში, რადგან ძალიან შორს ვარ პოლიტიკისგან. პირველივე დღეს, სხვას დავუთმობ ადგილს. პარლამენტში შესვლა კი არა, თუ ჩემი იდეა მათ შორის კონფლიქტს დაარეგულირებს (ვგულისხმობ „ახლებსა“ და „დემოკრატებს“), მზად ვარ, თავიც კი გავწირო. „დემოკრატებთან“ გაერთიანება იმიტომ გადავწყვიტე, რომ ყველაზე დიდი კონფლიქტი „ახლებს“ მათთან ჰქონდათ და შერიგების პროცესი სწორედ ამ ნაბიჯით მინდოდა დამეწყო. დღემდე მემდურიან მეგობრები: ძმას თუ ვერ უთხარი, რას აპირებდი, ჩვენთვის მაინც გეთქვაო?! თვითონ ზურაბ ჟვანიაც გაოცებულია, იმიტომ, რომ მართლა არაფერი იცოდა. მაგრამ მე რომ ეს ხალხი გამეფრთხილებინა, ამ ნაბიჯს ვეღარ გადავდგამდი. ლევანი წინააღმდეგი იქნებოდა, მე კი მის წინააღმდეგ ვერ წავიდოდი, ამიტომაც ეს საკითხი დაუკითხავად გადავწყვიტე. ახლა ის ვერ წავა ჩემს წინააღმდეგ, იმიტომ, რომ მე მისი საწინააღმდეგო ცხოვრებაში არაფერი გამიკეთებია. აი, ხედავთ, რა მაგრად გავთვალე პოლიტიკურად!.. ■

„ჩვენი საზოგადოება საინტერესო სანახაობის მომსწრე გახდება“

— ბატონო ზურაბ, ჯერ იყო და, „ქართვლის დედის“ ქანდაკების გაქრობით „გვემუქრებოდით“, ახლა კი რკინის ყუთში აპირებთ ჩაჯდომას და... არ შეიძლება, უფრო დაწვრილებით გვითხრათ, რა სიურპრიზს გვიმზადებთ?

ზურაბ ვადაჭკორია, *ილუზიონისტი:*

— თუ ყველაფერი წინასწარ გითხარით, რაღა სიურპრიზი გამოვა? მაგრამ მაინც ვეცდები, გიპასუხოთ. 26 მაისს შევასრულებ ცნობილი ილუზიონისტის ჰარი გუდინის ნომერს: ჯაჭვებით გამოჭავენ, დამადებენ ბორკილს, ჩამსვამენ რკინის სეიფში, რკინის სეიფსაც ჩარაზავენ, ბოქლომებს დაადებენ და მტკვარში გადამაგდებენ. რამდენიმე წამში, სხეული ჯაჭვებისგან უნდა გავითავისუფლო და წყლიდან ამოვიდე. ეს ტრიუკი შარშან, აპრილში უნდა ჩამეტარებინა, მაგრამ მიწისძვრის გამო ამისთვის არავის ეცალა. არის იმის ალბათობაც, რომ ტრიუკი არ გამომივიდეს, მით უმეტეს, რომ ჩვენს ქალაქში ყველაფერია შესაძლებელი... ვნერვიულობ კიდეც, ყველაფერი კარგად უნდა გავთვალო, რომ მარცხი არ მომივიდეს. ტრიუკი 15-20 წუთი გაგრძელდება. ღონისძიება საღამოს, მტკვრის პირას ჩატარდება და ვფიქრობ, ჩვენი მოსახლეობა საინტერესო სანახაობის მომსწრე გახდება. თუმცა, ბევრია ისეთიც, რომლისთვისაც ილუზიონისტის ხელოვნება საოცრებას აღარ წარმოადგენს. არც არის გასაკვირი — საქართველოში, დაწყებული ჩინოვნიკიდან, დამთავრებული უბრალო დამლაგებლით — ყველა „ფოკუსების ოსტატია“... რაც შეეხება იმას — შარშან, „ქართვლის დედის“ გაქრობას რომ ვაპირებდი, — ამაზე უარი მივიღე, ხალხი ამისთვის ჯერ მზად არ არისო — მითხრეს. შეიძლება, ხალხი მზად იყო, მაგრამ ისინი, ვინც უარი მითხრა, მათ თვითონ ვერა და ვერ დააღწიეს თავი კომუნისტურ მენტალიტეტს. ■

„საკომიტეტო არჩევნების დროს სახელისუფლებო ბლოკი დაიშლება“...

— სახელისუფლებო ბლოკი უკვე მნიშვნელოვნად გაძლიერდა. თქვენ კი, არც ერთ ბლოკში არ აპირებთ შესვლას, თუმცა აცხადებთ, რომ პარლამენტში ლეიბორისტები უმრავლესობით მოხვალთ. რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

შალვა ნათელაშვილი, *ლეიბორისტული პარტიის ლიდერი:*

— ისეთ ბლოკში შესვლა, რომელიც პოლიტიკურ „ავჯაფსანდალს“ ჰგავს, სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ჩვენი პარტიის იმიჯს. ნებისმიერ ბლოკში

გაერთიანება პოლიტიკური პარტიის დემონტაჟს ნიშნავს. რაც შეეხება შევარდნაძის სახელისუფლებო ბლოკს, როგორც კი საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეების არჩევა დაიწყება, ეს ბლოკი მაშინვე დაიშლება. იქ იმდენად მრავალფეროვანი პოლიტიკური მრწამსის ძალებია გაერთიანებული, რომ ისინი დიდხანს ვერ შეძლებენ ერთად ყოფნასაც. დღეს ყველამ კარგად იცის ამ ბლოკის შექმნის მიზანი, მათ პარლამენტში შესვლის გარდა, არაფერი აინტერესებთ. სახელისუფლებო ბლოკი ხმათა უმრავლესობის აღებას მოახერხებს. კარგად იცით, რომ მათ ადმინისტრაციული რესურსები აქვთ და ისინი ამ კოზირს აუცილებლად გამოიყენებენ. ამის გარდა, ტრადიციისამებრ, მათ არაქართველი მოსახლეობაც დაუჭერს მხარს. სერიოზული პოტენციალი აქვს „აღორძინებასაც“. ასე რომ, „აღორძინებაც გადალახავს შვიდპროცენტიან ბარიერს. რაც შეეხება „ლეიბორისტებს“ — თუ ხელი არაფერმა შეგვიშალა, პარლამენტში უმრავლესობით მოვალთ. ეს არის ჩემი პროგნოზი, რომელსაც ევროპელი ანალიტიკოსებიც მიდასტურებენ. ■

„ბურჯანაძის წინასწარმეტყველებ-ის ასრულებისგან საქართველოს ახალი საარჩევნო კანონი იხსნის“

— სახელისუფლებო ძალები კვლავ პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენების მექანიზმის გამარტივებას მოითხოვენ. როგორ ფიქრობთ — ისინი უნებურად, ბურჯანაძის რეიტინგის ზრდას ხომ არ უწყობენ ხელს?

ელენე თევდორაძე, *პარლამენტარი:*

— გეთანხმებით. თუმცა, ისინი შეგნებულად არასოდეს შეუწყობენ ხელს ბურჯანაძის იმიჯის გაძლიერებას. სახელისუფლებო ძალებმა კარგად იციან, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს მართლაც მაღალი რეიტინგი აქვს. ამიტომ უკან არაფერზე იხევენ, რომ ის პარლამენტის თავმჯდომარის მიკროფონს მოაცილონ. ტყუილად ჰგონიათ, რომ ბურჯანაძის გადაყენებით, მათ რამე ეშველებათ. პირიქით, ქალბატონი ნინოს რეიტინგი ამ შემთხვევაში ერთი ათად გაიზრდება. ამიტომაც მიმაჩნია, რომ მათი საქციელი სხვა არაფერია, თუ არა უგუნურება. სახელისუფლებო ბლოკის იმიჯზე კი, ეს ინიციატივა მკვეთრად უარყოფითად იმოქმედებს... მაინც იმედი მაქვს, რომ პარლამენტი შეძლებს არჩევნებისთვის ნორმალური კანონის მიღებას. საქართველოს მხოლოდ ეს გადაარჩენს ნინო ბურჯანაძის ნაწინასწარმეტყველები დიქტატურისგან. ■

„ჩემს წინააღმდეგ მტრული პიარ-კამპანიაა გაჩაღებული...“

— ბატონო კობა, გასული კვირა დანაშაულის სიმრავლით გამოირჩეოდა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ დსთ-ის ქვეყნების შს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდით, თქვენ მიმართ პრესა ძალზედ კრიტიკულია...

კობა ნარჩემაშვილი, *შს მინისტრი:*

— ამ დღეებში მომხდარ დანაშაულთა უმრავლესობა გახსნილია. დამნაშავენი კი დაკავებულნი არიან. ელგუჯა ბუბუტეიშვილის სახლის გალავნის აფეთქება ბიზნესმენის დაშინების მიზნით მოხდა. ვფიქრობ, ამ აქციას პირადი ანგარიშსწორების საფუძველი ან პოლიტიკური მოტივაცია ჰქონდა. რაც შეეხება ბაკურ ბაკურაძის დაყაჩაღების ფაქტს, საქმე გახსნილია და დამნაშავეები დაკავებულნი არიან. უკვე ცნობილია, რომ გარდაცვლილ კოტე იოსელიანსა და მის ახლობელ გელა საყვარელიძეს შორის დაპირისპირების მიზეზი ფული იყო. მოქალაქეებს, მით უმეტეს, ნათესავებს შორის პირადი ურთიერთობების გაკონტროლებას კი, პოლიცია ნამდვილად ვერ შეძლებს. გატაცებულ იქნა ჯიპი, რომლის დაბრუნებასაც ოთხი შვილის მამის — პოლიციელ თემურ ძიძიგურის სიცოცხლე შეეწირა. თუმცა, ამაზე არავინ საუბრობს და არც მისი ოჯახის მდგომარეობით ინტერესდება ვინმე. დარწმუნებული ვარ, დაჭრილ ბოროტმოქმედს ადამიანის უფლებათა დამცველებ-

ის მთელი ჯარი გამოუჩნდება მფარველად. მინდა განვაცხადო, რომ ბოლო დროს, ძალიან ბევრი გახმაურებული დანაშაული გაიხსნა. მაგალითისთვის, დაგისახელებთ პიტერ შოუს, შარიფოვის, ჯიქიას, ნაცვლიშვილისა და საღინაძის გატაცების ფაქტებს. ამ დანაშაულების შესახებ საზოგადოებას მალე მივაწვდით ამომწურავ ინფორმაციას. ჩემს წინააღმდეგ მტრული პიარ-კამპანიაა გაჩაღებული. ძალიან ბევრს ჭორაობენ, შეიძლება იმიტომ, რომ არავის ვაძლევ წილს. თუ ის, რაც ჩემ შესახებ პრესაში იწერება, მართლაც ჩემი „სიძუნწის“ შედეგია, მაშინ ვაცხადებ, რომ ამ მხრივ არც მომავალში შეიცვლება რაიმე. ■

„მეც და ბატონი ასლანიც არჩევანის წინაშე ვდგავართ“

— ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ გიორგი თარგამაძის შემდეგ, პარლამენტიდან წასვლას თქვენც აპირებთ და ამაში ჯემალ გოგიტიძეს მიუძღვის დიდი წვლილი. რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?

ვალერი გელბახიანი, *პარლამენტარი:*

— ამის შესახებ საუბარი დაიწყო ჩემი განცხადების შემდეგ, რომელიც ულტიმატუმივით გამომივიდა. მე ვთქვი: თუ აპრილის ბოლომდე, პარლამენტი ვერ შეიტანს ცვლილებებს საარჩევნო კანონში ან ახალ კანონს არ მიიღებს, მაშინ პარლამენტში ჩემს დარჩენას აზრი აღარ ექნება და პარლამენტს დავტოვებ-მეთქი. ჩემი განცხადება დღემდე ძალაში რჩება. პარლამენტიდან წასვლა პარტიიდან წასვლას არ ნიშნავს. იმის შესახებ კი, თუ ვის რა წვლილი მიუძღვის პარტიის ნგრევაში, მე ვერ ვისაუბრებ. ჩემთან დაკავშირებითაც კი არ ვაპირებ მტყუან-მართლის გარჩევას. ფაქტია — როცა დიდი სურვილი არ გაგაჩნია პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებისა, იქ რაღაც პრობლემები ნამდვილად არსებობს. ჩემს შემთხვევაში, საკითხი ასე დგას: „აღორძინების“ სიით ვიყრი კენჭს თუ მაჟორიტარული წესით, არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ არც ერთ შემთხვევაში არ მოვხვდები პარლამენტში. ასლან აბაშიძეს არსებულ ვითარებაზე საკმაოდ მძიმე შეხედულება აქვს და ამ ქვეყნის მომავალს ეჭვის თვალით უყურებს... ჩემთან საუბრისას მან დასვა კითხვა: ღირს თუ არა, „აღორძინებამ“ მიიღოს მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში? ასე რომ, მეც და ბატონი ასლანიც არჩევანის წინაშე ვდგავართ. ■

ეიმლმთით ქალეუმ იემთმაი ქნქეემლვტაგ

ანუ რატომ გაურბიან ზანგი სიძეები ქართულ მასმედიას

ჩემი რესპონდენტები ჩვეულებრივი ადამიანები არიან. მათ ოჯახში ტრადიციებისადმი პატივისცემა სისხლში აქვთ გამჯდარი და მის დარღვევას არავის აპატიებენ. ოჯახის უფროსი, ბატონი ზაური ძველი თბილისელია. მეიდანში მას ყველა იცნობს, როგორც კარგ ქართველს. მისი მეუღლე, ქალბატონი ლიანა პროფესიით პედაგოგია. ოცდათორმეტი წელი, საქართველოში მცხოვრებ უცხოელებს ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. ახლა შინ ბაგა-ბაღი აქვს გახსნილი და პატარებს თავის სიყვარულს არ აკლებს. მათი უფროსი ქალიშვილი — დიანა ანგოლაში, ქალაქ ლუანდაში ცხოვრობს — იქაურ მოქალაქეზეა გათხოვილი. ეს 1988 წელს მოხდა. მას შემდეგ, მშობლებს დიანა აღარ უნახავთ...

ინტერვიუზეც იმ იმედით დამთანხმდნენ, რომ მათ ვინაობას არ გავამჟღავნებდი. თუმცა, როცა ვემშვიდობებოდი, ქალბატონმა ლიანამ ჩამჩურჩულა: ყველაფერი დაწვრილებით დაწერეთ — იქნებ, ზაურს გული მოულბეს და შვილთან შერიგება გადაწყვიტოსო...

ქენთის (მარცხნივ) ინტერვიუს მოცემა არ უნდოდა, მაგრამ...

ლელა ჭანკოტაძე

ბატონი ზაური:

— გავზარდე, ჩიტის რძეს არ ვაკლებდი, საკუთარ თავზე მეტად შევიყვარე. ჭკვიანი, ლამაზი, ნიჭიერი გოგო რძლად ვის არ ენდომებოდა?!. მან კი ზანგი აირჩია, თავის მამას ყელი გამოსჭრა. მას შემდეგ, ასე, შერცხვენილი დავდივარ... — ბატონმა ზაურმა ბოდიში მომიხადა და ოთახიდან გავიდა. მეტის თქმა ვერ შეძლო.

ქალბატონი ლიანა:

— აი ასეა. სიტყვას ვერ ვეუბნებით. არ მეგონა, საერთოდ, თუ დაგელაპარაკებოდათ... ამაყი კაცია, თქვა: შვილი მომიკვდაო, — და დღემდე მაგ აზრზეა... მართლა ლამაზი შვილი გვყავს. ახლა არ ვიცი როგორია: 14 წელი გახდება 28 ივნისს, რაც არ მინახავს. ცრემლების გარეშე როგორ უნდა ვილაპარაკო?! სიძე არასდროს მინახავს. მხოლოდ ის ვიცი, რომ ზანგია, თან — ძალიან შავი... თუ არ ვცდები, აბი-აბება ჰქვია ან რაღაც ამდაგვარი.

— დიანამ სად გაიცნო?

— ჩემმა შვილმა სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა. ძალიან ნიჭიერი გოგო იყო. საქართველოში სწავლის გაგრძელება გაუჭირდებოდა: აქ წლების მანძილზე უნდა ებარებინა გამოცდები — ან მოეწყობოდა, ან არა. ამიტომ მოსკოვში გავაგზავნეთ. იქ ზაურის ბიძაშვილები ცხოვრობდნენ. პირველ წელსვე, ბაუმანის სახელობის ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. ეს იყო 1986 წელი. ზაფხულობით ჩამოდიოდა ხოლმე. ვიცოდი, მასთან უცხოელებიც რომ სწავლობდნენ. მათ შორის, ორი აფრიკელი იყო. რას წარმოვიდგენდი, თუ ზანგს შეიყვარებდა?! მაგრამ სწორედ ასე მოხდა.

— როდის გაიგეთ მისი არჩევანის შესახებ?

— ერთ დღეს დაგვირეკა და გვითხრა: ვთხოვდებიო. თავზარი დაგვეცა. მაშინვე მოსკოვში ჩავფრინდით. ჩვენს ნათესავებთან მივედით. მათი გამომეტყველებით მივხვდით, რომ საქმე ცუდად იყო. ამასობაში დიანაც დაბრუნდა ინსტიტუტიდან. დაბნეული ჩანდა. გვითხრა: საღამოს ჩემი საქმრო მომაკითხავს და გაიცნობთო. ზაურის ბიძაშვილმა მაშინვე უთხრა: სჯობს, შენს მშობლებს ყველაფერი წინასწარ გაუმხილო და შეამზადოო. ზაური გადაირია: ვინ არის ისეთი, რომ მისი ნახვისთვის შემზადება მჭირდებაო?! დიანას ხმა არ ამოუღია. ჩვენმა ნათესავმა კი განაგრძო: ისეთი შავია, შეიძლება, მის დანახვაზე შიშით გულები დაგისკდეთო... ატყდა წივილ-კივილი. ზაური დიანას თმაში ჩააფრინდა. მე მუხლებში ჩავუვარდი: არ მოკლა-მეთქი!.. ზაურს უნდოდა, დიანა მაშინვე მოგვეცილებინა იქაურობისთვის და საქართველოში წამოგვეყვანა, მაგრამ ჩემი შვილი უკან დახევას არ აპირებდა, ყვიროდა: აქედან ცოცხალს ვერ წამიყვანთო!.. ბოლოს კი, მამამისს მიახალა: ფეხმძიმედ ვარ, ტყუპს ველოდები, ზანგი ბავშვები რომ გამიჩნდება, მერე რაღას იზამ — შვილებს დამიხოცავო?!. ზაური დაეცა. „სასწრაფო დახმარება“ გამოვიძახეთ. ინფარქტი დაემართა. ორი დღე და ღამე ვერ ლაპარაკობდა... ძალიან მძიმე დღეები გადავიტანეთ. ძლივს გადავარჩინეთ. თბილისში ექვსი თვის შემდეგ დავბრუნდით. დიანა მოსკოვში დარჩა.

— არ სცადა მამასთან შერიგება?

— არა, რადგან ეშინოდა, მამამისს ინფარქტი არ განმეორებოდა. მერე გავიგე, რომ ბიძამისის სახლიდან თავისი ნივთები წაეღო და საერთო საცხოვრებელში გადასულიყო. თურმე ის და თავისი ქმარი მოსკოვში 1992 წლამდე ცხოვრობდნენ. სამი შვილი გააჩინეს, სამივე ფერადკანიანი. ჩვენი ნათესავები სულ მირეკავდნენ და მათ ამბებს მიყვებოდნენ. რა თქმა უნდა, ზაურისგან მალულად. ზაურის მისი სახელის გაგონებაც არ უნდოდა. დიანას ნივთები გადაყარა, მისი სკოლის დროინდელი ფოტოსურათებიც კი დახია. სახლში არაფერი დამიტოვა, რაც შვილს მოგვაგონებდა... მაგრამ გულში სიყვარული ხომ დარჩა?! გულიდან ვინ ამომგლეჯს შვილის სიყვარულს?!. სანამ აფრიკაში წავიდოდნენ, დიანამ წერილი გამომიგზავნა. თავის ჯგუფელს გამოატანა და იმ გოგომ ჩუმად გადმომცა. დიანა მწერდა: არ ვიცი, სად მივდივარ, რა ხალხი დამხვდება, შემიყვარებენ თუ არა, მათ ტრადიციებს შევეგუები თუ არა, მაგრამ მაინც ბედნიერი მივდივარო... მაშინ მეც ნაწყენი ვიყავი, დიანას დანახვაც კი არ მინდოდა. ახლა კი, ძალიან მენატრება ჩემი გოგონა. მას შემდეგ, რაც წავიდნენ, ცხადია, მის შესახებ აღარაფერი გამიგია.

— თქვენთან დაკავშირება არ უცდია?

— დიანას ჯგუფელი, თბილისელი გოგონა, ნანა დელიში გათხოვდა. 1993 წელს იყო ჩამოსული. არ ვიცი, ის და დიანა

ერთმანეთს როგორ და სად შეხვდნენ, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ნანამ წერილი და სურათები ჩამომიტანა. თვითონ ნანას ნახვა ვერ შევძელი — იმ დროს სამშობიაროში ვიწექი: მე და ზაურმა გადავწყვიტეთ, რადგან შვილი დავკარგეთ, ბავშვი გაგვეჩინა, რათა ჩვენს ცხოვრებას აზრი მისცემოდა. უკვე ასაკოვანი ქალი ვიყავი, ამიტომ მშობიარობა გამიჭირდა და საავადმყოფოში მთელი თვე გავატარე. ამასობაში ნანა ინდოეთში დაბრუნდა. ალბათ ჩემს შვილს ჰგონია, რომ განგებ არ შევხვდი. მას შემდეგ აღარაფერი ვიცი, დიანას ჩემთან დაკავშირება აღარ უცდია...

— თქვენი მეორე შვილი რამდენი წლის არის?

— ტყუპი ვაჟი შემეძინა. ისინი ათი წლისები არიან. დათო და დემეტრე დავარქვი. მათი სახელები „დ"-თი იწყება და როცა ვეძახი, ყოველთვის დიანა მახსენდება... მათ არ იციან, უფროსი და თუ ჰყავთ. მე და ზაურმა ასე გადავწყვიტეთ... გაუგებარია, რატომ ვერ ეგუება ქართული ხასიათი ზანგ სიძეს, მაგრამ ფაქტია. წლების წინ, „ფორტუნაში" ვნახე ქართველი გოგონა — ხათუნა, რომელიც ზანგ ბიჭზე გათხოვდა. იმ გადაცემას ზაურმაც უყურა. იმ გოგოს გაცნობა მინდოდა, გავიგე კიდეც მისი მისამართი, მაგრამ მერე გადავფიქრე: შემეშინდა, მისთვის გული არ მეტკინა — ხომ შეიძლებოდა, ვერ გაეგო ჩემთვის; ალბათ მისაყვედურებდა: შვილი, ზანგი სიძის გამო როგორ დაკარგეო?!.

იმ გოგონას მოძებნა, რომელზეც ქალბატონმა ლიანამ მიამბო, არ გამჭირვებია. ის ავლაბარში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს თავის ქმარ-შვილთან ერთად. მისი მეუღლე, ქენთი აბუჯი ნიგერიელია. თავისი სამშობლო ძალიან უყვარს და მიაჩნია, რომ უფრო ლამაზი ქვეყანა დედამიწაზე არ არსებობს. ქენთი ნიგერიაში დაბრუნებასა და საკუთარი მუსიკალური ალბომის გამოშვებას აპირებს. სიმღერები მზად აქვს. მისი აზრით, საქართველოში ზანგებს პერსპექტივა არა აქვთ: აქ სამსახურის პოვნა ჭირს, სამუშაო ადგილები არ არის და ცხოვრების მძიმე პირობებია... ქენთიმ თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა, სანამ საქართველოში ჩამოვიდოდა. საოცარია, რომ სიყვარული სწორედ თბილისში იპოვა. დაოჯახდა და ახლა, ორი გოგონას მამა. ნიგერიელი სიძე ხათუნა მახათაძის მეგობრებს ძალიან უყვართ. ხათუნამ და ქენთიმ ერთმანეთი გლდანში გაიცნეს. ქენთის ხათუნა ერთი ნახვით შეჰყვარებია. თავის დროზე, მათი დაოჯახების ამბავი „გზის" ფურცლებზე გადმოგეცით. ამჯერად, მეორედ ვესტუმრეთ მათ.

— ხათუნა, სანამ ქენთის ცოლად გაჰყვებოდი, არ გიფიქრია, რომ შეიძლებოდა, პრობლემები შეგქმნოდა?

— არასდროს მიფიქრია იმაზე, რომ ქენთი ზანგი იყო და ამის გამო მასზე გათხოვება ჩემთვის პრობლემად იქცეოდა. როცა მითხრა: ცოლად გამომყევიო, — მაშინვე დავთანხმდი. თავიდან, ენობრივი ბარიერი გვქონდა. ინგლისური კი ვიცოდი, მაგრამ ისე არა, როგორც ახლა. ძალიან ბედნიერი ვარ ჩემს შვილებთან და მეუღლესთან ერთად. ამას გულწრფელად გეუბნებით.

— შენი ოჯახი როგორ შეხვდა ზანგ სიძეს?

— დედის გული ხომ იცით? — ჯერ გაბრაზდა, გაიბუტა, მაგრამ მერე შეგვირიგდა. ბავშვები ძალიან უყვარს. მატერიალურადაც გვეხმარება. სამწუხაროდ, დედა ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც ზურგი არ შემაქცია. სხვა ნათესავებიდან, არავინ მელაპარაკება. ჩემი სახელის გაგონებაც არ უნდათ. ფაქტობრივად, ყველამ დამკარგა.

— ხათუნა, როგორ ფიქრობ — რით განსხვავდება ქართველისგან ზანგი ქმარი?

— არაფრით. ფერს რა მნიშვნელობა აქვს? კარგი ადამიანი შეიძლება, თეთრკანიანიც იყოს და ფერადკანიანიც. ქენთის კარგი ხასიათი აქვს. თბილი, მოსიყვარულე, ერთგული ქმარი და საუკეთესო მეგობარია. არასდროს მინანია, ჩემი ცხოვრება მას რომ დავუკავშირე. ალბათ ქენთიც ასევე ფიქრობს.

— თქვენ ხომ სხვადასხვა ტრადიციაზე ხართ აღზრდილები. ეს პრობლემას არ ქმნის?

— რა თქმა უნდა, ჩვენი და ნიგერიელების ტრადიციები განსხვავებულია. მაგრამ ქენთი ცდილობს, ქართულ წეს-ჩვეულებებს შეეჩვიოს. ჩვენი ენა ისწავლა, ქრისტიანია და ქრისტიანულ წესებს იცავს. ერთი სიტყვით, უნდა, რომ ნებისმიერი ჩვენი წესი გაითავისოს და მეც იმის საუკეთესო მაგალითს მაძლევს, თუ როგორ უნდა იცხოვრო უცხო ხალხის გარემოცვაში. ნიგერიაში რომ წავალ, მეც ვალდებული ვიქნები, მათი ჩვეულები და ტრადიციები შევისისხლხორცო.

— ეი. გადაწყვეტილი გაქვთ, საქართველოდან წახვიდეთ?

— შარშან გვინდოდა წასვლა. თავისუფლების მოედანთან, ინგოროყვას ქუჩაზე იყო ერთი ტურისტული ფირმა. ახალგაზრდა გოგო ამზადებდა საბუთებს. მას 1.500 დოლარი მივეცით. მოგვატყუა და ფული დავკარგეთ. მაშინ, გერმანიაში მივდიოდით — იქ ქენთის ბიძა ცხოვრობს. საშემოდგომოდ ისევ ვაპირებთ მასთან წასვლას. ის და მისი ოჯახი გვირეკავენ, გვთხოვენ: ჩამოდითო. გველოდებიან.

— როცა ბავშვებთან ერთად ქუჩაში დადიხარ, ხალხს როგორი რეაქცია აქვს?

— ყველა ჩვენ გვიყურებს. ერთმანეთს ეუბნებიან: ნახეთ, ზანგი ბავშვებიო. ჯული წლინახევრისაა, ჯენიფერი კი, ხუთი თვის.

— ჯულიმ ქართული იცის?

— ქართულად, რუსულად და ინგლისურად ლაპარაკობს. ყველაზე უკეთესად ქართული იცის. ქენთის უნდა, რომ ინგლისურ ბაღში შევიყვანოთ, ამბობს: ქართულს ისედაც ისწავლისო...

— როცა ორსულად იყავი, არ გინატრია: ნეტავ, თეთრი ბავშვი გამიჩნდესო?

— იშვიათია, რომ ზანგს და თეთრკანიანს თეთრი შვილი გაუჩნდეთ. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ბავშვი ფერადკანიანი იქნებოდა. ვერაზე, მესამე საშობიარო სახლში ვიშობიარე. იცით, როგორი აჟიოტაჟი იყო?! მთელი მედპერსონალი თავზე მედგა. ყველას აინტერესებდა ახალშობილის ნახვა. თავიდან თეთრი იყო. ფერი 40 დღის შემდეგ შეეცვალა. ასევე გაოგნებული გვიყურებდა მღვდელი, როცა ჯვარს ვიწერდით. ჯვარი დიდუბის ეკლესიაში დავიწერეთ. მღვდლისთვის, რომელიც ჯვარს გვწერდა, ეს თურმე პირველი შემთხვევა იყო.

ქენთი და ხათუნა ყველანაირად ცდილობდნენ, დაემტკიცებინათ ჩემთვის, რომ ერთმანეთი განსაკუთრებულად უყვართ და რომ სიყვარულს საზღვრები არა აქვს — მას ბედნიერება მოაქვს, როგორც ქართველისთვის, ისევე ნიგერიელისთვის... როცა ქენთი პირველად ჩამოვიდა საქართველოში, აქაურ ცხოვრებაზე წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. ზანგის დანახვით გაოცებულმა ტაქსის მძღოლმა ის აეროპორტიდან სასტუმრომდე მიიყვანა და გასამრჯელოდ — არც მეტი, არც ნაკლები — 70 დოლარი გამოართვა... ქენთი ქართულ ესტრადაზეც გამოჩნდა. ის ქართველი მომღერლების გვერდით მღეროდა და ცეკვავდა. მას კლიპებსა და სარეკლამო რგოლებ-

ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი: ხათუნა მახათაძე და ქენთი აბუჯი შვილებთან, ჯულისთან და ჯენიფერთან ერთად



ახლა თბილისში, ზანგისა და ქართველის ქორწინებით შექმნილი მხოლოდ ოთხი ოჯახიღა შემორჩა

შიც იღებდნენ. ახლა ქენთი უმუშევარია. როგორც ოჯახის უფროსმა, თამადობა მან იკისრა და ყველა ტრადიციული ქართული სადღეგრძელო თქვა. მართალია, ინტერვიუს მოცემა არ უნდოდა, მაგრამ რამდენიმე კითხვაზე პასუხი მაინც გავცა.

— მოგწონს საქართველო?

— მიყვარს ქართველები, მათთან ურთიერთობა იოლია. მაგრამ მე მაინც ჩემს სამშობლოში დაბრუნება მინდა. აქ ცხოვრება ძნელია, იქ კი, ოჯახის რჩენა პრობლემა არ არის, არავის არ შია. საჭმელ-სასმელი ყველას აქვს.

— თქვენ როგორი ტრადიცია გაქვთ: როცა ახალგაზრდები უღლდებიან, ისევ მშობლებთან ერთად რჩებიან საცხოვრებლად თუ ცალკე გადადიან?

— არა. როცა ცოლს ირთავ, აუცილებლად თავიდან, მარტომ უნდა დაიწყო ცხოვრება. თუ ბინის საყიდელი ფული არა გაქვს, ოთახი უნდა დაიქირავო — ცოლს მშობლებთან ხომ არ მიიყვან?!

— შენმა მშობლებმა იციან, რომ დაოჯახდი?

— კი. ძალიან უნდათ ჩემი შვილების ნახვა. დედას ჯენიფერი და ჯული უნახავდაც უყვარს. როცა ტელეფონით ვესაუბრები, სულ მთხოვს: მალე მაჩვენეო.

— ნიგერიულ ოჯახში ვაჟის გაჩენა აუცილებელია?

— კი. როგორც წესი, ყველა ოჯახს უნდა ჰყავდეს გვარის გამგრძელებელი. ბიჭი ჩვენც გვეყოლება — ეს აუცილებელია.

— რატომ ერიდებიან საქართველოში მცხოვრები ზანგები მასმედიასთან ურთიერთობას?

— იმიტომ, რომ ჩვენზე, ბევრჯერ დაიწერა ცუდი ინფორმაცია. ყველას გვაწყენინეს ჟურნალისტებმა...

ამას ისიც ემატება, რომ ფერადკანიანები საქართველოში არალეგალურად ცხოვრობენ. მათი უმეტესობა აქ შემთხვევით მოხვდა — ძირითადად, თურქეთის გამოვლით. როგორც შევიტყვეთ, ახლა თბილისში, ზანგისა და ქართველის ქორწინებით შექმნილი მხოლოდ ოთხი ოჯახიღა შემორჩა — სხვები უკვე წავიდნენ. ჩვენ ვცადეთ, დავკავშირებოდით დანარჩენ სამ ოჯახს. ორ მათგანს ჯერ შვილი არა ჰყავს. სამივე წყვილისგან, შეხვედრაზე კატეგორიული უარი მივიღეთ. თბილისელი გოგონა მაია და ფრეშერი სამი წლის წინ დაქორწინდნენ. მათ ორი ვაჟი ჰყავთ — ჯინო და გოდვინი. სამწუხაროდ, მაია ინტერვიუზე ვერ დავითანხმეთ. როგორც თვითონ გვითხრა: ფრეშერს არ სურს ჟურნალისტებთან ურთიერთობა. ჩვენ კი, სანდო წყაროსგან შევიტყვეთ, რომ მან ოჯახი მიატოვა და ახლა მაიას მარტოს უწევს შვილების აღზრდა. თუმცა, მაიამ ეს ინფორმაცია არ დაგვიდასტურა...

■

შეუმჩნეველი და მზაკვარი მტერი

მაშინ, როდესაც ჩვეულებრივი ამერიკელის სახლში სკაფანდრიანი ხალხი შევიდა, შეფიქრიანებულმა მობინადრეებმა ჩათვალეს, რომ ისინი გადამთიელის შესახებ რომელიღაც ფანტასტიკური ფილმის მორიგი სერიის გადაღებაზე იმყოფებიან. როგორც აღმოჩნდა, „გადამთიელები“ მათ სახლში ჩასაფრებულები იყვნენ! როდესაც ჰიგიენის სპეციალისტებმა, — სკაფანდრებში ზუსტად ესენი იყვნენ გამოწყობილნი და არა კოსმონავტები, „ალფა ცენტავრიდან“, — შვილების ოთახში, საწოლქვეშ დაგებული ფარდაგი აიღეს, იქ, ნესტიანი, ბრჭყვიალა, უსაზიზღრესი შავი ლაქა დაინახეს.

ეს იყო ობი — ბუნებაში არსებული სოკოს ათასნაირი სახეობიდან ერთ-ერთი სახე. ზუსტად ის, იწვევს მობინადრეების, განსაკუთრებით კი, ბავშვების ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ასე რომ, თუ სახლში ბუდე გაჩნდა, აუცილებლად, იგი უნდა მოსპოთ. მაგრამ, რა ვუყოთ საკოებს, რომლებიც უჩინმაჩინივით აღწევს ჩვენს ორგანიზმში?

სინამდვილეში არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ ამჟამად ამგვარი მიკროსკოპიული ნივთიერების რომელიმე ნაირსახეობა ჩვენი მუდმივი თანამგზავრი არაა. სოკო თავის სახეს ყოველთვის არ ავლენს, ამიტომაც, იგი ხშირ შემთხვევაში ჩვენთვის შეუმჩნეველია. სოკო გარკვეულ მომენტს ელოდება, როდესაც ორგანიზმის იმუნური სისტემა ქვეითდება. ამ დროს, იგი იქცევა უკვე არა როგორც სტუმარი, არამედ როგორც აგრესორი. იმუნური სისტემის შესუსტება შეიძლება იყოს განპირობებული როგორც სხვადასხვა დაავადებით, ისე სტრესებითა და ვიტამინების ნაკლებობითაც.

სოკოების „შემოსევის“ ყველაზე ხელსაყრელი პერიოდი გაზაფხულია. ორგანიზმი ჯერ კიდევ ვერ გამოცოცხლდა გრძელი ზამთრის შემდეგ, სოკო კი უკვე ადგილზეა. ხშირ შემთხვევაში სოკოვანი დაავადებების გავრცელება ფეხის თითებიდან იწყება. დაზიანებული ფრჩხილი ჯერ ყვითლდება, შემდეგ მუქდება და დეფორმირდება. დროა, მიიღოთ შესაბამისი ზომები! ამ ინფექციას აქვს უსიამოვნო განსაკუთრებული თვისება, იგი საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის და თავისთავად, ექიმის გარეშე არ განიკურნება.

სოკო თანდათანობით ჯერ ფეხის ჯანმრთელ ფრჩხილებსა და კანს „ჭამს“, შემდეგ ხელებზეც გადადის. ხშირად, სოკოვანი დაავადება შინაგან ორგანოებზეც ვრცელდება. თუმცა ამ მდგომარეობამდე საქმის მიყვანა არ ღირს, რადგან მედიცინა ერთ ადგილზე არ დგას. წარსულს ჩაბარდა ბარბაროსული მეთოდები, ხოლო ექიმები კი თავის პრაქტიკაში ყოველდღიურად უახლეს მეთოდებს იყენებენ.

დღეისთვის ექიმების განკარგულებაშია ყველაზე მაღალეფექტური და უსაფრთხო მეთოდი — პულს-თერაპია, რომლის დროსაც სამკურნალო საშუალებების მიღება ინტერვალით ხორციელდება. პრეპარატების მიღების ერთკვირიან კურსს 3-კვირიანი შესვენება მოჰყვება, მაგრამ ამ დროს, რამდენიც სამწუხარო არაა, სოკო არ ისვენებს. აღსანიშნავია, რომ სამკურნალო საშუალება მიმდინარე ე.წ. შესვენების პერიოდში განაგრძობს ბრძოლას დაავადებასთან. აქტიური კომპონენტი ყველა სახის სოკოს წინააღმდეგ მოქმედებს. ასე რომ, დაავადებას „გადარჩენის“ არანაირი შანსი აღარ აქვს. ამასთან ერთად, კურსის დასრულების შემდეგ აქტიური კომპონენტები კიდევ ერთი წლის განმავლობაში მოქმედებენ და დაავადების გავრცელების ახალი რეციდივებისაგან ორგანიზმს იცავენ.

გახსოვდეთ, რომ თქვენთვის სასურველ და ოპტიმალურ მკურნალობას მხოლოდ ექიმი შეგირჩევთ. კონსულტაციებისთვის დარეკეთ ცხელ ხაზზე, ტელეფონის ნომერია **250 900,** ყოველდღე 15.00 სთ-დან 18.00-მდე, შაბათ-კვირის გარდა. გარდა ამისა, შეგიძლიათ, პირდაპირ მიმართოთ კანისა და ვენსნეულებათა ცენტრალურ დისპანსერს (კონსტიტუციის ქუჩა №4). R

ჟანეტა არჩვაძე საქართველოს ტელევიზიაში პირველი ქალია, ვინც საჭეს მიუჯდა. დღემდე ახსოვს ის განცდა, რომელიც მაშინ დაეუფლა, როცა მანქანის გამოსაყვანად წავიდა მომავალ მეუღლესთან და ელენე ყიფშიძის ქმართან, ჯონდო მაჭავარიანთან ერთად. 2.500 მანეთი პატარა ჩემოდანში მოათავსეს და წავიდნენ. მწვანე „მოსკვიჩი“ ქალბატონ ჟანეტას ურიგოდ მისცეს (მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირში ავტომანქანებს მხოლოდ სამსახურში მრავალწლიანი აღრიცხვის შედეგად გამოყოფდნენ მსურველებისთვის). მას შემდეგ, ვინ მოთვლის, რამდენი ცნობილი ადამიანი იჯდა იმ იღბლიან მანქანაში, რომელსაც საბურავები მალე გაუცვდა, იმდენი იარა ფუნიკულორამდე ასასვლელ გზაზე, სადაც პირველი ქართული ტელესტუდია იყო დაბინავებული...

ჟინოსანჯიდ ღანეგაული ეფეკრაა ქანეტა აკჩვაძს თითქმის ღლეანღლაღე გაეფეკვა

დიანა ჭანკოტაძე

— როდის გაგიჩნდათ სურვილი მანქანის მართვა გესწავლათ?

— „აბეზარას“ კინოსინჯებზე, როცა კომბინეზონი ჩაგვაცვეს, საჭეს მივუჯექი და მანქანის ქვეშ შევძვერი. სწორედ მაშინ გამიჩნდა სურვილი, მესწავლა მართვა. ე.ი. როლისთვის დამჭირდა. სამწუხაროდ, ამ როლზე არ დამამტკიცეს. იმედი არც მქონდა, რადგან ლეილა აბაშიძე უკვე ცნობილი მსახიობი იყო... იმ პერიოდში, სხვათა შორის, ვგავდით კიდეც ერთმანეთს, „ჭრიჭინას“ როლიც უნდოდა სიკო დოლიძეს ჩემთვის მოეცა, მაგრამ მერე ეპიზოდური როლი მათამაშა ამ ფილმში.

შვილიშვილთან ერთად

— ვინ გასწავლათ მანქანის მართვა?

— სპეციალური კურსები გავიარე. სანაპიროზე დიდ სატვირთო მანქანას დავახრიგინებდი... ქალაქში მოძრაობა მაშინ ძალიან იოლი გახლდათ. ახლა რომ უამრავი მანქანაა, უწინ ასე არ იყო.

— მაშინ დიდი იშვიათობა იყო ქალი საჭესთან, არა?

— მე მგონი, სამი-ოთხი ქალი იჯდა საჭესთან, ლენა გოკიელი, ნათელა კაციტაძე, რომელმაც მანქანა ლატარიაში მოიგო და ნინო დუმბაძე. ასე რომ, სულ ყურადღების ცენტრში ვიყავით — მით უფრო მე, ტელევიზიის წყალობით, ყველა მცნობდა. ზოგჯერ საბაგირო ჩერდებოდა, ზოგჯერ ტრამვაი. ჩვენი ტელევიზია კავშირგაბმულობის სახლში მდებარეობდა. იქიდან ფუნიკულორზე ტელევიზიის თანამშრომლები ავტობუსით დადიოდნენ. თუ ვინმეს ავტობუსი გაასწრებდა, მერე ის ჩემი წასაყვანი ხდებოდა. ძალიან კარგი ნაგაზი მყავდა. მანქანაში მელოდებოდა ხოლმე. მახსოვს, ერთხელ, ავთო გაჩეჩილაძე (ტელევიზიის ერთ-ერთი ფუძემდებელი) წამოვიყვანე. მანქანიდან რომ გადადიოდა, მადლობის ნიშნად უნდოდა, ჩემთვის ეკოცნა, მაგრამ ჩემი ნაგაზი რექსი ეცა... იმის შემდეგ, მანქანაში აღარც მიჯდებოდა...

— ძაღლი დაცვის მიზნით გყავდათ?

— არა, უბრალოდ, სკოლაში დამყავდა. დიდუბეში იყო ძაღლების საწვრთნელი სკოლა. მაშინ გათხოვილი არ ვიყავი, ბავშვები არ მყავდა და მთელი ყურადღება ძაღლზე მქონდა გადატანილი. ბავშვი რომ გამიჩნდა, მამაჩემმა რექსი გააჩუქა.

— რა მარკის მანქანა შეიძინეთ პირველად?

— ახალი მწვანვე „მოსკვიჩი“ ვიყიდე. მამამ ცოტა ფული დამიმატა, თორემ, ძირითადი თანხა მე მოვაგროვე. მარჯანიშვილის თეატრში ვმუშაობდი, პიონერთა სასახლეში დრამწრეს ვხელმძღვანელობდი, რადიოში გადაცემები მიმყავდა, ტელევიზიაშიც კარგ ხელფასს მიხდიდნენ. ერთი სიტყვით, სოლიდური შემოსავალი მქონდა. მაშინ ვაჭრობის მინისტრი გახლდათ ღვინჯილია. რადგან პოპულარული ქალი ვიყავი, მანქანა ყოველგვარი რიგის გარეშე მომცა. ის მანქანა გათხოვების შემდეგ გავყიდე და იმ ფულით ავეჯი ვიყიდე. წლების შემდეგ, ტელევიზიაში, არჩილ გოგელიამ მომცა შინდისფერი „ჟიგული 09“, რომელსაც გარკვეული მეცადინეობის შემდეგ, მივუჯექი. 90-იანი წლები იყო. ჩემი მეუღლე ძალიან ნერვიულობდა. შვილებიც. ვიფიქრე: რატომ ვანერვიულო-მეთქი? — და მათ სურვილს დავყევი. ასე გადმომსვეს ქმარმა და შვილებმა მანქანიდან, რის შემდეგაც დავიწყე იმაზე ნერვიულობა, თუ ისინი როგორ გაართმევდნენ თავს მანქანის მართვას. მოგეხსენებათ, გზა ყოველთვის ხიფათთან არის დაკავშირებული.

— თქვენ თუ შეგმთხვევიათ ხიფათი?

— ქალაქში ბევრი მანქანა არ დადიოდა. თან წესრიგს არავინ არღვევდა. ამიტომ ავტოავარიაც უიშვიათესად ხდებოდა. მე არასდროს დამირღვევია მოძრაობის წესები. ჩემს მეზობლად ცხოვრობდა კინორეჟისორი შაქრო ბერიშვილი, რომელმაც ნატო ვაჩნაძე აღმოაჩინა. ვალდებულება მქონდა აღებული, რომ ყოველ

დილით ტელევიზიაში წამეყვანა. ზოგჯერ მეძინა, ღამის მორიგეობიდან გვიან დაბრუნებულს, ის კი ფანჯარაზე მომიკაკუნებდა ხოლმე და მეც მაშინვე ვიღვიძებდი. თუ გზაზე ვინმე გადაგვისწრებდა, ძია შაქრო მეუბნებოდა: გინება უნდა ისწავლოო!.. მე ვუარობდი, ის კი ნათქვამს მიმეორებდა... ახლა მიკვირს – როგორ ვბედავდი ფუნიკულორზე მანქანით ასვლას?! ერთხელ ასეთი რამ მოხდა: საშინელი ბურუსი ჩამოწვა, გზა თითქმის არ ჩანდა. გამახსენდა ვიღაცის ნათქვამი: ბურუსში კარგია წითელი ფარებით სიარულიო. მე პომადას არ ვხმარობდი, ამიტომ თანამშრომლებს ვკითხე: პომადა ხომ არ გაქვთ-მეთქი? ერთ-ერთმა მაშინვე მომცა. ალბათ იფიქრა, რომ ჩემთვის მინდოდა. მე კი ფარებს იმდენი წავუსვი, რომ მთლიანად შევღებე. მახსოვს, აყვირდა: ვაიმე, ჩემი ფრანგული პომადაო!.. სწორედ იმ პომადის წყალობით ჩამოვედი მშვიდობიანად.

— ცნობილი ადამიანებიდან ვინ მჯდარა თქვენს მანქანაში?

– ტელევიზიაში მხოლოდ ორ ადამიანს გვყავდა მანქანა – მხატვარ თენგიზ სამსონაძეს და მე. ასე რომ, გადაცემის დამთავრების შემდეგ, რამდენი ადამიანიც ჩაეტეოდა, იმდენი თანამშრომელი ჩამომყავდა ხოლმე ფუნიკულორიდან.

— ავტოინსპექტორებთან პრობლემა არ შეგქმნიათ?

– არასდროს მისარგებლია იმით, რომ მცნობდნენ. ამის გამო თავს უფლებას არ მივცემდი, თუნდაც უმნიშვნელო დარღვევა ჩამედინა. ასე რომ, არანაირი უსიამოვნება მანქანასთან დაკავშირებით არ მქონია. პრობლემები მაშინ დაიწყო, როცა შოთამ, ჩემმა მეუღლემ ისწავლა მანქანის მართვა. მის თავმოყვარეობაზე მოქმედებდა, მე რომ საჭესთან ვიჯექი, ის კი – გვერდით... მაგრამ მანქანის გამო ერთი დიდი სიმწარე მაინც განვიცადე: ფეხმძიმობის ბოლო დღემდე ვიჯექი საჭესთან, რის გამოც ჩემი შვილის – ვასიკოს ტყუპის ცალი დამეღუპა. ექიმებმა მითხრეს: აუცილებლად უნდა გაეფრთხილებინე ოჯახის წევრებს ან ექიმს, რომ ცხრა თვის ორსულისთვის მანქანის მართვა არ შეიძლებაო...

— როცა მანქანა ფუჭდებოდა, დახმარებისთვის ვის მიმართავდით?

– პროფილაქტორიუმი აეროპორტის ტრასაზე მდებარეობდა. იქ კი ნამდვილად შელავათები მქონდა. საუკეთესო ზეთს მისხამდნენ... რატომღაც მანქანის რეცხვა არ მიყვარდა. ამ პრობლემას ყოველთვის მამაკაცები მიგვარებდნენ.

— ალბათ მანქანა ბევრ ყოფით პრობლემას გიხსნიდათ.

– ბავშვი რომ გამიჩნდა, ძიძა არ მყავდა. არჩილ გომიაშვილმა თავისი ძიძა გამომიგზავნა. ის ნარკომანი აღმოჩნდა. მაშინ ნარკომანობა არ იყო ფართოდ გავრცელებული. ცხადია, დავითხოვე. ბავშვის დამტოვებელი რომ აღარ მყავდა, ჩავსვამდი კალათში, კალათს დავდებდი უკანა სავარძელზე და ავუყვანდი ხოლმე ჩემს მშობლებს. გადაცემა დამთავრდებოდა თუ არა, კალათს ისევ მანქანაში ჩავდებდი და შვილი შინ მომყავდა... მაშინ ძალიან პატარა ბინაში ვცხოვრობდით, რომელსაც ფანჯარა არ ჰქონდა. დალაგების დროს შეუძლებელი იყო, ბავშვი ოთახში ყოფილიყო. ამიტომ ვასიკოს ისევ კალათში ვსვამდი და კალათს მანქანაში ვდებდი... ასე რომ, ჩემი ავტომანქანა ძალიან მეხმარებოდა. ახლა გზები ისეთი გადატვირთულია, ალბათ საჭესთან დაჯდომა შემეშინდებოდა...

■

Computer Eyes კომპიუტერ აის

კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობა, გადაღლილი თვალები, ცრემლდენა, მხედველობის დაქვეითება, თავის ტკივილები.... ხომ ნაცნობი სიმპტომებია? და არა მარტო მათ, ვინც კომპიუტერთან მუშაობს, არამედ ყველა ჩვენგანის თვალებს სჭირდება დაცვა – ტელევიზორი ხომ ჩვენი ცხოვრების წესის განუყრელ ნაწილად იქცა.

რა დაიცავს ჩვენს თვალებს ეკრანის გამოსხივებისაგან?

ბუნება გვთავაზობს ნატურალურ კომპონენტებს, ისინი თავმოყრილია პრეპარატში Computer Eyes.

რას შეიცავს ეს პრეპარატი?

მის შემადგენლობაშია მხედველობის გასაუმჯობესებელი ბალახეული და ანტიოქსიდანტები, მიკროელემენტები და ვიტამინები.

რა დანიშნულება აქვთ ანტიოქსიდანტებს?

ამ პრეპარატში შემავალი ანტიოქსიდანტებია ვიტამინი E და C. ისინი აფერხებენ ორგანიზმში ისეთ რეაქციებს, რომელებიც ხელს უწყობენ თავისუფალი რადიკალების წარმოქმნას. თავისუფალი რადიკალები დიდ ზიანს აყენებენ უჯრედულ მემბრანებსა და ქსოვილებს, რითაც ზრდიან სიმსივნური წარმონაქმნის რისკს. ეს ვიტამინები იცავენ პრეპარატში შემავალ შეუცვლელ ცხიმოვან მჟავებს დაჟანგვისაგან. ცხიმოვანი მჟავების ჟანგვის პროცესშიც წარმოიქმნება დიდი რაოდენობით თავისუფალი რადიკალები.

აქვს თუ არა პრეპარატს გვერდითი მოქმედებები და როგორ მივიღოთ ის?

კლინიკურად აპრობირებული მაღალეფექტური პრეპარატი Computer Eyes არანაირ გვერდით არასასურველ მოქმედებებს არ იწვევს. ის დაიცავს თქვენს თვალებს გადაღლისაგან და ცრემლდენისგან, დაგეხმარებათ, ადვილად გაუმკლავდეთ კომპიუტერთან მუშაობით მიღებულ სტრესს.

მიიღეთ 2-3 კაფსულა დღეში.

პრეპარატების შერჩევასა და დანიშვნაში დაგეხმარებათ ჩვენი ექიმი კონსულტანტები).
„ნუტრიმენტ ჰაუსი“
მის: დ. აღმაშენებლის 150
ტელ: 95-65-03
96-06-67
სამუშაო საათები: ყოველდღე
10.30 - 18.00
კვირას 10.30 - 14.00
www.Shopge.com

R

ცოლის შეურაცხყოფისთვის შური მკვლელობით იძია

ქალი ქმრის ნათესავმა გააუჰატიურა

2000 წლის 6 ოქტომბერს, 41 წლის ლევან გ-მ თავისი ნათესავი — დავით ა. მოკლა. სასიკვდილო ჭრილობები აწ გარდაცვლილს მან დანით მიაყენა. 40 წლის დავით ა. საა-ვადმყოფოში მიყვანამდე, გზაში გარდაიცვალა. აღსანიშნავია, რომ ის ინვალიდი იყო — ცალი ფეხი არ ჰქონდა.

მკვლელობას, რომელიც დაახლოებით, საღამოს 11 საათისთვის ქუჩაში მოხდა, მეზობლებიც შეესწრნენ. მათი თქმით, ლევან გ. და დავით ა. რაღაცაზე გაცხარებით ჩხუბობდნენ, შემდეგ, ერთმანეთის ფიზიკურ შეურაცხყოფაზეც გადავიდნენ. გამოძიებით დადგინდა, რომ დანაშაულის მიზეზი ლევან გ-ს ცოლი — ნანა იყო...

2000 წლის 6 ოქტომბერს, საკუთარი სახლისკენ მიმავალ ლევან გ-ს ოჯახში, ჩვეულებისამებრ, მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი ეგულებოდა. თუმცა, შინ მისულს, მათ ნაცვლად, მაგიდაზე დატოვებული წერილი დახვდა. „გემშვიდობები. მე სახლიდან მივდივარ, ბავშვებს მიმიხედე და ჭორებს არ აჰყვე. ჩემ შესახებ რაც არ უნდა თქვან, არ დაიჯერო“, — წერდა მას ცოლი.

ლევანს გაახსენდა, რომ წინა დღით, სამსახურიდან დაბრუნებული მეუღლის სახეზე სისხლჩაქცევები და ჩალურჯებები შენიშნა. თუმცა, როცა შეეკითხა, თუ რაში იყო საქმე, ცოლმა უპასუხა: სამსახურში ფეხი დამიცდა და კიბეზე დავგორდიო. მოულოდნელი და უცნაური წერილის წაკითხვის შემდეგ, ლევან გ-ს მეუღლის ნაამბობში ეჭვი შეეპარა და მიხვდა, რომ ის რაღაცას უმალავდა.

აღელვებული ქმარი მაშინვე ქალაქის სამშობიაროსკენ (ნანა იქ მუშაობდა) გაეშურა, რათა ცოლის თანამშრომლები გამოეკითხა და ამ გზით მისი სიტყვებიც გადაემოწმებინა. აღმოჩნდა, რომ ნანას სამსახურში ყველა გაფრთხილებული ჰყავდა: ლევანმა თუ რამე გკითხოთ, უთხარით, ვითომ კიბეზე დავეციო. თანამშრომლები ასეც მოიქცნენ, თუმცა, სინამდვილეში რაც მოხდა, იცოდნენ.

საიდუმლო ლევან გ-ს ბოლოს, ისევ ცოლმა გაუმხილა. მას შემდეგ, რაც თავგზააბნეულმა ქმარმა მეუღლე თითქმის ყველა ახლობელთან და ნაცნობთან მოიკითხა, შემთხვევით კიდევ ერთი, თბილისში მცხოვრები ნათესავი მოაგონდა. ნანა სწორედ იქ აღმოჩნდა. ტელეფონით საუბრისას, მან ქმარს უთხრა, რომ იმ ქალაქში, სადაც ცხოვრობდნენ, აღარასოდეს დაბრუნდებოდა, რადგან მათი ოჯახის ხშირმა სტუმარმა და თანაც ნათესავმა — დავით ა-მ მას საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა: სამსახურში პისტოლეტით შეიარაღებული მიუვარდა და თანამშრომლების თვალწინ სასტიკად სცემა.

ცემის მიზეზი ნანამ მაშინ ქმარს არ გაუმხილა. მოგვიანებით კი, გამოძიების შედეგად გაირკვა, რომ დავითმა, რომელიც ლევანთან ახლობლობდა და მასთან სახლშიც ხშირად დადიოდა, ერთხელ, შინ მარტოდ მყოფი ნანა გააუპატიურა. ამ უკანასკნელმა მომხდარის შესახებ არავის არაფერი უთხრა. საქმის გამოძიების პროცესში კი განაცხადა, რომ ეს დავითმა სხვაგვარად აღიქვა — იფიქრა, რომ ქალი მასთან ინტიმური ურთიერთობის წინააღმდეგი არ იყო და რამდენიმე დღეში, კვლავ მოსთხოვა სქესობრივი კავშირის დამყარება. „*რა თქმა უნდა, სასტიკი უარი განვუცხადე. ვუთხარი, რომ მისი დანახვაც არ მინდოდა და საშინლად მეჯავრებოდა, ხოლო თუ არაფერს ვამბობდი მის მიერ ჩადენილ დანაშაულზე, ამას მხოლოდ ოჯახის შესანარჩუნებლად და შვილების დაცვის მიზნით ვაკეთებდი. ის მაინც თავისას გაიძახოდა და კატეგორიულად მთხოვდა შევხვედროდი. მერე სამსახურშიც მომაკითხა და ისევ უარი რომ მიიღო, ჩხუბი დამიწყო, შემდეგ კი საშინლად მცემა*“, — განუცხადა ნანამ გამომძიებელს.

ჩატარებულმა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ მის სხეულზე ძალადობის ნიშნები დააფიქსირა, თუმცა, პროკურატურამ დავით ა-ს მიმართ, ამ უკანასკნელის გარდაცვალების გამო, სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის დადგენილება გამოიტანა.

2000 წლის 6 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც ცოლმა ცემის შესახებ უთხრა, ლევანმა დავითის ძებნა დაიწყო. საღამოს 11 საათისთვის, შემთხვევით, მას ერთერთ სკოლასთან ახლოს, რამდენიმე ნაცნობისა და მეზობლის თანხლებით შეხვდა. ის მაშინვე მიუახლოვდა დავითს და უხეშად მიმართა: შენ მიცემე, ღორო, ცოლიო? დავითმა, როგორც შემთხვევის ადგილას მყოფი მოწმეები ამბობენ, ცემის ფაქტი კატეგორიულად უარყო. ამას, სხვათა შორის, სამართალდამცავებიც ეჭვქვეშ აყენებდნენ, რადგან ყველას უკვირ-

და – როგორ შეძლო ცალფეხა კაცმა (ამბობენ, რომ ის ყავარჯნებით დადიოდა), ძალადობის ჩადენა და ქალის წინააღმდეგობის დაძლევა. თუმცა, ლევან გ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის თქმით, ინვალიდობა დავით ა-ს ხელს არაფერში უშლიდა და ის ადრეც გახლდათ გაუპატიურების მუხლით ნასამართლევი.

შელაპარაკებისას, ლევანმა დავითს მუშტი დაარტყა. ეს უკანასკნელი წაბარბაცდა და წაიქცა. მეზობლებმა ისინი მაშინვე გააშველეს. თუმცა, რამდენიმე წუთში, ლევანმა დავითი სალაპარაკოდ განზე გაიხმო. როგორც თავად აღნიშნავს, დაბალ ხმაზე საუბრობდნენ და სწორედ მაშინ, დავითმა მას ნანასთან ინტიმური ურთიერთობის შესახებ უთხრა და შეურაცხმყოფელი სიტყვებით დაემუქრა: თუ არ გაჩერდები, იცოდე, შენც იმავეს გიზამო. პასუხად ლევანმა ჯიბიდან დანა ამოიღო და დავითს გულმკერდის არეში ორჯერ ჩაარტყა...

პოლიციამ ლევან გ. დააკავა. პროკურატურამ კი, ის განზრახ მკვლელობაში დაადანაშაულა და შესაბამისი მუხლიც მიუყენა. აღნიშნული მუხლი სასამართლომაც დაადასტურა. სამართალდამცავები არ იზიარებდნენ ბრალდებულის ჩვენებას, რომელშიც ის განზრახ მკვლელობას უარყოფდა და ირწმუნებოდა, რომ დანაშაული ძლიერი სულიერი აღელვების გამო ჩაიდინა. მოსამართლის თქმით, პროცესზე დაკითხულმა მოწმეებმა, ლევან გ-სთვის დავით ა-ს მიერ ნათქვამი სიტყვები – შენც იმავეს გიზამო, – არ დაადასტურეს და თქვეს, რომ მათ შორის, ნანასთან ინტიმურ ურთიერთობაზე თუ იყო საუბარი, არ გაუგონიათ. სასამართლოს აზრით, დანაშაულის ჩადენის მომენტში, აფექტს ადგილი არ ექნებოდა. თუმცა, ექსპერტები სხვაგვარად ფიქრობენ. საქმეში არსებობს დასკვნა, სადაც ნათქვამია, რომ ლევან გ. აფექტურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

თენგიზ ვეკუა, მსჯავრდებულის ადვოკატი:

„ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ეს დასკვნა შემდგომში, სასამართლო პროცესზე დაკითხულმა ექსპერტმაც დაადასტურა და ისიც დასძინა, რომ დავით ა-ს ზემოთ აღნიშნული სიტყვები რომ არ წარმოეთქვა, აფექტს ადგილი მაინც ექნებოდა, რადგან აქ, ცოლის ცემის შემთხვევაშიც, პიროვნების (ლევან გ-ს) შეურაცხყოფაზეა საუბარი.

რატომღაც, სპეციალისტების პოზიცია სასამართლომ არ გაიზიარა და განსასჯელი მაინც განზრახ მკვლელობაში დაადანაშაულა. საბოლოოდ, მას 108-ე მუხლით გათვალისწინებული მინიმუმი – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრეს. აღსანიშნავია, რომ აწ გარდაცვლილისგან განსხვავებით, ის ადრე ნასამართლევი არ ყოფილა. პროფესიით ინჟინერი გახლავთ და იმ პერიოდში, მუშაობდა კიდეც, საკუთარი სახელოსნო ჰქონდა გახსნილი. თავის ცოლშვილთან ერთად ნორმალურად, მშვიდად ცხოვრობდა. ახლა კი ოჯახი დაენგრა: ამ ამბის შემდეგ, ნანამ სამსახურიც მიატოვა, ქალაქიც და ფოთში გადავიდა საცხოვრებლად. შვილებს იქიდან არ-ჩენს. ამჟამად, ბავშვები მოხუც ბებიასთან ცხოვრობენ, დედის სანახავად ისინი ხანდახან ფოთშიც კი ჩაჰყავთ.

განაჩენი უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში გავასაჩივრეთ. საქმის წინა განხილვის დროს, საოლქო სასამართლომ, ექსპერტიზის დასკვნის მიუხედავად, ფაქტობრივ გარემოებებს მაინც ეჭვის თვალით შეხედა (უტყუარი მტკიცებულება საქმეში არ არსებობს). არადა, კანონის თანახმად, ყოველგვარი ეჭვი განსასჯელის სასარგებლოდ უნდა გადაწყვეტილიყო. სწორედ ამას მოვითხოვთ ამჟამად უზენაესი სასამართლოსგან. მსჯავრდებულისთვის მიყენებული მუხლი 111-ე მუხლად (მკვლელობა, ჩადენილი ძლიერი სულიერი აღელვების დროს) უნდა გადაკვალიფიცირდეს და სასჯელის ზომაც ისე შეუმცირდეს, რომ პატიმრობაში ყოფნის დრო მოხდილად ჩაეთვალოს და ციხიდან გათავისუფლდეს“.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას უზენაესი სასამართლო მომავალ კვირაში გამოიტანს (სტატიაში მოყვანილი ყველა სახელი შეცვლილია.).

■

„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ცენტრი

გთავაზობთ კომპიუტერის შემსწავლელ ინდივიდუალურ კურსებს:

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი.
შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.
საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში.
დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.

მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა
15⁰⁰-დან 18⁰⁰ სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.
მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან).
დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ:
33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

„ცხოვრება ჯოჯოხეთად მიქცია, ვეღარ გავუძელი და მოვკალი...“ – აცხადებს 35 წლის ქალი, რომელსაც ქმრის მკვლელობაში აღანაშაულებენ

2002 წლის 30 ოქტომბერს, საჩხერის რაიონის პროკურატურაში, განზრახ მკვლელობის მუხლით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ამის მიზეზი სოფელ ჭალაში, საკუთარ სახლში ნაპოვნი, 37 წლის ბადრი ქიმაძის საშინლად ნაწამები და დასახიჩრებული გვამი გახდა. გარდაცვლილის სხეულზე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტებმა ბასრი იარაღით მიყენებული მრავალი ჭრილობა დააფიქსირეს. მოგვიანებით ისიც გაირკვა, რომ მოკლულს თავი ნაჯახით ჰქონდა გაჩეხილი...



იმავე დღეს, პოლიციელებმა გარდაცვლილის მეუღლე – 35 წლის მზევინარ ნონიაშვილი დააკავეს. სამართალდამცავების წინაშე მან აღიარა, რომ ქმარი თავად მოკლა.

„ბადრი ქიმაძის სხეულზე დაფიქსირებული დაზიანებების გამო პროკურატურამ დანაშაულს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი, განზრახ მკვლელობის კვალიფიკაცია მისცა. თუმცა, ვინც მზევინარ ნონიაშვილს მოუსმენს და მისი ცხოვრების დეტალებს გაეცნობა, მკვეთრად შეეცვლება აზრი. მიხვდება, რომ ამ ქალს საშინელ პირობებში უხდებოდა ცხოვრება და შვილების აღზრდა, მეუღლესთან უკიდურესად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. ქმარი მას გამუდმებით ეჩხუბებოდა, ლანძღავდა, ყველას თვალწინ ამცირებდა და უფრო მეტიც, სცემდა კიდეც. ბოლოს, წონასწორობიდან გამოიყვანა, საკუთარ თავზე კონტროლი დააკარგვინა და ასეთი საშინელება ჩაადენინა“, – აღნიშნავს მზევინარ ნონიაშვილის ადვოკატი.

„ცხოვრება ჯოჯოხეთად მიქცია, ვეღარ გავუძელი... იმწუთს რას ვაკეთებდი, ვერ ვაცნობიერებდი“, – აცხადებს თავად მზევინარი, რომელსაც ჩადენილი დანაშაულისთვის ამჟამად, უზენაესი სასამართლო ასამართლებს. მისი თქმით, ქმარი რომ არ მოეკლა, ეს უკანასკნელი თავად მოკლავდა მას. *„სისტემატურად მეჩხუბებოდა, სხვადასხვა წვრილმანი მიზეზით და მოკვლით მემუქრებოდა. მთვრალი რამდენჯერმე დანით გამომეკიდა, უნდა მოგკლაო, – ყვიროდა, მაგრამ ყოველთვის მეზობლებმა გადამარჩინეს. იმ საღამოსაც იგივე გაიმეორა, თუმცა ამჯერად, გარეთ ვერ გავიქეცი, რადგან კარი ჩაკეტა. მე სხვა გზა არ მქონდა, თავი უნდა დამეცვა, ეს კი მხოლოდ მისი მოკვლით იყო შესაძლებელი“,* – დასძენს განსასჯელი.

მზევინარ ნონიაშვილი წარმოშობით კასპიდან გახლავთ. გათხოვების შემდეგ, საჩხერის რაიონის სოფელ ჭალაში, ქმრის ოჯახში გადავიდა საცხოვრებლად. სამი შვილის დედაა. მისი უფროსი ვაჟი – დიმიტრი ახლა 14 წლის გახლავთ. როგორც გაირკვა, წლების მანძილზე, მზევინარი ოჯახს თავად არჩენდა. რამდენიმე დღეში ერთხელ, სოფლიდან თბილისში ჩადიოდა და დიდუბის ბაზრობაზე ვაჭრობდა. მისი ქმარი არსად მუშაობდა, როგორც თავად მზევინარი და ასევე მეზობლები ამბობენ, თითქმის ყოველდღე სვამდა და თვრებოდა.

მარგო ნონიაშვილი, განსასჯელის დედა:

„მზევინარს, ვიდრე ჩემთან ცხოვრობდა, განსაკუთრებული ყურადღებით ვეპყრობოდი. დაბადებიდანვე აზიზად ვზრდიდი, ვცდილობდი, მისთვის არაფერი მომეკლო. მის განათლებაზეც განსაკუთრებით ვზრუნავდი. არ მინდოდა, ვინმეზე ნაკლები ყოფილიყო. მაგრამ აი, ცხოვრებამ სადამდე მიიყვანა. არადა, ბუნებით ყოველთვის მშვიდი და არაკონფლიქტური იყო...

ვცდილობდი, როცა გათხოვდებოდა, კარგ ოჯახში მოხვედრილიყო. სიძის უკმაყოფილო თავიდან არ ვყოფილვარ, მაგრამ რამდენიმე წელიწადში, სმას მოუხშირა. ბოლოს, დღე არ გავიდოდა, რომ არ დაელია. ამდენი სმისგან ხასიათი გაუფუჭდა, ოჯახში აუტანელი გახდა. მეუბნებოდა ჩემი შვილი: დედა, მაწამებს, სულ მეჩხუბება, არ ვიცი, რა ვქნაო. რომ ჩავიდოდი მათთან სოფელში, ხელს არც მე მაკლებდა – მლანძღავდა და მცემდა. მისთვის სულერთი იყო, ვის დაარტყამდა. მივხვდი, რომ ასეთ სიტუაციაში ბავშვების აღზრდა და ცხოვრება შეუძლებელი იყო. მოვკიდე ხელი ჩემს შვილიშვილებს და ჩემთან გადმოვიყვანე საცხოვრებლად. მზევინარს მეც და მამამისმაც ქმართან გაყრაც ვურჩიეთ, მაგრამ უარი თქვა. ხომ იცით, მერე სხვა სახელი დამერქმევა, საკმარისია, ვინმე მამაკაცთან ერთად მნახონ და მაშინვე სალაპარაკო გავხდებიო, – ამბობდა...“

„როცა ფხიზელი იყო, არ მეჩხუბებოდა, ხოლო თუ დალევდა, წყობიდან გამოდიოდა, ყველას სცემდა, განურჩევლად ასაკისა, ილანძღებოდა და იგინებოდა“, – ირწმუნება განსასჯელი და ამ სიტყვებს მისი ნათესავების გარდა, მოწმედ დაკითხული სხვა პირებიც ადასტურებენ.

დედ-მამის ხშირ ჩხუბსა და კონფლიქტზე, მათი ვაჟი – დიმიტრიც ლაპარაკობს, თუმცა აღნიშნავს, რომ მამის მიერ დედის ცემის ფაქტს არასოდეს შესწრებია. სამაგიეროდ, ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე, ბადრი ქიმაძის მიერ ცოლის ცემა მისმა რძალმა – მზია ქიმაძემ დაადასტურა.

2002 წლის 29 ოქტომბერს, საღამოს, დაახლოებით 7 საათისთვის, ბადრი ქიმაძე შინ კვლავ ნასვამი დაბრუნდა. სახლში მას ცოლი და შვილი – დიმიტრი დახვდნენ. ეს უკანასკნელი იმ დროს, ტელევიზორს უყურებდა. ბადრი ქიმაძემ თავდაპირველად, სადილი დაუწუნა ცოლს და უსაყვედურა, შემდეგ კი დაიყვირა: ტელევიზორი რატომ არის ჩართულიო?!. მან მეუღლეს ჩხუბი დაუწყო. გამორთო ტელევიზორი და ისევ ცოლს მიუბრუნდა. დიმიტრი იძულებული გახდა, ტელევიზორის საყურებლად მეზობელთან წა-

სულიყო და სახლიდან გავიდა.

ბადრი ქიმაძე ცოლის ლანძღვა-გინებას განაგრძობდა, ბოლოს, პატარა ნაჯახითაც დაემუქრა მას, შემდეგ კი, დანას სწვდა. საბრალდებო დასკვნის თანახმად, მზევინარ ნონიაშვილმა სწორედ ამ დროს, მეორე ნაჯახი აიღო და ქმარს ის მჭრელი პირით თავში ჩაარტყა, დანით კი სხეულის სხვადასხვა ადგილას შემავალი ჭრილობები მიაყენა.

ბადრი ქიმაძე ადგილზევე გარდაიცვალა. შემთხვევის ადგილას მისულმა პოლიციამ მოკლული, ლოგინში მწოლიარე, საბანგადაფარებული იპოვა. აღსანიშნავია, რომ გვამი საწოლზე ბაწრით იყო დაბმული...

მზევინარ ნონიაშვილი:

„...ჩხუბის შემდეგ, საწოლზე დაჯდა და ფულის თვლა დაიწყო. ფულს აკლია და კუპიურები შეცვლილიაო, — მისაყვედურა. აიღო პატარა ნაჯახი და თავზე დამადგა. რამდენჯერმე თითქოს დამიმიზნა. შემდეგ სახლის კარი ჩაკეტა, ღუმელს მიუჯდა და სიგარეტის მოწევა დაიწყო. მე ხმას არ ვიღებდი, ყოველი მისი მოძრაობის მეშინოდა. როდის აპირებ თბილისში წასვლასო? — მკითხა, შემდეგ კი დაამატა: არაფერს გაგატან, შენ ფულს ისედაც იშოვი, საყვარლები გელოდებიანო... ვთხოვე, თავი დაენებებინა ჩემთვის და დასაძინებლად წასულიყო, მაგრამ არ მიჯერებდა. სადაც არ უნდა იყო, მოგძებნი და არ გაგახარებო, — მეუბნებოდა.

სანთელი ავანთე და ისევ ვთხოვე: დაიძინე-მეთქი. — არა, აქ ხარ, უნდა მოგკლა, შენი სისხლი უნდა დავლიოო, — მიპასუხა. ამ დროს, მის ხელში დანა დავინახე. ჩემკენ გამოიწია, დანის წვერი მაღლა იყო შემართული. შემეშინდა, ეჭვი აღარ მეპარებოდ, რომ მოკვლას მიპირებდა. იმწუთს, გონებაში მხოლოდ ეს მიტრიალებდა. საწოლის ქვეშიდან ნაჯახი გამოვიღე, მოვუქნიე და თავში ჩავარტყი. გაბმულად დაიღრიალა და ლოგინზე დავარდა. მეშინოდა, არ წამომდგარიყო და გაბრაზებულს არ მოვეკალი. ამიტომაც დანა ავიღე და ჯერ გულმკერდის მიმართულებით მოვუქნიე, შემდეგ კი, სხეულში რამდენჯერმე ჩავარტყი. არ მახსოვს, ზუსტად რამდენჯერ და რა ადგილებში, მაშინ არ ვაფიქსირებდი. გონება დაბინდული მქონდა, ვერ ვაზროვნებდი და საკუთარ საქციელს ვეღარ ვაკონტროლებდი. როცა ვიგრძენი, რომ აღარ ინძრეოდა, საბანი გადავაფარე, ზემოდან კი — „ადიალა“: არ მინდოდა, ბავშვს რაიმე შეენიშნა და დასისხლიანებული მამა დაენახა. საბნის გადაფარების შემდეგ, თოკი გადავუჭირე. ასე რატომ მოვიქეცი, ვერ აგიხსნით. მაშინ რას ვაკეთებდი, თვითონაც არ ვიცოდი. მიუხედავად იმისა, რომ არ ინძრეოდა, მაინც მეგონა, რომ ცოცხალი იყო და მეშინოდა, არ წამომდგარიყო და არ მოვეკალი...

ცოტა ხანში, დიმიტრი დაბრუნდა შინ, დაწვა და დაიძინა. არაფერი გაუგია. მეორე დილით, ჩემი ქმრის ნათესავებს დავუძახე: თინიკო, ნანა და მზია ქიმაძეებს. გონება ჯერ კიდევ არეული მქონდა, რას ვაკეთებდი, ვერ ვაანალიზებდი. მდგომარეობიდან სრულად ჯერაც არ გამოვსულვარ; რომ დავფიქრდები, რა მოხდა და რა ჩავიდინე, თავი საშინელ სიზმარში მგონია...

ქმრის ნათესავები მაშინვე გადმოვიდნენ ჩემთან. მათ ვუთხარი: თბილისში ვაპირებ წასვლას და მომზადებაში მომეხმარეთ-მეთქი. ვერაფერი შენიშნეს, ნაჯახი და დანა მეორე ოთახში მქონდა შენახული, ლეიბის ქვეშ. რა გინდა თბილისშიო? — მკითხეს. — ისევ ვიჩხუბეთ-მეთქი. მაშინ მზიამ თქვა: მაგან სამუდამოდ უნდა დაიძინოსო. მაშინ ვუპასუხე: მგონი, წუხელ მართლაც სამუდამოდ დავაძინე, მოვკალი, ნაჯახი დავარტყი-მეთქი...

შეიკრიბნენ მეზობლები. მალე პოლიციაც მოვიდა...“

დიმიტრი ქიმაძე, განსასჯელის შვილი:

„...როცა დასაწოლად წავედი, დედამ მითხრა: თუ მამაშენი წამოდგეს, მომეხმარე და გაიქეციო, — მაგრამ რაში უნდა დავხმარებოდი ან რატომ უნდა გავქცეულიყავი — არ უთქვამს. მაშინ ვიფიქრე, რომ დედამ და მამამ ისევ იჩხუბეს. დილით, საუბრის ხმამ გამაღვიძა. დედაჩემი ვიღაცებს ეუბნებოდა: ჩემი მოკვლა უნდოდაო. როცა ყველაფერი გავიგეთ, მე იქ აღარ გამაჩერეს, მეზობლებთან გამიყვანეს“.

თავდაპირველად, არსებობდა მკვლელობის მეორე ვერსიაც. პროკურატურა ეჭვობდა, რომ მზევინარ ნონიაშვილმა მძინარე ქმარი მოკლა: დაძინებული, ჯერ თოკით მიაბა საწოლზე, რომ არ წამომდგარიყო, შემდეგ კი, ნაჯახით გაუჩეხა თავი. აღნიშნული ვერსიით, ნონიაშვილი იმ დროს, გააზრებულად მოქმედებდა. თუმცა, ამ ვერსიას სამართალდამცავები არც ახლა გამორიცხავენ.

საქმის წინასწარი გამოძიებისას, მზევინარ ნონიაშვილს ფსიქოლოგიურ-ფსიქიატრიული ექსპერტიზა ჩაუტარდა. ექსპერტთა დასკვნით, დანაშაულის ჩადენის დროს, მას რაიმე დროებითი ფსიქიკური აშლილობის ნიშნები არ აღენიშნებოდა; მას შესწევდა უნარი, გაეანალიზებინა და გაეცნობიერებინა ის, რასაც სჩადიოდა. განსასჯელის ადვოკატს კი მიაჩნია, რომ აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნა ზერელედ და არასრულყოფილ მასალებზე დაყრდნობითაა გაკეთებული. ამიტომაც, სასამართლო პროცესზე ახალი გარემოებების აღმოჩენის საფუძველზე, ადვოკატმა მზევინარ ნონიაშვილისთვის დამატებითი, კომპლექსური, ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება მოითხოვა. ამ შუამდგომლობას სახელმწიფო ბრალმდებელმაც დაუჭირა მხარი და მოსამართლემ, აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ, სასამართლო სხდომა ორი კვირით გადადო.

ექსპერტიზას მხარეები არ დაესწრებიან. მოსამართლემ ასეთი გადაწყვეტილება დაზარალებულის არყოფნის გამო და ობიექტურობის დაცვის მიზნით მიიღო. განსასჯელის ადვოკატი აცხადებს, რომ მზევინარ ნონიაშვილს პროკურატურამ, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი, განზრახ მკვლელობის მუხლი უსამართლოდ მიუყენა. მისი თქმით, სამი შვილის დედას ასეთი მძიმე დანაშაულის ჩადენა ყველაზე ნაკლებად უნდოდა. *„ცხადია, რომ ის იმ დროს, საშინლად იყო აღელვებული, აფექტურ მდგომარეობაში იმყოფებოდა და რას აკეთებდა, ვერ ხვდებოდა“,* — აცხადებს ადვოკატი. თუ რას იტყვიან მომხდართან დაკავშირებით ექსპერტი-სპეციალისტები, უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

■

პოლიტიკური გამყინვარება და ეკონომიკური გვალვა

ანუ "ხვალ თუ კარგი დარია, გვეტყვის ჭიამაია"

ავთო მარგველაშვილი

— აუჰ! ხვალ ისეთი დარი იქნება, მუშაობით ვერ გაძღები კაცი! — იტყოდა ხოლმე გლეხი, საღამოს ცას რომ ახედავდა და საჩვენებელ თითს გაილოკავდა. მერე, ადრიანად შეწვებოდა ლოგინში, რომ დილით მზისთვის დაესწრო ყანაში ჩასვლა (ვითომ მზე მაჩვი იყო და სიმინდს შეუჭამდა)... მოსცხებდა ოყიან თოხს ქვად ქცეულ მიწას, დაენამებოდა შუბლი ოფლით და საკუთარ გაჩენასაც კი დასწყევლიდა, რომ მიწასთან ჭიდილისათვის გააჩინა ღმერთმა. მოკლედ, ცალ ხელში თოხი უჭირავს, მეორეში კი თოფი, — ქართველ კაცზე იყო ნათქვამი. თვალები კი მუდამ ცისკენ ჰქონდა აპყრობილი და გვალვაში წვიმას ნატრობდა, წვიმაში — მზეს...

წლებს წლები მისდევდა, საუკუნეს საუკუნე. თოფი ავტომატმა შეცვალა, ხოლო თოხს დღემდე არ გამოუჩნდა ალტერნატივა და მხოლოდ ტარის სიგრძე და პირის სიფართე თუ შეეცვლება ხოლმე. გალოკილი თითის ცივილიზებულ და უტყუარ მემკვიდრედ კი, ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურები მოგვევლინა, რომლის ცხელ-ცხელ მონაცემებს სერიოზული ადგილი უჭირავს საინფორმაციო პროგრამებში.

ქვეყანაში მიმდინარე „წარმატებებით“ მაყურებლის დაბომბვის შემდეგ, ამინდის პროგნოზსაც ინტერესით გვაცნობენ ჩვენი ტელეწამყვანები და ვხვდებით, რომ ღმერთვამწყრალ ქვეყანაში ამინდიც ისეთივე არეული და ძნელად პროგნოზირებადია, როგორიც პოლიტიკა, ეკონომიკა და ყველა სხვა მნიშვნელოვანი სფერო.

ბუნებრივ ამინდს კიდევ არა უშავს რა: წვიმაში ქოლგას დაიკავებ და მზეში ჩრდილს შეეფარები კაცი, მაგრამ რა ვქნათ მაშინ, როცა პოლიტიკასა და ეკონომიკაშია ქრონიკული უამინდობა; როცა სახელისუფლებო და ოპოზიციურ პარტიათაგან მომავალი ცხელი და ცივი ჰაერის მასები ისე ებრძვიან ერთმანეთს, რომ ჯერ-ჯერობით, არც ფინანსურ გამყინვარებას უჩანს გალღობის პირი და არც ენერგოგვალვას შეცვლის ჟუჟუნა წვიმა?!.

ეს კითხვა სწორედ იმ დღეს ამეკვიატა, როცა პარლამენტში თავისუფალი (თუ სპეციალური — ხან როგორ ამბობენ და ხან — როგორ...) ეკონომიკური ზონების საკითხის განხილვა იყო დანიშნული. ფეხებზე დაკიდებით შეურაცხყოფილი დეპუტატები ჯერ თხოვნით, მერე ხვეწნა-მუდარით, მერე დაფიცებით და ბოლოს, დაგინებითაც კი მოითხოვდნენ სახელმწიფო მინისტრის მისვლას პარლამენტში, მაგრამ ამაოდ. სახელმწიფო მინისტრი იმისთვისაა, რომ სახელმწიფო საქმეებს მიხედოს და როგორც ჩანს, ძველი პარლამენტისათვის არც იმ დღეს ეცალა „ახალი საქართველოსათვის“ მებრძოლ სახელმწიფო მოღვაწეს. სამაგიეროდ, აღმასრულებელი ხელისუფლების რამდენიმე ახალგაზრდა წარმომადგენელი სტუმრობდა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს.

დეპუტატებმა რეგისტრაცია უკვე გაიარეს და სხდომაც დაიწყო, მაგრამ სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ გიორგი ისაკაძემ ჩემი თხოვნით, ფეხი აითრია და და ინტერვიუზეც სიამოვნებით დამთანხმდა.

გიორგი ისაკაძე:

— კი, ვცდილობ, რომ საინფორმაციო პროგრამებში ამინდის პროგნოზიც მოვისმინო და ვახერხებ კიდეც.

— რატომ გაინტერესებთ, რა ამინდია გარეთ?

— ჩვენი უბედურებაა და იმიტომ: როცა მოწვიმს, წყალი იკეტება, რომ აცივდება, გაზი ითიშება და შუქი ქრება. ყოველთვის გულისფანცქალით ვუსმენ ხოლმე ამინდის ცნობებს.

— ანუ ყველაფერი მაშინ ქრება, როცა განსაკუთრებით საჭიროა?

— ანომალიაა — ქვეყანა დამოკიდებულია ამინდზე. ელემენტარული სტაბილურობაც კი (წმინდა ყოფით საკითხებს ვგულისხმობ), ამინდზე ყოფილა დამოკიდებული. ერთსაც დავამატებ: ამ ბოლო დროს, ჩვენდა საუბედუროდ, ესეც იმიტომ, რომ ზამთარი გაგრძელდა ძალიან დიდხანს, ჩვენმა სინოპტიკოსებმა ზუსტად დაიწყეს ამინდის პროგნოზირება. დღევანდელი ამინდიც ასეა...

— მოდით, სხვანაირ ამინდსაც შევეხოთ — გადატანითი მნიშვნელობით (იცინის)... კანცელარიაში როგორი ამინდია, ბატონო გიორგი?

— საკმაოდ ცივა, მინდა გითხრათ. ეს ის პერიოდი იყო, როცა გარკვეული ფინანსური პრობლემების გამო, ვერ ხერხდებოდა გაზის საფასურის გადახდა და ვერ მოგვარდა გათბობის საკითხი. მაგრამ სამუშაო პირობები ნორმალური იყო.

— დღეს პარლამენტში ამინდის დასარეგულირებლად მობრძანდით. აქ როგორი ამინდი დაგხვდათ?

— აქ საკმაოდ დაცხება, ყველა სხვა ადგილისაგან განსხვავებით. თანაც ძალიან დაცხება.

— ეი. შეიძლება გაზაფხული გამოვტოვოთ და ზამთრის შემდეგ პირდაპირ, ზაფხული დაგვიდგეს?

— შეიძლება, მაგრამ მინდა იმედი დავიტოვო, რომ იმ გამონათქვამისა არ იყოს — „მალე გაზაფხული მოვა“... რადგან ამინდზე ვართ დამოკიდებული, გაზაფხული მართლა მალე დადგება და ღმერთმა ქნას, იგი ყველანაირი გაგებით დამდგარიყოს!..

მარინა მოლოდინი, *მაჟორიტარი*

პარლამენტის წევრი, დუშეთის რ-ნიდან:

— ჩემი მოღვაწეობის გამო, საინფორმაციო პროგრამების დროს, ყოველთვის შინ არ ვარ და თუკი ვარ, ეს იმ დროს ემთხვევა, როცა ჩემს შვილებს დაძინება უწევთ. ასე რომ, ბავშვებთან ყოფნას ვამჯობინებ ხოლმე. თუმცა, ხანდახან ვახერხებ კიდეც მოსმენას.

— სინოპტიკოსების ტერმინოლოგიაში თუ ერკვევით?

— მგონი, კი.

— მაშინ გთხოვთ, აქაური ამინდის შესახებ მიამბოთ!

— *(იცინის)* პარლამენტი მაღალი წნევის არეშია მოქცეული და პროგნოზიც ძალიან ცუდ ამინდს გვპირდება, იმიტომ, რომ ვერა და ვერ მოხერხდა მთელი რიგი საკითხების განხილვა; სახელისუფლებო ძალები ცდილობენ, ზეწოლა მოახდინონ, მაგრამ მათდა სამწუხაროდ, ნაკლებად ახერხებენ ამას, რადგან ძალიან ჭკვიანი ოპოზიციაა პარლამენტში. ეს ძალთა ჭიდილი კარგს არავის არაფერს უქადის — არც „პოზიციას“ და არც ოპოზიციას, მაგრამ ვეჭვობ, ხელისუფლებასთან რაიმე შეთანხმებას მივაღწიოთ. თუნდაც, საარჩევნო კანონის განხილვა ავიღოთ: საარჩევნო კომისიის თერთმეტი წევრიდან, ცხრა უნდა დაინიშნოსო, ორსაც ვინ გაუწევს რეკომენდაციას, ხომ ხვდებით?.. ეს ნამდვილი დიქტატია. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს თვე ნისლიანი, ბურუსიანი და საშინლად ქარიშხლიანი იქნება პარლამენტში.

— უკვე კარგა ხანია, გრძელდება საპარლამენტო კრიზისი და ამას ყველა აღიარებს. დღევანდელი თემიდან გამომდინარე, ამას საპარლამენტო გამყინვარება შეიძლება დავარქვათ...

— დიახ, ნამდვილად გამყინვარება იყო. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გახლავთ ბატონი ავთო ჯორბენაძე. მან ვერ გამოიჩინა თავი ქვეყნის აღმშენებლობაში. ამიტომ ვურჩევდი მთავრობას, პირდაპირ „იმელის“ შენობაში გადაიყვანონ იგი ცესკოს თავმჯდომარედ, მდივნად დაუნიშნონ ვახტანგ რჩეულიშვილი და გპირდებით, რომ მეორე დღესვე დაიწყება დათბობა და არჩევულებრივი ამინდები დადგება პარლამენტშიც და ქვეყანაშიც...

ვალერი გელბახიანი, *ფრაქცია „აღორძინება“:*

— მას შემდეგ, რაც ავტოკატასტროფაში მოვხვდი, ამინდი განსაკუთრებით მაინტერესებს, რადგან მისი ყოველი ცვლილებისას მაწუხებს ტკივილები — ასეთი მიზეზობრივი კავშირი მაქვს ბუნებასთან. დილით რომ ვიღვიძებ, უკვე ვიცი, როგორი ამინდია გარეთ. ამიტომ წინაღამით, ყოველთვის ყურს ვუგდებ ამინდის პროგნოზს, რომ გავარკვიო — მექნება თუ არა ტკივილები — და შესაბამისად, განვეწყო ფსიქოლოგიურად.

— პოლიტიკურ ამინდს როგორ გრძნობთ, ბატონო ვალერი?

— ო, აქ გაცილებით სერიოზულადაა საქმე. რაც სინოპტიკოსური ტერმინებია — მაღალი წნევის არე, ციკლონი, ცივი მასები, სეტყვა და სხვა, — ყველა რომ გააერთიანო, მიიღებთ იმ პოლიტიკური ამინდის სურათს, რომელიც დღეს საქართველოშია. მიზეზი: ხელისუფლება საკმაოდ დაბნეულია და არ არის ერთიანი. მისი წარმომადგენლობითი ძალები პარლამენტში სხვადასხვა ვექტორზე მოძრაობენ და არც იდეა აერთიანებთ, არც პოლიტიკური პლატფორმები. პრეზიდენტის და მთავრობის პოზიცია პარლამენტში არათუ არ ჟღერდება, არამედ ლობისტიც კი არა ჰყავს ან ვერა ჰყავს ხოლმე. ანუ „სირაქლემას პოლიტიკა“ უფრო ხორციელდება: მთავრობას ეუბნებიან — მხარს დაგიჭერთო, — მერე კი, კენჭისყრას ელოდებიან და ლატენტური, ჩუმი, ფარული გზებით ცდილობენ იმ საკითხების მხარდაჭერას ან უარყოფას, რომელიც მოდის უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლებისაგან.

— საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა დღევანდელი შეხვედრა რამდენად დაარეგულირებს შექმნილ კლიმატს?

— სამწუხაროდ, ეს არაფერს მოიტანს. არ გამაჩნია არავითარი საფუძველი იმისა, რომ ვთქვა, პოლიტიკური კომპრომისების დრო დადგა-მეთქი. ჩვენთან არ არის პარტიების კლასიკური გაგება, აქ ლიდერთა პარტიებია, რომელთა ინტერესების კონფლიქტს ეწირება საქართველო. ასე რომ, ქარი, თოვლი და წვიმა ერთად „გვესხმის“ თავს...

კოტე კემულარია, *„ნაციონალური მოძრაობა“:*

— მე არა მაქვს იმის საშუალება, რომ

ტელევიზორის ყურებას ამდენი დრო დავუთმო. ეს ჩემთვის ზედმეტი ფუფუნებაა. ვცდილობ, თუ დრო მაქვს, უფრო პოლიტიკურ „ბლოკებსა“ და „ნიუსებს“ მაინც ვუყურო. ამინდის პროგნოზი კი, არც აქამდე ყოფილა „გამართლებადი“, ამიტომ მისი არც მჯერა. არ მინდა, სინოპტიკოსებს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ ამინდის პროგნოზისადმი საკმაოდ ანეკდოტური დამოკიდებულება მაქვს. ტერმინოლოგიასაც იუმორით ვუდგები: „მაღალი, ზომიერამდე ძლიერი ქარი“ — ასეთი ტერმინებია.

— ეს „მაღალი, ზომიერამდე ძლიერი ქარი“ მთავრობაშიც აღწევს?

— აქ სრული მოღრუბლულობაა, ალაგ-ალაგ ნალექით; „ზომიერამდე ძლიერი დაძაბულობაა“ *(იცინის)*. ყველაზე მეტად ზომიერზე მაღალი ამ პარლამენტს გარე გავლენა ეტყობა. ყველა ქვეყნის პარლამენტშია ეს მეტ-ნაკლებად. მაგრამ ამას აქვს ზღვარი, რომლის მიღმაც შეგიძლია თქვა, რომ პარლამენტი აღარ არსებობს, როგორც საკანონმდებლო ორგანო. ასე ვთქვათ, „ცივი მასები“ დასაშვებზე მეტადაა

ჩვენს პარლამენტში შემოჭრილი ციკლონის სახით და ეს „ჭუჭყიანი“ ამინდის მომასწავებელია: დაუბერავს ქარი და ეს ადამიანები გადაიხრებიან იქითკენ, საითაც ქარი დაუბერავს... ბუნებაში ქარი არის ჰაერის ცივი და თბილი მასების გადაადგილების შედეგი. ცივი ჰაერი მოდის კანცელარიიდან, აქ თბილი მასა დახვდა ძალიან მცირე დოზით, მაგრამ მაინც დახვდა, და ამინდიც გაფუჭდა და ეს ქარიც არ არის სასურველი მიმართულების, რომ კარგი პროგნოზის იმედი გვქონდეს.

— და თქვენ ბრძანეთ, ბატონო კოტე, ამინდის პროგნოზს არ ვუყურებო?

— *(იცინის)*... ამ ცივ მასებს თან მოჰყვა არჩევნებთან დაკავშირებული ქარბორბალა, რომელმაც რამდენიმე დეპუტატი, შეიძლება „შეისრუტოს“, აიტაცოს კიდეც და სად ჩამოაგდებს, ეშმაკმა იცის.

— სადამდე გაგრძელდება ეს ყველაფერი? როდის დადგება წყნარი და მშვიდი გაზაფხული?

— კანცელარიაში, თბილი და ცივი მასების გამომშვებ „ფაბრიკაში“ საჭიროა დანადგარების სასწრაფო შერემონტება და მერე ვნახოთ *(იცინის)*...

ელენე თევდორაძე, *ფრაქცია „გაერთიანებული დემოკრატები“:*

— ამინდის პროგნოზს ყურადღებას ყოველთვის ვაქცევ, თუნდაც იმიტომ, რომ ვიცოდე, მეორე დღეს როგორ გავიდე შინიდან და არა მარტო შინიდან — ქვეყნიდანაც. ამიტომ ხშირად ვუსმენ გრძელვადიან პროგნოზს, საქართველოს გარეთაც რა ამინდი იქნება.

— აქაური ამინდისთვის სათანადოდ მომზადებული ბრძანდებით?

— დღევანდელი ამინდი ძალიან ჰგავს გარეთ არსებულ ამინდს — ე.ი. მოღრუბლულობა ნალექით... არა მარტო დღეს — აქ სულ ღრუბელია და მოსალოდნელია წვიმა. სამწუხაროდ, ჩვენ რომ მოვდივართ პარლამენტში, ამ პროგნოზს ვგებულობთ სხდომათა დარბაზში. ამიტომ ხშირად მომზადებულები არა ვართ ასეთი ამინდისთვის...

— უამინდობის მიზეზი?..

— პარლამენტი აბსოლუტური სარკეა იმისა, რაც ხდება ქვეყანაში. ეს დაპირისპირება, დაძაბულობა პარტიებს შორის არის ამის მიზეზი. მით უმეტეს, რომ არჩევნების ციებ-ცხელება დაიწყო და არ არის გასაკვირი, ზაფხულის თვეებში თოვლიც მოვიდეს...

— დღეს პარლამენტში „ორი ხელისუფლებაა“ წარმოდგენილი. ცდილობს ეს ორი ძალა, დაარეგულიროს ამინდი? იქნებ არ ცდილობს ან ვერ ცდილობს?

— არ ცდილობს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ კანცელარია, რომელიც პასუხისმგებელია ამინდის სტაბილურობაზე, არ აკეთებს ამას და ამიტომ შეიძლება, ზაფხულში ვიგუნდაოთ კიდეც.

— თუ ზაფხულში თოვლის პაპის კეთება მოგვიხდა, ამასობაში, კალენდარული ზამთარიც მოგვისწრებს...

— რა თქმა უნდა, მაგრამ იმედი მაქვს არჩევნების, რომ მზე ოქტომბერში ამობრწყინდება და გაათბობს ჩვენს ხალხს, თუ ეს არჩევნები ჩატარდება ღიად და მოსახლეობას მიეცემა საშუალება, თვითონ აირჩიოს სასურველი ადამიანებიც და ცხოვრების წესიც, მაშინ ამინდიც გამოსწორდება.

— რამდენადაა დამოკიდებული ეს ამინდი უცხოეთზე?

— უცხოეთის გავლენა იქნება — როგორც ჩრდილოეთიდან, ასევე დასავლეთიდანაც. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს იყოს დასავლეთის ქარი...

— ე.ი. — სახით დასავლეთისაკენ, ზურგით — ჩრდილოეთისაკენ?

— *(იცინის)* მე სიცივე ძალიან არ მიყვარს, ამიტომ ვცდილობ, სიცივეს ზურგით დავუდგე...

აკაკი ბოგოხიძე, *მაჟორიტარი პარლამენტარი ხონის რაიონიდან:*

— სრული „შტილია“ დღეს პარლამენტში *(იცინის)*. ასეც იქნება არჩევნებამდე.

— ე.ი. არჩევნებს იმედიანად უყურებთ. რა საფუძველი გაქვთ ამისთვის?

— პირველ რიგში ის, რომ ბუნებით ოპტიმისტი ვარ. მეორე — კაცს უფლება არა აქვს, ფარ-ხმალი დაყაროს და ბოლომდე წინ არ აღუდგეს იმას, რაც არასწორად მიაჩნია. მესამე და მთავარი: ხალხის იმედი მაქვს. ვფიქრობ, საქართველოს მოსახლეობამ უკვე თავი დააღწია იმ ილუზიების მონობას, რასაც წლების მანძილზე თავს ახვევდნენ. შედეგს ველარ მოიტანს ხალხის გაბრუების მცდელობა იმით, რაც კანცელარიაში ხდება. ტელევიზიებიც აჩვენებენ, როგორ იკრიბებიან, თათბირობენ და სახეებს იხოკავენ ქვეყნის აშენებაზე ფიქრით, მაგრამ ეს ყველაფერი მაგონებს ერთ ფრაგმენტს ფილმიდან „ყვარყვარე“: როცა ციხიდან პატიმრებს უშვებენ, ისმის ასეთი სიტყვები: „დიდი ძალა იკრიბება!“ მაგრამ ქართველ ხალხს ჰყოფნის სიბრძნე, ყველაფერს თავისი სახელი დაარქვას. აი, ესა ამინდის პროგნოზი, რომელსაც ველით არჩევნებამდე. მერე კიდევ მკითხეთ და გეტყვით *(იცინის)*.

... ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე, თავს უფლებას ვაძლევ, გაგაცნოთ მოსალოდნელი ამინდის გრძელვადიანი პროგნოზი:

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტისა და სახელმწიფო კანცელარიის ცივი და ცხელი ჰაერის მასების დატაკებას კატაკლიზმები არ მოჰყოლია, ეს ორივე ორგანო მაღალი წნევის არეში იქნება მოქცეული. იქროლებს ჩრდილოეთის ზურგის ქარი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ოპოზიციური ძალების სეტყვა; რის გამოც კანცელარიის მე-11 და მე-12 სართულებზე ტემპერატურა მკვეთრად დაეცემა, ანუ ზემოთ 7, ქვემოთ 5, იღლიაში კი — 38 გრადუსი სითბო იქნება.

კოდორის ხეობასა და გალის რაიონში მოსალოდნელია პარტიზანების სეტყვა და ავტომატების ჭექა-ქუხილი; წყალში თევზი, მთაში მეცხვარეები, ცაში კი — რუსეთის შვეულმფრენები... ■

თამაშ-თამაშით მოპარული მილიონი

„ვის უნდა გახდეს მილიონერი“ – ამ სატელევიზიო თამაშში 1 მლნ გირვანქა სტერლინგის მოგების შემდეგ, ბრიტანელი ჩარლზ ინგრემი და მისი ცოლი თაღლითობაში ამხილეს: როგორც დადგინდა, 39 წლის მაიორმა, მისმა მეულღემ დაიანამ და ცოლ-ქმრის მეგობარმა, 53 წლის ტეკვენ უიტოკმა წინასწარ შეიმუშავეს თამაშის წარმართვის გეგმა: უიტოკს 19-ჯერ დაუხველებია, რითიც ინგრემს სწორ პასუხებს ჰკარნახობდა... თუმცა, სამივეს პირობითი სასჯელი შეუფარდეს, ეს კი მოსამართლემ, ბავშვებისადმი თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულებით ახსნა: ცოლ-ქმარს 7-დან 12 წლამდე ასაკის 3 გოგონა ჰყოლია და მან ისინი დაინდო. 18-თვიანი პირობითი პატიმრობის გარდა ინგრემებს ჯარიმად 15 ათასი გირვანქა სტერლინგი და სასამართლო ხარჯების ანაზღაურებაც კი, თითოეულს 10-10 ათასის გადახდა დააკისრეს. ერუდიტი მოკარნახე შესაბამისად, 10 და 7,5 ათასი გირვანქა სტერლინგით გაღარიბდება. ■

ჰილარი კლინტონის მოგონებები 8 მილიონად შეფასდა

აშშ-ის ყოფილი პირველი ლედი ლიტერატურის ისტორიაში რეკორდულ ჰონორარს მიიღებს მემუარებისთვის, რომლის გამოცემასაც საგამომცემლო სახლი Simon & Shuster აპირებს. ჰილარი კლინტონს ავანსად უკვე გადაუხადეს 2,85 მლნ. როგორც ვარაუდობენ, წიგნი აგვისტოში გამოვა. როგორც საგამომცემლო სახლის ინკოგნიტო თანამშრომელმა ჟურნალისტებს აცნობა, „ხელნაწერი ჯერ დასრულებული არ არის, თუმცა უკვე მაისში, დასაბეჭდად მზად უნდა იყოს“. კონტრაქტი 11 სექტემბრის ტრაგედიამდე გაფორმდა და გამომცემლობის დაკვეთის შესრულების დაგვიანებას იმით ხსნიან, რომ ჰილარი აქტიურად მონაწილეობდა ტერაქტებთან დაკავშირებით მოწყობილ ბევრ საქველმოქმედო აქციაში. Simon & Shuster-ის ხელმძღვანელობა ცდილობს გაფანტოს ხმები იმის შესახებ, რომ ქალბატონმა კლინტონმა თავი ვერ გაართვა ნაკისრ ვალდებულებას. თუმცა, როგორც ცნობილი გახდა, მის მემუარებს ჯერ სახელწოდებაც არა აქვს, რაც საშუალებას არ აძლევს გამომცემლობას, განსაზღვროს წინასწარი შეკვეთების საერთო მოცულობა. ■

გაშოლტვა უმანკო ამბორისათვის

ირანის სასამართლომ ცნობილ მსახიობ ქალს – გუჰარ ჰირანდიშს, შოლტის 72-ჯერ დარტყმა მიუსაჯა, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ახალგაზრდა მსახიობის კოცნის გამო. მსახიობს მუსლიმანური მორალის დარღვევისათვის „დანაშაულის“ ხელმეორედ ჩადენის შემთხვევაში, სახალხოდ გაროზგავენ.

თურმე ნუ იტყვით და, ეს სერიოზული ანტისოციალური სამართალდარღვევა მსახიობს ქალაქ იეზდის ფესტივალის გახსნაზე, გასულ სექტემბერს ჩაუდენია.

კინოფესტივალზე შეხვედრისას, გუჰარს ახალგაზრდა კოლეგისთვის – ალი ზეიმანისთვის ლოყაზე უკოცნია. ამ უმანკო ამბორს მუსლიმანური მორალის დამცველთა ყურადღება მიუპყრია, რომლებსაც მისთვის შეუხსენებიათ, რომ ქალისა და მამაკაცის საჯაროდ კოცნა ყურანის მიხედვით ტაბუდადებულია.

იეზდის სასამართლომ კინომსახიობი დამნაშავედ ცნო, განაჩენის სისრულეში მოყვანა კი, იმ შემთხვევისთვის გადადო, თუ გუჰარი დანაშაულს განმეორებით ჩაიდენს. ■

„თქვენი ჟურნალის მადლიერები ვართ“

(„გზა“, №13, „სასიყვარულო სამკუთხედი“)

ჩვენს მკითხველს ემახსოვრება ქეთი პაპუაშვილი, რომელიც ძალზედ შეწუხებული იყო იმით, რომ უბრალო გაუგებრობის გამო, თავისი უახლოესი დაქალი და სეხნია — ქეთი კუპატაძე დაკარგა. შეგახსენებთ: ქეთი და მისი შეყვარებული ბადრი ერთმანეთს გაებუტნენ, ქეთი პაპუაშვილმა მათი შერიგება სცადა, რამდენჯერმე შეხვდა ვაჟს; და ქალმა იეჭვიანა, რასაც ბადრის მოუფიქრებელმა ნათქვამმა შეუწყო ხელი. ქეთი და ბადრი შეუღლდნენ და ერთგულ მეგობარს შეაქციეს ზურგი... „გზის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული წერილის შემდეგ, ქეთი კუპატაძე ჯერ დაქალს დაუკავშირდა, შემდეგ — ჩვენს რედაქციასაც.

მარი ჯაფარიძე

— ქეთი, მოგვიყევი, არ მოხდა მას შემდეგ, არც „გზაში“ შენ შესახებ სიმართლე წაიკითხე?

— თქვენს ჟურნალს ყოველ ხუთშაბათს ვყიდულობ და თითქმის ყველა ნომერი შენახული მაქვს. ერთ დღესაც, ვიყიდე ახალი ნომერი, ტრანსპორტშივე გადავათვალიერე და ერთ-ერთი გვერდიდან ნაცნობმა სახემ შემომცინა. დავაკვირდი და მასში ჩემი მეგობარი, ქეთი შევიცანი. სათაურს დავხედე — „სასიყვარულო სამკუთხედი“. სულმოუთქმელად წავიკითხე. იმდენად გავეთიშე გარე სამყაროს, რომ სამარშრუტო ტაქსის მძღოლმა, ბოლო გაჩერებააო, რომ მითხრა, მაშინღა გამოვფხიზლდი. მე საკუთარი ცხოვრების შესახებ ერთი სიახლე შევიტყვე, რომელიც ჩემივე მეუღლის გამო გაუკულმართებული ვერსიით ვიცოდი.

— რა გაქვთ მხედველობაში?

— მოდით, თავიდან გიამბობთ: მე და ქეთი განუყრელი მეგობრები ვიყავით. ბადრიც ერთ დღეს ერთად გავიცანით. ორივეს მოგვეწონა, მაგრამ ქეთიმ მაშინვე მითხრა: ვფიქრობ, თქვენ უფრო გაუგებთ ერთმანეთს, ამიტომ, თუ მასაც მოეწონე, იქნებ, ეს ბედი იყოსო... მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ბადრიმ ორივეს ტელეფონის ნომერი ჩაიწერა, ჩემთან დაამყარა კონტაქტი. მალე ერთმანეთი შეგვიყვარდა კიდეც. ქეთი ყოველთვის თან გვახლდა. მე და ჩემი შეყვარებული წავკინკლავდით. ქეთი განიცდიდა ამ ამბავს, მეჩხუბებოდა: შენ მოუბოდიშე, იმიტომ, რომ დამნაშავე ხარ, ნუ იქცევი შეუგნებელი ადამიანივითო... ვიცოდი, რომ ბადრი ურეკავდა ხოლმე ქეთის და ჩემზე ესაუბრებოდა; ერთმანეთს რომ შეხვდნენ, ისიც ვიცოდი. მაგრამ ერთხელ, ბადრიმ დამირეკა და მითხრა: შემირიგდი, თორემ, შენი დაქალი სიყვარულს მეფიცება, მოსვენებას არ მაძლევს და რა ვქნა, უკვე აღარ ვიცი; ცოლად გამომყევი, რომ მიხვდეს — მხოლოდ შენ მიყვარხარ და თავი დამანებოსო... წარმოიდგინეთ, რა დამემართებოდა. ქეთისთან მივედი და განრისხებულმა, ისეთი რამ ვაკადრე, რასაც თურმე, არ იმსახურებდა...

— მისი ახსნა-განმარტება რატომ არ მოისმინე?

— სიმართლე რომ გითხრათ, მაინცდამაინც არც უცდია, თავი ემართლებინა. ახლა რომ ვკითხე მიზეზი, მითხრა: რა აზრი ჰქონდა? რადგან ჩემში ეჭვი შეგეპარა, მაინც არ დაიჯერებდიო...

— შემდეგ?

— შემდეგ მე და ბადრი დავქორწინდით. უკვე 2 წლის შვილიც გვყავს. მთელი ამ ხნის მანძილზე ქეთის არ დავკონტაქტებივარ. ხანდახან მიჩნდებოდა მონატრების გრძნობა და მასთან საუბრის სურვილი. გავიფიქრებდი: მოდი, დავურეკავ, უკვე ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა და ვაპატიებ-მეთქი, — მაგრამ უკანასკნელ მომენტში, მაინც თავს ვიკავებდი.

— ჟურნალში წაკითხული ქეთის მონათხრობი ადვილად დაიჯერე?

— კი, ეჭვი არ შემპარვია, რადგან მისი ნაამბობიდან გულწრფელობაც იგრძნობოდა და გულისტკივილიც იმის გამო, რომ უსამართლოდ მოვექეცი... როგორც კი შინ მივედი, ბადრის ჟურნალი წინ დავუდე და წაიკითხე-მეთქი, ვუთხარი. იქვე, კუთხეში, სავარძელში ჩავჯექი და თვალმოუშორებლივ ვუცქერდი. როდესაც კითხვა დაამთავრა, კარგა ხანს, ჩაფიქრებული იჯდა, ჩემკენ არც იხედებოდა, ვგრძნობდი, უძნელდებოდა ჩემთვის თვალის გასწორება. მერე ტელეფონს დასწვდა, ნომერი აკრიბა და ქეთის დაუძახეთო, ვიღაცას სთხოვა... „ქეთი, ბადრი ვარ, ყურმილი არ დაკიდო — მინდა, ბოდიში მოგიხადო... სულ მაწუხებდა ეს ამბავი, მაგრამ მეშინოდა, ჩემი ქეთი სიმართლეს თუ შეიტყობდა, აუცილებლად მიმატოვებდა“... — შემდეგ ყურმილს დახედა და დაკიდა. მივხვდი — ქეთიმ პირველმა გაწყვიტა კავშირი, ბოლომდე არ მოუსმინა. ავდექი და იმწუთასვე, მეგობართან გავეშურე... ბევრი ვიტირეთ, ბევრი ვილაპარაკეთ. შემდეგ, ქეთი ჩემთან წამოვიყვანე შინ და ორივემ ერთად შევარცხვინეთ ბადრი... საბოლოოდ შევრიგდით, ქეთი და ბადრიც შერიგდნენ. რაც მთავარია, ყველას მოგვეხსნა რაღაც სიმძიმე, რომელსაც ახლობელი ადამიანის დაკარგვა იწვევს ხოლმე. ამის გამო კი, თქვენი ჟურნალის მადლიერები ვართ.

■

ქეთი პაპუაშვილი

გამოხმაურებისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ჟურნალისტს ტელ.: 8(77)45.68.61

სადილი ყველას

10 მაისს, 12-დან 17 საათამდე, „კათარზისი“ კვლავ უმასპინძლებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს, ადგილზე გემრიელად დაპურდეს.

ამჯერად თქვენი მასპინძელი იქნება ფოთის პორტი და შპს „ჩენელ ენერჯი (ფოთი ლიმითედ-საქართველო)“

დარეკეთ 11-დან 17 სთ-მდე: 95-16-46. მის: დავით აღმაშენებლის გამზ. №121.

„თქვენმა წერილმა დიდი იმედი ჩამისახა...“

(„გზა“, №10, „გარდატეხის ასაკი“)

ხატიას (ყველა მოქმედი პირის სახელი შეცვლილია) წერილი რომ მივიღე, დიდხანს ვფიქრობდი, მისი ამბავი სააშკარაოზე გამომეტანა თუ არა. ეს ეჭვი განსაკუთრებით გამიძლიერდა მასთან შეხვედრის შემდეგ. მაგრამ ხატიამ ძალიან მთხოვა: საშუალება მომეცით, ჩემი უბედურება სხვა ადამიანებს გავუზიარო და იმედიც მივცე — იმის იმედი, რომ ყველაზე საშინელი პრობლემის გადაჭრაც კი შეიძლება თანადგომითო...

ხატიას დედასთანაც მინდოდა საუბარი, მაგრამ არ დამთანხმდა: ჯერ მზად არ ვარ, საკუთარი შეცდომები ვაღიარო, მეშინია, რაღაც ისეთი არ ვთქვა, რაც ხატიას გულს ატკენსო... მეც ვცდილობ, ხატია შეკითხვებით არ გადავლალო, არ გავაღიზიანო. ის ჯერ ცხრამეტი წლის არის და უკვე ბევრი რამ გადაიტანა.

ლელა ჭანკოტაძე

— მე და დედა მარტო ვცხოვრობდით. უმამოდ გავიზადე. მამა არასდროს მინახავს. ის ჩემს დაბადებამდე რამდენიმე დღით ადრე, ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ცოცხალი რომ ყოფილიყო, ჩემი ცხოვრება სულ სხვაგვარად წარიმართებოდა. ამაში დარწმუნებული ვარ. ახლაც ყველაზე დიდი მეგობარი ჩემთვის გარდაცვლილი მამის ფოტოსურათია, რომელიც სულ ჩემთან არის, შემიძლია მას ვესაუბრო. არც დედასთან მაქვს ცუდი ურთიერთობა, ის ლამაზი ქალია. რომ მითხრა: შეყვარებული ვარ და უნდა გავთხოვდეო, — მაშინვე დავთანხმდი. თუმცა ეს ამბავი დიდად არ გამხარებია... ორი კვირის შემდეგ, შინ მამინაცვალი მომიყვანა. მას თითქმის ჩემი ტოლი შვილი ჰყავდა. მის შვილს საშკა ერქვა. დედამ მთხოვა: შეეცადე დაუმეგობრდე, რაც უფრო ახლოს იქნები მასთან, მით უფრო მასაიმოვნებო. საშკა ჩვენთან ხშირად მოდიოდა და ყოველთვის ბინძურ სიტყვებს ჩამჩურჩულებდა... სირცხვილით ვკვდებოდი. დედას რომ ვუთხარი, მისაყვედურა: ეგოისტი ხარ, ვერ იტან, რომ ბედნიერი ვარ, გინდა, ეგ ბიჭი სახლიდან გაგდო და მამამისს სამუდამოდ დამაცილოო... ჩვენ მატერიალურად არ გვიჭირდა, მაგრამ მამინაცვალი უფრო შეძლებული იყო და დედა ამბობდა: მეშინია, ჩემზე მდიდარ ქალთან არ წავიდესო. ერთ დღეს, მამინაცვალმა გამოაცხადა: საშკას დედამისთან ცხოვრება აღარ უნდა, ამიტომ დღეიდან, ჩვენთან იცხოვრებსო.

— არ გიცდია საშკასთვის აგეხსნა, ცუდად რომ იქცეოდა?

— არა. მისი ძალიან მეშინოდა. ვცდილობდი, შინ მარტოები არ დავრჩენილიყავით. მაგრამ ეს დღე მაინც დადგა. გადავწყვიტე, ჩემი ოთახიდან არ გამოვსულიყავი, მაგრამ საშკამ თავი არ დამანება. შემოვიდა, უტიფრად წინ დამიდგა და მომაჩერდა. ვკითხე: რა გინდა-მეთქი? — მან კი, მოულოდნელად, შარვალი ჩაიხადა. შიშველი კაცი რომ დავინახე ვიყვირე, ფანჯარას ვეცი. ვუთხარი: თუ მომეკარები, გადავხტები-მეთქი. საშკამ იფიქრა, მატყუებსო და ჩემკენ წამოვიდა. მე რაფაზე შევხტი. გადახტომა არ მინდოდა, მაგრამ თავი ვეღარ შევიკავე და გადავვარდი. მთელმა ქალაქმა გაიგო, მეხუთე სართულიდან გოგო გადმოხტა და გადარჩაო.

— არაფერი იტკინე?

— ფეხი და ხელი მოვიტეხე. ტვინის შერყევაც მქონდა. ორი კვირა საავადმყოფოში ვიწექი, შემდეგ — სახლში. ერთ საღამოს, ჩემი მამინაცვალი გვერდით მომიჯდა და მთხოვა: ყველაფერი მომიყევი, რაც იმ საღამოს მოხდაო. მეც სიმართლე აღარ დავუმალე. ძალიან ინერვიულა, ისე აკანკალდა, შემეცოდა კიდეც. რა თქმა უნდა, საშკა სახლიდან გაგდო. ამის შემდეგ, სამი თვე გავიდა. როგორც იქნა, გამოვჯანმრთელდი და ისევ დავიწყე სკოლაში სიარული.

— საშკა აღარ გინახავს?

— როგორ არა! რამდენჯერმე სკოლაში მომაკითხა. მითხრა: ძალიან ცუდად მოვიქეცი, მამას ნუ დამაკარგვინებ, იქნებ, ვიმეგობროთო. ბოდიშიც მილიონჯერ მომიხადა. თავი ისე შემაცოდა, რომ მე თვითონ ვთხოვე ჩემს მამინაცვალს, თავის შვილს შერიგებოდა. მაგრამ ჩემი თხოვნა არ გაითვალისწინა. ალბათ, საშკას კარგად იცნობდა... ერთ დღეს, სკოლაში მიმავალს, საშკა შემხვდა. ორ ძმაკაცთან ერთად იყო. ჩემი დაბადების დღეა, წამოდი, ვინ რას გაიგებს, ვიმხიარულოთო. მანქანით ვისეირნოთო. დავთანხმდი.

— რატომ? მისი ხომ გეშინოდა?

— იმ დროისთვის, დავმეგობრდით. მე მამა არ მყავდა და ვიცოდი, უმამობა რაც იყო, ამიტომ გავუგე საშკას. მეუბნებოდა: მამა მიყვარს, ოღონდ მამა არ დამაკარგვინო და მზად ვარ, ფეხებში ჩავივარდე, პატიება ისე გთხოვოო. ერთი სიტყვით, მოსახდენი მოხდა. იმ მანქანაში წინა სავარძელზე მოკალათდი. წარმოდგენაც არ მქონდა, რა მელოდა. ყვირილი მაშინ დავიწყე, როცა წყნეთის გზას დავადექით. გაჩუმდი, თორემ აქვე გაგათავებო, — მითხრა ერთმა ბიჭმა და ყელზე დანა მომაბჯინა. მანქანით ტყეში შევედით. ჩემი ნებით გადმოვედი, რადგან მეგონა, გაქცევას მოვახერხებდი. მაგრამ სამ ბიჭს როგორ დავუსხლტებოდი?! ხეზე მიმბეს. საშკამ ტანსაცმელი შემოახია. გამუპატიურა. მერე, მეორე ბიჭიც გაძღა ჩემი ტანჯვით, მესამეც. ბოლოს, საშკამ სახეში შემაფურთხა: რა გეგონა, დედაშენს დედაჩემის გამწარებას ვაპატიებდიო?.. წავიდნენ და ხეზე მიბმული დამტოვეს. მთელი ღამე წვიმდა. მე კი დაბმული ვიყავი. სიკვდილს ვნატრობდი...

— როდის დამთავრდა შენი ტანჯვა?

— მეხუთე დღეს, პოლიციამ მიპოვა. ვერ ვლაპარაკობდი. პირდაპირ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წამიყვანეს. ყველაფერი არც მახსოვს, ის კი დამამახსოვრდა, ყბა რომ გვერდზე მომექცა. ექიმი ამბობდა: წამალმა უკუჩვენება მისცაო... ორი წელი ფსიქიატრიულში გავატარე. ეს ყველაზე საშინელი წლები იყო. თურმე ჩემი გამოჯანმრთელების იმედი არც ჰქონდათ. ისეთ რაღაცებს ჩავდიოდი, რომ ვერც მოვყევი — ცოდვაა მკითხველი... ის ბიჭები სასჯელს იხდიან. ჩემი მამინაცვალი გულის შეტევით გარდაიცვალა. მე და დედა მარტო ვცხოვრობთ. ახლა უკვე ადამიანების აღარ მეშინია. დედაჩემმა მუქი ფარდებიც ჩამოხსნა. თუმცა, ქუჩაში ჯერ მაინც ვერ გავდივარ...

— ხატია, რატომ გადაწყვიტე ჩვენთან დაკავშირება?

— თქვენმა წერილმა დიდი იმედი ჩამისახა. თქვენ წერდით გოგონაზე, რომელიც ჯერ გააპატიურეს, შემდეგ კი მწყემსებს მიუყვანეს გასართობად. მე და ის გოგონა ერთად ვმკურნალობდით ფსიქიატრიულში. ის იოლად გამოჯანმრთელდა, მე კი უფრო გამიჭირდა... შენ წერ, რომ მე და ჩემნაირებს განსაკუთრებული არაფერი შეგვმოხვევია, ეს უბრალოდ, ასაკის ბრალი იყო და ჩვენც ისევე შევძლებთ ცხოვრებას, როგორ სხვა ახალგაზრდები... მე ხომ ყველაფერი ახლა უნდა ვისწავლო, დედის სიყვარულიც და დედასთან საუბარიც კი. ის საკუთარ თავს ადანაშაულებს იმაში, რაც მე შემემთხვა. თავს მეც ვიდანაშაულებ. როცა საშკასგან საფრთხე ვიგრძენი, მაშინვე უნდა წავსულიყავი მამაჩემის მშობლებთან და დედისთვის ბედნიერად ცხოვრების საშუალება მიმეცა...

■

გამოხმაურებისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ჟურნალისტს ტელ.: 8(93)30.58.97.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. მამალი მიმინო ტანად დედალზე პატარაა.

2. სტენდალი ნაპოლეონის დიდი თაყვანისმცემელი იყო.

3. მამლუქი არაბული სიტყვაა და „თეთრ მონას“ ნიშნავს.

4. დავით აღმაშენებელი თავის თავს მესიის მახვილს უწოდებდა.

5. ეგრეთ წოდებულ „ლომკას“ სამედიცინო ენაზე აბსტინენცია ჰქვია.

6. მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული დაავადება კბილის კარიესია.

7. სომხურ ენაზე საქართველოს „ვრასტან“ ჰქვია, სომხეთს — „ჰაიასტან“.

8. ბერლინის ოპერაციის დროს მილიონამდე საბჭოთა ჯარისკაცი დაიღუპა.

9. დოშლუყო დოხოს ძე მალსაგოვი ინგუში ენათმეცნიერი და მწერალი იყო.

10. მცენარეთა ჯვარედინ დამტვერვას ლოკოკინების მეშვეობით მალაკოფილია ეწოდება.

11. ჯონ ჩერჩილ მალბორო ინგლისელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე იყო.

12. პირველი ამერიკული კოსმოსური ხომალდების სახელწოდებებში ყოველთვის ციფრი „7“ ფიგურირებდა.

13. იაპონიაში შემოღებულია ორდენი საუკეთესო ყოფაქცევისათვის. ამ ორდენით პატიმრებს აჯილდოებენ.

14. ჩეხოვი, საცი, გოგოლი, პუშკინი, ერმოლოვი, ობრაზცოვი, მაიაკოვსკი, სტანისლავსკი, ვახტანგოვი. ყველა ამ ადამიანის სახელსა და გვარს თეატრები ატარებენ.

15. 1995 წელს რიო-დე-ჟანეიროში ჩატარებული კარნავალი, რომლის დროსაც 10 ადამიანი დაიღუპა, აღინიშნა როგორც ყველაზე... მშვიდი.

16. ეს კონცხი 1488 წელს ბარტოლომეო დიაშმა აღმოაჩინა და წამოაყენა წინადადება მისთვის სახელად „ბობოქარი“ ეწოდებინათ, მაგრამ მეფე ხუან მეორეს არ სჭირდებოდა ისეთი სახელწოდება, რომელიც მის ხელქვეითებს დააფრთხობდა, ამის გამო კონცხს „კეთილი იმედის კონცხი“ უწოდეს.

17. 1996 წლის შემაჯამებელ მოხსენებაში „კოკა-კოლის“ პრეზიდენტმა თქვა: „მილიარდი წლის წინ დედამიწაზე გაჩნდა ადამიანი, მილიარდი წუთის წინ წარმოიშვა ქრისტიანობა, მილიარდი წამის წინ „ბითლზმა“ შეცვალა ჩვენი წარმოდგენა მუსიკაზე, „კოკა-კოლის“ მილიარდი ჭიქის წინ კი

ბოლო დროს, კომპოზიტორი და მომღერალი ნუგზარ ერგემლიძე მაყურებლის თვალთახედვიდან გაქრა. თურმე წიგნის წერით იყო დაკავებული, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ გამოიცა. სამაგიეროდ, მისი უფროსი ვაჟი გიორგი დაადგა მამის გზას და უკვე რამდენიმე სიმღერა შესთავაზა მსმენელს.

მამა-შვილს ინტერვიუზე შინ ვესტუმრეთ.

ნათია ქივიძე

ნუგზარ ერგემლიძე ციმბალის ნაცვლად ქიბუო ნოტი და სიმღერების ჩანაწერებს შვილს ანდობს

— ბატონო ნუგზარ, როდის და როგორ დაიწყო თქვენი მუსიკალური შემოქმედება?

— მას შემდეგ, ოც წელზე მეტი გავიდა. სკოლაში სწავლის პერიოდში, ბათუმში ვცხოვრობდი, სადაც ჩემი მუსიკის მასწავლებელი იყო სოსო ბარდანაშვილი, რომელიც ამჟამად, ისრაელში ძალიან გამოჩენილი კომპოზიტორია; მის მიერ მუსიკალურად გაფორმებული ფილმი იქაური „ოსკარით“ არის დაჯილდოებული... შემდეგ ჩამოვედი თბილისში და ვსწავლობდი სამხატვრო აკადემიაში. გამოჩენილი მხატვარი მინდოდა გამოვსულიყავი. სოსომ გამაცნო რობერტ ბარძიმაშვილი, რომელიც მაშინ როკოპერას დგამდა და ამ ოპერის პოეტად მიმიწვია. ამის შემდეგ სიმღერების წერაც დავიწყე, რომელიც მალევე პოპულარული გახდა და გამოჩენილი მხატვრის ნაცვლად, გამოჩენილი მუსიკოსი გამოვედი...

— ამ ბოლო დროს, სცენაზე აღარ ჩანხართ, რა არის ამის მიზეზი?

— მომღერლის კარიერას მაინცდამაინც არ მივდევ. 7 მაისს პროდიუსერთა ცენტრი „ორერა“ და სოსო აბზიანიძე ჩემს შემოქმედებით კონცერტს — ბენეფისს აწყობენ, სადაც ჩემი შლაგერები შესრულდება, უმეტესად — ახალი ვერსიით. ახლა ჩემი შვილი იწყებს სიმღერას. სულ ახლახან რადიო „ფორტუნა +“-ის ეთერში იყო მისი სიმღერის პრემიერა. სიმღერა მე მეკუთვნის, მაგრამ არანჟირება გიორგიმ გააკეთა და ახლებურად იმღერა. ახლა, სხვა რაღაცები უფრო მიზიდავს. წიგნები დავწერე. ერთი უკვე გამოვიდა, „ისევ საბჭოთა კავშირში“ ჰქვია, ხოლო მეორეს გამოსაცემად ვამზადებ. ასევე დავწერე როკოპერა.

— თქვენი აზრით, მუსიკაში თუ მოხდა ფასეულობების გადაფასება? რა განსხვავებაა თქვენი დროის სიმღერებსა და დღევანდელს შორის?

— ცოტა მელოდიურობა დაიკარგა და მუსიკა რიტმისკენ წავიდა, მაგრამ რას ვიზამთ? — მოდა მოდაა. იმის გამო, რომ საცეკვაო იყოს, ხშირად მელოდიურობა რიტმს ეწირება.

— რა გრძნობა გეუფლებათ, როდესაც გიორგის სცენაზე ხედავთ?

— ძალიან მსიამოვნებს. თანაც დათო ხუჯაძემ მითხრა — ძალიან გგავსო.

— გიორგი, რას ნიშნავს შენთვის ნუგზარ ერგემლიძის შვილობა?

— როცა აღნიშნავენ, რომ ნუგზარ ერგემლიძის შვილი ვარ, მეამაყება. თუმცა, მინდა, აღნიშნონ, რომ ნუგზარია ჩემი მამა... ამის დროც მოვა. მისი შვილი რომ არ ვყოფილიყავი, ამ ასაკში ამდენს ვერ მივაღწევდი, რასაც ახლა მივაღწიე. მეამაყება მისი შვილობა.

— თუ ასრულებ მამის სიმღერებს და თქვენი გემოვნება თუ ემთხვევა?

— ჩვენი გემოვნება თითქმის არ ემთხვევა. ძველ სიმღერებს პატივს ვცემ და ძალიან მიყვარს მათი გარემოქსება. როდესაც მამაჩემის სიმღერებს ვუსმენ, მომწონს, მაგრამ ნოსტალგიური სიმღერები აქვს და რომ გავარემოქსო, ისეთი არ გამოვა, როგორიც საჭიროა.

— **როგორ დაახასიათებთ ერთმანეთს შემოქმედებითი თვალსაზრისით?**

ნუგზარი:

— გიორგი მხოლოდ მომღერალი არ არის, ის მუსიკოსია. მისი ღირსება ის არის, რომ მუსიკალურად აზროვნებს და თავადვე აკეთებს არანჟირებებს, რაც იმის რწმენას მაძლევს, რომ გიორგი მუსიკას გაჰყვება. მუსიკა კი, მოგეხსენებათ, მხოლოდ მომღერლობა არ არის. ყველა ძლიერი მუსიკოსი მომღერალია და პირიქით. ვოკალს დღეს ძალიან თავისუფლად ეპყრობიან. ადრე ლუი არმსტრონგს ჩვენს კონსერვატორიაში არ მიიღებდნენ, მაგრამ ის დიდი მუსიკოსია.

გიორგი:

— მამას შევაფასებ, როგორც კარგს კი არა, ძალიან კარგ კომპოზიტორს.

ნუგზარი:

— პოეტი არ დაგავიწყდეს...

გიორგი:

— დიახ, პოეტიც...

ნუგზარი:

— სიმღერაში, პოეტი „ც“ არ შეიძლება იყოს. ხანდახან, ლექსის მაგივრად, აზრობრივ ლაფსუსებთან გვაქვს საქმე. ასეთი რამ სიმღერაში არ უნდა იყოს.

— **გიორგი, სკოლის დამთავრების შემდეგ, სად აპირებ სწავლის გაგრძელებას?**

ნუგზარი:

— ალბათ თეატრალურში უნდა ჩაბაროს. თუმცა, ვურჩევ, კლიპმეიკერობა, სცენარისტობა ან სხვა ამგვარი აირჩიოს. რაც მე მაინტერესებს, მინდა, რომ ჩემს შვილსაც აინტერესებდეს. შეიძლება, ვცდები. თუ დიდი მსახიობი გამოვა ადამიანი და ბედმაც გაუღიმა, ხომ კარგი... სერგო ზაქარიაძე ამბობდა ხოლმე: „მსახიობს სჭირდება ბედი“.

გიორგი:

— ჯერ ძიებაში ვარ. ხან სარეჟისორო ფაკულტეტზე მინდა ჩავაბარო, ხან სამსახიობოზე, ხან სულაც, კონსერვატორია მირჩევნია... ჯერ შეათე კლასში ვარ და ერთი წელი კიდევ მაქვს დრო. ალბათ მოვიფიქრებ.

— **გარემოქსებულ ფოლკლორზე რა აზრის ხართ?**

გიორგი:

— კარგად გარემოქსებული, ძალიან კარგია. რემიქსი სიმღერას უნდა შეეხამებოდეს. ძალიან ბევრია ისეთი სიმღერა, რომელსაც რემიქსი არ უხდება და ფოლკლორი იკარგება.

ნუგზარი:

— ცუდი არ არის. თუნდაც „ერისიონის“ მაგალითი ავიღოთ — „შატილის ასული“ ძალიან კარგია.

— **თქვენი აზრით, რამდენად გემოვნებიანია დღევანდელი თაობა?**

— ამერიკული ფილმია: ორი ვამპირი დასდევს ერთმანეთს. ერთი ეუბნება მეორეს: ჩვენ რატომ ვართ ასეთ დღეში და ჩვენი მშობლები რატომ არ იყვნენო? მეორემ უპასუხა: იმიტომ, რომ ჩვენს მშობლებს „ბითლზი“ ჰყავდათ და ჩვენ რიკი მარტინი გვყავსო... გენიალური პასუხია! ასე რომ, რიკი მარტინის ეპოქაში, გემოვნებაზე საუბარი ზედმეტია. ჩემს შვილს დღევანდელ სიმღერებზე ვეუბნები ხოლმე: ეს არის ქართულ ენაზე შექმნილი უზბეკური სიმღერები-მეთქი... ნამდვილი როკი მთელ მსოფლიოშია მოდაში, რატომღაც მხოლოდ საქართველოში მოიკიდა ფეხი ამ გაუთავებელმა სოულმა...

— **უახლოესი მომავლისთვის რა გეგმები გაქვთ დასახული?**

ნუგზარი:

— გიორგი ზაფხულისთვის კონცერტებში მიიღებს მონაწილეობას, ხოლო მე როკოპერას დავდგამ. ჩვენ არ ვჩქარობთ — მთავარია ხარისხიანი მუსიკა. როცა ხარისხი იქნება, სახელი და წარმატება თავად მოვა.

— **თქვენი მეორე ვაჟიც ხომ არ მღერის?**

— ნიკუშამ მითხრა: გიორგი რომ უკრავს, ვყრუვდებიო... მას ფეხბურთის ნიჭი აქვს, მგონი, ძალიან კარგი.

გიორგი:

— სიმღერის ნიჭი თუ არ ექნება, დღეს ისეთი ცხოვრებაა, ფული გვექნება და მაინც ვამღერებთ *(იცინის)*. მომღერალი ბავშვები დღეს მოდაში არიან.

— **ქართულ ესტრადაზე რას იტყვით?**

ნუგზარი:

— მომღერლები ნამდვილად კარგები გვყავს, მაგრამ ქართველებს მეტი ასპარეზი და უკეთესი რეპერტუარი სჭირდებათ. რეპერტუარი ახლა მთელ დედამიწაზე პრობლემაა. რემიქსების მომრავლება სწორედ ამ დეფიციტის შედეგია. კარგი სიმღერები იწერება, მაგრამ ძალიან ცოტა.

— **თქვენი აზრით, ეს რისი ბრალია?**

— საერთოდ, მასობრიობა ყველაფერს აფუჭებს. ახლა ყველაფერი ისე გამარტივდა ამ რეპისა და ჰიპ-ჰოპის გამო, რომ სიმღერა ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. მასობრიობაში მშვენიერი სიმღერა ძნელად იბადება. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

გუშინდელი დღე იყო“.

18. მალარიას ერთუჯრედიანი ორგანიზმი, პლაზმოდიუმი იწვევს, რომელიც მალარიის კოღოს, ანოფელესს გადააქვს. მალარია იტალიური სიტყვაა და სიტყვასიტყვით ცუდ ჰაერს ნიშნავს. ძველად ფიქრობდნენ, რომ ამ დაავადებას ცუდი ჰაერი იწვევდა.

19. ლონდონში მეტროპოლიტენი 1863 წელს გაიხსნა, ნიუ-იორკში — 1868 წელს, პარიზში — 1900 წელს, მოსკოვში — 1935 წელს, კიევში — 1960 წელს, თბილისში — 1966 წელს, ერევანში — 1987 წელს.

20. MOTHER-IN-LAW — ქართულად სიდედრს ნიშნავს. როგორც ჩანს, სიძე-სიდედრის ურთიერთობის პრობლემები ინგლისელებსაც აწუხებთ, რადგანაც მათ ამ სიტყვიდან ასეთი ანაგრამა შეადგინეს: HITLER WOMAN.

21. განქორწინება ბედუინებში მეტად იოლი საქმე იყო. ქმარი შესვამდა ცოლს აქლემზე და ეტყოდა: „შენ ჩემი ცოლი აღარ ხარ!“ და გაისტუმრებდა მშობლებთან. 40 დღის შემდეგ ქალს უფლება ჰქონდა, გათხოვილიყო.

22. ერთ-ერთ ტელეგადაცემაში სტუმრად მიწვეულმა იური ნიკულინმა წამყვანს ასეთი რამ უთხრა: „პაკაჟიტე ოტგადკუ რუსსკოი ნაროდნოი ზაგადკი: „ვსუნუ — ვსტანეტ, ვინუ — ვიანეტ“ და სანამ დიქტორი რაიმეს მოისაზრებდა, სასწრაფოდ დაამატა: „ნე ნადა ნიჩეგო პაკაზივატ! ეტა რუკავ, ა ნე ტო, შტო ვი პადუმალი!“

23. ნიუტონის საფლავის ქვაზე ასეთი წარწერაა ამოკვეთილი: „ეს მარმარილოს ლოდი აღიარებს ისააკ ნიუტონს მოკვდავად, მაშინ როცა დრო, ბუნება და ზეცა მის უკვდავებას ადასტურებენ“.

24. ჰერაკლემ ბრძენი კენტავრი ქირონი ურჩხულ ჰიდრას შხამში ამოვლებული ისრით შემთხვევით დაჭრა. ტკივილით გამწარებულმა კენტავრმა უკვდავება პრომეთეს გაუცვალა და ზევსის თანხმობით, აჩრდილთა სამეფოში წავიდა.

25. წითელ მოედანზე აღლუმის დროს ტანკებს სამ რიგად გავლა არ შეეძლოთ. ერთმა საბჭოთა ჩინოვნიკმა სტალინს ჰკითხა, ვასილ ნეტარის ტაძარი ხომ არ მოგვშორებინაო და მეტი თვალსაჩინოებისათვის წითელი მოედნის გეგმიდან ტაძრის მაკეტი აიღო. — „პასტავ საბორ ნა მესტა!“ — თვალები დაუბრიალა სტალინმა. ■

კარგლიანი კარიერა, ანარეულია,

რომელიც თან ახლავს ფილმის გახმოვანებას

მარი ჯაფარიძე

გახსოვთ, ალბათ, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ფართო მასებისთვის ვიდეომაგნიტოფონი ჯერ კიდევ ახალი ხილი იყო, ყოველი ამერიკული ფილმის გამოჩენა დიდ აჟიოტაჟს იწვევდა. და თუ ჩვენს სიახლოეს ვინმეს ჰქონდა ეს აპარატი და ახალი ბოევიკისა თუ ეროტიკული ფილმის სანახავად დაგვპატიჟებდა, მივუსხდებოდით ეკრანს და სუნთქვაშეკრულნი ვადევნებდით თვალყურს ფილმში მიმდინარე მოვლენებს. კუსტარულად ჩაწერილმა დიქტორის ხმამ გვაზიარა მანამდე ეკრანისთვის შეუფერებელ უხეშ სიტყვებს, უცენზურო გამოთქმებს: „Брось пистолет, мать твою...“, „Дерьмо, вонючее!“ „Пошли трахаться...“

დღეს, ბევრი ტელეარხი უკვე ქართულად გახმოვანებულ ფილმებს გვთავაზობს და ამგვარი და უფრო უხეში ლექსიკაც აღარავის აკვირვებს — თუმცა, ამერიკული ფილმების რუსულად აღქმას მიჩვეულებს, მათი გაქართულებული ვარიანტები ზოგჯერ მაინც გვეხამუშება ხოლმე. როგორ აღიქვამენ ამას თავად ის მსახიობები, რომლებსაც დუბლაჟზე მუშაობა უწევთ? ამ და გახმოვანების სხვა საკითხებზე სასაუბროდ, ერთ-ერთ მათგანს — მსახიობ მაია ქარსელაძეს შევხვდი.

— პროფესიით მსახიობი ვარ, ქალბატონი ლილი იოსელიანის სტუდენტი ვიყავი. დღესდღეობით მსახიობის მატერიალურად გადარჩენის ერთ-ერთი გზა ფილმების გახმოვანებაა. თუმცა ეს არ არის მთავარი — გახმოვანების დროს, როლში ისე შევდივართ ხოლმე, თითქოს ჩვენ თვითონ ვთამაშობთ. რაღაცნაირად, მსახიობურ ჟინს ვიკლავთ. ცხადია, ეს სრულად ვერ დააკმაყოფილებს მსახიობის წყურვილს, ითამაშოს სცენასა ან გადასაღებ მოედანზე, მაგრამ ნაწილობრივი კომპენსაცია მაინც არის...

— როდესაც თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტობა გადაწყვიტე, ცხადია, შენი მიზანი სცენის „მტვრის ყლაპვა“ იქნებოდა...

— დიახ, რა თქმა უნდა. პირველ წელს, მისაღებ გამოცდებზე ჩავიჭერი. საკმაოდ გამოუცდელი ვიყავი. გამოცდაზე ასეთი დავალება მომცეს — განმესახიერებინა ვარდი, რომელიც იფურჩქნება. ლამაზი, დეკორატიული კაბა მეცვა, თხელი, გაფხორილი ტიულის სარჩულით, ზევიდან კი, ფოთლები ჰქონდა დაყრილი. ეს ფოთლები ავკრიბე, ცალი ხელით თავს ზემოთ დავიჭირე და დავიწყე „გაფურჩქვნა“. სულ არ მახსოვდა, რომ გამჭვირვალე სარჩულის გამო, თითქმის შიშველი ვიდექი გამომცდელების წინ. ჩამოვუშვი ერთი ფოთოლი და როგორც შემეძლო, მომხიბვლელად გავუღიმე პედაგოგებს. ჩამოვუშვი მეორე, მესამე და უცებ ვხედავ, ერთ-ერთი გამომცდელთაგანი მაგიდის ქვემოდან თავგამოყოფილი, ჩემი „პადიუბკის“ ქვეშ იჭყიტება (ამას ხშირად მიმართავენ გამოცდის დროს, აბიტურიენტის დასაბნევად)... უცებ ვიკივლე — ვაი-მეთქი! — და ფოთლებს ერთბაშად გავუშვი ხელი. დამიწერეს „ორიანი“ და გამომიშვეს. ვზივარ ფოიეში და ხმამაღლა ვტირი. ამ დროს მესმის — სუფთა ქურთული კილოთი მომმართავს ვიღაც — „რა იყო, გოგო, ჩაგჭრეს?“ — თავი დავუქნიე — „მაგი გულითვინა ტირი? ნუ გეშინია, გოგო-ჯან, აი მეც ჩამჭრეს, მაგრამ მერე მიმიღეს“. — „ეგ როგორ?“ — მომეცა იმედი. — „ეროვნული უმცირესობა ვარ და იმიტომ. თანაც, დედაჩემი ვაკეში, ბარნოვზე მუშაობს“. — „რას აკეთებს?“ — ვკითხე. — „რას აკეთებს და გვის!“ აი, ასე გახდა ქურთი ჯულია სტუდენტი, მე კი, რადგან „ეროვნული უმრავლესობა“ ვიყავი, მხოლოდ მეორე წელს ჩავირიცხე, როდესაც მისაღები გამოცდები წარმატებით ჩავაბარე.

— ფილმების დუბლაჟი როდის დაიწყე?

— კახა კახბრიშვილთან *(ტელერეჟისორი, „პირველი არხის“ გაერთიანება „თეატრონის“ ხელმძღვანელი. — ავტ.)* დიდი ხნის ნაცნობობა მაკავშირებს. სწორედ მან დამირეკა და მითხრა: ტელევიზიაში გამხმოვანებლები სჭირდებათ, მოდი, სინჯი ჩაიწერეო. ახლა „რუსთავი-2“-ზე ვმუშაობ. აქ გაცილებით უკეთესი პირობებია. ხელფასსაც არ აგვიანებენ. „პირველ არხს“ კი, დღემდე ორი ათასი ლარი აქვს ჩემი ვალი და ვერ მიხდის.

— მოდი, თავად გახმოვანების პროცესი აღგვიწერე...

— ნებისმიერ ფილმს — ტელესერიალი იქნება ეს თუ მხატვრული ფილმი — მხოლოდ ორი მსახიობი ახმოვანებს — ქალი და მამაკაცი. თითოეულს წინ მონიტორი გვიდგას, რომელზეც ფილმს ვადევნებთ თვალყურს. გვაქვს ყურსასმენები, რომელშიც მოდის ტექსტის დედანი, გვიდევს ნათარგმნი ტექსტიც. ბუნებრივია, ჩაწერის დროს სტუდიაში აბსოლუტური სიჩუმე უნდა იყოს. აკრძალულია ჩახველება, გაცინება, დაცემინება და რა ვიცი — ყველა ის ხმაური, რომელსაც ფილმის ტექსტი არ ითვალისწინებს... გაცილებით იოლია იმ პერსონაჟების გახმოვანება, რომლებიც ასაკით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან — მაგალითად, როცა გასახმოვანებელი მყავს მოხუცი, ახალგაზრდა და ბავშვი, — რადგან ამ დროს ხმის შეცვლა უფრო იოლია. ერთი თაობის ადამიანებს თითქმის ერთი ტონალობისა და ტემბრის ხმა აქვთ და ამ დროს უფრო ძნელია, სხვადასხვა ხმაზე ილაპარაკო. როდესაც ესპანურენოვან ფილმს ვახმოვანებდი, ამ დროს უფრო სწრაფად მიხდებოდა ლაპარაკი, რადგან ესპანელები შედარებით სწრაფად ლაპარაკობენ. ხანდახან ისეც ხდება, რომ ცდილობ, სწრაფად ილაპარაკო და პერსონაჟზე უფრო ადრე ამთავრებ ტექსტს. ამ

დროს მჩვევია ხოლმე, რაიმე ფრაზას თავად ვამატებ, რომ ხელახლა ჩასაწერი და საწვალებელი არ გამიხდეს. მახსოვს, ერთხელ, ამის გამო ჩემი პარტნიორი, დიმა ტატიშვილი აღშფოთდა. ერთად ვახმოვანებდით ფილმს. მე წარამარა მაკლდებოდა ტექსტი და მის საკუთარ ინტერპრეტაციის ვახდენდი. დიმამ იყვირა: მე ასე ველარ გავაგრძელებ – მაიას უფრო სრულ ტექსტს აძლევთ, ჩემთან კი, იმის ნახევარიც არ წერიაო... სხვათა შორის, ფერადკანიანი პერსონაჟებიც საკმაოდ სწრაფად მეტყველებენ და იძულებულები ვართ, ჩვენც ასევე ვილაპარაკოთ. ერთხელ დიმა ლაპარაკით რომ დაიღალა, სასოწარკვეთილმა თქვა: ერთი იმას მომასწრო, რომ მე ფილმში ვითამაშო, ზანგებმა კი გამახმოვანონ და მერე ნახონ, კრიმანჭულით რომ ვილაპარაკებ, როგორი გასახმოვანებელი იქნებაო...

— გიწევს თუ არა მორიდების გრძნობის გადალახვა, როდესაც ეროტიკულ სცენას ახმოვანებ ან უცენზურო სიტყვების თქმა გიხდება?

– როდესაც პირველად უნდა მეთქვა უცენზურო სიტყვა, ის წინადადება 50-ჯერ მაინც ჩავწერეთ: მივიდოდი იმ ადგილამდე და ენა მებმოდა. ბოლოს, როგორც იქნა, წარმოვთქვი და გავწითლდი კიდეც.. ერთ საღამოს, მთელი ოჯახი ტელევიზორთან ვისხედით და სწორედ ეს ფილმი დაიწყო. ავდექი და სხვა არხზე გადავრთე – ეს ფილმი არ ვარგა-მეთქი. მამაჩემმა ისევ გადმორთო. ასე გავაკეთე რამდენჯერმე, მაგრამ ვერაფრით ვერ მოვახერხე, რომ ის მომენტი არ ენახათ. როგორც კი პერსონაჟმა ჩემი ხმით ეს სიტყვა წარმოთქვა, მამაჩემმა მრავალმნიშვნელოვნად გადმომხედა. არა, ამ სიტყვას მე კი არა, სხვა ახმოვანებს-მეთქი, – ვიმართლე თავი. ბუნებრივია, არავინ დამიჯერა... შემდეგ, ნელა-ნელა მივეჩვიე და ახლა ჩემთვის არავითარ სირთულეს აღარ წარმოადგენს ამა თუ იმ სიტყვის წარმოთქმა... თანამშრომლები სულ მსაყვედურობენ – რატომ არ თხოვდებიო? ერთხელაც გამოვაცხადე: სულ ბოევიკებს რომ მახმოვანებინებთ, აბა, რომელი კაცი მითხოვს? ჩემგან მარტო – „მოგკლავ!“, „გესვრი!“, „დაწექი!“, „არ გაინძრე!“ – ესმით. გამახმოვანებინეთ, ბატონო „ეროტიკა“ და იქნებ, ვინმეს გული შევუფანცქალო-მეთქი... რამდენიმე დღის შემდეგ, ისეთი ფილმი გამახმოვანებინეს, რომ სიტყვა „პენისი“ შვიდ კი არა, 25 ბრუნვაში მათქმევინეს. აბა, ახლა ვნახოთ, ბედი თუ გაგეხსნებაო... როდესაც ეს ფილმი ეკრანზე გავიდა, იმ დღეს მთელმა თბილისმა დამირეკა: ტექსტი ჩაგვაწერინე – ძალიან მაგარი რამეაო. კიდევ ერთ ამბავს გავიხსენებ: ნუგზარ ჭანტურიას ახალი დაწყებული ჰქონდა გახმოვანებაზე მუშაობა. მოგვიწია ისეთი ფილმის ჩაწერა, სადაც პერსონაჟი მამაკაცი „ნდობის ტელეფონის“ თანამშრომელია და კლიენტებთან საუბრის დროს, საკმაოდ უცენზურო სიტყვებს ამბობს. ნუგზარს გაუჭირდა. ვერაფრით ვათქმევინეთ, „რას უშვრებოდა“ ეს პერსონაჟი აბონენტს. მე ვუთხარი: კარგი, შენ თუ ვერ ამბობ, მე დავამატებ ჩემი გმირის ტექსტს – შენ რომ „ასე მიქენი“ და ისე-მეთქი... მე უკვე შეჩვეული ვიყავი და ეს ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენდა. ცხადია, ბოლოს, ნუგზარმაც სძლია სიმორცხვეს და ტექსტი შეუცდომლად ჩავწერეთ. რაც შეეხება ეროტიკულ სცენებს, იქ მხოლოდ ტექსტს ვახმოვანებთ, ხვნეშა, კვნესა და ქშენა კი, დედნიდან გადადის. რომ მეუბნებიან – რა მაგრად კვნესიო! – ვერ ვაჯერებ, რომ ეს ჩემი ხმა არ არის. კიდევ ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით. სამსახურიდან შინ ვბრუნდები და ეზოში შემოსულს, მესმის მეზობლის ხმა, რომელიც მამამთილს ეძახის ფანჯრიდან: ომარ, ომარ, მოდი, ნახე, ქარსელაძე ფერნანდოსთან წევს! ნახე, ნახე, აკოცა!.. იმ დროს სერიალი „ზღვის კაცი“ გადიოდა და ფერნანდო ერთ-ერთი პერსონაჟი გახლდათ...

— შრომის ანაზღაურება ტექსტის სიდიდეზეა დამოკიდებული?

– არა, ტექსტს მნიშვნელობა არა აქვს – მოჭრილ თანხას გვიხდიან იმის მიხედვით, მხატვრულ ფილმს ვახმოვანებთ თუ სერიალს. სერიალზე მუშაობის დროს, თითოეულ სერიაში გვიხდიან გარკვეულ საფასურს. ამასთან დაკავშირებითაც გავიხსენებ საინტერესო ამბავს: მე და დიმა ტატიშვილი ვახმოვანებდით ფილმს, სადაც ქალს მხოლოდ ერთი რეპლიკა აქვს, მამაკაცი კი განუწყვეტლივ ლაპარაკობს. დიმა გულზე სკდება: ის მეტს მუშაობს, ანაზღაურება კი ერთნაირი უნდა ავიღოთ. წარამარა გადმომხედავს ხოლმე და მიბღვერს. მე უსაქმურობისგან ფილმის ყურებით გავერთე. დიმა ისეთ ტექსტს იწერს, რომ დაახლოებით 20 გვერდი შეუსვენებლივ უნდა იკითხოს. რომ შეეშალოს, გადაბმაც არ შეიძლება – თავიდან დაწყება მოუწევს. ერთიორჯერ შეეშალა. ბოლოს, როგორც იქნა, დასასრულს მიუახლოვდა და სადაცაა, შვებით ამოისუნთქავს. ამ დროს, ფილმის ერთ-ერთ გმირს ფეხი დაუცდება და დიდი სიმაღლიდან ვარდება. ვაიმე-მეთქი! – წამოვიძახე უნებლიეთ. დიმა წამომიხტა და ჩემმა მოხერხებულობამ მიშველა – ოთახიდან გავვარდი და კარი ცხვირწინ მივუხურე, თორემ მის რისხვას ვერ გადავურჩებოდი...

— ყველა გმირს ერთნაირი ხალისით ახმოვანებ თუ გამორჩეულად საყვარელი პერსონაჟები გყავს?

– თავიდან, როდესაც ახალ ფილმზე მუშაობას ვიწყებ, პერსონაჟის ხასიათი ჩემთვის უცნობია. ცოტა ხანში კი, ის უკვე თავიდან ბოლომდე მყავს შესწავლილი და ხასიათში კარგად ვჯდები. მახსოვს, იყო შემთხვევა, როდესაც მთელი ფილმი პირჯვრის წერით გავახმოვანე: უღვთო ტექსტი მქონდა ჩასაწერი და შიშით ვახმოვანებდი. შემდეგ, ჩანაწერი რომ მოვისმინე, მივხდი, მაინც არ გამოვიდა ისეთი, როგორიც საჭირო იყო...

— როგორც ვიცი, სარეკლამო რგოლებსაც ახმოვანებ...

– რეკლამებს კი არა, უკვე ყველაფერს ვახმოვანებ, ჩვევად მექცა ხმამაღლა კითხვაც. ნამდვილი კურიოზია – ჩემი თავი ხშირად დამიჭერია იმაზე, რომ როდესაც ქუჩაში მივდივარ, სარეკლამო აბრას დავინახავ თუ არა, გავჩერდები და ხმამაღლა წავიკითხავ ხოლმე. ამას წინათ კი, შინ ყოფნისას, წამოწოლილი წიგნს ვკითხულობდი, რაღაც სიტყვა შემეშალა, იმ აბზაცს თავიდან მივუბრუნდი და ხელახლა ჩავიკითხე, ისევ შემეშალა – ისევ დავუბრუნდი... შემდეგ, დედამ გამომძახა: რამდენჯერ უნდა წაიკითხო ერთი და იგივე ადგილი, ზეპირად ხომ არ სწავლობო? მაშინ დავაფიქსირე, რომ თურმე ხმამაღლა ვკითხულობდი და შეცდომა რომ მომივიდოდა, თავიდან ვიწყებდი კითხვას. ასეა – ხომ გაგიგონიათ: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო...



ნანოტექნოლოგიები
— რობოტები სისხლძარღვებში და ქსელში ჩაბრუნებული ელექტროენერგია

ნანოტექნოლოგია მეცნიერების სრულიად ახალი დარგია, რომელიც ახლო მომავალში, ძირეულ გადატრიალებას მოახდენს ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროში. უახლოესი პროგნოზი კი ასეთია: 2020 წლისათვის, უკვე შესაძლებელი იქნება ახალი ტიპის ცოცხალი ორგანიზმის ხელოვნურად შექმნა, — აცხადებენ მეცნიერები.

საქართველოში პირველად, 2000 წელს შევიტყვეთ ნანოტექნოლოგიების შესახებ. იმ დროს, ზემოთ აღნიშნული საკმაოდ ფანტასტიკურად ჟღერდა, მაგრამ ახლა, როცა კლონირებული ადამიანის დაბადებაც კი გამოაცხადეს, ეს არარეალურად სულაც აღარ გვეჩვენება. დღეს უკვე თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ნანოტექნოლოგიის წყალობით მომავლის კომპიუტერი ასანთის კოლოფისხელა იქნება, — ირწმუნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი სერგო დადუნაშვილი.

ნათია გუმბერიძე

— ადამიანთა უმრავლესობისათვის ცნობილია, მიკროელექტრონიკა, რომლის მიღწევების შედეგად დამზადებულ ელემენტებზე აგებულია კომპიუტერები, ტელევიზორები, მობილური ტელეფონები და ა.შ. მაგრამ ამ დარგს აღარ ძალუძს ელემენტების ზომების მეტად შემცირება. მეცნიერება კი წინ მიდის და თუ ადრე ბუნება აწყობდა სხეულებს ატომებისაგან, ახლა დადგა იმის დრო, რომ ადამიანმა



თავად ააწყოს იმავე ატომებისაგან ახალი საგნები. იმისათვის, რომ აგიხსნათ ნანოტექნოლოგიაში რა ზომებთან გვაქვს საქმე, წარმოიდგინეთ ჯერ 1 მმ — სწორედ მისი მემილიონედი ნაწილი არის ნანოელემენტის ზომა. ასეთ ელემენტებზე აგებული მოწყობილობა კი, ვირუსზე უფრო პატარაა.

— რა არის უკვე მიღწეული მეცნიერებაში ამ მიმართულებით?

— ნანოტექნოლოგიის საშუალებით უკვე შესაძლებელია, ხელოვნური საკვები პროდუქტების მიღება. მაგალითად, ხორცის ფორმულა 100 წელიწადია, ცნობილია, მაგრამ ნანოტექნოლოგიით შევძლებთ, ხელოვნურად მივიღოთ მაღალი თვისებების მქონე, უქოლესტერინო ხორცი. ამ მეცნიერებამ ტექნიკაში უკვე მოახდინა გადატრიალება. კერძოდ, დღეს არსებობს კომპიუტერები, რომელსაც კლავიატურა აღარ სჭირდება — მხოლოდ ადამიანის მზერა ან დალაპარაკებაა საკმარისი მასში ინფორმაციის შესატანად. რაც შეეხება ელექტროენერგიას — დღეს ყველამ ვიცით, რომ ქვეყანაში ენერგოკრიზისია. ელექტროენერგიას ჩვენ ვიღებთ ტრადიციული მეთოდებით, არადა, არსებობს ენერგიის მიღების უამრავი სხვა მეთოდი, ე.წ. არატრადიციული ენერგიის წყაროები. ჩემი მოხსენება, რომლითაც ვაშინგტონში გამოვედი, სწორედ იმას ეხებოდა, რომ გამოვიყენოთ სპეციალური ნანომასალები და ხელოვნურად მივიღოთ მოწყობილობები, რომელიც ეფექტურად გარდაქმნის მზის ენერგიას ელექტროენერგიად. ცნობილია, რომ ადამიანის თვალი, შუქის საუკეთესო გარდამქმნელია. ბუნებრივია, ნივთიერებას, რომელიც ხელს უწყობს შუქის გარდაქმნას, თვალიდან ვერ ამოვიღებთ. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი ბაქტერია თავად ქმნის ასეთ ნივთიერებას. ერთ-ერთი ასეთი ტიპის ბაქტერიაა ჰალო-ბაქტერია, რომელიც წყალში ცხოვრობს. წყლის სიღრმეში მზის შუქი საკმაოდ მცირეა და ბაქტერიაც იძულებულია, ეს შუქი მაქსიმალურად გამოიყენოს ნივთიერებათა ცვლისათვის. თუ ასეთ ბაქტერიებს გავამრავლებთ, შესაძლებელი გახდება მათგან საჭირო რაოდენობის ასეთი ნივთიერების მიღება... ეს პრინციპები თეორიულად უკვე დამუშავებულია. პრაქტიკულადაც შექმნილია მოდელები. ეს არის ერთ-ერთი გზა, რომლის საშუალებითაც ჩვენ ენერგიის ამოუწურავი და ინდივიდუალური წყარო გვექნება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ გერმანიაში სარგებლობენ მზის გარდამქმენელებით და იყენებენ მისგან მიღებულ ენერგიას. როცა ვთქვათ, ოჯახი მიდის შვებულებაში, დანადგარი განაგრძობს მუშაობას და ენერგიას აწვდის ქსელს. სახლში აქვთ მეორე მრიცხველი, რომელიც ქსელში შესულ ენერგიას აღრიცხავს. შვებულებიდან დაბრუნებული ოჯახი თანხას იღებს იმისთვის, რომ მისმა დანადგარმა ენერგია მიაწოდა ვიღაცას...

— დაახლოებით რამდენი ოჯახი სარგებლობს გერმანიაში ასეთი მზის გარდამქმნელით?

— ძალიან ბევრი ოჯახი ამ გზით

იღებს ელექტროენერგიას, თუმცა ზუსტ რიცხვს ვერ დაგისახელებთ. იქ არის ასეთი პროგრამა – „მილიონი სახურავი“. ამ პროგრამის ხელმძღვანელები ცდილობენ, დაინტერესონ მოსახლეობა, რათა საკუთარი ხარჯებით შეისყიდონ დანადგარები. ხალხიც თავის მხრივ დაინტერესებულია, რადგან თუ იხდის ელექტროენერგიაში ფულს, ამავე დროს იღებს კიდეც. გერმანიაში გადაიდგა რეალური ნაბიჯები საიმისოდ, რომ ენერგიის ალტერნატიულ წყაროებზე გადავიდეთ. ე.ი. მსოფლიოში უკვე არის ამის გამოცდილება.

— რომელ ქვეყნებში მუშაობენ ყველაზე აქტიურად ნანოტექნოლოგიების შემუშავებაზე?

– ამ მიმართულებას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ როგორც დასავლეთში, ასევე რუსეთში. მაგალითად, შარშან, ვაშინგტონში ჩატარდა მსოფლიოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო სიმპოზიუმი – „ნანო-2002“. საქართველოდან მხოლოდ ჩემი მოხსენება მიიღეს. ასეთივე ტიპის კონფერენცია ჩატარდა სანქტ-პეტერბურგში რუსი მეცნიერის ალფიოროვის ხელმძღვანელობით.

— რა საკითხს შეეხებოდა სანქტ-პეტერბურგის კონფერენციაზე თქვენ მიერ გაკეთებული მოხსენება?

– როგორც ვიცით, ჩვენს ორგანიზმში უამრავი მიკრობი და ვირუსი მოქმედებს. ვირუსი კი იმდენად მცირეა, რომ მის „ნაკბენს“ ვერავინ გრძნობს – თუმცა შეიძლება, ამან სავალალო შედეგი მოგვიტანოს. ნანოტექნოლოგიების საშუალებით შესაძლებელია, შეიქმნას მოწყობლობები, რომელიც დაახლოებით ვირუსის ზომისაა, მაგრამ დადებით ფუნქციას ასრულებს – ე.ი. მიმართულია მიკრობის ან რაიმე ნივთიერების გასანადგურებლად. ჩვენ ვიცით, რომ ასაკის მატებასთან ერთად, ადამიანის ორგანიზმში ქოლესტერინი გროვდება, სისხლის მიმოქცევა შეზღუდულია და ადვილად ხდება ინფარქტი, ინსულტი. ამის გათვალისწინებით, შესაძლებელია, ჩვენ მიერ შექმნილი ნანორობოტები გავუშვათ სისხლძარღვთა სისტემაში და მივცეთ კონკრეტული დავალება – გაანადგურონ ქოლესტერინის ნაგროვები. იმავე მეთოდით შესაძლებელი გახდება კიბოსაგან განკურნება. ნანორობოტი ეს არის ხელოვნურად დამზადებული ორგანიზმი. იგი იმდენად მცირეა, რომ არავითარ პრობლემას არ შეუქმნის ადამიანის სხეულს, პირიქით – დაიცავს მას ყველანაირი მავნე ზემოქმედებისაგან. აქედან გამომდინარე, იქმნება დაბერების პროცესის ეფექტური დამუხრუჭებელი საშუალება. საერთოდ, ნანოტექნოლოგიების შესაძლებლობები აბსოლუტურად უსაზღვროა. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ აშშ-ში ამ სფეროზე უკვე მილიარდობით დოლარი იხარჯება, თანაც კერძო სექტორი სახელმწიფოზე ორჯერ მეტს გამოყოფს – თუმცა, რასაკვირველია, იმასაც გულმოდგინედ ითვლის, თუ რომელი მიღწევა მისცემს სწრაფ მოგებას... ■

ჰიპოთეზა

ნიუტონის მეოთხე კანონი

საბჭოთა კავშირის დროინდელი სახელმძღვანელოები ქადაგებდნენ, რომ ისააკ ნიუტონი „ჩვენებური მეცნიერი“ იყო, რადგან ორივე ფეხით მატერიალიზმის პლატფორმაზე იდგა.

ბუნებრივია, ამ თვალსაზრისის გასამყარებლად, სამეცნიერო ლიტერატურაშიც ამოშლილი იყო მისი ბიოგრაფიის არამატერიალისტური ფურცლები, კერძოდ ის, რომ ნიუტონი მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლობდა ბიბლიას და მიაჩნდა – მინიშნებების ფორმით დაწერილი ეს წიგნი, კაცობრიობის ისტორიის ღვთიური გეგმაა.

დასავლეთში მეცნიერის თეოსოფიური კვლევა ყოველთვის კარგად იყო ცნობილი, ბიბლიის აღნიშნულ არსს კი, ბევრი მეცნიერი ნიუტონის მეოთხე კანონს უწოდებდა. ამ თვალსაზრისით, ძალზედ საინტერესოდ მიიჩნევენ ცოტა ხნის წინ, იერუსალიმის ებრაულ ეროვნულ ბიბლიოთეკაში აღმოჩენილ ერთ-ერთ დოკუმენტს. ისააკ ნიუტონის შემოქმედებით მემკვიდრეობის უმეტესი ნაწილი სწორედ ამ ბიბლიოთეკაში ინახება და აი, 250 წლის წინანდელ ხელნაწერებს შორის მოულოდნელად მიაგნეს გამოთვლებს, რომლის თანახმადაც, 2060 წელს დადგება ქვეყნიერების აღსასრული.

ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ნიუტონი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე მოაზროვნე იყო და ზერელე წინასწარმეტყველებათა გამოთქმა არ სჩვეოდა. ბევრი მისი ვარაუდიც გამართლდა – მაგალითად, ის, რომ ევროპა, როგორც სახელმწიფო, აუცილებლად აღორძინდება მეგობარი ხალხის დახმარებით; ამ მეგობრად აშშ-ის მიიჩნევენ.

ნათქვამიდან გამომდინარე, ბევრს მიაჩნია, რომ დროა, მეცნიერები დაფიქრდნენ ისააკ ნიუტონის მიერ ნაწინასწარმეტყველები აპოკალიფსის ალბათობაზე, რომელიც საკმაოდ ახლოს – სულ რაღაც 57 წელიწადში შეიძლება მოხდეს. სხვათა შორის, ამერიკელი მეცნიერები არ გამორიცხავენ, რომ სწორედ ამ დროისთვის დედამიწას მიუახლოვდება ასტეროიდი, რომელიც NT7-ის სახელითაა ცნობილი. ■

„DJ ბუკლეს“ (ჟურნალი „რეიტინგი“) მორიგი სტუმარი, მომღერალი ნინო ქათამაძე გახლდათ. როგორც ველოდით, დარბაზში უამრავმა თაყვანისმცემელმა მოიყარა თავი. აქ იყვნენ, როგორც ხანდაზმული ქალბატონები, ასევე პატარებიც, რომლებმაც თავიანთ კერპს უამრავი შეკითხვა დაუსვეს. ნინო კი, ჩვეული, თბილი ღიმილით პასუხობდა მათ და ყველა თაყვანისმცემელს ეალერსებოდა.

ნინო ქათამაძეს ბალახის ჩასხმა და ფეხშიშველს ტყეში სიმღერა სურს

ნათია ქივიძე

— თუ გქონიათ ამგვარი შეხვედრა თაყვანისმცემლებთან?

— მთავარი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორია იმ ადამიანის სულიერი მდგომარეობა, რომელიც შენში ბგერებს იწვევს. თაყვანისმცემლებთან ასეთი სახის შეხვედრა ჩემთვის პირველია და ძალიან მიხარია.

— პოპულარობა არც საქართველოში გაკლიათ და არც მის ფარგლებს გარეთ. როგორ ფიქრობთ — რომელმა სიმღერამ მოგიტანათ პოპულარობა?

— არ ვიცი, თუმცა პირველი სიმღერა ალბათ „ტურფავ“ იყო, რომლის სტუდიური ჩანაწერი არ არსებობდა. არც კი ვიცოდი, ისე ჩაუწერიათ ფილარმონიაში კონცერტის დროს და იმას „ატრიალებდნენ“ ტელეეკრანებზე. პოპულარობის თემას სხვანაირად ვუყურებ. პირველ რიგში, ძალიან დიდი დრო მიაქვს იმას, რასაც ემსახურები. თუ არა ხარ ის ადამიანი, რომელიც ნებისმიერ საქმეს გულწრფელად, სუფთად აკეთებს, მაშინ ძალიან დამღლელია პოპულარობა, რომელიც უზარმაზარ პასუხისმგებლობას გაკისრებს. თუ შენი სიმღერის მიმართ არ იჩენ პროფესიონალიზმს და ბოლომდე კეთილგანწყობილი არა ხარ, მაშინ ვერ შეძლებ ამ დიდი სიყვარულის ტარებას.

— სხვადასხვა ეროვნების მსმენელთან გიწევთ სიმღერა. თუ განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისგან?

— განსხვავება ის არის, რომ უცხოელები სხვა ტრადიციებით ცხოვრობენ, სხვა მოთხოვნილებები აქვთ, საერთოდ, სხვა რაღაცას ეძებენ ჩემს სიმღერაში. ბუნებრივია, არის განსხვავება. მოსკოვში ძალიან კარგი მსმენელია. საქართველოში კრიტიკულები არიან. ეტყობა, ქართველები ძალიან ნიჭიერები ვართ, ამიტომ შინაგანად დიდი მოთხოვნილება გვაქვს. ფაქტობრივად, სცენაზე უნდა გარდაიცვალო, რომ დარბაზიდან ყველა კმაყოფილი გაუშვა. დიდი სიყვარული უნდა ვატაროთ ყველამ, თუმცა, ადამიანი ძალიან პატარა და სუსტია... ვენაში მსმენელი იმდენად მშვიდია, რომ ერთი თვე ვიყავი იქ და ძალიან მოვეშვი, დავისვენე. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ყველა ადამიანს გრძნობ: შენს სისხლს და ხორცს სხვანაირად გრძნობ, შენი განცდებიც სხვანაირია, რადგან ყველა დედის ტოლ ადამიანში საკუთარ დედას ხედავ, მეგობრის ასაკისაში — მეგობარს. ადამიანში შენს თავს ხედავ. ყველაში შენი ხორცის და სულის ნაწილია, ამიტომ გაცემაც უზარმაზარია.

— როგორია თქვენი დამოკიდებულება კრიტიკის მიმართ?

— ვოცნებობ, რომ საქართველოში ჯანსაღი კრიტიკა იყოს. არ შეიძლება, უკმაყოფილო მიდიოდე კონცერტზე, არ იცოდე, რა გინდა და ისევ უკმაყოფილო ბრუნდებოდე უკან... ჩემი დამოკიდებულება არის ის, რომ კრიტიკა უნდა ემსახურებოდეს იმას, რომ შემოქმედება დაიხვეწოს. თუ შექმნილი არ შეფასდა, სიახლეს ვერ იგრძნობ, ამიტომაც ნაკლებად ჩანან დღეს პროფესიონალები ხელოვნების ნებისმიერ სფეროში. დღეს კრიტიკოსები არ ჩანან ანუ შემოქმედებას შემფასებელი არა ჰყავს. ჩვენთვის აუცილებელია, ვიგრძნოთ, თუ განვითარების რა სტადიაში ვიმყოფებით. ეს პირველ რიგში, ჩვენ გვჭირდება.

— ქართველი მსმენელი ქართველი მომღერლის მიმართ უფრო კრიტიკულია, ვიდრე — უცხოელის. რას ფიქრობთ ამის შესახებ?

— მირჩევნია, რომ ასეთი კრიტიკულები იყვნენ. თქვენ ალბათ იმას გულისხმობთ, რომ საქართველოში მუსიკის „ვადამუსიკების“ უცხოური სტილი შემოვიდა. ეს თავდაცვის მიზნით ხდება, რადგან, როცა ადამიანი რაიმეს არასწორად აკეთებს, ბუნებრივია, საკუთარი თავის დაცვა უწევს. აქედან გამომდინარე, ის იბრძვის, რომ საკუთარი პოზიცია გაიმაგროს. სიახლეებს როცა ხედავს, საკუთარ თავს ცოტა კრიტიკულად უნდა მიუდგეს და თუ ამას შეძლებს, თავი უნდა დაანებოს იმას, რასაც აკეთებდა...

— ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ, რომ ფეხშიშველს გინდათ სიმღერა. რას გულისხმობთ ამ ნათქვამში?

— ალბათ ყველამ იცის, რომ მთის, ზღვისა და მზის ქვეყანაში დავიბადე, სადაც მთელი ბავშვობა ფეხშიშველა დავრბოდი. ჩემი ბაღჩა მქონდა. საოცარი შეგრძნება დამეუფლა, როცა პირველად ის სტაფილო ვიხილე, რომელიც ჩემი საკუთარი ხელით დავთესე. პატარა ყვავილების ბაღიც მქონდა. ამ ყველაფერთან შეხებით სამყაროსთან უფრო ახლოს ვიყავი. ლონდონში დეკემბერში ფეხშიშველმა ვიმღერე. ეს იმან გამოიწვია, რომ ჩემი ბენდი იქ სრული შემადგენლობით ვერ წამომყვა, რაც ჩემგან უფრო მეტ ენერგიას მოითხოვდა. ფეხშიშველმა სიარულმა თითქოს ეს ყველაფერი დამიბალანსა: ყველაზე დიდ ენერგიას მიწიდან ვიღებ. მე მხოლოდ ბალახს ჩავიცვამდი და ფეხშიშველა ვიმღერებდი ტყეში.

— დაოჯახებას თუ აპირებთ?

— არ ვიცი. ეს ღმერთის ნებაა. დილით 10 საათზე ვდგები, მივდივარ ვარჯიშზე. პირველ საათზე, ენის მასწავლებელთან მივდივარ, 3 საათზე — „ისი პარიში“, 5-ზე რეპეტიცია მაქვს, 9-ზე კონცერტი. როდის უნდა გავთხოვდე, ხომ არ იცით?!. მუსიკა წარმოუდგენლად დიდ შრომას მოითხოვს. ზოგჯერ ისე მინდა ხოლმე, არანორმალუ-

რად მოვიქცე – გავერთო, გავიპრანჭო, პაემანზე წავიდე და ა.შ. მაგრამ საკუთარ თავს ბევრის უფლებას ვერ მივცემ, რადგან როცა რაღაცას იწყებ, როცა ხვდები, რომ უფლის ნაწილი ხარ და შენი ნიჭიც ზევიდან მოდის – გარდა იმისა, რომ გონებით, გულითაც საზღვრავ შენს პასუხისმგებლობას და ეს ნიჭი გაკისრებს მისიას – სიყვარული მოუტანო ადამიანებს...

— შეყვარებული თუ ყოფილხართ ოდესმე?

– რა თქმა უნდა. შეყვარებული ვიყავი, მერვე კლასში. ეს სიყვარული სევდიანად დამთავრდა... როცა ადამიანი რაღაცას გულწრფელად ემსახურება, იქ სიყვარულიც საჭიროა. სიყვარული ჩემთვის იცით, როგორი თემაა?!.

— საერთოდ, შეყვარებული ადამიანი ყოველთვის იცვლება. თქვენ თუ იყავით მაშინ შეცვლილი შინაგანად?

– საერთოდ, მუსიკის სიყვარული უფრო მთავარია, რის დროსაც მეტად ამბიციური ხარ შენი „მეს“ წინაშე. რა ვიცი – ჩემი სულიერი განწყობისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რომელიმე მამაკაცი მიყვარს თუ არა. თუმცა, როცა შეყვარებული ხარ, ბედნიერიც ხარ, მაგრამ რას ნიშნავს ბედნიერება? მე ვფიქრობ, რომ სიცოცხლის სიყვარული უფრო მეტი ბედნიერებაა, ვიდრე რაღაცების მიღება-გაცემა. შენარჩუნება კი არ არის სიყვარული, არამედ მიღება და შენარჩუნებაა. ნამდვილი სიყვარული მაშინ გეწვევა, როცა შენ ეს გაცნობიერებული გაქვს და არა მაშინ, როცა მარტო ხარ და ვიღაც შეგიყვარდება.

— მართალია თუ არა, რომ თქვენი კატა მღერის?

– მარტოს რომ არ მეცხოვრა, გამოსავალი ვიპოვე და ფისო მოვიყვანე, რომელსაც პია დავარქვი. სახელი „პიანინო“ „გავიყვით“. ერთი ჩინური ინსტრუმენტი მაქვს, რომელიც ჩამოკიდებულია და ხელს რომ ჩამოჰკრავ, უკრავს. როდესაც პია თამაშობს, ჩამოჰკრავს ხოლმე თათს ამ ინსტრუმენტს და იმის ფონზე მეძახის ნინოს. იმდენად მინდა ასე დამიძახოს, რომ ალბათ მეძახის. შეიძლება, „მანანას“ ამბობს, მაგრამ მე „ნინო“ მესმის.

— როგორია თქვენი ცხოვრება მზისა და წყლის გარეშე?

– ორი თვე ვცხოვრობდი ისეთ ბინაში, სადაც მზე არ შემოდიოდა და სასწრაფოდ გამოვიცვალე. რაც შეეხება ზღვას, მის მონატრებას არ ვამჟღავნებ, რადგან იქ რომ ჩავდივარ, დედას ხომ არ ვეტყვი, ზღვა მომენატრა და იმიტომ ჩამოვედი-მეთქი?!. მოდიან მეგობრები, რომლებსაც ჩემთვის ზღვის ქვიშა და წყალი მოაქვთ. კუს ტბაზეც ხშირად დავდივართ ხოლმე...

— წყალზე ამდენად შეყვარებული ალბათ კარგად ცურავთ...

– არა. ალბათ იმიტომ, რომ მუსიკაში დავცურავ...

— შემოქმედი ადამიანი ხშირად ეძებს თავისი შემოქმედებისთვის შესაფერის გარემოს. თქვენ რა გარემო გჭირდებათ ამისთვის?

– მამიდამ მაჩუქა პიანინო და ბინაში პიანინოსა და დოლების გარემოცვაში ვარ. ჩემი გარემოა: ბუხარი, ინსტრუმენტები და მუსიკოსები, რომლებთანაც ვმუშაობ.

— როგორი დამოკიდებულება გაქვთ ეკლესიურ ცხოვრებასთან?

– ვცდილობ, რომ რელიგიური ვიყო. რაღაც წესების დაცვასაც ვცდილობ. რამდენად გამომდის, ვერ გეტყვით. მთავარია, რელიგიამ მომცა ის, რომ მარტო არასდროს ვარ. რელიგიამ მიკარნახა, მარტოსული არასოდეს დარჩები, არსებულის მიღება თუ შეგიძლია და სასწაულის თუ გჯერა. ეს არის ის ძალა, რომელიც გამოქმედებს და დროის შეგრძნებას გაგებინებს. რელიგია ის თემაა, რომელიც უნდა მიიღო და არა – ილაპარაკო მასზე...

— თქვენი ემოციების გამოსახატავად სცენა ხელს ხომ არ გიშლით და ბუნებაში ხომ არ გირჩევნიათ სიმღერა?

– სცენა სხვა სამყაროა, რომელმაც უზარმაზარი სიყვარული იცის. ამიტომაც არის ხოლმე, როცა ერთხელ მის გემოს გაიგებენ, ველარ ეშვებიან. მე მიმღერია ზღვასთან ახლოს, ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ... სცენა ის ადგილია, სადაც შენი ცხოვრებაა – თუმცა, შემიძლია ვიმღერო ხეზე, გემზე და ა.შ. როდესაც სიმღერას ვიწყებ, ველარ ვგრძნობ, სცენაზე ვდგავარ თუ საქანელაზე ვზივარ.

— რომელი დღე იყო თქვენთვის ყველაზე მტკივნეული?

– ამ თემას ცოტა სხვანაირად ვუდგები. დღეს თუ გული მეტკინა და დღესვე შემხვდი, დამეტყობა, მაგრამ ხვალ უკვე აღარ მახსოვს. „ტურფავ“ არის ჩემი ტკივილი. ეს არის პროტესტი ყველაფრის მიმართ. ოძელას სიკვდილი იყო ჩემთვის ძალიან მტკივნეული.

— რომელი კომპლიმენტი იყო თქვენთვის ყველაზე სასიამოვნო?

– საზღვარგარეთ ქართულენოვანი კონცერტი ჩავატარე. შემდეგ იქაურები მომიყვნენ, თუ რაზე ვიმღერე. გაოცებული დავრჩი: მათ სიტყვები არ ესმოდათ, მაგრამ სიმღერების შინაარსი ბგერებით გაიგეს... ასევე დიდი საჩუქარი იყო, როდესაც ვაკის პარკში კონცერტი უნდა ჩაგვეტარებინა და რეპეტიციას გავდიოდით. ზაფხული იყო და ძალიან ცხელოდა. დავჯექი, ვისვენებ და შევნიშნე, რომ ჩემ გარშემო ფეხმძიმე ქალი დადის (ვგიჟდები ფეხმძიმე ქალებზე – ძალიან ლამაზები არიან). ვგრძნობ, რომ მე მიტრიალებს. მივხვდი, რაღაცის თქმა სურდა, ამიტომ თავად გამოველაპარაკე და იცით, რა მითხრა? ისეთ მდგომარეობაში ვარ, შეიძლება, აქვე ვიმშობიარო, მაგრამ თქვენი ხმა რომ გავიგონე, ჩამოვედი. ე.ი. ყველაფერი კარგად იქნებაო. დიდი ბედნიერებაა, როდესაც შეგიძლია შენი მუსიკით ადამიანს ტკივილი გაუყუჩო.

შეხვედრის ბოლოს მომღერალმა ექსპრომტად შექმნილი სიმღერა შეასრულა, რის შემდეგაც საჩუქარი ყველაზე პატარა თაყვანისმცემელს გადასცა.

P.S. „DJ ბუკლესა“ და სალონ DK-ის შემდეგი სტუმარი ჯგუფი „ძებნილები“ იქნება. შეიძინეთ ჟურნალი „რეიტინგი“, უპასუხეთ კითხვებს და შევსებული ქვითრები „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთის მეშვეობით გამოუგზავნეთ რედაქციას. ■

ᲓᲐᲕᲬᲣᲠᲔ ᲚᲣᲓᲘᲡ ᲒᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲬᲡᲔᲜᲘ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲥᲝᲩᲘ

ᲒᲚᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲐᲡᲘᲕᲨᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲘᲡᲐᲡ, ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲛᲘᲙᲠᲝᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ, ᲛᲐᲦᲚᲝᲑᲖᲔ ᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲫᲐᲚᲖᲔᲓ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ, ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲤᲘᲪᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲕᲜᲘᲨᲜᲔ. ᲛᲐᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲣᲚᲢᲘᲞᲚᲘᲙᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲛᲙᲝᲑᲡ. ᲥᲝᲮᲘ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ ᲚᲝᲑᲘᲗᲐᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲖᲦᲕᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲖᲝᲨᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲜᲐᲫᲕᲔᲑᲘᲐ ᲓᲐᲠᲒᲣᲚᲘ. ᲤᲘᲪᲠᲣᲚᲡ ᲬᲐᲠᲬᲔᲠᲐᲪ ᲐᲥᲕᲡ: „ᲞᲝᲔᲖᲘᲐ ᲣᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲡ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ!“ ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲥᲝᲮᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘᲡ ᲕᲘᲜᲐᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲓᲘ. ᲨᲝᲠᲡ ᲐᲠᲪ ᲛᲝᲛᲘᲜᲘᲐ ᲬᲐᲡᲕᲚᲐ — ᲘᲥᲕᲔ, ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ, ᲞᲝᲔᲢᲗᲐᲜ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜ ᲜᲐᲜᲐ ᲓᲐᲠᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲛᲘᲛᲘᲗᲘᲗᲔᲡ. ᲛᲔᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲐᲧᲝᲕᲜᲔ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲘᲜ ᲕᲔᲡᲢᲣᲛᲠᲔ. ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲣᲡᲐᲖᲦᲕᲠᲝ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲛᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲜᲐ ᲐᲛ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲝᲮᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ. ᲐᲥ ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ, ᲮᲐᲢᲕᲘᲡ, ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ, ᲥᲐᲠᲒᲕᲘᲡ, ᲪᲔᲙᲕᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲘᲑᲐᲓᲔᲑᲐ. 45 ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔ ᲛᲧᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲐᲛ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲣᲡᲐᲡᲧᲘᲓᲚᲝᲓ ᲕᲐᲖᲘᲐᲠᲔᲑᲝ, — ᲛᲘᲗᲮᲠᲐ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲜᲐᲜᲐᲛ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ:

ᲜᲘᲜᲝ ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

— ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ, ᲡᲝᲤᲔᲚ ᲨᲣᲐᲒᲐᲜᲐᲚᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲕᲘᲖᲠᲓᲔᲑᲝᲓᲘ. ᲛᲐᲛᲐ ᲞᲚᲔᲮᲐᲜᲝᲕᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲝᲛᲨᲘ ᲠᲝᲛ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ, ᲓᲔᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ. ᲓᲔᲓᲐᲛ ᲨᲔᲛᲐᲧᲕᲐᲠᲐ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲐ. ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲚᲐᲛᲐᲖ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲡ ᲬᲔᲠᲓᲐ. ᲩᲔᲛᲘ ᲙᲠᲑᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲝᲡᲬᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲘᲠᲔᲝᲓᲐ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲡ�წᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ ᲛᲘᲕᲣᲓᲔᲕᲔᲜᲘ. ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲐᲓ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ. ᲛᲔ-5 ᲙᲚᲐᲡᲨᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ, ᲗᲐᲜᲐᲙᲚᲐᲡᲔᲚᲘ ᲑᲘᲭᲘ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ. ᲖᲣᲠᲘᲙᲝ ᲔᲠᲥᲕᲐ. ᲚᲣᲠᲡᲛᲐᲜᲘ ᲛᲔᲡᲠᲝᲚᲐ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ. ᲛᲮᲐᲠᲨᲘ ᲛᲝᲛᲗᲮᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘ ᲬᲐᲛᲝᲛᲘᲕᲘᲓᲐ. ᲔᲡ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ. ᲨᲔᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲐ. ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲖᲔ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲓᲐᲕᲣᲬᲔᲠᲔ. ᲐᲢᲧᲓᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ, ᲬᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲔᲡ ᲚᲔᲥᲡᲘ. ᲓᲐᲛᲘᲑᲐᲠᲔᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲨᲘ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲖᲣᲠᲘᲙᲝ ᲔᲠᲥᲕᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲥ ᲩᲐᲐᲛᲬᲙᲠᲘᲕᲔᲡ — ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲡᲝ?

— **კი, მაგრამ ლექსის წერა დანაშაული იყო?**

— ასე გამოდის.

— **ზურიკოს თუ შეუყვარდით?**

— ზურიკოს ისე შევუყვარდი... სკოლა რომ დავამთავრე, სოფლიდან წამოვედი და თბილისში დავსახლდი. ჩამომაკითხა: ცოლის შერთვა გადავწყვიტეო, — მითხრა. — მერე მე რა შუაში ვარ-მეთქი? — ბანზე ავუგდე სიტყვა... ზურიკოს 5 ძმა ჰყავდა. ძალიან უჭირდათ მის მშობლებს. სკოლას რომ გააცდენდა, ბავშვებმა ვიცოდით, რომ მამამისი სადღაც საქმეზე იყო წასული: მამის შარვლით დადიოდა სკოლაში, საკუთარი არ ჰქონდა... ჰოდა, უარი რომ ვუთხარი ცოლობაზე, გაბრაზდა: კი, მაგრამ ბენიეს (ბენიე მამამისს ერქვა) შარვალს რომ ვიცვამდი, მაშინ გიყვარდი, ახლა საკუთარი მაცვია და აღარ გიყვარვარო?..

— **ნამდვილი სიყვარული რა ასაკში გეწვიათ?**

— მე მგონი, ჯერ არც მწვევია... გარიგებით გავთხოვდი, მაშინ ხშირად ასე ხდებოდა. რომ გავყევი ჩემს ქმარს, მერე შემიყვარდა. შემდეგ ისევ გადამიყვარდა. ახლა სხვისი ქმარია... ცხოვრება რთულია, ჩემო კარგო. 17 წელი ვიცხოვრეთ ერთად. სამი ვაჟკაცის დედა ვარ, სამი ნინოს დედამთილი და ოთხი შვილიშვილის ბებია. ერთ სტროფს გეტყვი:

შუაღამეა, არ მძინავს, მყერდში
ვერა ვწევ გულსაო,
მარტოობისგან მიწყენილს,
წყვლად მძინარეთა მშურსაო.
რა არის ქალის სიცოცხლე, თუ
გვერდით არ ჰყავს ქმარიო?
ქმარი ღმერთია ქალისა,
ბრძენის ნათქვამი არიო.

— **თქვენი მეუღლე არ წერდა ლექსებს?**

— ლექსებს არა, მაგრამ ჩემს დღიურებს რომ ნახულობდა, თვითონაც მიაწერდა ხოლმე რამეს.

— **მაინც რას წერდით ამ დღიურებში?**

— რომ გავთხოვდი, ჩემი ქმარი მალე დაიჭირეს. მაშინ შევარდნაძე „ემვედეს“ მინისტრი იყო. მე დავდიოდი გამოსახსნელად და ვიყავი ერთ ამბავში. არავინ მეხმარებოდა. თან, დედამიშვილებიც არ მყავს. მხოლოდ დედამთილი მედგა მხარში. ძალიან ვუყვარდი, კარგი ქალი იყო. დედაჩემის სახელი ერქვა, ამიტომაც მიყვარდა... ამ ყველაფერს ვწერდი დღიურებში. დღესაც შენახული მაქვს.

— **პოეტობა რა ასაკში გადაწყვიტეთ?**

— არასოდეს მიფიქრია პოეტი გავმხდარიყავი. ჩემთვის „ჩუმად“ ვწერდი. ჩემი დაწერილი არასოდეს მომწონდა. ჩემი პოეტობა, ქუჩაში შემთხვევით გამვლელმა ადამიანმა განაპირობა: აქვე, სახლის წინ სავაჭრო ჯიხური მქონდა გახსნილი. ორმა კაცმა გამოიარა. შეჩერდნენ, ბზობაა — დავლოცოთ ეს ხალხიო. ერთმა თქვა: ამ ქალში ყველაფერი ქართულიაო. გამყიდველს გადავულაპარაკე: ამას ნამდვილად ჩემი ცხვირი მოეწონა-მეთქი... ერთ-ერთი მომიახლოვდა, ხელი ჩამომართვა და გამეცნო: ელვერ კუპატაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ყოფილა. კაცი, რომელიც მას ახლდა, ნიკო გურგენაშვილი, თურმე მორის ფოცხიშვილთან მუშაობდა კორექტორად. ელვერმა ნიკოს სთხოვა: ახლა, მე რომ ლექსი მიყვარს, ამ ქალბატონის პატივსაცემად წაიკითხეო.

შეწუხდა ნიკო: უხერხულია, ბატონო ელვერ, ქუჩაში ლექსების კითხვა დავიწყოო? ჩემმა გამყიდველმაც არ დააყოვნა: წაიკითხეთ, თორემ, ეს ქალბატონი ისეთია – ჩხირს აიღებს და ქვიშაზე დაგიწერთ ლექსსო... მოკლედ, კომპლექსი გადალახა და წაიკითხა ლექსი მთვარეზე. მერე მთხოვა: თუ წერთ ლექსებს, თქვენც თქვითო. მეც არ დავაყოვნე და რადგან მან მთვარეზე წაიკითხა, მეც მთვარეზე ვთქვი ლექსი.

— ექსპრომტად?

– არა, ადრე მქონდა დაწერილი. ჩემი პირველი რძალი სტუდენტი იყო. ბავშვი არ აცლიდა სწავლას. ერთ საღამოს, აივანზე გავიყვანე, რომ გამერთო. დღე და ღამე იყრებოდა და მთვარეც გამოჩნდა. დავანახვე ნიკუშას მთვარე და მაშინვე კალთიდან ჩამომიცურდა. ბაჩები ჩამაცვი, წავიდეთ, ვნახოთ, რა არისო.

— მთვარეზე მოუნდა გასეირნება?

– აბა, როგორი ამბავია?! მაშინ დავწერე ლექსი – „ნიკუშა და მთვარე:“

ამოცურდა ცაზე
ვეებერთელა მთვარე.
დავანახვე ნიკას.
ისე გავახარე, მოითხოვა ბაჩი,
მისვლა მოხოვა ხლოს,
ჩქარობს, უნდა მალე
რა არის, რომ ნახოს.
მე ვუთხარი: ბებო,
ჯერ შენ ავყარა ხარ,
მაგ ბაჩებით ცაზე, ვერა
და ვერ ასვალ.
მოითმინე ცოტაც,
გაიზრდები ჯერ,
რომ თვით მოიქსოვ,
ცის ჯერამდე ჯობ.

ეს ლექსი რომ ვუთხარი იმ კაცს, გადაირია. გადამეხვია, შუა ქუჩაში დამიწყო კოცნა: თქვენ ნამდვილი პოეტი ყოფილხართ, ეს შედევრიაო. მისამართი მთხოვა. სად არის დასაკარგი ლექსები? – კრებული უნდა გამოვცეთო... ბლოკნოტში ჩემი მისამართი ლექსად რომ ჩავუწერე, ახლა ამაზე გადამერია. მოკლედ, 2 კვირის მერე, მართლაც მოვიდა ეს ადამიანი ჩემთან. წაიკითხა ჩემი ლექსები და ასე გამოვეცით 1997 წელს, ჩემი პირველი კრებული – „ნიკა“, სადაც 50 ლექსია შესული. ორი წლის მერე „ახმაურდა“ ეს წიგნი სამეგობროში, სამეზობლოში, სკოლებში, ბაღებში... გაიგეს ბავშვებმა ჩემი პოეტობის ამბავი, ერთხელაც, ბავშვი მოვიდა ჩემთან და მეუბნება: ნანა ბებო, ლექსი დავწერე, დედამ არ მომისმინა, ასე მითხრა – მაგის ნერვები არ მაქვსო... ტანში გამაჟრიალა... ამ ბავშვს მეორე მოჰყვა, მეორეს – მესამე და სახლში ვეღარ დავეტიეთ. რა უნდა მექნა? – დავხურე ლუდის ბარი და გავხსენი პოეზიის ქოხი (ადრე ამ ქოხში ლუდის ბარი მქონდა)...

— ლექსებს რომ ასწავლით ბავშვებს, ამაში ეჭვი აღარ მეპარება, მაგრამ ხატვის, ქსოვის, მუსიკისა და ცეკვის გაკვეთილებს ვინ უტარებს ბავშვებს უსასყიდლოდ?

– ყველა მხარში ამომიდგა: მაგალითად: გერმანულს ჩემი რძალი ასწავლიდა ბავშვებს. არავინ მთხოვს ფულს. მაგრამ ერთი რამე უნდა გითხრათ: ფორტეპიანოზე მიღება გამოვაცხადე და არავინ მოდის. ალბათ ფიქრობენ: უფასო თუა, არ ივარგებსო, წარმოგიდგენიათ? ახლა ხუთი ლარი უნდა დავაწესო – სიმბოლურად... ძალიან მიყვარს ბავშვები. მათთვის სულსაც არ დავიშურებ. მე კიდევ გაზეთს ვუშვებ „წყაროსთვალი“ ჰქვია, სადაც ჩემი მოწაფეების წარმატებები, ლექსები და ნახატები იბეჭდება. სადღესასწაულო დღეებში გამოვცემ ხოლმე. პატარაა, მაგრამ სათქმელი ყოველთვის ნათქვამია.

— ოჯახში როგორ უყურებენ თქვენს გატაცებას?

– ყველას უყვარს ლექსი. ეს ალბათ ჩემი დამსახურებაცაა. ყველას ვუწერ, ვეფერები, შვილებს, შვილიშვილებს, რძლებს.

— თქვენთვის თუ მოუძღვნია ვინმეს ლექსი?

– კი, როგორ არა? მაგრამ სულ სატრფიალო ლექსებს მიძღვნიდნენ, ნუ წამაკითხებ ახლა, უხერხულია. ერთ-ერთი ასეთი სათაურით იყო – „არაჩვეულებრივ ქალს“. რომ წავიკითხე, ფურცელი გადმოვაბრუნე და პასუხი დავწერე:

ვინ თქვა, არ ვარგა
ბებერი ქალი?
ვისაც ეს დასცდა,
დაუდგეს თვალი!
ასი წლისა ვარ და
დღემდე მაინც,
ვერ მოვიცილე
ჯაცების ვალი...

ახლა ახალი კრებულების გამოცემას ვაპირებ სათაურებით: „კლდე ტირის“ და „სიყვარული ვის არ უნდა“.

P.S. ქალბატონი ნანა პროფესიით კვების ტექნოლოგი გახლავთ. ახალგაზრდობაში, ისევე, როგორც ახლა, საკუთარი მანქანა ჰყოლია. სისხლს ვუშრობდი ინსპექტორებს: რომ მანიშნებდა – გაჩერდიო, – მანქანას შევანელებდი და ახლოს რომ მოვიდოდა, სწრაფად დავძრავდი და „გავრბოდი“, მესამე ქალი ვიყავი თბილისში, ვინც მანქანას მართავდა. მაშინ ქალი საჭესთან ყველასათვის თვალში საცემი იყო, – მითხრა მან... აი, ასეთია 60 წლის პოეტი ნანა დარჩიაშვილი, ქალი, რომელსაც თმაზე სამაგრის ნაცვლად, ავტოკალამი მიუბნევია და მუზის მოსვლისთანავე, დროს არ კარგავს მის ძებნაში... ■



სტრესის ფაქტორი ყველაზე მეტად უწყობს ხელს ადამიანის დაბერებას. ასეთ დროს სახეზე ჩნდება ნაოჭები, თვალის უპეები ჩამუქებულია, კანი მოშვებული, თვალები ჩამქრალი. გაითვალისწინეთ ქვემოთ მოყვანილი რჩევები და თქვენ სულ იოლად დაიბრუნებთ სიცოცხლის ხალისსა და ახალგაზრდულ იერს!

უსიამოვნების დავიწყებისა და სუფთერი სიმშვიდის მოპოვების 20 სერი

დაეუფლეთ რელაქსაციის ტექნიკას

1. მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა

თუ სევდა და ნაღველი მოგეძალათ, ეცადეთ, ეს გრძნობა მოძრაობით დასძლიოთ. ფიზიკური დატვირთვა საოცრად აწყნარებს ადამიანს. ჩართეთ მუსიკა და იცეკვეთ სიამოვნებით — ცოტა ხანში მოწყენილობაცა და სევდაც სადღაც გაქრება და სიმშვიდე დაგეუფლებათ.

2. სანთლის ლიცლიცი დაგამშვიდებთ

საღამოს აანთეთ სანთლები. შესაძლოა, თქვენ ტელევიზორის ყურებას აპირებდეთ, მაგრამ ეს ხელს სულაც არ შეგიშლით. სანთლების ლიცლიცი საოცრად დამამშვიდებლად მოქმედებს ორგანიზმზე. კიდევ უკეთესია, თუ აბაზანას სანთლების შუქზე მიიღებთ, რადგან იგრძნობთ იმას, რასაც ასეთ დროს კლეოპატრა გრძნობდა.



3. ფერთა თერაპია მზის ტონებით

ნარინჯისფერი მოძრაობის, ენთუზიაზმისა და თავისუფლების სიმბოლოდ აღიქმება. შეეცადეთ, რომ თქვენ ირგვლივ სწორედ ნარინჯისფერი და ყვითელი ტონები ჭარბობდეს. ამისათვის საკმარისია, ფორთოხლით სავსე ხილის ვაზა თვალსაჩინო ადგილას მოათავსოთ, სამზარეულოში კი, მყვირალა ფერის ფარდა დაკიდოთ — ეს განწყობასაც გაგიუმჯობესებთ და სიხარულის შეგრძნებასაც მოგანიჭებთ.

4. მოგონებანი გარდასულ დღეთა

სასიამოვნო მოგონებები სევდის დაძლევის შესანიშნავი საშუალებაა. მოკალათდით სავარძელში, ჩართეთ სასიამოვნო მუსიკა და საოჯახო ფოტოსურათების ალბომის თვალიერებით შეიქციეთ თავი. ამის მეშვეობით, გარდასულ დღეთა სასიამოვნო მოგონებებს გაიხსენებთ, რაც დროებით ყოველდღიური უსიამოვნებებისა და პრობლემების დავიწყებაში დაგეხმარებათ.

5. მასაჟი მოგიხსნით დაძაბულობას

თუ უსიამოვნოდ გამტვრევთ სხეულში და გტკივათ კუნთები, მასაჟის ერთი სეანსი თვალის დახამხამებაში მოგიხსნით ამ შეგრძნებებს. პროფესიონალი მასაჟისტი კუნთების მოდუნებასა და სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებაში დაგეხმარებათ.

6. ფეხების აბაზანა ტერფებში სიმსუბუქის შეგრძნებას დაგიბრუნებთ

ჩაის ხის ზეთის 10 წვეთი დაამატეთ თბილ წყალს და ამ აბაზანაში ჩაყავით ფეხები 10 წუთის განმავლობაში. სხვათა შორის, ჩაის ხის ზეთი, ძველთაგანვე სოკოვან დაავადებებთან ბრძოლის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიიჩნეოდა. თუ ფეხები შეშუპებული გაქვთ და ამას თან ერთვის წვის შეგრძნებაც, თბილ წყალში როზმარინის ან ევკალიპტის ექსტრაქტი ჩაასხით და აბაზანის მიღების შემდეგ ტერფების მასაჟიც გაიკეთეთ.

7. სახის მსუბუქი მასაჟი

თითების ბოლოების მსუბუქი მოძრაობით, სახის, ყელისა და მხრების მიდამოებში, მსუბუქი მასაჟი გაიკეთეთ; დახუჭეთ თვალები და წარმოიდგინეთ, რომ თითებით კი არ ეხებით კანს, არამედ წვიმის მაცოცხლებელი წვეთები გეპკურებათ.

8. გაინებივრეთ თავი — თქვენ ეს დიმსახურეთ!

თუ მთელი კვირა ახლობლებზე ზრუნვაში გაატარეთ, დადგა დრო, რომ საკუთარ თავსაც მიხედოთ. არ გაჩერდეთ შინ! კოსმეტიკური სალონი არის ის, რაც თქვენ ამჟამად ყველაზე მეტად გჭირდებათ! შეგიძლიათ არჩევანი საპარიკმახეროზე ან თქვენთვის სასურველ ადამიანთან ვიზიტზე შეაჩეროთ.

9. ჯანჯაფილის ნაყენი გაცივების თავიდან აცილებაში დაგეხმარებათ

თუ თქვენ გადაიღალეთ და ტანშიც უსიამოვნოდ გაჟრჟოლებთ, ჯანჯაფილის (იგივეა, რაც კოჭა) ნაყენი გაგათბობთ და მხნეობას დაგიბრუნებთ: გაფცქვნით ჯან-

ლითონის ფული	მსუბუქი ყოფაქცევის ქალი (ძველებურად)	მდინარე თერგი მიუყვება ... ხეობას	„...-ბანა, ...-ბანა, მამამ შეშა მოგვიტანა“	ცხოველის თათი	ესკიმოსების ნავი	...
...	...	...	...	...	...	...
იმპრესიონისტი კლოდ ...	სიმინდის ნაყოფი	საღებავების გამხსნელი, იყენებენ მედიცინაშიც	ცეცხლის ენა	დასასვენებელი დაწესებულება	კინორეჟისორ ... კუროსავ	



ჯაფილის კაკლისოდენა ფესვი და გახეხეთ სახეხზე. დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში ხარშეთ წყალში. შემდეგ ცოტა ხანს გააჩერეთ, დაასხით ცხელი რძე და დალიეთ ცხელივე.

10. ჯადოსნური ბურთულები

დროდადრო სასარგებლოა ე.წ. ჯანმრთელობის ჩინური ბურთულებით თამაში. ეს დაგეხმარებათ ხელის რეფლექსური წერტილების მასაჟის გაკეთებაში, ბურთულების სასიამოვნო წკარუნი კი, დაძაბულობას მოგიხსნით და დაგამშვიდებთ.

11. სხეულის მასაჟი ღრუბლით

დაბანისას, კვირაში ერთხელ, სხეული ნატურალური ბოჭკოს ღრუბლით დაიზილეთ. საკმაოდ უხეში ღრუბელი თქვენს კანს იოლად მოაშორებს უკვე მკვდარი კანის უჯრედებს და ამით კანის რეგენერაციას შეუწყობს ხელს.

12. მისდიეთ სპორტს!

ყოველდღიური, თუნდაც ხანმოკლე დილის გამამხნევებელი ვარჯიში, თქვენ დაგეხმარებათ ახალგაზრდულად და მხნედ იგრძნოთ თავი. შეეცადეთ გამოიყენოთ ნებისმიერი შესაძლებლობა საკუთარი თავის ტონუსში მოსაყვანად. იქნება ეს თხილამურები, ჩოგბურთი, სირბილი, ველოტრენაჟორი თუ სხვა, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მთავარია, სიამოვნება მოგანიჭოთ.

13. იძინეთ მშვიდად!

აუცილებელია, რომ დღე-ღამეში 8-9 საათი გეძინოთ. სხვათა შორის, თქვენი გარეგნობაც და განწყობაც სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად გამოიძინეთ. კოკო შანელი ამბობდა, იმისათვის, რომ ქალი კარგად გამოიყურებოდეს, მას ბალიში და საუკეთესო ხარისხის ნაოჭის კრემი სჭირდებაო.

14. მიირთვით თხილი და კაკალი, დალიეთ კოქტეილი!

იმ შემთხვევაში, როცა დათრგუნვილად იგრძნობთ თავს, მიირთვით ერთი პეშვი თხილი ან კაკალი. ამ ნაყოფებში შემავალი მაგნიუმის მინერალი ანტისტრესული თვისებებით გამოირჩევა. ძილის წინ კი სასარგებლოა კოქტეილის დალევა, რომლის რეცეპტსაც აქვე შემოგთავაზებთ: აიღეთ ერთი ჭიქა ხილის წვენი, 4 ს/კ შშრალი სოიის რძე, ნახევარი ბანანი. ყველაფერი კარგად გათქვიფეთ და მიირთვით ძილის წინ.

15. ჩაი — სიცოცხლის ელექსირი

ნებისმიერ სიტუაციაში თქვენ დაგეხმარებათ ჩაი. იგი ამშვიდებს, ამხნევებს და ზოგიერთი დაავადებისაგან კურნავს კიდეც ადამიანს. ამასთან სასურველია მცენარეული ნაყენების მიღებაც. როცა აფორიაქებული ხართ, დალიეთ კატაბალახას, სვიის, გვირილის ან მოცხარის ფოთლის ნაყენი. უძილობამ თუ შეგაწუხათ, დალიეთ ბარამბოს ნაყენი.

16. ყვავილებით გაიხალისეთ ცხოვრება

ირგვლივ ყველაფერი ნაცრისფერია, სულს კი გაზაფხული მოენატრა! მიუძღვენით საკუთარ თავს ყვავილები. მნიშვნელობა არა აქვს, რომელი ყვავილის თაიგული იქნება ეს! მთავარია, რომ ყვავილები თქვენს ბინაში განსაკუთრებულ ატმოსფეროს შექმნის და გაგიხალისებთ ცხოვრებას.





17. სევდას დღიური გაგიძარვებთ

შეიძინეთ ლამაზყდიანი დღიური და თქვენი ცხოვრების ყველაზე სასიხარულო და ნათელი შთაბეჭდილებები ჩაწერეთ მასში. ხოლო როცა სევდა მოგეძალებათ, გადაიკითხეთ იგი. განწყობა აუცილებლად გამოგისწორდებათ.

18. პიტნა მოგიხსნით თავის ტკივილს

თავის ტკივილის უწამლოდ მორჩენაც შეგიძლიათ. როგორც კი თავის ტკივილს იგრძნობთ, აიღეთ პიტნის ზეთში დასველებული ბამბა და საფეთქლები დაიზილეთ. ეს აუცილებლად გამოიღებს შედეგს და წამლის მიღება აღარ დაგჭირდებათ.

19. თქვენ დაგეხმარებათ აკუპრესურა

როდესაც დაძაბული ხართ და შინ არ იმყოფებით, დაძაბულობის მოხსნის ყველაზე მარტივი ხერხი აკუპრესურაა. ხელისგულის ცენტრში მდებარე ანტისტრესულ წერტილზე ხუთი წამის განმავლობაში ცერა თითის დაჭერით გაიკეთეთ მასაჟი. მცირე პაუზის შემდეგ, სტიმულაცია 2-5-ჯერ გაიმეორეთ.

20. სავარცხელს სხვა დანიშნულებაც აქვს!

თუ განერვიულებული ხართ, აიღეთ სავარცხელი და ხელისგულიდან მოყოლებული მხარამდე გაისვით ხელზე. ასე გაავრძელეთ დაახლოებით 3 წუთის განმავლობაში, ოღონდ, მოძრაობა ყოველთვის გულის მიმართულებით გააკეთეთ. ეს დაგამშვიდებთ და კუნთების მოდუნებაშიც დაგეხმარებათ. ■

| | | |

მორენა მერკვილაძე

ბრწყინვალე შვიდეული

ეკლესიური სწავლებით, აღდგომის დღესასწაული ერთი კვირის მანძილზე გრძელდება. ამ კვირას ნათელი კვირა ანუ ბრწყინვალე შვიდეული ეწოდება. ბრწყინვალე შვიდეულის თითოეული დღე, განსაკუთრებული მადლითაა აღსავსე. VI მსოფლიო საეკლესიო კრების 66 კანონი, ბრწყინვალე შვიდეულის შესახებ გვამცნობს: „ქრისტეს აღდგომის წმინდა დღიდან ახალკვირამდე, მთელ იმ შვიდ დღეს მორწმუნეები წმინდა ეკლესიაში უნდა იყვნენ... გალობით და სულიერი ქებით გამხიარულებულნი ქრისტეს მიერ და ასე დღესასწაულობდნენ. იკითხონ საღვთო წერილი და შვებას მიეცენ უხრწნელი საიდუმლოს ზიარებით, რომ ქრისტესთან ერთად აღმდგარნი და ამაღლებულები იყვნენ. ამ დღეებში ნურც ცხენთა შეჯიბრება და თეატრონი, ნურც სხვა რაიმე საერო სანახაობა და განცხრომა იქნება“. ე.ი. ამ სადღესასწაულო დღეებში, მორწმუნე აღდგომილ მაცხოვარს ფიქრითა და საქმით უნდა ემსახუროს, რაც საეკლესიო მსახურებებზე დასწრებით, ქადაგებული ღვთის სიტყვის მოსმენით, ღვთისადმი გულმოდგინე ლოცვით და სხვა, სულის მხსნელი საქმეების კეთებით უნდა გამოხატოს. სადღესასწაულო დღეებში, მორწმუნე ადამიანი ასევე ვალდებულია, გადახედოს თავის განვლილ ცხოვრებას და მტკიცედ გადაწყვიტოს, რომ განუდგება ყოველივე იმას, რაც ღვთის მცნებებს ეწინააღმდეგება.

ბრწყინვალე შვიდეულის დღეებში წყდება სასოფლო-სამეურნეო თუ სხვა სახის სამუშაოები, გარდა გადაუდებლისა.

ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს, ხდება საფლავთა კურთხევა და გავდივართ საფლავზე, მაგრამ თუ ადამიანს სწამს ქრისტეს აღდგომა და სწამს, რომ უფალმა თავის აღდგომით სიკვდილი განაქარვა, ამ სადღესასწაულო დღეებში, მიცვალებულის დატირება და გლოვა დიდი ცოდვაა. ამიტომ ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს, საფლავზე იმისთვის კი არ გავდივართ, რომ განშორება ვიგლოვოთ, არამედ მიცვალებულებს ვახაროთ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა. აღდგომის დღესასწაულის შემდეგ იცვლება მისალმების წესიც: მართლმორწმუნე ქრისტიანები, აღდგომიდან 40 დღის მანძილზე, შეხვედრისას „გამარჯობის“ ნაცვლად, ერთმანეთს ესალმებიან სიტყვებით – „ქრისტე აღსდგა!“ რითიც სხვა მორწმუნე ადამიანს ქრისტეს აღდგომას ვახარებთ. პასუხად კი ვამბობთ: „ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!“ – ე.ი. ვადასტურებთ ქრისტეს აღდგომის ჭეშმარიტებას. ასევე ცვლილებებია ჩვენს ყოველდღიურ ლოცვებში: ნაცვლად სულიწმიდის მოწევნის ლოცვისა „მეუფეო ზეცათაო...“ – სამჯერ ვამბობთ: „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“. ეს ცვლილება გრძელდება სულთმოფენობამდე. სააღდგომო მარხვას მოსდევს მსგეფსი (ხსნილი). ე.ი. ბრწყინვალე შვიდეულში, ოთხშაბათს და პარასკევს, მორწმუნეებს სახსნილო საკვების ხმევის უფლება აქვთ.

ბრწყინვალე შვიდეულის დღეებში, ყველა საეკლესიო წესს განსაკუთრებული ელფერი აქვს. წირვა-ლოცვა მხოლოდ ამ კვირისთვის დამახასიათებელი რიგით სრულდება. ბრწყინვალე შვიდეულში წარმოსათქმელი ლოცვები და საგალობლები მოთავსებულია საეკლესიო წიგნში, რომელსაც ეწოდება – „ზატიკი მცირე“. ამ კვირაში განსხვავებულია მიცვალებულთა წესის აგებაც. ბრწყინვალე შვიდეულის დღეებში, ტაძარში იხსნება სამეუფო კარი, რაც მიგვანიშნებს, რომ მას შემდეგ, რაც ქრისტე მკვდრეთით აღსდგა, შეიმუსრა ბჭენი ჯოჯოხეთისანი და გაიხსნა სასუფევლის კარი.

მთელი ბრწყინვალე შვიდეულის მანძილზე, ეკლესიაში კანკელის წინ დგას პატარა მაგიდა, რომელზეც დევს არტოსი (საგანგებოდ აღდგომის დღესასწაულისთვის გამომცხვარი პური, ჯვარცმის ან ქრისტეს აღდგომის გამოსახულებით). არტოსის კურთხევა განსაკუთრებული საპასექო ჩვეულებაა, იგი იკურთხება – „სადიდებლად და მოსაგონებლად უფალ იესო ქრისტესი“. ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა და ზეცად ამაღლების შემდეგ, მოციქულები შეკრების დროს, ტრაპეზის დაწყებისას თავისუფალს ტოვებდნენ იმ ადგილს, სადაც მათ გვერდით უხილავად სუფევდა იესო ქრისტე, ხოლო მაგიდაზე იმ ადგილის პირდაპირ დებდნენ მისთვის პურის ნაჭერს და ყოველთვის, ტრაპეზის დამთავრებისას, უფლისადმი მადლიერე-

ბის გამოხატვის ნიშნად, მაღლა სწევდნენ პურის ამ ნაჭერს და ამბობდნენ: „ქრისტე აღსდგა!“ იმ პერიოდშიც კი, როდესაც მოციქულები საქადაგებლად სხვადასხვა მხარეში გაიფანტნენ, ამ წესს ქრისტეს მიმდევართა საზოგადოებაშიც, ტრაპეზობისას ყოველთვის ასრულებდნენ. როგორც მოციქულებს მოაგონებდათ აღმდგარ მაცხოვარს, მისთვის განკუთვნილ ადგილზე დადებული პურის ნაჭერი, ასევე წმინდა ეკლესიის სწავლებით, აღდგომის დღესასწაულზე მორწმუნეთა თვალწინ მყოფი არტოსი მოგვაგონებს, რომ აღმდგარი მაცხოვარი უხილავად იმყოფება ჩვენთან. ამასთანავე, არტოსი მოგვაგონებს, რომ იესო ქრისტე, ჯვარცმული სიკვდილითა და აღდგომით, ჩვენთვის ჭეშმარიტი ცხოვრების პურად იქცა. აღდგომის სწორზე – კვირაცხოვლობას, არტოსი მცირე ნაწილებად იჭრება და მორწმუნეებს ურიგდებათ, რომელიც შეიძლება უფრო მცირე ნაწილებად დავაქუცმაცოთ და ავადმყოფობის ან სხვა განსაცდელის ჟამს მივიღოთ, როგორც სულიერი წამალი. არტოსი უნდა შევინახოთ წმინდა ადგილას.

ბრწყინვალე შვიდეული გვირგვინდება კვირიაკით, რომელსაც ეწოდება კვირაცხოვლობა, ანუ ახალი კვირა, აღდგომის განახლება. ახალი კვირიდან მოყოლებული, ყოველი კვირა დღე აღდგომის დღესასწაულია, ამიტომაც იკრიბებიან ქრისტიანები კვირაობით ეკლესიაში სადღესასწაულო წირვაზე.

კვირაცხოვლობას ასევე ეწოდება თომას კვირა. როგორც „ახალი აღთქმიდანაა“ ცნობილი, აღდგომის დღეს, საღამოს, მაცხოვარი მოციქულებს გამოეცხადა, სადაც ყველა იყო, თომა მოციქულის გარდა. როდესაც ეს ამბავი თომამ შეიტყო, თქვა: სანამ ჩემი თვალით არ ვიხილავ იესოს, არ ვირწმუნებ მის აღდგომასო. აღდგომიდან მერვე დღეს ისევ კვირა საღამოს, მაცხოვარი კვლავ გამოეცხადა მოწაფეებს. ამჯერად მოციქულებს შორის თომაც იმყოფებოდა. მაცხოვარმა მას ჭრილობები უჩვენა და უთხრა, რომ მისულიყო და ხელით შეხებოდა მის ნაიარევს. „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“ – წარმოთქვა მაცხოვრის თაყვანსაცემად მუხლებზე დაცემულმა თომა მოციქულმა... კვირაცხოვლობას იკითხება სახარება იმის შესახებ, რომ მოციქულმა თომამ ირწმუნა ქრისტეს აღდგომა და სრულდება ძველებური სააღდგომო წირვა. ■



ბაბუა (გივი) დაიაური (მარცხნივ) ახლობლებთან ერთად

თოფის ღულაზე იჯდა ეშმაკი...

„სიკვდილო, მიწამც დაგეყრება, შენც ჯერ გინდერის, შე წყეულო!“
ხალხური

ბევრი გენიოსის გონება მოღალა მთის საიდუმლოებამ. მაინც აუხსნელი რჩება — როგორ წაართვეს ძალა ფანტასტიკას ვაჟკაცობის სასწაულებმა, ხასიათის სიმტკიცემ, საკუთარ თავთან ჭიდილის უჩვეულო მაგალითებმა... ეს არ იყო მხოლოდ წარსულში. ამ ხალხისათვის სამყარო დღესაც ორად არის გაყოფილი: კატეგორიულად მისაღები და კატეგორიულად მიუღებელი, ან „ჰო“, ან „არა“! — შუაში დიდი უფსკრულია მუდამ, რომელშიც შეიძლება მოზღვავდეს და ერთნაირად ჩაინთქას სიკვდილზე უარესი ტკივილი, თუ ჭირვეული სიყვარული...

თუთი რატიანი

საკუთარ თავთან ჭიდილმა ტანჯვის განაჩენი გამოუტანა ბაბუა (გივი) მამუკას ძე დაიაურს. მისმა ტრაგედიამ ხევისბერი გოჩა გამახსენა. ონისეს გარდა, მისთვის ხომ სხვა სიცოცხლე არ არსებობდა; ხანჯალი შორს გასტყორცნა და კლდესავით დაირღვა... ბაბუა დაიაურმაც დიდხანს ზიდა ხევისბერის ტვირთი. ცას დაახლოებული ადამიანები იცნობდნენ კაცად და ამით იყო ამაყი – არღუნივით დაუდეგარი და მჩქეფარე.

პატივი და მოწიწება ობლად დარჩენილმა, ცხრა წლის ბიჭმა იმთავითვე დაიმსახურა. მზესა და ღმერთებს ფიცულობდა წინაპართა სახატეებთან. სხვასაც აფიცებდა ხანჯალს და ძმობას. მისმა ქალიშვილმა თამარმა კი, რედაქციაში მამის გულის შემძვრელი ამბავი მოიტანა. უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულ მამაჩემს მხოლოდ ნახევარი საუკუნე არგუნა ბედმა ტოლსწორებში, ოჯახში, გვარში გამორჩევაო. იმ საკირის ცეცხლი, რომელშიც თურმე, მამამისი შვიდი წელი იწვოდა, ყველა სასჯელზე მაღლა დგას და ვერავითარ კოდექსში ვერ თავსდება.

...გიორგობას მოულხენია სოფელს. ბაბუა დაიაურს ეშმაკმა მაშინ გაახსენა ბიძაშვილის – რაჟდენის თხოვნა: ძაღლი მყავს მოსაკლავიო. აიღო თოფი. სამჯერ გასძახა ხევგაღმიდან – გარეთ არავინ გამოხვიდეთ, ძაღლი უნდა მოვკლაო! გასროლა საბედისწერო აღმოჩნდა: რვა წლის გოგონას სიცოცხლე შეიწირა...

„მოკვდა თაია! ჩემი ნასროლი ტყვიით მოკვდა!“ – მხოლოდ ერთხელ მოასწრო გაელვება ჯანსაღმა აზრმა. მერე აიწეწა,

ადამიანური ფიქრები

ქედმაღლური თავდაჭერა — სულელების ფარია.

შარლ ლუ დე სეკონდა მონტესკიე

იცოცხლო — ნიშნავს არა ოდენ შენი სხეულის მოთხოვნები დაიკმაყოფილო, არამედ ძირითადად შეიგნო შენი ადამიანური ღირსებები.

ჟიულ ვერნი

სიტყვის ნიჭი ერთადერთი და ჯერაც შეუფასებელი საშუალებაა მოვლენის შიგნით შესაღწევად.

ნიკოლაი პიროგოვი

ყველა წიგნი, რაც კი ხელში მოგყოლია,
მონაგონი, ნამდვილი თუ ზღაპრული,
მარტოოდენ ბაბილონის გოდოლია,
თუ არ არის სიყვარულით შეკრული.

იოჰან ვოლფგანგ გოეთე

კაცის ბუნების არსი — მოძრაობაა. სრული სიმშვიდე — სიკვდილია.

ბლეზ პასკალი

უსიხარულოდ, უსიყვარულოდ რა სანატრელ არს სიმრავლე დღეთა.

გრიგოლ ორბელიანი

ნამდვილი პატიოსნება — ესაა გადაწყვეტილება, რომ ყოველგვარ გარემოებაში გააკეთო ის, რაც ადამიანთა უმრავლესობას სარგებლობას მოუტანს.

ბენიამინ (ბენჯამინ) ფრანკლინი

ჭეშმარიტების სიყვარული — ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობაა მის საპოვნელად.

კლოდ ადრიან ჰელვეციუსი

მეგობრისთვის სამსახური კაცმა როგორ დაიზაროს?

დაე მოვკვდე, ოღონდ ჩემმა მეგობარმა გაიხაროს!

საადი

აიშალა, დაირღვა სული. განა არ შეეძლო, განაჩენი გამოეტანა საკუთარი თავისთვის?! მაგრამ ასე იოლად ვერ მივიდოდა „ძმისწულის ქალასთან“. სწყეროდა — ვინმეს ეძია მასზე შური. თაიას მამის ხელით ეწადა სიკვდილი. ნატრობდა და ევედრებოდა: მესროლე ტყვია, ძმა, ბიძავ და შინშო, შემიმსუბუქე ტანჯვა-ტკივილი... ბიძაშვილი დუმდა. მის გულში ორგვარი ბალღამი დუღდა — შვილის სიკვდილი და ბაბუა დაიაურის სულის ტრაგედია...

შეცდომას მკვდრები არ უშვებენ. უნებურად შესცოდა, ღმერთმა შეუნდოსო, — ვერავინ გაიმეტა შურისსაგებლად. გარშემომყოფთა უბრალ ყოფნა გახდა მისთვის უმაღლესი სასჯელი. შვილებიც არ ფარავდნენ, რომ თაიასთან ერთად მოუკვდათ მამა...

გამოერიდა სოფელს. შვიდი წელი არ ჩასულა მუცოში. ეკრძალებოდა ცოდვიანს წმინდა მიწაზე ფეხის დადგმა, მაგრამ ვეღარ გაუძლო მონატრებას. მალულად ჩავიდა. მიუალერსა ლიბოდათხრილ, ჩამოგვალულ კოშკებს. აქ თითოეული ხე და ბუჩქი იყო მისი მშობელი. დედ-მამის საფლავი ზრდიდა, ხევსურეთის მზე და წყალ-ჭალა აწოვებდა ძუძუს.

თაიას საფლავზე დაათენდა. მზეზე ადრე დაინახა ბიძაშვილი — თაიას მამა. უნდოდა, გადახვეოდა, გულში ჩაეკრა, მოეკითხა თანშეზრდილი. მაგრამ ჩამოეცალა გზიდან. ისიც ისე გასცდა, როგორც უცნობი და... უკვე მერამდენედ მოკვდა ამ შვიდ წელიწადში, ვეღარ დაითვალა. დაუბნელდა ისედაც ბინდგადაკრული თვალისჩინი. დაბრუნდა ბარში წელათრეული, ყველასაგან მოძულებული და ზურგშექცეული. წამებასა და თვითგვემაში გადიოდა დღეები. მის გონებაში ერთადერთი აზრიღა ტრიალებდა ჯანსაღი: „მე მოვკალი უმწეო, უმანკო ბავშვი!“ — დანარჩენი ყველაფერი წაშლილიყო: ოჯახი, შვილები, ნათესავები, საერთოდ ადამიანები. ჯავრით მთვრალი და ფიქრებით დამძიმებული დაეხეტებოდა ქუჩა-ქუჩა, სახლიდან — სახლში. ეძალებოდა სასმელს. უნდოდა, გაჰქცეოდა საკუთარ თავს, სადმე, შორს გადაკარგულიყო. რატომ არ მოდის სიკვდილი? იქნებ, იმიტომ შემრჩა სული, რომ დიდხანს ვიტანჯო? წავალ, აუცილებლად წავალ, იქნებ მამაპაპეულმა ზნემ იყივლოს და სისხლი აიღოს ბიძაშვილმა. დავისვენებ, მივალ თაიასთან, მუხლებზე დავისვამ „ბიძაის ქალს“, შენდობას ვთხოვ, რომ უნებურად მოვწყვიტე მზისქვეშეთს...

ბარბაცით დაადგა თურმე ლოჭინის გზას. შორს მანქანის შუქი დალანდა. გაჩერდა. გვერდის ავლა სცადა მძღოლმა. თავად მაგნიტურად მიიზიდა მისკენ. გამყინავი სიგნალი მუხრუჭების ღრჭიალმა



მის გონებაში ერთადერთი აზრიღა ტრიალებდა ჯანსაღი: „მე მოვკალი უმწეო, უმანკო ბავშვი!“

ჩაახშო. წამი და... დაენარცხა მიწას... ესმოდა ბუნდოვანი, შეწუხებული და სასოწარკვეთილი ხმები. აღარ უნდოდა, ვინმესთვის კიდევ ეტკინა გული. მარტოს ეწადა ტანჯვა. არ გამოუვიდა...

მაშინ გაექცა კაცთა სამყოფელს, გამოიკეტა ბნელში. შიმშილით მოკვდებიო, — იფიქრა. არც ეს გამოვიდა. საკუთარ თავთან ლაპარაკს მიეჩვია. პატიებას არ გთხოვთ, ჩქარა დამახალეთ ტყვია! — დაიღრიალებდა ხანდახან. „ღმერთო, რატომ არ მისკდება გული, გამარიდე ამა ქვეყანას, ღმერთო!“ — ღაღადებდა, მაგრამ ყრუ იყო არე. ხანდახან ჩაცუცქდებოდა. ენის მოჩლექით ეტიტინებოდა მარადისობაში გადასულ გოგონას: „ჩემი სიხარული შენთან ერთად დაიმარხა, თაია. მამაშენს უთქვამს — შვილებს შევურიგდები, ბაბუას არაო... სიგიჟე კი არა — სიკვდილი მინდა, პატარავ... თუ არ მოდის, ძალით მოვიყვან, ტანჯულ სულს ეშმაკს კი არა, შენ შემოგწირავ, თაია... შემინდე, ღმერთო...“ — და მოქაჩა მარყუჟი... გველივით დაგრეხილმა თოკმა ისმინა მისი ვედრება...

ცოცხალი ლეგენდა იყო დაიაურებშიო, — სინანულით ჩურჩულებდნენ ახლობლები.

წავიდა უდანაშაულო დამნაშავე „ბიძაის ქალთან“ საბაასოდ. განერიდა მუხთალ წუთისოფელს.

„მამაშენმა შვიდი წელი მაწამა... არადა, მისი ერთი თბილი სიტყვა, უკვდავების წამალი იქნებოდა ჩემთვის. რატომ თავიდანვე არ მიხსნა ამ ტანჯვისაგან? რატომ არ მესროლა ტყვია? — ეტყვის ტანჯული მამაჩემი ამდენი ხნის მონატრებულ თაიას. ისიც სიხარულით ჩამოეკიდება კისერზე“, — გვწერს თამარ დაიაური და შესთხოვს ადამიანებს, იმ უმანკო გოგონასავით შეძლონ პატიება, მიუტევონ ერთმანეთს... ■

გზა არაქისის გამყიდველიდან მულტიმილიონერამდე

ვინც პროფესიონალურ კრივში მიმდინარე პროცესებს ადევნებს თვალყურს, არ შეიძლება, რომ არ სმენოდა ყველაზე ავტორიტეტული პრომოუთერის, დონ კინგის შესახებ. საკრივო სამყაროში თავისი მოღვაწეობის მანძილზე, ამ თმაბურძგნილმა კაცმა არაერთი დიდი ორთაბრძოლის ორგანიზება შეძლო, ამით საქვეყნოდ გაითქვა სახელი და მილიონებიც იშოვა. გარდა ფულის კეთების დიდი ნიჭისა, დონ კინგი თავისი უცნაურობებითაც გამოირჩევა, რაც ცხადია, მისი პერსონისადმი ინტერესს კიდევ უფრო ამძაფრებს.

ამას წინათ, დონ კინგმა სანაძლეო დადო და წაგების შემთხვევაში, თავის ექსტრავაგანტულ ვარცხნილობას უნდა გამოსთხოვებოდა. ცხადია, სანაძლეო კრივს შეეხებოდა. თუ ჯონ სუისი რინგზე როი ჯონსს სძლევდა, სახელოვანი პრომოუთერი გარეგნულ იმიჯს შეიცვლიდა, თუმცა ორთაბრძოლაში ჯონსმა იმარჯვა და კინგმაც თავისი „ელექტროშოკის“ სახელით ცნობილი ვარცხნილობა შეინარჩუნა, რომელსაც იგი თურმე როზეტში თითების შეყოფით ყოველ დილით გულმდგინედ იყენებს.

აი, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ლეგენდა დონ კინგის შესახებ: ახალგაზრდობაში მომავალი საკრივო პრომოუთერისთვის კლივლენდში ცნობილ განგსტერს თორმეტტყვიანი რევოლვერიდან უსვრია, თანაც იარაღის მჭიდი დაუცლია. თავდამსხმელი მიბრჯნით ისროდა, თუმცა კინგი სიკვდილს, მაინც გადაურჩა, ხოლო განგსტერი ამის შემდეგ, უცაბედად, უცნობი სენისგან გარდაცვლილა. საერთოდ, რამდენიმე ათეული წლის წინ, კინგის მყუდროების დამრღვევნი ძალიან ხშირად იღუპებოდნენ. შემთხვევითი ხომ არ არის ის, რომ დიდ საკრივო პრომოუთერზე გადაღებულ ფილმს „მხოლოდ ამერიკაში: დონ კინგის ცხოვრება და დანაშაული“ ჰქვია. ამბობენ, რომ კინგს თავისი დანაშაულისთვის ათჯერ მაინც ეკუთვნოდა სამუდამოდ თავისუფლების აღკვეთა. იმასაც ამბობენ, რომ, ექსტრავაგანტური პრომოუთერი პატიოსანი გზით ფულს უკანასკნელად ბავშვობაში შოულობდა, როდესაც თავისი დიდი ოჯახისათვის ხელის შესაშველებლად შემწვარ არაქისს ყიდდა. სხვათა შორის, პატარა დონი ეურისტობაზე ოცნებობდა და იმედი ჰქონდა, რომ ოდესმე მოსამართლის მანტიას მოირგებდა, თუმცა სწავლისთვის ფული იყო საჭირო, კინგს კი, იმდენიც არ გააჩნდა, რომ საფინანსო კოლეჯი დაემთავრებინა. მიუხედავად ამისა, ყველა, ვინც კი პრომოუთერს იცნობს, აღნიშნავს, რომ იგი საკმაოდ ერუდირებული პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებს (რა თქმა უნდა, მაშინ, როდესაც ეს თავად სურს), უყვარს ციტატების მოყვანა შექსპირის შემოქმედებიდან და შესანიშნავად იცნობს ევროპელი ფილოსოფოსების ნაშრომებს. როდის მოასწრო პრომოუთერმა ასეთი განათლების მიღება?

დონ კინგს უნივერსიტეტის მგივრობა ციხემ გაუწია, სადაც იგი წვრილმანი თაღლითობისა და მაქინაციებისთვის აღმოჩნდა. მთავარი კი ის გახლდათ, რომ მომავალი პრომოუთერი ციხიდან სულ სხვა ადამიანი გამოვიდა. სწორედ იქ დაუწყია დონს შექსპირის კითხვა და იქ უნახავს პირველად ტელევიზორში მუჰამედ ალის ორთაბრძოლა. „ევრიკა! რისთვის უნდა ვდიო თუნდაც ასეულობით დოლარს, როდესაც შესაძლებელია, რომ ერთბაშად მილიონი ჩავიჯიბო. თანაც, ყველა პოლიციელი სალამს მომცემს და ავტოგრაფს ჩამომართმევს!“ — უფიქრია დონს, რომელსაც ინტუიციამ მართლაც არ უღალატა. შემდგომში მან მხოლოდ მაიკ ტაისონს 140 მილიონი დოლარი დასტყუა. მუჰამედ ალიდან დაწყებული და ფელიქს ტრინიდადით დამთავრებული — ყველას, ვისაც პრომოუთერი მეურვეობდა, ამ უკანასკნელისათვის ანგარიშის გასწორება რომ გადაწყვიტა, ალბათ დონ კინგისგან აღარფერი დარჩებოდა. თუმცა, საკრივო სამყაროში ყველაზე დიდ თაღლითზე შურისძიება ერთმა მოკრივემ მაინც გაბედა. ეს „ერთი“ კი, აბა სხვა ვინ უნდა ყოფილიყო, თუ არა დონ კინგივით უტიფარი და მოუთვინიერებელი „რკინის მაიკი“, რომელმაც ერთხელ დიდ პრომოუთერს გვარიანად უთავაზა... ეს იყო და ეს. დონ კინგმა ტაისონის დარტყმა ადვილად გადაიტანა, რაც არც იყო გასაკვირი, მას ხომ ახალგაზრდობაში არაერთხელ, უფრო დიდი განსაცდელისათვის დაუღწევია თავი. სხვათა შორის, რომ არა გაიძვერა, თაღლითი და ქურდი დონ კინგი, დღეს საქვეყნოდ ცნობილ მოკრივეებს ასეთი დიდი ჰონორარები ნამდვილად არ ექნებოდათ (თუმცა, ამ ჰონორარების თითქმის ნახევარი თავად პრომოუთერის ჯიბეში მიდის). „ყველას მოგწონთ ჩემი შავი უკანალი, იმიტომ, რომ მე თქვენ გართობთ“, — მოურიდებლად აცხადებს კინგი, რომელიც პროფესიონალური კრივის სამყაროს „უმსგავსობას“ უწოდებს და თანაც დასძენს, რომ თავად არის ერთ-ერთი მამამთავარი იმ უმსგავსობისა, რასაც რინგსა და რინგის გარეთ აქვს ადგილი.

დონ კინგი დიდებულთა წვეულებაზე ხშირად, ფერადი შორტებითა და გახუნებული მაისურით მისულა. პრომოუთერის ნაცნობები ერთხმად აღნიშნავენ იმასაც, რომ საკრივო სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი საპირფარეშოდან გამოსვლისას არასოდეს იბანს ხელებს, რასაც არც თავად დონი უარყოფს. მისი აზრით, ხელების დაბანა უბრალოდ, სულელური ჩვევაა და სხვა არაფერი. „მე მხოლოდ იმისთვის ვიბან ხელებს, რათა საკუთარ სასქესო ასოს შევეხო“, — ასე ხსნის თავის არაჰიგიენურობას დონ კინგი. ასე რომ, ცნობილი პრომოუთერისათვის საპონი არაფერს წარმოადგენს, სამაგიეროდ იგი ჭკუას კარგავს ძვირფას ფეხსაცმელზე. ერთხელ, ატლანტის უზარმაზარ ფეხსაცმლის მაღაზიაში სეირნობისას კინგს 110 წყვილი სულ რაღაც ორ საათში შეუძენია, რაშიც 64 ათასი დოლარი გადაუხდია. ამასთან, დონს ყოველ წყვილ ფეხსაცმელში საშუალოდ, ზედმეტი 500 დოლარი გადაუხდია, ხოლო ნიანგის ტყავისაგან შეკერილ წაღებში კი — 800 დოლარი.

აი, ასე ცხოვრობს მსოფლიოში ყველაზე ცნობილი საკრივო პრომოუთერი, რომელიც პროფესიონალურ რინგზე ისეთივე მნიშვნელოვანი ფიგურაა, როგორებიც მაიკ ტაისონი ან ლენოქს ლუისი.

■

ბელამი ჯვლავ თავის სტიქიაშია

„ნიუკასლის“ თავდამსხმელს, კრეიგ ბელამის ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს და 5 ათასი გირვანქა სტერლინგის გადახდაც დააკისრეს, ცოტა ხნის წინ „მიდლსბროსთან“ ჩატარებული მატჩის მსვლელობისას მსაჯის, ენდი დ'ურსოსადმი უცენზურო სიტყვებით მიმართვის გამო. ეს გადაწყვეტილება ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის დისციპლინარულმა კომიტეტმა მიიღო. თავიდან, ბელამისათვის სამმატჩიანი დისკვალიფიკაციის მისჯას აპირებდნენ, მაგრამ საქმეში ინგლისელ ფეხბურთელთა პროფკავშირის თავკაცი, მიკ მაგკი ჩაერია, რის შემდეგაც, ბილწსიტყვაობის მოყვარულ ფორვარდს სასჯელი შეუმსუბუქეს. სხვათა შორის, ბელამის, დისციპლინარული კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება 14 დღის განმავლობაში შეუძლია.

ენრიკემ და ოვერმარსმა ლამის ერთმანეთი მიტყიპეს

ამას წინათ, „ბარსელონის“ მიერ მოწყობილი ღია ვარჯიში კინაღამ დიდი სკანდალით დასრულდა. საქმე ის არის, რომ კატალონიურ კლუბში დიდი ხნის პარტნიორებმა, მარკ ოვერმარსმა და ლუის ენრიკემ ერთმანეთს ვერ გაუგეს და ურთიერთობის გარკვევას მუშტებით აპირებდნენ. მათ შორის შექმნილი დაძაბული ვითარება თანაგუნდელებმა განმუხტეს. ლუის ენრიკეს არ მოსწონებია ის, რომ ოვერმარსმა მას უხეშად აართვა ბურთი და ჰოლანდიელი ნახევარმცველისაკენ მუშტებმოღერებული გაქანებულა, მაგრამ „ბარსელონელ“ კოლეგებს მისთვის ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანის საშუალება აღარ მიუციათ. ცოტა ხნის შემდეგ კი, ჩხუბისთავებს ერთიმეორისათვის ბოდიშიც მოუხდიათ, მაგრამ ეს ინციდენტი მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა ყურადღების ცენტრში მაინც მოექცა.



ბექჰემი ყველაზე სექსუალური ალბიონელი მამაკაცია

„მანჩესტერ უნაიტედის“ ნახევარმცველმა, დევიდ ბექჰემმა კიდევ ერთი არასაფეხბურთო პრიზი მიიღო. დიდ ბრიტანეთში ჩატარებული სპეციალური გამოკითხვის შედეგების მიხედვით, დევიდი ნისლიანი ალბიონის ყველაზე სექსუალურ მკვიდრად დასახელდა. გამოკითხვის შედეგების გაცნობის შემდეგ, აღნიშნული პრემიის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები შოკში ჩაცვივდნენ. ინგლისის ნაკრების კაპიტანმა 29 ათასი ხმა მიიღო და ეს მაშინ, როდესაც სულ გამოკითხვაში 50 ათასი ადამიანი მონაწილეობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ბექჰემი არის სპორტული სამყაროს ერთადერთი წარმომადგენელი, რომელიც გამოკითხვის შედეგების მიხედვით შედგენილ რეიტინგს მოექცა სათავეში. მისი შემდგომი ადგილები კი, კინომსახიობებმა დაიკავეს. მეორე საპატიო ადგილზე 49 წლის „ჯეიმს ბონდი“ – ირლანდიელი მსახიობი პირს ბროსნანი გავიდა, ხოლო მესამეზე – 29 წლის უელსელი იოან გრაპფადი და 32 წლის შოტლანდიელი ევან მაკგრეგორი. პარალელურად მიმდინარეობდა გამოკითხვა „ყველაზე სასურველი მამაკაცის“ გამოსავლენად, რომელშიც ასევე „მანჩესტერელთა“ ნახევარმცველმა გაიმარჯვა. საპატიო პოზიციებზე აღმოჩნდნენ აგრეთვე მსახიობები ჯუდ ლოუ და ჰიუ გრანტი, აგრეთვე მომღერლები – რობი უილიამსი და კრეიგ დევიდი.

რუნიმ პოლიციის ყურადღება მიიპყრო

„ევერტონი“–„ლივერპულის“ შეხვედრის დროს, ინგლისური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავის, უეინ რუნის საქციელით დაინტერესდა მერსისაიდის საგრაფოს პოლიცია. მატჩის შემდეგ, „ევერტონის“ ფორვარდმა „ლივერპულის“ გულშემატკივართა მხარეს გამომწვევად გაადაფურთხა და მათ უცენზურო ჟესტებითაც მიაყენა შეურაცხყოფა, რაც იქვე მსხდომმა პოლიციელებმა საკუთარ თავზე მიიღეს და გადაწყვიტეს, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის პასუხიც მოეთხოვათ. წესრიგის დამცველთა მოხსენებაში ნათქვამია, რომ თავისი საქციელით რუნი გულშემატკივრებს უწესრიგობისაკენ უბიძგებდა. ამის გამო რუნი შეიძლება, საკმაოდ დიდი თანხით დააჯარიმონ. „ევერტონის“ ხელმძღვანელობამ კი, ამ სიტუაციაში კარგად გარკვევა განიზრახა. „თუ უეინი რამეში მართლაც დამნაშავეა, მაშინ ჩვენ თავად დავსჯით მას, – ნათქვამია კლუბის პრესატაშის, იან როსის განცხადებაში, – და ამისთვის პოლიციის დახმარება არ არის საჭირო. კლუბს მის საქციელში მიუღებელი არაფერი შეუნიშნავს და ამიტომ პოლიციის განცხადებას კომენტარს არ გაუკეთებს. ჩვენ წესრიგის დამცველთა წარმომადგენლებს შევხვდებით და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ყველაფერს გავარკვევთ“.

ᲕᲔᲚᲣᲠᲘ ᲕᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲢᲧᲐᲕᲘᲡ ᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

საფეხბურთო გულშემატკივრების არასპორტული საქციელი ამა თუ იმ ქვეყანაში, უეფასა და ფიფას ხელმძღვანელობისათვის ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად იქცა. ცოტა ხნის წინ, ქომაგთა უმსგავსო ქმედების მსხვერპლი ქართული ფეხბურთიც გახდა და შეიძლებოდა, საქართველო-რუსეთის მატჩი ცარიელ სტადიონზეც კი ჩატარებულიყო, თუმცა ჩვენდა საბედნიეროდ, ამ შეხვედრამდე რამდენიმე დღით ადრე, უეფამ შეცვალა თავისი მკაცრი გადაწყვეტილება და თბილისელ ქომაგებს თამაშზე დასწრებისა და საქართველოს ეროვნული ნაკრებისათვის მხარდაჭერის უფლება მისცა. ცნობილია, რომ გაცილებით დიდი აგრესიულობით გამოირჩევიან წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების გულშემატკივრები. საკმარისია გავიხსენოთ ის, თუ რა ხდება ხოლმე „ბარსელონისა“ და „რეალის“ შეხვედრისას, რომ აღარაფერი ვთქვათ ბრიტანელ ფანებზე, რომელთა საქციელიც ყოველგვარ ზღვარს სცილდება, თუმცა ეს ყველაფერი ახლოსაც ვერ მივა იმ კატასტროფულ ვითარებასთან, რაც სამხრეთ ამერიკის ქვეყნებშია შექმნილი. ამ მხრივ კი, განსაკუთრებით არგენტინა გამოირჩევა, სადაც საფეხბურთო ქომაგთა სისხლიანი შეტაკებები თავისი სისასტიკით თანდათან ემსგავსება გასული საუკუნის 20-30-იან წლებში აშშ-ის ქუჩებში განგსტერულ დაჯგუფებებს შორის არსებულ დაპირისპირებას.

ტრაგედიის მოახლოება შეიძლება წინასწარ შეიგრძნო, მაგრამ იმის გამოცნობა კი ძნელია, თუ სად და როდის მოიმკის კიდევ ერთხელ „სისხლიან მოსავალს“ ადამიანთა სულებში ჩასახლებული სისასტიკე და კაცთმოძულეობა. დიდი ტრაგედია დატრიალდა ამას წინათ არგენტინაში, სადაც სხვადასხვა ქალაქში მატჩებზე დასასწრებად მიემგზავრებოდა ფეხბურთის ქომაგთა ორი ჯგუფი, რომელთა შორის ტრასაზე მომხდარმა შეტაკებამ ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რამდენიმე ასეული კი, დაშავდა. დედაქალაქური „რივერპლეიტის“ ფანები რვა ავტობუსით „კლაუსურის“ (არგენტინის ჩემპიონატის ორი ნაწილიდან ერთ-ერთი) მორიგ მატჩზე დასასწრებად როსარიოსაკენ მიემგზავრებოდნენ, ხოლო მათი მეზობლები ერთ-ერთი გარეუბნიდან, რომლებიც უპირატესობას „ნიუელზ ოლდ ბოიზს“ ანიჭებდნენ, ბუენოს-აირესისაკენ ექვსი ავტობუსით მიიჩქაროდნენ, სადაც მათი საყვარელი გუნდი „ბოკა ხუნიორსს“ უნდა შეხვედროდა. „ეს სიტუაცია საშინელი იყო, რომელიც აუცილებლად სიკვდილით დასრულდებოდა“, — ამოიოხრებს ტრასაზე დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ პოლიციის ინსპექტორი, გრამსუგორი, რომელიც ორი გუნდის საფეხბურთო ქომაგთა კოლონების დანახვისთანავე მიხვდა, რომ ტრაგედია გარდაუვალი იყო, რადგან ისინი გზაზე ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ.

თუ ევროპაში საფეხბურთო ექსტრემისტებს ხელში ბეისბოლის კეტები, დანები და ჯაჭვები უჭირავთ, მათი არგენტინელი კოლეგები უპირატესობას ცეცხლსასროლ იარაღს ანიჭებენ. როგორც კი „რივერ პლეიტისა“ და „ნიუელზ ოლდ ბოიზის“ ფანები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ, მაშინვე მოიმარჯვეს ხელში სხვადასხვა კალიბრის პისტოლეტები და ერთმანეთს სროლა აუტეხეს, თანაც მოწინააღმდეგის „პოზიციების“ დასაზიანებლად ქვებსა და სხვა საგნებსაც იშველიებდნენ. ამ დაპირისპირების შედეგად ორი გულშემატკივარი დაიღუპა, უამრავი კი, დასახიჩრდა. პოლიციამ ასეულობით შფოთისთავი დააპატიმრა.

მიმდინარე საფეხბურთო სეზონის დასაწყისში, არგენტინის ხელისუფლება გულშემატკივართა გადაჭარბებული აგრესიულობის გამო, ჩემპიონატის ჩატარების აკრძალვასაც აპირებდა. მაშინ რამდენიმე ქალაქში მომხდარი შეხლა-შემოხლის შემდეგ ერთდროულად ოთხი ადამიანი დაიღუპა, არაერთი მატჩი კი, იმიტომ შეწყდა, რომ გონებადაბინდული ფანების ბრბო სათამაშო მინდორზე შეჭრას ცდილობდა. ნოემბერში, იერიში მიიტანეს ბოლივიური კლუბის, „ბოლივარის“ ავტობუსზე, რომელიც ლა-პლატასაკენ ბუენოს-აირესის გავლით მიემართებოდა, რის გამოც მინის ნამსხვრევებისაგან მძიმედ დაშავდა გუნდის მეკარე. დეკემბერში, „ინდეპენდიანტეს“ ქომაგი, რომელიც თავისი გუნდის გამარჯვებას ზეიმობდა, „ბოკა ხუნიორსის“ ფანმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა, რომელიც მალევე დააპატიმრეს.

აღსანიშნავია ის, რომ არანაკლებ მძიმე ვითარებაა შექმნილი კოლუმბიაშიც, სადაც ორიოდე კვირის წინ, ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ფრანსისკო მატურანას 53 წლის ძმა, ფერნანდო მატურანა მისსავე სახლთან ღამით დახვრიტეს. როდესაც ფერნანდო მატურანა მანქანიდან გადმოდიოდა, მასთან უცნობმა პირმა მიირბინა და თავის არეში ესროლა, რის შემდეგაც დაზარალებული გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. ცხადია, ამ ტრაგედიამ შეძრა გარდაცვლილის ძმა, ფრანსისკო, რომელიც თავისი ქვეყნის დატოვებას და სამწვრთნელო საქმიანობის საზღვარგარეთ გაგრძელებას აპირებს, მით უმეტეს, რომ მასაც არაერთხელ დამუქრებიან.

სისხლიანი შეტაკებები უცხო არც ჩვენი კონტინენტისთვისაა. მაგალითად, ამას წინათ, ტრაგედია დატრიალდა პოლონეთში. პოლიციელთა თქმით, ვროცლავში ადგილობრივი „შლენსკისა“ და გდინიას „არკას“ ქომაგები ერთმანეთში სპეციალურად შეთანხმებულან იმის შესახებ, რომ აღნიშნული გუნდების შეხვედრის შემდეგ, ურთიერთობები გაერკვიათ. შეხლა-შემოხლა სტადიონიდან ერთი კილომეტრის მოშორებით დაწყებულა. როდესაც შემთხვევის ადგილზე პოლიციელები მივიდნენ, ფანებმა მათ ჯოხებით, ქვებითა და დანებით შეუტიეს, თუმცა წესრიგის დამცველებს მალე დამხმარე რაზმიც შეუერთდა და ხულიგნები ალყაში მოაქციეს, რის შემდეგაც, ორივე დაჯგუფება დაშალეს. შეტაკების შედეგადაც რამდენიმე ათეული კაცი დაიჭრა, მათ შორის სამი — მძიმედ. ამასთან, პოლიციამ 120 ჩხუბისთავი დააპატიმრა. წარსულში ცნობილმა რეფერიმ, ამჟამად კი პოლონეთის ეროვნული საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტმა, მიხალ ლისტკევიჩმა აღნიშნული ჩხუბის გამო დაადანაშაულა „ბანდიტები, რომლებიც თავს ფეხბურთის გულშემატკივრებად ასაღებენ, სინამდვილეში კი, ღუპავენ პოლონურ ფეხბურთსა და საერთოდ, სპორტს“. ლისტკევიჩის აზრით, ვროცლავის ინციდენტი პოლონეთში შექმნილი იმ საერთო სიტუაციის ანარეკლია, რომლის ერთ-ერთ დომინანტ ფაქტორად „გავლურება“ ქცეულა. ბოლო დროს, მსგავს მასობრივ შეტაკებას პოლონეთში 2001 წელს ჰქონდა ადგილი, რომელსაც ერთი ადამიანი დაიღუპა. „ჩვენ ვცხოვრობთ ქვეყანაში, სადაც კანონი უგულებელყოფილია და ღამით ქუჩაში გასვლა სახიფათოა“, — დასძენს ლისტკევიჩი, რომლის აზრიც, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოში შექმნილ ვითარებასაც სავსებით მიესადაგება. ■



**ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘ ᲓᲐᲘᲓᲝ ᲐᲠᲛᲡᲢᲠᲝᲜᲒᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ, ᲡᲣᲚ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲐᲡ ᲘᲮᲕᲔᲭᲡ. 1999 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲓᲔᲑᲘᲣᲢᲝ ᲐᲚᲑᲝᲛᲘ — No Angel — ᲑᲝᲚᲝ 40 ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ „ᲑᲘᲚᲑᲝᲠᲓᲘᲡ“ ᲩᲐᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲗᲔᲣᲚᲨᲘ (ᲐᲛ ᲩᲐᲠᲢᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲓᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ 200 ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲓᲘᲡᲙᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲙᲔᲗ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ).

ᲐᲮᲐᲚ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲔᲛᲘᲜᲔᲛᲛᲐ „ᲓᲐᲐᲜᲐᲗᲚᲐ“

დაიდო არმსტრონგი 1971 წლის 25 დეკემბერს ლონდონში დაიბადა. გოგონას მშობლებმა ევროპელთათვის საკმაოდ უცნაური ჟღერადობის სახელი – Dido დაარქვეს; თუმცაღა, არმსტრონგი ისტორიკოსთათვის კარგად ნაცნობი, ტრაგიკული ბედის მქონე, კართაგენელი დედოფლის სეხნია გახლავთ. დაიდოს დედა ლიტერატურული რედაქციის აგენტად მუშაობდა, აგრეთვე გატაცებული იყო პოეზიით და თავადაც წერდა ლექსებს. ალბათ სწორედ ამან განაპირობა ის დიდი სიყვარული ლიტერატურისადმი, რომელიც გოგონას ბავშვობიდან ჰქონდა. მას არ იზიდავდა თანატოლებთან თამაში, ტელევიზორის ყურება და მხიარული წვეულებები. პატარა დაიდო გამუდმებით შინ იჯდა და წიგნებს კითხულობდა. ლიტერატურის გარდა, დაიდოს კიდევ ერთი გატაცება ჰქონდა – ეს იყო მუსიკა, რომლის სიყვარულიც გოგონას, ძმამ – როლომ ჩაუნერგა (მოგვიანებით, როლომ ჩამოაყალიბა ინგლისური ტრიპ-ჰოპ ჯგუფი – „ფეითლესი“). ექვსი წლის დაიდო მშობლებმა გილდ-ჰოლდის მუსიკალურ სკოლაში მიაბარეს. დის მიერ ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე შესრულებულ ნაწარმოებებს, როლო გამუდმებით მაგნიტოფონზე იწერდა. სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრით გატაცებულმა დაიდომ მალე ჯაზიც შეიყვარა. მუსიკით გატაცების მიუხედავად, დაიდოს პოპ-ვარსკლავის კარიერაზე არასოდეს უოცნებია. 17 წლისამ, იურისტობა გადაწყვიტა და მუსიკასთან განშორება დააპირა. მან ლონდონის ერთ-ერთ ფირმაში დაიწყო მუშაობა, საღამოობით კი, იურისპრუდენციის შესწავლას მიჰყო ხელი. დროდადრო, იგი იმ ხმის ჩამწერ სტუდიასაც სტუმრობდა, სადაც როლო თავის ჯგუფ „ფეითლესთან“ ერთად პირველ ალბომზე მუშაობდა.

თავდაპირველად, დაიდო ჯგუფის წევრებს ჩაითა და ყავით უმასპინძლდებოდა, მაგრამ მალე, მასში მუსიკისაკენ ლტოლვამ კვლავ იჩინა თავი. იმხანად, დაიდომ პირველად მოისმინა ელა ფიცჯერალდის სიმღერები. ამან იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჯაზის მოყვარულ გოგონაზე, რომ მომღერლობა გადაწყვიტა. მიუხედავად იმისა, რომ დაიდო პატარაობიდანვე ეუფლებოდა მუსიკას, ვოკალის სფერო მისთვის სრულიად უცხო იყო. მან ძმის ჯგუფში სიმღერა განიზრახა. მიუხედავად იმისა, რომ დის ხმის ტემბრით როლო სულაც არ იყო აღფრთოვანებული, გოგონას ხელი არ აუღია განზრახვაზე და დღესა და ღამეს ასწორებდა ვოკალის ტექნიკის დასაუფლებლად. თავდაუზოგავმა შრომამ შედეგიც გამოიღო – მისი ვოკალური მონაცემები პირველად, სწორედ „ფეითლესთან“ ერთად ჩაწერილ ალბომში გამობრწყინდა. 1996 წელს ბრიტანეთში გამოსული დისკის – Sunday8pm – ხუთი მლნ ეგზემპლარი გაიყიდა. დაიდო კვლავ ფირმაში მუშაობდა, საღამოობით, იურიდიულ ლიტერატურას ეუფლებოდა და ჯგუფთან რეპეტიციებსაც ატარებდა, მაგრამ ასე გაგრძელება დიდხანს აღარ შეიძლებოდა. იმხანად, როლომ დას „ფეითლესთან“ ერთად, პირველ საგასტროლო ტურნეში მონაწილეობა შესთავაზა. გოგონა დათანხმდა და ჯგუფთან ერთად, ორი წლის განმავლობაში მოგზაურობდა. ამ ხნის მანძილზე მას საკმაოდ დიდი გამოცდილება დაუგროვდა.

სხვადასხვა ქალაქში გამოსვლის დროს, დაიდომ სიმღერების წერასაც მიჰყო ხელი; ამის შემდეგ კი, იმდენად დიდი სურვილი გაუჩნდა, დამოუკიდებლად ჩაეწერა CD-ზე საკუთარი სიმღერები, რომ ჯგუფი დატოვა. „არ მინდოდა ჯგუფიდან წასვლა, რადგან იქ თავს ისე ვგრძნობდი, როგორც საკუთარ ოჯახში, მაგრამ ამასთანავე,



ჩემი სიმღერების ალბომის შექმნის სურვილიც არ მაძლევდა მოსვენებას“, – ამბობს არმსტრონგი. ერთ-ერთი სოლო გამოსვლის დროს, მომღერალი კლივ დევისმა შეამჩნია, იგი დაეხმარა დაიდოს დამოუკიდებელი კარიერის შექმნაში და როცა კომპაქტ-დისკი პრაქტიკულად მზად იყო, ცნობილ ხმის ჩამწერ კომპანია – „არისტა რეკორდსთან“ კონტრაქტის გაფორმება გარდაუვალი გახდა. ამის შესახებ მომღერალი იხსენებდა: „შოუბიზნესის სფეროში უამრავი ახალი ადამიანი გავიცანი, მათ საზეიმო ვახშამი გამართეს და კომპანიის წარმომადგენელმა ჩეკიც გადმომცა. როცა შინ დავბრუნდი, იმდენად დათრგუნვილი ვიყავი, რომ რამდენიმე დღის განმავლობაში, სახლიდან არ გამოვდიოდი, რადგან განვიცდიდი, რომ საკუთარი მუსიკა ჩემთვის სრულიად უცხო ადამიანებს ჩავუგდე ხელში. თავს საშინლად ვგრძნობდი; ჩეკი კი, რომელიც იქვე, მაგიდაზე იდო, ჩემში გაურკვეველი მომავლის შიშს კიდევ უფრო აძლიერებდა“.

„თავიდან, იმის გასარკვევად, თუ როგორ წარიმართებოდა ჩემი ალბომის საქმე აშშ-ში, გადავწყვიტე, ექვსი თვე იქ გამეტარებინა“, – იხსენებს ახალი ვარსკვლავი. საბოლოოდ, ნახევარი წლის ნაცვლად, მომღერალმა აშშ-ში 18 თვე დაყო, მთელი ეს დრო კი, გასტროლებსა და პრომოუშენს მიუძღვნა. დაიდოს სადებიუტო ალბომი – „ნოუ ენჯელი“ – აშშ-ში 1999 წლის ივნისში გამოვიდა; მასში 12 სიმღერაა შესული, რომლის ჩაწერაშიც როლოც მონაწილეობდა. სხვათა შორის, ამ ალბომის პროდიუსერები თავად დაიდო და მისი ძმა იყვნენ. ალბომმა უკვე ორჯერ მოიპოვა პლატინის დისკი და დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს ატლანტის ოკეანის ორივე მხარეს. ალბომის ცალკეულ ჰიტს განსაკუთრებული პატივი ხვდა წილად: სიმღერა – Thank you-მ უდიდესი პოპულარობა მოუტანა მომღერალს, შემდეგ კი იგი კინობესტსელერის – „გასაძრომი კარის“ საუნდთრეკად გამოიყენეს, სადაც მთავარ როლს ჰოლივუდის ვარსკვლავი, გვინეტ პელტროუ ასრულებდა. მეორე სინგლი – Here With Me, ამერიკული კინოსერიალის – Roswell-ის სატიტულო სიმღერად იქცა; მაგრამ პირველი ნამდვილი ჰიტი დაიდოსათვის, ემინემის მიერ შეთავაზებული პროექტი – „სთანი“ გახდა. ამ ჰიტში ემინემმა მომღერალს სიმღერის – Thank you-ის მასთან ერთად შესრულება შესთავაზა. „სთანმა“ გამოსვლიდან რამდენიმე დღეში, აშშ-ის ჰიტ-აღლუმებში სასწაული მოახდინა... „მე ძალიან მომწონს „სთანი“, – ამბობს დაიდო, – რადგან Thank you ჩემი ალბომიდან განსაკუთრებულად მიყვარს“. ამ სიმღერით, დაიდომ და ემინემმა სცადეს, ეჩვენებინათ მსოფლიოსთვის, თუ რა ხდება სინამდვილეში ჩვენ ირგვლივ – რა სასტიკია ჩვენი სამყარო.



მოგვიანებით, ემინემმა არმსტრონგი თავის სხვა პროექტებშიც ჩართო და ამით უფრო მეტად შეუწყო ხელი მისი პოპულარობის ზრდას.

თუ სტატისტიკურ მონაცემებს ვენდობით, ბრიტანელ შემსრულებლებს ამერიკულ ჩარტებში ადგილის დამკვიდრება ისე არასოდეს გასჭირვებიათ, როგორც დღეს. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, დაიდო მსგავსი პრობლემის წინაშე არ დამდგარა; მისი სადებიუტო ალბომის გამოსვლიდან დღემდე, შტატებში 2 მლნ-ზე მეტი ეგზემპლარია გაყიდული. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეს ალბათ პირველი შემთხვევაა, როცა ამერიკულ ჩარტებში ადგილი დაიმკვიდრა ისეთმა შემსრულებელმა, რომელსაც ბრიტანეთში ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული დიდი პოპულარობა.

„უბრალოდ დაუჯერებელი იყო, რომ როცა ინგლისში დავბრუნდი, მიუხედავად აშშ-ში მოპოვებული უდიდესი აღიარებისა, ჩემს სამშობლოში წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ „ნოუ ენჯელის“ შესახებ; ალბათ იმიტომ, რომ ეს დისკი ინგლისში ჯერ კიდევ არ იყო გამოსული“, – ამბობს მომღერალი. თუმცაღა, ამ ფაქტის ახსნა ძალზედ მარტივად შეიძლება: ინგლისში მისი ალბომის გამოშვება, კვლავ კომპანია „არისტა რეკორდსმა“ იკისრა. კონტრაქტის შედგენა საკმაოდ გაჭიანურდა და დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებში ალბომი მხოლოდ შარშან შემოდგომაზე გამოვიდა. დღეისათვის ევროპაში „ნოუ ენჯელის“ თითქმის მილიონი ეგზემპლარია გაყიდული და ევროპის არაერთი ქვეყნის ჰიტ-აღლუმებს შორის სწორედ იგი ლიდერობს. ■

დაგვიანებული ჩეისი მისკოვი-თბილისი

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-17

დეა ავალიანი მკვლელობისთვის გასამართლებული ძმის — თემურის სანახავად კოლონიას ესტუმრება. მათ მძიმედ დაავადებული დედა ჰყავთ. გაჭირვებული მდგომარეობიდან ოჯახის გამოსაყვანად, კერძო სახლში მცხოვრები დედა-შვილი მეორე სართულის დაგირავებას აპირებს. პაემნის დროს, დეა კანონიერ ქურდს — გიგოლას ნახავს. იმავე საღამოს, რესტორანში დეას მდგმური ლონდა მას ახალგაზრდა კაცს — გურამს გააცნობს. წვეულებისას, დეას გასაოცრად მოქეიფეებს შორის გიგოლაცაა...

რესტორნიდან გურამთან ერთად წამოსული დეა, გურამის დაჟინებული თხოვნით, მას შინ ესტუმრება. დეათი მოხიბლული გურამი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ მეორე დღეს საქართველოდან კარგა ხნით მიდის...

დეა შეესწრება თანაკურსელის — კახა ჯღარკავას კამათს ბიჭთან, რომელშიც თავისი ძმის თანაკლასელს — გიორგი აბრამიძეს იცნობს... შინ დაბრუნებულ დეას, გურამის მიერ დატოვებული გიტარა და კონვერტი დახვდება. კონვერტში ფული, ძეწკვი და ბარათი დევს, სადაც გერმანიაში წასული გურამი სთხოვს — ჩემს ჩამოსვლას დაელოდეო... მოგვიანებით, ლონდა თავის საყვარელთან, კაკოსთან და გიგოლასთან ერთად მოდის. გიგოლა დეას დედამისის ავადმყოფობის ამბავს გამოჰკითხავს და კარგი ექიმით დახმარებასაც დაჰპირდება, თან ფულსაც გადასცემს და დაჟინებით სთხოვს — უარს ნუ მაკადრებო...

მეორე დღეს, რედაქციაში მისულ დეას, რომელიც სწავლის პარალელურად გაზეთშიც მუშაობს, თანაკურსელი გოგონა საშინელ ამბავს შეატყობინებს: კახა ჯღარკავამ უნივერსიტეტთან ვიღაც ბიჭი მოკლაო... თანაკურსელი ანა სთხოვს დეას, კახას საწინააღმდეგო ჩვენება არ მისცეო. დეაც აღშფოთებულია ამით; დაქალის ვედრების მიუხედავად, დეკანსა და სტუდენტების დასაკითხად მოსულ გამომძიებელს (რომელიც თურმე დეას ძმის საქმესაც იძიებდა...) ის მაინც ეტყვის ყველაფერს, რისი მომსწრეც იყო: კახასა და გიორგის კონფლიქტი მთლიანად კახას კისერზე იყოო. შინ დაბრუნებულ დეას, მალე, კახას მამა — პარლამენტარი გიზო ჯღარკავა ეწვევა...

გიზო ჯღარკავამ ერთი ღრმად ამოიოხრა და დაიწყო:

— დეა, შვილო, გამარჯობა... შეიძლება, შემოვიდე?

— დ-დ-იახ... მობრძანდით... — ძლივსღა ამოღერღა დაბნეულმა დეამ.

— ალბათ თინიკოც წუთი-წუთზე მოვა, დაიჟინა — ელენე უნდა ვნახოო და... ხომ შეიძლება? — ახლა საკუთარი მეუღლეც სასწრაფოდ ასტუმრა გიზომ ავალიანების ოჯახს.

— რა თქმა უნდა... მობრძანდეს... მობრძანდით... — განაგრძო დეამ სტუმრის შეპატიჟება.

დეა გიზოს სასტუმრო ოთახში შეუძღვა და მაგიდასთან მიდგმული სკამი ხმაურით გამოსწია:

— დაბრძანდით, ბატონო გიზო.

გიზო სკამზე მოწყვეტით დაეშვა და კიდევ ერთხელ ამოიოხრა:

— გიზო ბიძია დამიძახე... ბავშვობაში როგორც მეძახდი...

— რა ვიცი... — უხერხულად შეიშმუშნა დეა. — ჩემმა ბავშვობამ კარგა ხანია, რაც ჩაიარა, თქვენ კი უკვე იმდენად ცნობილი ადამიანი გახდით, რომ...

— ვინც არ უნდა გავხდე, შენთვის, მაინც, ყოველთვის გიზო ბიძია ვიქნები, — დასდო პატივი გიზომ დეას და ის იყო, კიდევ რაღაც უნდა ეთქვა, რომ სიტყვა ელენეს ძახილმა გააწყვეტინა:

— დეა, შვილო, ვინ მოვიდა?

— ბატონი გიზო... გიზო ბიძია გვესტუმრა... კახას მამა... — ნაწყვეტ-ნაწყვეტ უპასუხა დეამ.

— ვი-ინ? — ხმაში შიში ჩაუდგა ელენეს. — მოდი აქ და წესიერად გამაგებინე ყველაფერი!

— დაბრძანდით, დედას დავხედავ და ახლავე მოვალ, — სკამზე კიდევ ერთხელ ანიშნა პარლამენტარს დეამ და სასწრაფოდ საძინებელში გავიდა.

— რა უნდა? რას გვერჩის?.. ეგ აქ კარგი საქმისთვის არ მოვიდოდა... — ციებიანივით ცახცახებდა ლოგინში წამომჯდარი ელენე და შვილს დამფრთხალი შესცქეროდა.

— დაწყნარდი, დედა, რა მოგვივიდა?.. ფერი აღარ გადევს... გულს წინასწარ რას იხეთქავ?.. დაველაპარაკები და გავიგებ, რა უნდა... — დამშვიდება დაუწყო მას დეამ, თუმცა, ხელების კანკალს თავადაც ვეღარაფრით იჩერებდა.

აკანკალებული შვილის დანახვაზე ელენე სასწრაფოდ გონს მოეგო:

— მიდი, ერთი, კარადიდან ჟაკეტი გამომიღე და მომახვიე! — თითქმის უბრძანა მან დეას.

— ჟაკეტი რაღად გინდა?

— სასეირნოდ უნდა წავიდე...

— კარგი, რა, დედა, რა დროს ხუმრობაა? — იწყინა დეამ.

— აბა რა კითხვებს მისვამ? ჟაკეტი მომახვიე და ეგ ვაჟბატონი აქ შემომიყვანე, მე თვითონ გავარკვევ ყველაფერს.

— არა, მე მარტო დაველაპარაკები, — არ დაუთმო დეამ. — შენთვის ზედმეტი ნერვიულობა არ შეიძლება.

— მართლა?.. რას მეუბნები?.. შენ რომ გიზო მამაძაღლის ხახაში მარტო დაგიგულებ, მე აქ მხარ-თეძოზე არხეინად წამოვწვები და სულ არ ვინერვიულებ, ხომ?.. — შეთქმულივით ჩურჩულზე გადავიდა ელენე. — მომიტანე ეგ საოხრე ჟაკეტი-მეთქი!

ნირწამხდარმა დეამ კარადიდან ჟაკეტი უხმოდ გამოიღო, დედას მხრებზე მზრუნველად მოახვია, გულთან რამდენიმე ღილით გულმოდგინედ შეუკრა, შემდეგ ოთახიდან გავიდა და წუთში, ბავშვივით მობუზული გიზო ჯღარკავა თავზე დააყენა.

— გამარჯობა, ელენე, როგორა ხარ?.. — შეპარვით დაიწყო გიზომ და დეას მოტანილი სკამის კიდეზე მორიდებით ჩამოჯდა, თან, გამეხებული ქალისთვის თვალი წამითაც არ მოუშორებია.

— გმადლობ, არა მიშავს... თავად როგორ გიკითხო? — რამდენადაც შეეძლო, მშვიდად დაუბრუნა კითხვა ელენემ.

— აბა, მე რაღა საკითხავი ვარ?!. ერთადერთი შვილის უბედურების შემხედვარეს, საკუთარი თავი საერთოდ აღარ მახსოვს... — თავი უმწეოდ ჩაქინდრა გიზომ.

— უბედურება, მართლაც, დიდი მოხდა... — დაიწყო ელენემ, მაგრამ გიზომ აღარ აცალა:

— მეც მაგას არ ვამბობ?!. სულ აიწყვიტეს ამ შობელძაღლებმა!.. წელებზე ფეხს ვიდგამთ მაგათი გულისთვის, მაგრამ ვინ გიფასებს?!. ერთადერთი შვილი მყავს-მეთქი და ჩიტის რძესაც არ ვაკლებდი, ამან კიდე...

— თამარ აბრამიძესაც ერთადერთი შვილი ჰყავდა... — ახლა ელენემ აღარ მისცა სიტყვის დამთავრების საშუალება ენად გაკრეფილ გიზოს.

— ეგ ვინღაა? — გულუბრყვილოდ იკითხა გიზომ.

— გიორგი აბრამიძის უბედური დედა.

— ა-ა-ა... ჰო-ო-ო... თამარ აბრამიძე როგორ არ ვიცი?!. უბრალოდ, უბედურებისგან სულ გამოვითიშე... — საქმის სასწრაფოდ გამოსწორება სცადა გიზომ და დეას გვერდულად გახედა: — დეა, შვილო, იქნებ, ცოტა ხანს მარტო დაგვტოვო, რაღაც მაქვს ელენესთვის სათქმელი...

— მე და დედაჩემს ერთმანეთისგან დაფარული არაფერი გვაქვს... — შეპასუხება სცადა დეამ, მაგრამ ელენემ გააწყვეტინა:

— გადი, შვილო, სამზარეულოში გადი... ამ ოჯახში სტუმარს ყოველთვის საგანგებოდ ხვდებოდნენ და ახლა ყავა მაინც მოუდუღე გიზო ბატონს...

გაღიზიანებულმა დეამ კიდევ რაღაცის თქმა დაპირა, მაგრამ ელენემ თვალები ბრაზიანად გადაუბრიალა და კარისკენ ანიშნა.

სამზარეულოში გასულმა დეამ ჯამჭურჭელს ისეთი რახარუხი აუტეხა, თითქოს, ფინჯან ყავას კი არ ადუღებდა, ერთდროულად სამ თავ კერძს მაინც ამზადებდა... ბოლოს, ქაფქაფა ყავით სავსე ფინჯანი ლამბაქზე გამეტებით დაახეთქა და ისევ საძინებლისკენ გამოქანდა, მაგრამ როგორც კი სტუმარს ყავა გაუწოდა, დედამ ისევ კარისკენ ანიშნა. სწორედ იმ დროს, შემოსასვლელ კარზეც ვიღაცამ დააკაკუნა.

— კარზეა ვიღაც, გახედე... — მშვიდად გადაულაპარაკა ელენემ ქალიშვილს.

საბოლოოდ გაცოფებული დეა კართან რამდენიმე ნაბიჯით გაჩნდა და კი არ გამოაღო, კინაღამ გამოგლიჯა...

ზღურბლზე საგანგებოდ მორთულ-მოკაზმული, კახა ჯღარკავას დედა იდგა და ყალბად იღიმებოდა:

— დეიკო, ჩემო გოგონი, შემოგევლოს თინიკო დეიდა... — დაიწყო მან დეას დანახვისთანავე და სანამ ეს უკანასკნელი რამის თქმას მოასწრებდა, სასწრაფოდ გულშიც ჩაიკრა, ლოყა ლოყაზე მიაწება და ტუჩებით ჰაერში რაღაც კოცნისმაგვარი ხმაური გაიღო. უხვად ნაპკურები სუნამოს ზედმეტად მკვეთრმა სუნმა დეას ნესტოები აუწვა, ამიტომ, როგორც კი ქალმა ხელი უშვა, უკან ისე სწრაფად გადაქანდა, რომ კინაღამ წონასწორობა დაკარგა.

— გამარჯობათ, ქალბატონო თინიკო, მობრძანდით... — სასწრაფოდ გზა დაუთმო დეამ მოსულს.

— გიზო უკვე აქ არის, ხომ? — იკითხა თინიკომ, თუმცა, ამის უტყუარი დასტური — ჭიშკართან მდგარი, გიზო ჯღარკავას ახალთახალი მანქანა, მანამდე საგანგებო მზრუნველობითა და სიამაყითაც კი შეათვალიერა.

— დიახ, აქ არის, მობრძანდით, — ისევ გაუმეორა დეამ.

სასტუმრო ოთახში შესულმა თინიკომ ირგვლივ დაბნეულად მიმოიხედა:

— აკი, გიზო აქ არისო?..

— საძინებელშია. დედას ელაპარაკება, ახლავე დავუძახებ, — დაამშვიდა ქალი დეამ.

— არა, არა, იყოს... ილაპარაკონ... ჩვენ კი, ამასობაში, ცოტა წავიჭორაოთ...

— წავიჭორაოთ?.. — გაუკვირდა დეას. — რაზე?

— რაზე კი არა, ვისზე...

— ვერ გავიგე... მაინც, ვის გულისხმობთ? — კვლავ ჰკითხა დეამ.

— კარგი, რა, დეიკო, მართლა ნუ ბავშვობ... — ვითომ, დატუქსა თინიკომ. — ძალიან კარგად იცი, ვისაც ვგულისხმობ.

— ქალბატონო თინიკო, მე...

— უბრალოდ, თინიკო, — გააწყვეტინა თინიკომ, — მერე კი, როცა შენ და ჩემი კახუჩელა... მოკლედ, როცა ჩემი რძალი გახდები, ალბათ დედასაც დამიძახებ... იცოდე, ძალიან გამიხარდება.

— თქვენი რძალი?.. მე-ე? — თვალები ჭყიტა დეამ.

— ჰო, რა იყო?.. კახას რა, შენთვის სიყვარული ჯერ არ აუხსნია?

— არა. თუმცა, ერთი-ორჯერ რაღაც კი გადამიკრა, მაგრამ მე...

— დედა ენაცვალოს, ყოველთვის ეგეთი მორცხვი და მორიდებული მყავდა...

— კახა და მორიდებული?.. — ახლა კი მართლა გაოგნდა დეა. — ქალბატონო თინიკო...

— ხომ გთხოვე — უბრალოდ, თინიკო დამიძახე-მეთქი... — უკვე მერამდენედ არ აცალა დეას სიტყვის დამთავრება თინიკომ.

— კი, ბატონო, თინიკო იყოს... ქალ... თინიკო, თქვენ თქვენი შვილი ვინმეში ხომ არ გეშლებათ?..

— ვერ გავიგე, რას ამბობ? — დეას ირონიას უცბად, მართლაც ვერ მიუხვდა თინიკო. — მაინც, ვისში უნდა მეშლებოდეს?

— თუნდაც, იმ უდანაშაულო ბიჭში, კახამ რომ სიცოცხლე მოუსწრაფა...

ამ სიტყვების გამგონე თინიკომ შეღებილი წამწამები ჯერ თოჯინასავით დააფახულა, შემდეგ დეას ისე მიაშტერდა, თითქოს, პირველად ხედავსო და ავად წაისისინა:

— ჩემს შვილს არავინ მოუკლავს, გასაგებია შენთვის?! ა-რა-ვინ!

დეამ გაოგნებისგან პირი დააღო:

— აბა, გიორგი აბრამიძე ვინ მოკლა?

— ვინ და საკუთარმა სისულელემ! ერთი წუთითაც კი როგორ დაიჯერა, რომ პარლამენტარ გიზო ჯღარკავას შვილს „კურტკას“, როგორც უკანასკნელ გოიმს, ისე გახდიდა?!.

— როგორ?.. თქვენ ფიქრობთ, რომ...

— კი არ ვფიქრობ, ზუსტად ასე იყო! ჩემი შვილი მკვლელი არ არის და არც არასოდეს იქნება!

დეა მიხვდა, რომ ამ ქალთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. თანაც, უკვე იმასაც აშკარად გრძნობდა, რომ ცოტაც და ისე იფეთქებდა — მარტო თინიკო ჯღარკავას კი არა, მის ქმარსაც ყველაფერს პირში მიახლიდა და შემდეგ, ორივეს გარეთაც გაუძახებდა. ამიტომ, სკანდალი რომ თავიდან როგორმე აეცილებინა, სასწრაფოდ ფეხზე წამოხტა:

— სულ დამავიწყდა, გადაუდებელი საქმე მაქვს... იქნებ, თქვენ თქვენს მეუღლეს მარტო დაელოდოთ, მე კი...

— დეიკო, მოიცა! — როგორც გაცხარდა, ისევე სწრაფად დატკბა თინიკო და დეას მკლავში წაეტანა. — ცოტა ხანს დაჯექი და მომისმინე, კიდევ რაღაც უნდა გითხრა...

დეა სკამზე გვერდულად ჩამოჯდა და ქალს თვალი თვალში გაუყარა:

— გისმენთ.

— დამიჯერე, ჩემს კახუჩელას შენ მარ-

თლა გულით უყვარხარ... ფხიზელს აბა, რას წამოაცდენ, მაგრამ თუ დალია...

— ქალბატონო თინიკო, იქნებ, თქვენი შვილის პირად გრძნობებზე საუბარი მაინც, სხვა, უფრო შესაფერისი დროისთვის გადაგედოთ... რაც არ უნდა იყოს...

— კარგი, კარგი... — წითლად შეღებილფრჩხილებიანი ხელი პირზე კეკლუცად აიფარა თინიკომ. — ხმას აღარ ამოვიღებ, ოღონდ, დაჯექი და შენც დაელოდე... არ გაინტერესებს, გიზო და დედაშენი რას მოილაპარაკებენ?

— მაინც, რა უნდა მოილაპარაკონ? — მართლა დაინტერესდა დეა.

— ო-ო-ო, ეს ჯერ საიდუმლოა.. აი, გიზო გამოვა და...

სწორედ ამ დროს, საძინებლის კარი გაიღო და ზღურბლზე კმაყოფილი გიზო გამოჩნდა:

— შენც აქა ხარ? ძალიან კარგი, — უთხრა მან ცოლს, შემდეგ თავადაც მაგიდას მიუჯდა და დეას მიაშტერდა: — მე და დედაშენმა ყველაფერზე მოვილაპარაკეთ...

— რა ყველაფერზე? — გააწყვეტინა დეამ.

— თავად გეტყვის... შენ ჯერ პატარა ხარ, გამოუცდელი... დედაშენი კი, ჭკვიანი და წინდახედული ქალია, მომისმინა და გამიგო...

— მაინც, რა გაგიგოთ?

— ხომ გითხარი, თავად გეტყვის-მეთქი. მე კი, მოგვიანებით, კიდევ შეგეხმიანებით... ახლა კი უნდა წავიდე, თორემ, დღეს კიდევ ათას სხვა ადგილას ვარ მისასვლელი... მართლა, თაზომ მითხრა, ქურხულმა — დეას ვიცნობ, მაგის ძმის საქმესაც მე ვიძიებდიო...

— კი, იძიებდა... თუ, რა თქმა უნდა, იმას, რაც მაგ კაცმა მაშინ გააკეთა, საქმის გამოძიება ერქვა...

— რას იზამ, ჩემო კარგო, გამომძიებლებიც ხომ ჩვეულებრივი ადამიანები არიან... ხანდახან, რაღაც, ალბათ მაგათაც ეშლებათ... მაგრამ არა უშავს, ჯერ ეს საქმე მოვიცილოთ და მერე, იქნებ, შენს ძმასაც მივხედოთ და ციხიდან ცოტა ადრე მაინც გამოვაშვებინოთ...

— მაინც, რომელი საქმე უნდა მოვიცილოთ? — ჰკითხა დეამ და უცბად, მარჯვენა ხელი ისე მომუშტა, თითქოს, ცოტაც და თვითკმაყოფილ გიზო ჯღარკავას ყბაშიც მოსდებსო...

— ხომ გითხარი, ყველაფერს დედაშენი გეტყვის-მეთქი... — ძვირფას საათზე საქმიანად დაიხედა გიზომ და კარისკენ გადადგა ნაბიჯი. — ჩემი და თინიკოს თქვენთან სტუმრობის დრო კი, ნამდვილად ამოიწურა. წავედით? — მიუბრუნდა ის ცოლს.

— მოიცა, კაცო, ელენეს უნახავი როგორ წამოვიდე?! — ყალბად შეიცხადა თინიკომ და საძინებლისკენ გაიხედა, მაგრამ გიზომ არ აცალა:

— სხვა დროს, თინიკო, სხვა დროს... ქალი სერიოზულადაა ავად, ამდენი კი არ შეუძლია...

— კი, მაგრამ...

— რა მაგრამ, ქალო?! — შეუღრინა ცოლს გიზომ. — ხომ გითხარი, უკვე ყველაფერი გარკვეულია-მეთქი!

— მაშინ წამალს მაინც დავუტოვებ, — იხტიბარი ბოლომდე მაინც აღარაფრით გაიტეხა თინიკომ, შემდეგ ჩანთა გახსნა, გამჭვირვალე ქაღალდში გახვეული, პატარა მუყაოს კოლოფი ამოიღო და დეას გაუწოდა: — დეიკო, იცოდე, ეს ძალიან ძვირფასი და იშვიათი წამალია...

— რა ენად გაიკრიფე, აღარ მორჩები?! — თვალები დაუბრიალა გიზომ ცოლს.

— გიზო, ვერ გავიგე, მართლა და მართლა, რა მოხდა?! — გაწიწმატდა თინიკო. — არ ავუხსნა ბავშვს, რა წამალია და დედამისს როგორ უნდა დაალევინოს?!

— ამ საღამოს ხომ უნდა შევეხმიანოთ და მაშინ აუხსენი. ახლა კი, წამოდი, თორემ, გამასწრებს ის კარგმოტ... ფუ... ის უპატრონო გამომძიებელი და ეძებე მერე მთელ ქალაქში... მე შენ გეტყვი და, აქეთ-იქით ხეტიალი და მუქთა პურის ჭამა არ უყვარს?!.

როგორც კი გიზო ჯღარკავას მანქანა თვალს მიეფარა, დეამ შემოსასვლელი კარი გულმოდგინედ ჩარაზა და მაშინვე დედასთან შევარდა:

— ახვრები! დამპლები! არაკაცები! არაქალები! არაადამიანები! — პირიდან მხოლოდ სალანძღავი სიტყვებიღა ამოსდიოდა მას და თან, ოთახში ბოლთას სცემდა. — ისეთი შეგრძნება დამრჩა, თითქოს, რაღაცას, ძალიან ბინძურს შევეხე... თუმცა, რაღა „თითქოს“?.. გიზო ჯღარკავასა და მის ცოლ-შვილზე უფრო ბინძურსა და საზიზღარს ბევრს ნახავ თუ?..

ბალიშზე მისვენებული, გაფითრებული ელენე შვილის „მგზნებარე გამოსვლას“ ცოტა ხანს მოჩვენებითი სიმშვიდით უსმენდა, შემდეგ მარცხენა ხელი მბრძანებლურად აღმართა და სიტყვა გააწყვეტინა:

— მოიცა, ახლა მაგის დრო არ არის... სასწრაფოდ უნდა მოგელაპარაკო...

— რა სისწრაფე აგიტყდა? შენც გიზოსავით, მოსაქრთამი გამომძიებელი ხომ არ გასწრებს სადმე?! — ხმაში წყენა და ირონია ერთდროულად გაურია დეამ.

— დეა, შვილო, მე არ მეხუმრება.

— არც მე.

— მაშინ მათქმევინე... — დაიწყო ისევ ელენემ, მაგრამ უცბად, ხმა ჩაუწყდა და თვალებიც უმწეოდ მილულა.

— ცუდად ხომ არა ხარ? — სასწრაფოდ მივარდა დეა.

— გიზო ჯღარკავასთან ლაპარაკის შემდეგ, ცუდად ვიქნები, აბა რა... — სევდიანად ჩაილაპარაკა ელენემ.

— რაო, მაგ ახვარმა, მაინც, რა მინდაო?

— მართლა და მართლა, დეა, რას ჰგავს ეს?.. რა ენაზე ლაპარაკობ?! — საწოლიდან წამოწევა სცადა გაბრაზებულმა ელენემ, მაგრამ დეამ ისევ ბალიშზე მიაწვინა. — იცოდე, ეს საძაგელი სიტყვები მოიშალე, თორემ...

— კარგი, მოვიშლი... — გულში ჩაეკრა დეა ელენეს. — ისე, წეღან შენც კარგა გემრიელად შეამკე. როგორ თქვი — ეგ მამაძაღლი თუ მკვდარძაღლი აქ მომგვარეო?..

— ერთიც ნამდვილად არის და მეორეც, — ამოიოხრა ელენემ და შვილს მბზინავ თმაზე აკანკალებული ხელი მზრუნველად გადაუსვა, — მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს — მაინც მაგის დაკრულზე მოგვიწევს ცეკვა...

— რა-ა? — თავი სასწრაფოდ ასწია დეამ და ელენეს გაოცებული თვალები შეანათა. — მეგონა, წეღან წაიტრაბახა — მე და დედაშენმა ყველაფერზე მოვილაპარაკეთო, რომ მითხრა... შენ რა? მართლა ხომ არაფერს შეჰპირდი?..

— კი, შევპირდი, — მშვიდად მიუგო ელენემ.

— საინტერესოა, მაინც, რას?

— ყველაფერს.

— ვერ გავიგე?.. — ხელი ისე აიქნია დეამ, თითქოს, აბეზარი ფიქრის მოშორებას ცდილობსო. — დედა, შენ მართლა ხომ არ...

— დეა, შვილო, ყური დამიგდე, — გააწყვეტინა ელენემ, — ახლა გმირობის დრო არ არის... ამ ქვეყანას მე და შენ მაინც ვერ გამოვასწორებთ.

— აბა, რისი ან ვისი დროა?

— გიზო ჯღარკავების და მისთანების! ახლა ყველაფერი მაგათ ხელშია! მათ შორის, ჩვენი ოჯახის ბედიც!

— ეგღა მაკლია, ჩემი ბედი გიზო ჯღარკა-ჯღურკავას ხელში იყოს!

— არის-მეთქი, დამიჯერე! იცი, რა მითხრა მაგ არაკაცმა?

— რა?

— რა და.. თუ დეა თავის ჩვენებას უკან არ გამოიტანს, შენს ბიჭს ციხეში სერიოზული პრობლემები შეექმნებაო...

— რაო?.. — თვალები გაუფართოვდა

დეას. — ესე იგი, გვემუქრება კიდეც?

— აბა რა გეგონა?.. შენსას ეგრე ადვილად გაგატანინებდა და საკუთარ შვილს ციხეში გამოამწყვდევდა?.. ეჰ, შვილო, შვილო, მაინც რა გულუბრყვილო და გამოუცდელი მყავხარ...

— არა... გიზო ჯღარკავა რომ თავის ერთადერთ შვილს ამბრაზურასავით გადაეფარებოდა, ამაში ეჭვი წუთითაც არ შემპარვია... იმისთვისაც მზად ვიყავი, რომ მეც სერიოზულ პრობლემებს შემიქმნიდა, მაგრამ თუ თემოსაც გადასწვდებოდა და ციხეშიც აღარ დააყენებდა, ეგ კი ნამდვილად აღარ მიფიქრია...

— ჰოდა, ახლა იფიქრე და დასკვნებიც შესაბამისი გამოიტანე!

— არა, მაინც არ გამოვიტან!

— რას ჰქვია, არ გამოიტან? — ახლა კი მართლა გაცხარდა ელენე. — ვერ გაიგე, რაც გითხარი?

— ჩვენებას არ გამოვიტან-მეთქი! — განუმარტა დეამ.

— დეა, შვილო, — თვალებად იქცა ელენე, — შენ მართლა ხომ არ გაგიჟდი? გესმის, რას ამბობ?

— მე კი არა, შენ არ გესმის, რას ამბობ! — ამ სიტყვებზე დეამ ელენეს ორივე ხელი ისე დაუჭირა, თითქოს, საბრალო ქალი სადმე გაქცევას აპირებდა.

— რა არ მესმის, რა?!

— რა და... საკმარისია, ჯღარკავებს ერთი დავუთმო, რომ საშველს აღარ მოგცემენ. ჯერ ჩვენებას გამომატანინებენ, მერე ახალს დამაწერინებენ, ბოლოს კი, შეიძლება, სასამართლოზე მთავარ მოწმედაც გამიყვანონ და ისიც მათქმევინონ, რომ გიორგი აბრამიძემ მაგათ კრავივით კახუჩელას აქეთ მოუნდომა დანის დარტყმა, მაგრამ უშნოდ მოუქნია და შემთხვევით, თავად ჩაირტყა პირდაპირ გულში... სულ მიმეორებდი — ჯღარკავებს არ იცნობო, — მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ მე კი არა, მაგათ შენ არ იცნობ... მაინც იმაზე წესიერები გგონია, ვიდრე სინამდვილეში არიან!

ელენეს ასეთი გაცოფებული არასოდეს ენახა შვილი, ამიტომ, კარგა ხანს, დამფრთხალი და თვალებგაფართოებული შესცქეროდა. შემდეგ კი, როცა დეამ ყველაფერი ბოლომდე ამოთქვა და დადუმდა, ელენემ მას ჩურჩულით ჰკითხა:

— აბა რა ვქნათ?.. როგორ ვუშველოთ თავს და ჩვენს თემურიკოს?..

— ჯერ არ ვიცი, მაგრამ ცოტა მაცალე და ნამდვილად რამეს მოვიფიქრებ, — უპასუხა დეამ და თან ბალიში გაუსწორა.

უცბად, ბალიშის ქვეშიდან დოლარების მოზრდილი დასტა გადმოვარდა და კუპიურები იატაკზე მიმოიფანტა.

— დედა, ეს... ეს ფული საიდან? — ჩურჩულით იკითხა დეამ.

— გიზომ დაგვიტოვა, — ელენემ ამ სიტყვებს გულიც კინაღამ თან ამოაყოლა.

— გაგიჟდი? — შეიცხადა დეამ. — მაგ კაციჭამიას ფული როგორ გამოართვი, როგორ?!

— მე არ გამომირთმევია... ბალიშქვეშ ძალით ამომიდო...

— მერე ვერ აიღე და სახეში ვერ სთხლიშე?!

— ეჰ, შვილო, შვილო... მე რომ ვინმესთვის სახეში თხლეშა შემეძლოს, გიზო არაკაცი სახლში შემოგვივარდებოდა?! — სიმწრის ცრემლი მოადგა ელენეს.

დეა უცბად ფეთიანივით წამოხტა და ფულს ფეხებით შესდგა.

— დეა! — უკივლა ელენემ. — სულ მთლად ნუ გაგიჟდი! აბა, ახლავე აკრიბე ეგ ფული და მომაწოდე!

დეას ფულის გასათელად გამზადებული ფეხი ჰაერში გაუშეშდა, შემდეგ იატაკზე ნელ-ნელა დადგა, დაიხარა, კუპიურები ნელ-ნელა წამოკრიბა და ელენეს გაუწოდა.

— კარგად შეინახე, არსად დაგეკარგოს!

— ნუ სისინებ! — არ დაუთმო ელენემ. — გიზომ, შეიძლება, ამ საღამოსვე, კიდევ ერთხელ „დაგვაფასოს“ და ყველაფერს უკლებლივ დავუბრუნებ... მაგრამ თუ მანამდე, ფული ფეხებით დაფლით-დაგლეჯე, მერე რაღა ვქნათ, რა მივაქვავოთ?!.

— შენც მართალი ხარ, მგონი, ცოტა მართლა გავრეკე, — თავი ხელებში ჩარგო დეამ.

— ელენე ბებო, დეა სახლშია? — მოისმა უცბად ბავშვის ხმა.

— ნეტავ, ეს ვინღაა? — ბრაზიანად იკითხა დეამ.

— გახედე ერთი... ზურიკო იქნება...

— ვინ ზურიკო?

— ჩვენი მეზობლის, ლალის ბიჭი... ლალიმ ამ დილით შემოიხედა, მაწვნის კერძის გაკეთებას აპირებდა, შემოგიტანო... ეტყობა, ბავშვს გამოატანა...

— ოჰ, დედა, დედა... რა-რა და მაწვნის კერძის გაკეთება მაინც ვიცი, მეზობლები რომ არ შეაწუხო...

— ელენე ბებო! — მოისმა ისევ კარს იქით.

— მიდი, დროზე გახედე და ნოტაციები მერე მიკითხე, — ააჩქარა შვილი ელენემ.

საძინებლიდან გამოსულმა დეამ სასტუმრო ოთახში ყელყელა ვარდების უზარმაზარ თაიგულში ჩაკარგული, მეზობლის ბავშვი დაინახა და გაოცებისაგან პირი დააღო:

— ზურიკო, ეს ვარდები საიდან? ვინ მოგცა?

— ვიღაცა ბიძიამ შენთან გამომატანა, — უპასუხა ზურიკომ.

— თვითონ სად არის? — ვარდები სასწრაფოდ ჩამოართვა დეამ.

— გარეთ გიცდის, — სიხარულით ამოისუნთქა თაიგულის სიმძიმისგან გათავისუფლებულმა ზურიკომ. — იცი, რა მაგარი მანქანა ჰყავს?.. ძალიან ფირმა... ტასო ბებომ თქვა, დეას კაციც ლამაზი უშოვია და მანქანაცო... თუ არ გჯერა, გამოდი და შენ თვითონ ნახავ, — დაუგდო სიტყვა ზურიკომ და გარეთ გავარდა.

უცბად, დეას გული სიხარულისგან შეუხტა. „გურამი! ნამდვილად გურამი დაბრუნდა!“ — გაიფიქრა მან შემდეგ, თაიგული გულში ჩაიხუტა, აღელვებული, გარეთ გავარდა, ირგვლივ ანთებული თვალებით მიმოიხედა და ადგილზე გაშეშდა: ჭიშკართან, უცხოურ მანქანაზე მიყრდნობილი, დოინჯშემოყრილი გიგოლა იდგა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჟან-პოლ ბელმონდო:

ქალების გამეშე ოთოოობ ვარ!

მომხიბლავი ფრანგი მამაკაცი 70 წელია, ამ დევიზით დააბიჯებს ქვეყანაზე და ქალებიც დღენიადაგ ძლიერი სიყვარულით პასუხობენ მას

ძნელია მოიხიბლო მისი გარეგნობით — გატეხილი ცხვირი, ღრმა ნაოჭებით დაღარული სახე, ამის შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა, მაგრამ ბავშვობაში თურმე ბელმონდო იმდენად მშვენიერი ყოფილა, რომ მამამისი — პარიზელი მოქანდაკე — შვილს ამურის ფიგურების მოდელად იყენებდა და ეს პატარა ანგელოზები დღემდე ამკობენ საფრანგეთის დედაქალაქს. თავდაპირველად, ჟან-პოლიც გატაცებული ყოფილა ქანდაკებით, მაგრამ მოგვიანებით, ხელოვნებას კრივი ამჯობინა. ცხვირისა და ნეკნების მოტეხილობების შედეგად ბელმონდომ პარიზის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა კრივში, შემდეგ კი, სწავლის გასაგრძელებლად პარიზის კონსერვატორიის დრამატულ განყოფილებას მიაშურა. მომავალ კინოვარსკვლავს მისაღები გამოცდებისას ფაკულტეტის დეკანმა განუცხადა: „დაიმახსოვრე, შენი ამპლუა კლოუნობაა. შენი გარეგნობის პატრონი, ძნელად წარმოსადგენია შეყვარებული მამაკაცის როლში, რომელიც მშვენიერ ქალს კოცნის. ამის შემხედვარე შესაძლოა, ხალხი სიცილით მოკვდეს...“



ნატალი ბედს 13 წელი ელოდა! და აი, იგი ბოლოს და ბოლოს, მადამ ბელმონდო გახდა

შეყვარებულია და ძალზედ საშიში

მაგრამ პედაგოგს მხედველობიდან გამორჩა ბელმონდოს შემართება და მისი ჯიუტი ხასიათი. ჟან-პოლს კინოგადაღებებისას ყველა თავისი პარტნიორი უყვარდებოდა და ისინიც ძლიერი გრძნობით პასუხობდნენ მას. ბრიჟიტ ბარდო, რომი შნაიდერი, ჟანა მორო, სოფი ლორენი, მილენ დემონჟო... მათთან ერთად იგი „ცხოვრებასა და სიყვარულს სწავლობდა“, მაგრამ ცხოვრების თანამგზავრად კინოსგან საკმაოდ შორს მდგომი გოგონა აირჩია. ნორჩი და გულუბყვილო ელოდი კონსტანი ბალერინა გახლდათ. ბელმონდო ქორივით დააცხრა უსუსურ წიწილას, რომელიც ჯერ კიდევ 13 წლის იყო (წყვილი ამას, კარგა ხნის მანძილზე, საგულდაგულოდ მალავდა). ელოდის თავდავიწყებით უყვარდა ქმარი და მას სამი შვილი გაუჩინა; მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ჟან-პოლის გაუთავებელი ღალატი და სასიყვარულო თავგადასავლები ვეღარც მან აიტანა და 13 წლისთავზე (ამ ციფრმა მსახიობის ცხოვრებაში საბედისწერო როლი არაერთხელ ითამაშა) წყვილი გაიყარა. ახალი, სექსუალური კინოს იმჟამინდელმა სიმბოლომ — ცბიერმა და მტაცებელმა ურსულა ანდრესმა ბელმონდო ჰოლივუდში გაიტაცა. „ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით და გვსურდა, ყველაფერი საკუთარ თავზე გამოგვეცადა“, — იხსენებდა მსახიობი. ელოდი სულ ტყუილუბრალოდ ათენებდა ღამეებს ტირილში, რადგან მის ყოფილ ქმარს ეკრანის ამორძალისადმი გრძნობა ისევე სწრაფად გაუნელდა, როგორც აღეძრა.

ანა კარინასთან ერთად „შემლილი პიეროს“ გადაღებებზე

მაგრამ ჰოლივუდში გასამგზავრებლად კონსტანმა ბარგის ჩალაგება და ბავშვების მომზადება ვერც კი მოასწრო, რომ ჟან-პოლის ახალი რომანის თაობაზე გავრცელებულმა ხმებმა, მის ყურამდეც მიაღწია. ამჯერად მსახიობის გატაცების ობიექტი, მისი ქალიშვილის თანატოლი ბრაზილიელი მანეკენი, კარლოს სოტომაიერი გახლდათ. ფრანგი დონჟუანი აღტაცებით ესაუბრებოდა მასზე მეგობრებს: „კარლოსი ჩემი მუზაა. იგი ის ძალაა, რომელიც ყოველდღიურად ავსებს და ახალისებს ჩემს ცხოვრებას!“ ჟან-პოლისათვის სრულიად მოულოდნელად, მუზამ მიატოვა იგი და სხვასთან წავიდა... ბელმონდო ამ მარცხს სამი წლის განმავლობაში მწარედ განიცდიდა, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს, თავის საყვარელ იორკშირულ ტერიერთან ერთად სასეირნოდ ქუჩაში არ გავიდა. სრულიად შემთხვევით, იმავე ქუჩაზე თავის ფინიას ასეირნებდა ყოფილი მანეკენი, მონაკოს ბალეტის სოლისტი — ნატალი ტარდივე. მათი ძაღლები დამეგობრდნენ, პატრონებსაც სხვა გზა აღარ დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ უფრო ახლოს გაეცნოთ ერთმანეთი. მას შემდეგ, ბელმონდო და ტარდივე განუყრელნი არიან. ორიოდე თვის წინ კი, ბებელმა (ფრანგები მოფერებით ასე მოიხსენიებენ მსახიობს) და ნატალიმ იქორწინეს. იმისათვის, რომ ეს ნაბიჯი გადადგა, მსახიობს 13 წელი დასჭირდა. რამ აიძულა ცნობილი ლოველასი, ასეთი გადაწყვეტილება მიეღო?

უკანასკნელ წლებში, კინოვარსკვლავს არაერთი უსიამოვნება დაატყდა თავს. რვა წლის წინ, ხანძარმა იმსხვერპლა მისი ქალიშვილი — პატრისია. 1999 წლის დეკემბერში, სპექტაკლის — „კრიმინალური ბულვარი“ — მსვლელობისას ბელმონდოს გულის შეტევა დაემართა. შარშან კი, მსახიობმა ინსულტი გადაიტანა, რის შედეგადაც სახის მარჯვენა მხარე სრულიად პარალიზებული ჰქონდა. შესაძლოა, ჟან-პოლმა გადაწყვიტა, რომ 13-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ, დადგა ჟამი, საყვარელ ქალთან ურთიერთობა ოფიციალურად გაეფორმებინა, რათა გვერდით ჰყოლოდა ადამიანი, რომელიც სიბერის ჟამს ჭიქა წყალს მიაწვდიდა. ინსულტის შემდეგ, ბებელმა „პარი-მატჩისათვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ სურს, იგი მოიხსენიონ, როგორც მუხა. სწორედ ასე მოიხსენიებდნენ ოდესღაც მის კოლეგებს — ლინო ვენტურას, ფერნანდელსა და ვანელს. „ჩემთვის ისინი ძლიერ, მიწაში ღრმად ფესვგადგმულ მუხებს წარმოადგენდნენ, მრავალი წლის შემდეგ კი, მეც ასეთად ვიქეცი, — განაცხადა მსახიობმა. მუხა არ ტყდება. მე ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვინც სიცოცხლის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არ აპირებს დანებებას!“

■

ლიზ ჰარლიმ თავისი მეორე ნახევარი იპოვა

ინგლისელმა მსახიობმა ელიზაბეტ ჰარლიმ უარყო პრესაში გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მან თავის საქმროს, ინდოელ მილიონერ ბიზნესმენ არუნ ნაიარას ოჯახი დაუნგრია.

როგორც ცნობილია, ლიზი და არუნი უკვე დიდი ხანია, ხვდებიან ერთმანეთს და მალე დაქორწინებასაც აპირებენ, მიუხედავად იმისა, რომ ნაიარას ყოფილ ცოლთან გაყრის პროცედურა ჯერ არ დასრულებულა.

თავად ლიზი ირწმუნება, რომ მან არუნი მას შემდეგ გაიცნო, როცა მას ვალენტინა პედრონთან გაყრა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. მიტოვებული ცოლი კი, სულ სხვა ვერსიას ავრცელებს და აცხადებს, რომ ლიზი დაუმეგობრდა, მისი ნდობა მოიპოვა და ბედნიერი ოჯახი დაუნგრია.

„პრესაში ატეხილი აჟიოტაჟი, ძალიან მოქმედებს ჩემს დაზე, – ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი კეიტ ჰარლიმ გააკეთა. – გაზეთებში მას ბრალს სდებენ ოჯახის დანგრევაში, მაგრამ ეს სიმართლე არ არის, ლიზი არასოდეს იცნობდა არუნის ცოლს და მასთან არანაირი შეხება არ ჰქონია. პედრონის განცხადება მათი მეგობრული დამოკიდებულების თაობაზე, პროვოკაციაა და მეტი არაფერი.“

თავად ლიზ ჰარლი დარწმუნებულია, რომ მისი მომავალი ქორწინება ბედნიერი იქნება, რადგან მიაჩნია, რომ არუნის სახით, მეორე ნახევარი იპოვა. ■

ჯულია რობერტსი და რიჩარდ გირი საუკეთესო კინოწყვილია

ბრიტანეთის ვიდეოსალონ „ბლოკბასტერის“ წარმომადგენლებმა ჩაატარეს გამოკითხვა, რომელშიც 4000 მაყურებელი მონაწილეობდა. მათი უმრავლესობის აზრით, კინოისტორიის არსებობის მანძილზე, რიჩარდ გირმა და ჯულია რობერტსმა საუკეთესო წყვილების როლები შეასრულეს ფილმებში „ლამაზმანი“ და „გაქცეული პატარძალი“.

„საუკეთესო რომანტიკული წყვილის“ ნომინაციაში მეორე ადგილი „ტიტანიკის“ გმირებმა – ლეონარდო დი კაპრიომ და კეიტ უინსლეტმა დაიკავეს. მესამეზე 1935 წლის კლასიკური მიუზიკლის Top Hat-ის გმირები – ფრედ ასტერი და ჯინჯერ როჯერსი გავიდნენ. მეოთხე ადგილი ტომ კრუზსა და ნიკოლ კიდმანს ერგოთ, ფილმში „ფართოდ დახუჭული თვალები“. მეხუთეზე ნიკოლას კეიჯი და პენელოპა კრუსი აღმოჩნდნენ „კაპიტან კორელის არჩევანში“ შესრულებული როლებისათვის.

„საუკეთესო კომედიური წყვილის“ ნომინაციაში გაიმარჯვეს მაიკლ კეინმა და სტივ მარტინმა, ფილმით – „გამოუსწორებელი თაღლითები“. „ექშენის“ ჟანრის ფილმებში საუკეთესოდ ჰარისონ ფორდი და შონ კონერის დუეტი აღიარეს – „ინდიანა ჯონსის უკანასკნელი ჯვაროსნული ლაშქრობა“. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამავე ნომინაციაში ქალთა ერთადერთი დუეტი დასახელდა, რომელიც მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა. ესენი არიან ჯინა დევისი და სიუზენ სარანდონი ფილმში – „ტელმა და ლუიზა“. ■

მაიკლ დუგლასი ახალშეძენილი ქალიშვილისთვის მრილიანტებს ყიდულობს

მაიკლ დუგლასი პირველი ქალიშვილის დაბადებამ ისე აღაფრთოვანა (მანამდე იგი მხოლოდ ვაჟების მამა იყო), რომ სასწრაფოდ საიუველირო მაღაზიებს მიაშურა და მისთვის სამკაულები შეიძინა. კერძოდ, მან იუველირ ფრედ ლეიტონის, მანჰეტენზე მდებარე



სალონში, ბრილიანტებით მოოჭვილი ჯვარი და ძეწკვი უყიდა გოგონას. თვითმხილველის თქმით, მაიკლი ისე იქცეოდა, როგორც პატარა ბავშვი საკონდიტროში – იგი მართლაც აღელვებულად გამოიყურებოდა და ამასთან, საოცრად ამაყიც იყო. მან დიდი დრო მოანდომა იდეალური ძეწკვის შერჩევას. თანაც, სამკაულების ფანტასმაგორიული ფასები სულაც არ აფრთხობდა. ძეწკვის შერჩევის შემდეგ, მან სასწრაფოდ დატოვა სალონი და სრულიად ნათელი იყო, რომ საკუთარ ოჯახში მიეჩქარებოდა. ■

ჯიმ კერის უჩვეულო ალიმენტი

ჰოლივუდის ვარსკვლავის ჯიმ კერის ყოფილმა ცოლმა სასამართლოში იჩივლა და ათიათასდოლარიანი ალიმენტის გაზრდა მოსთხოვა ქმარყოფილს. კერის პრესმდივანმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ყოფილმა მეუღლეებმა ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწიეს.

სასამართლოს დოკუმენტაციის გამოქვეყნების შემდეგ, ცნობილი გახდა საქმის დეტალები. მელისა კერი აცხადებდა, რომ 10.000 დოლარი თვეში, ფრიად მცირე თანხაა 15 წლის ჯენისათვის, რომელიც შოუბიზნესის სფეროში აპირებს კარიერის შექმნას. ამჟამად მელისას ერთპიროვნული მეურვეობის უფლება აქვს მათ ერთადერთ ქალიშვილზე. წყვილი 1995 წელს გაიყარა.

„ჯეინს ჰყავს პირადი დაცვა, რაც ჩემი აზრით, ჩვენს დროში აუცილებელია“ – წერია მელისა კერის მიერ სასამართლოსადმი

გაგზავნილ მიმართვაში. თურმე ნუ იტყვით და, ჯეინი ფიტნეს პროგრამითაა გატაცებული, რაც ამჟამად ასე პოპულარულია აშშ-ში. დღესდღეობით კი, მის გოგონას არც აღჭურვილობა აქვს და არც პირადი მწვრთნელი ჰყავს. მელისას სურს, რომ ჯეინს მამამ საკუთარი სტუდია აუშენოს, რომელიც საკარაუდოდ, 200.000 დოლარი დაჯდება და სადაც იგი ფიტნესთან ერთად მუსიკითაც დაკავდება.

ცნობილი გახდა ისიც, რომ გოგონა უკვე ეუფლება სამსახიობო ხელოვნებას, სიმღერას, ჩოგბურთს, ცეკვას და ფიტნესს. და ეს ყველაფერი როდია – მზრუნველ დედას სურს, რომ ქალიშვილი საცხენოსნო სკოლაში მიიყვანოს და თხილამურებით სრიალის შესასწავლად პირადი მწვრთნელი დაუქირავოს. გარდა ამისა, წარმატებული კარიერის შესაქმნელად მის გოგონას საკუთარი აგენტისა და პროფესიონალური ფოტოგადაღებებისათვის სჭირდება ფული. ■

სექსი და ჯიივი

ერთი შეხედვით, ამ ორ სფეროს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვს, თუმცა, როდესაც საუბარია ცნობილ გერმანელ მოკრივე ქალზე, რეგინა ჰალმიკზე, ამ შემთხვევაში საქმე სულ სხვაგვარადაა: მან 32 ორთაბრძოლიდან მხოლოდ ერთი წააგო და ათჯერ ნოკაუტით გაიმარჯვა. ცოტა ხნის წინ, 25 წლის ჰალმიკმა, რომელიც თავისი საკრივო კარიერის დასაწყისამდე კიქბოქსინგში მსოფლიო ჩემპიონიც გახდა, საქვეყნოდ ცნობილი ჟურნალის, „ფლეიბოის" მესვეურთა ყურადღება მიიპყრო. ეროტიკული გამოცემის ფოტოგრაფებმა ერთსაათიანი ფოტოსერია მოუწყეს რეგინას, რომელსაც ასეთ წინადადებაზე უარის თქმა არც

უფიქრია. „რინგზე მთელი ჩემი სექსუალური ენერგიის დახარჯვა ძალიან მიჭირს, – ამბობს რეგინა, – სწორედ ამიტომ მივიღე „ფლეიბოის" მიერ შემოთავაზებული წინადადება. ბოლოს და ბოლოს, საკუთარი თავი ნამდვილ ქალად ვიგრძენი". ფოტოგადაღებამ იმდენად წარმატებულად ჩაიარა, რომ ჟურნალის რედაქტორებმა ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი სურათი ყდაზე გამოიტანეს. ამ სურათზე ჰალმიკს სხეულს მხოლოდ მოკრივის ხელთათმანი „უფარავს". ■

ტაისონმა ლიცენზია მიიღო

კალიფორნიის შტატის ათლეტურმა კომისიამ მაიკ ტაისონს ლიცენზია მისცა, რომელიც მოკრივეს ლოს-ანჯელესში 21 ივნისს ორთაბრძოლათა პროგრამაში მონაწილეობის უფლებას რთავს. გარდა „რკინის მაიკისა", აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობას მიიღებს ლენოქს ლუისიც, რომელმაც WBC-ს უკმაყოფილების მიუხედავად, თავის მეტოქედ ვიტალი კლიჩკოს ნაცვლად, კანადელი კირკ ჯონსონი აირჩია. ტაისონი კი, ალბათ რინგზე რუს ოლეგ მასკაევს შეხვდება. ■

აგასიმ თავისი ნახატი გაყიდა

ამერიკელმა ჩოგბურთელმა ანდრე აგასიმ და პოპულარულმა ტელეწამყვანმა დოქტორ ფილმა საქველმოქმედო საჩოგბურთო მატჩში მეორე ვარსკვლავური დუეტი – ენდი როდიკი და კალათბურთელი კლაიდ დრექსლერი დაამარცხეს. ეს უჩვეულო მატჩი კათოლიკური აღდგომის დღეს გაიმართა ჰიუსტონის სპორტ-კლუბ „ვესტსაიდ ტენისში" და მას 4 ათასი კაცი დაესწრო. ერთსეტიან მატჩში აგასიმ და მისმა პარტნიორმა დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს მეტოქეთა წყვილი. ამ საქველმოქმედო აქციაში ნახევარი მილიონი დოლარი შეგროვდა. ეს თანხა მთლიანად ანდრეს მიერ შექმნილ ფონდში გადაირიცხება, რომელიც ხელმოკლე ოჯახებიდან გამოსული და ობოლი ბავშვების დახმარებას ისახავს მიზნად. გარდა ამისა, საქველმოქმედო აქციის ფარგლებში აუქციონიც ჩატარდა. 50 ათას დოლარად გაიყიდა 4 ბილეთი, რომლის მფლობელსაც სან-ფრანცისკოში ცნობილ კომიკოსთან, რობინ უილიამსთან სადილობის საშუალება მიეცემა. ერთ-ერთმა კლიენტმა 70 ათასი დოლარი გადაიხადა იმისათვის, რათა შტეფი გრაფმა მას კერძო საჩოგბურთო გაკვეთილი ჩაუტაროს. თავად ანდრემ კი, საკუთარი ნახატი 12 ათას დოლარად გაყიდა. ■

ცნობილი ჰესტლეჰი ჰინგზე ბჰუნდება

დღეს ამერიკაში რესტლინგი ისეთივე პოპულარობით სარგებლობს, როგორც ელვის პრესლი, „კოკა-კოლა" ან ბეისბოლი; ამას წინათ „სპორტის" ამ სახეობის მოყვარულთათვის ფრიად მნიშვნელოვანი რამ მოხდა. ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, რინგს დაუბრუნდა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რესტლერი ქალი, ტორი მერო, მეტსახელად „ფხა", რომელმაც შოუს მესვეურებთან ახალი მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „მას შემდეგ, რაც რესტლინგიდან წავედი, არ მტოვებდა შეგრძნება, თითქოს საკუთარი შვილი მივატოვე. ამ ოთხი წლის განმავლობაში ყოველთვის ვეკითხებოდი საკუთარ თავს: „სწორად მოვიქეცი?.." და როგორც ხედავთ, დავბრუნდი. იმედი მაქვს, რომ გულშემატკივრებს კვლავაც ვახსოვარ", – ამბობს ტორი მერო, რომლის რინგზე გამოჩენისთანავე ალბათ ბევრი კლიენტი მოაკლდება სტრიპტიზ-კლუბებს. ■

მენსელი მოზარდებმა სცემეს



„ფორმულა-1"-ის რბოლებში ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი, ნაიჯელ მენსელი თავისივე სახლის წინ სცემეს. მენსელს უკმაყოფილება გამოუთქვამს იმის გამო, რომ მოზარდებს წვეულების მოსაწყობად მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება მოუნდომებიათ. სამართალდამცავი სტრუქტურის ერთ-ერთი წარმომადგენლის თქმით, ნაიჯელს დაუპატიჟებელი სტუმრების გაყრა უცდია, მაგრამ დიდ წინააღმდეგობას წასწყდომია. ჩხუბში ყოფილმა მრბოლელმა სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო. პოლიციამ უკვე დააკავა 5 თავდამსხმელი, სამ მათგანზე კი, ძებნაა გამოცხადებული. ■

Chrysler-ისა და Mercedes-ის ახალი შედევრი

Daimler Benz-თან გაერთიანებულ კორპორაციაში შემავალი ამერიკული კომპანია ჩჰრესლერ ახალი მოდელებით აოცებს საავტომობილო სამყაროს. სპორტულ Crossfire-ს ცოტა ხანში, Airflite მოჰყვება. ხუთკარიანი კუპე ჯერ მხოლოდ ექსპერიმენტული კონცეპტ-ავტოს სახით არსებობს, მაგრამ ამთავითვე ნათელია, რომ ამ მანქანის სერიული წარმოება უსასრულოდ არ გადაიდება. „კრაისლერის“ მარკებს შორის, ადრეც არსებობდა მსგავსი სახელის მქონე მოდელი: 1934 წელს, ამერიკაში ნამდვილი სენსაციის მიზეზად იქცა Airflow, რომელიც იმ დროისათვის სრულიად უჩვეულო დიზაინით გამოირჩეოდა. თუმცა, ეკონომიკური თვალსაზრისით, ამ სიახლემ ვერ გაამართლა: ამერიკელი მომხმარებლისთვის მისი რევოლუციური ფორმები მიუღებელი აღმოჩნდა. ამ წარუმატებლობამ კინაღამ გაკოტრებამდეც კი მიიყვანა „კრაისლერი“.

დღეს, კორპორაცია კვლავ ახლებური დიზაინით ცდილობს ავტომოყვარულთა გულების დაპყრობას: მასიური ცხვირი საუცხოოდ ერწყმის სოლიდურ კორპუსს, რომელიც მნახველს საზღვაო იახტას აგონებს. მანქანას საკმაოდ მოზრდილი გაბარიტები აქვს: სიგრძე – 4,84 მ, სიგანე – 1,87 მ, სიმაღლე – 1,49 მ. სალონის ინტერიერის შექმნისას, დიზაინერებმა – გრეგ ჰოველმა და საიმონ კიმმა საგულდაგულოდ შეისწავლეს თანამედროვე იახტების არქიტექტურა. სალონი თითქოს ორ ნაწილად იყოფა ე.წ. ცენტრალური გვირაბით (მანქანა უკანაამძრავიანია და მისი კარდანის ლილვი ამ, ცენტრალური გვირაბის ქვეშაა მოთავსებული), 4 სავარძელი კი, განცალკევებითაა ჩადგმული. ამ ხერხმა სიხალვათე შემატა სალონს. იატაკი ნატურალური ხის მასალითაა მოპირკეთებული, რაც ასევე აძლიერებს იახტასთან ასოციაციას; ინტერიერში უხვადაა გამოყენებული ნატურალური ტყავი, ლითონისა და ხის ელემენტები. რაც შეეხება ავტომობილის ტექნიკურ აღჭურვილობას – მასში „მერსედესის“ ბევრი კვანძი იქნება გამოყენებული. პირველ რიგში ლაპარაკია ძრავებზე, საკიდრის ელემენტებსა და საჭის მექანიზმზე. ექსპერტთა ვარაუდით, „დონორად“, E კლასის „მერსედესს“ გამოიყენებენ. ამგვარი კოოპერაციის წყალობით, Chrysler Airflite, როგორც სერიული ავტომობილი, ექსპერტებს ძალზედ პერსპექტიულ მანქანად მიაჩნიათ.

■

რვა თვე გავიდა, რაც ამერიკაში ვარ. ამ რვა თვის განმავლობაში, ძალიან ბევრი რამ მოხდა ჩემს ცხოვრებაში, რის შესახებაც თქვენც ბევრი რამ იცით. ახლა კი, ამდენი წვალებისა და დავიდარაბის შემდეგ, როგორც იქნა, ჩემი ადგილი ვიპოვე. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ავეჯის გადაზიდვის კომპანია Allpoint America ამ ხნის მანძილზე მხოლოდ მე მელოდა.

ჩემს აღფრთოვანებას ისიც აძლიერებდა, რომ კომპანიის კოლექტივმაც გულღიად მიმიღო. იქ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები მუშაობდნენ, მაგრამ ერთმანეთს ყველა პატივს სცემდა და ანგარიშს უწევდა. საქმეც მშვენივრად მიდიოდა. კომპანია დღითი დღე ძლიერდებოდა, დღითი დღე მატულობდა კლიენტების რიცხვი...

მაგრამ მოწმენდილ ცაზე თურმე ყველგან ყოფილა შესაძლებელი მეხის გავარდნა.

თუმცა, ამაზე ქვემოთ...

მოწმენდილ ცაზე მეხი ამერიკაშიც ვარდება...

აკაკი გეგენავა

მისტერ ედმონდის მუშაობის სტილი

კომპანიის მფლობელი ედმონდი არაორდინარული პიროვნება გახლდათ. იშვიათად მინახავს ადამიანი, რომელსაც ასე გათვლილი ჰქონოდა ნებისმიერი მოსალოდნელი წინააღმდეგობა, თუნდაც უმნიშვნელო. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ეს ებრაელი კაცი ყოვლისშემძლე ჯადოქარი იყო. არა, მაინც როგორ ახერხებდა ეს, ერთი შეხედვით, გულუბრყვილო, ჩია ტანის კაცი, რომ ყოველგვარი დავის შედეგად გამარჯვებული გამოსულიყო?.. რაც არ უნდა გაცეცხლებული ყოფილიყო მასთან მოპაექრე, ედმონდი არასოდეს დაკარგავდა წონასწორობას, ოდნავადაც არ აუწევდა ხმას. დახვეწილი მანერებით, მშვიდი, ლოგიკური მსჯელობით ისე დააწყნარებდა აგრესიულად განწყობილ ოპონენტს, რომ განცვიფრებას ვერ ვფარავდი.

არადა, კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყოველდღე, უამრავ ადამიანს ვემსახურებოდით. შესაბამისად, ბევრი მათგანი ოსტატურად „გაცურებული“ რჩებოდა – განსაზღვრულზე ბევრად მეტი თანხის გადახდა უწევდა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მომჩივნები ყოველთვის მარცხდებოდნენ.

ყოველივე ამის გასაღები მისტერ ედმონდის მუშაობის სტილში იმალებოდა. ედმონდს ძალზედ მომგებიანი მეთოდი ჰქონდა შემუშავებული: სანამ რომელიმე კლიენტთან, გნებავთ, თანამშრომელთანაც, საქმიან ურთიერთობას დაიწყებდა, წინასწარ, შეპარვით ან თითქოს უნებლიეთ, შეაპარებდა თავის პირობებს, თანაც – ისე მოხერხებულად, რომ უმეტესობა ამას ყურადღებას არ აქცევდა. ბოლოს კი, როცა ფაქტი მომხდარი იყო და ბუნებრივია, უკმაყოფილებასაც გამოხატავდნენ, ედმონდი, მისთვის დამახასიათებელი მშვიდი ტონით ახსენებდა მოპაექრეს შეთანხმებისას წაყენებულ პირობას, კონტრაქტსაც წინ დაუდებდა და... მოწინააღმდეგე მხარე ხმას ვეღარ იღებდა. სხვა რა გზა ჰქონდა? – ბედს უნდა შეჰგუებოდა.

არც თანამშრომლები ვიყავით უკეთეს დღეში. მისტერ ედმონდის დათაფლული ენის ძალა მეც გამოვცადე საკუთარ თავზე. რომ ვხედავდი, ჩემი შრომა გაცილებით მეტს იმსახურებდა, ვიდრე კვირაში 300-350 დოლარს და ამის შესახებ თავაზიანად მივანიშნე ბოსს. მანაც, ყოველგვარი წყენის გარეშე, აუღელვებლად განმიმარტა, რომ როცა სამსახურში მიღებდა, ერთ-ერთი პირობა ისიც იყო, რომ ხელფასის მომატების პრეტენზია არ უნდა მქონოდა და რასაც კომპანია გადამიხდიდა, იმით უნდა დავკმაყოფილებულიყავი... სიმართლე გითხრათ, გაოცებული ვუყურებდი კონტრაქტს, რომელსაც ჩემი ხელმოწერა „ამშვენებდა“, თანაც სწორედ ზემოთ აღნიშნული პირობის გასწვრივ... დაახლოებით ჩემს მდგომარეობაში იყო კომპანიის ყველა, უცხოეთიდან ჩამოსული თანამშრომელი. რაღას ვიზამდი? – თავს ზემოთ ძალა არ იყო!..

ახლა კლიენტებთან მუშაობის ედმონდისეულ სტილსაც გაგაცნობთ დაწვრილებით. ვთქვათ, რომელიმე ოჯახს ერთი რაიონიდან მეორეში ავეჯის გადატანა უნდოდა. კლიენტები უმეტესად, კონტრაქტს ზერელად გადახედავდნენ ხოლმე, ზოგჯერ სულაც არ კითხულობდნენ და ისე აწერდნენ ხელს. არადა, ამ დოკუმენტში შავით თეთრზე ეწერა, რომ კლიენტმა უნდა გადაიხადოს იმის მიხედვით, თუ რამდენი მუშა მოემსახურება, რამდენ საათს გაგრძელდება ტვირთის გადაზიდვა და რა მასალა დაიხარჯება ამ ოპერაციის დროს: იგულისხმებოდა ავეჯის შესაფუთი მასალა – მუყაოს ყუთები, თოკები, ქაღალდი და ათასი წვრილმანი, რომლის ფასი (ცალკე აღებულის) საშუალოდ, 3-5 დოლარს არ აღემატებოდა და ბუნებრივია, კლიენტი ამაზე ყურადღებას არ ამახვილებდა. მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა, იმდენი ყუთი, ქაღალდი, თოკი ხდებოდა საჭირო, რომ საკმაოდ სოლიდური თანხა გროვდებოდა. ამას ემატებოდა დაზღვევის გადასახადი, გადაზიდვის მანძილი და საბოლოო ჯამში, კლიენტს კოლოსალური ხარჯის გაწევა უხდებოდა. თუ ის ფიქრობდა – მომსახურება სულ 500-600 დოლარი დამიჯდებაო, – საბოლოო კალკულაციის მიხედვით, ზოგჯერ თანხა 2.000 დოლარამდეც კი ადიოდა. ბუნებრივია, ეს კონფლიქტურ სიტუაციას იწვევდა...

მაგრამ საქმეში „ერთვებოდა“ კონტრაქტი, რომელზეც კლიენტს უკვე მოწერილი ჰქონდა ხელი... კონტრაქტის მიხედვით, კომპანია იურიდიულად „ცამდე მართალი“ იყო, კლიენტს სასამართლოში რომც ეჩივლა, მაინც ვერ გაიმარჯვებდა და ფარ-ხმალს ყრიდა და თითქმის უთქმელად იხდიდა ხელოვნურად გაბერილ თანხას.

რაღა თქმა უნდა, მისტერ ედმონდის მუშაობის სტილის მორალური მხარე ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა, მაგრამ როცა საქმეში ფული დომინირებს, ზნეობრივ ფაქტორზე ნაკლებად ფიქრობენ და არა მარტო ამერიკაში...

პრობლემებიდან... ლაბირინთში!

მიუხედავად ასეთი დაძაბული სიტუაციისა, კომპანიაში მაინც მშვენივრად ვგრძნობდი თავს. რას ვიზამდი? — ხელმძღვანელი, განვითარებული ქვეყნის საბაზრო ეკონომიკის წესებით თამაშობდა და მეც ამ თამაშის ერთი ჩვეულებრივი მონაწილე ვიყავი.

თანაც, ეს მუშაობა ჩემთვის იმითიც იყო ხელსაყრელი, რომ ყოველდღე, ნიუ-იორკის ახალ-ახალ უბნებში მიხდებოდა მგზავრობა; ვხვდებოდი სხვადასხვა რასისა და ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს და ინტერესს ვიკმაყოფილებდი. უნდა გითხრათ, რომ მანამდე, ვერც კი წარმოვიდგენდი, ნიუ-იორკში ასე ხშირად თუ იცვლიდა ხალხი საცხოვრებელ ადგილს. ავეჯის გადაზიდვა-გადმოზიდვისას, ძალაუნებურად მოწმე (ზოგჯერ, მონაწილეც) ვხდებოდი იმ კონფლიქტებისა, რომელიც საკმაოდ ხშირად ხდება კომპანიასა და კლიენტებს შორის. ვაკვირდებოდი, თუ როგორ იქცეოდნენ იქაურები მწვავე სიტუაციებში და სათანადო დასკვნებიც გამომქონდა. მაგრამ ამჯერად, შევეშვათ ნიუ-იორკის მოსახლეობის „ეთნიკურ“ შეფასებას (ამ სფეროს შემდგომ სტატიებში დავუბრუნდებით) და დავუბრუნდეთ იმ ფათერაკს, რომელიც ერთ-ერთი შეკვეთის შესრულებისას შეგვემთხვა მე და ჩემს მეწყვილეს, ჯონის. ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ, იმ ამბავს რომ ვიხსენებ, ტანში ჟრუანტელი მივლის ხოლმე. კიდევ კარგი, რომ ყველაფერი კეთილად დამთავრდა, თორემ, ალბათ „მოგზაურის დღიურების“ ნაცვლად, ამერიკულ ციხეში დაგროვილი შთაბეჭდილებების დაწერა მომიწევდა (თუმცა, არც მთლად უმაგისობა იყო!..).

ჩემს მეწყვილეს, ამერიკული წარმოშობის თურქს, ჯონის კარგად შევეწყვე. ყველა შეკვეთაზე ერთად დავდიოდით. ხშირად, მუშებიც გვემატებოდნენ. ერთიორჯერ, ჯონი ჩემს ქართველ ძმაკაცებთანაც მოხვდა სუფრასთან და ლამის გაგიჟდა — თქვენ რომ მეგობრობა გცოდნიათ, ასეთი თურქებს არც დაგვესიზმრებაო... კიდევ კარგი, რომ ჯონი მხოლოდ იმ ქართველებს შეხვდა, მართლა რომ პატიოსნად შრომობენ ამერიკაში, თორემ, მათაც რომ გადაჰყროდა, რამდენჯერმე, მე რომ შევხვედრივარ (ნარკომანებსა და ჯიბგირებს ვგულისხმობ), მაშინ ალბათ სულ გაუქარწყლდებოდა წარმოდგენა ქართველთა ვაჟკაცობასა და მეგობრობაზე. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ჯონი დაუსწრებლად იცნობდა საქართველოს. უფრო მეტიც — მისი სამშობლოს, თურქეთის შესახებაც იმდენი რამ ვუამბე, რომ ედმონდს სთხოვა: ნება მომეცით, სულ აკაკისთან ერთად ვიმუშაოო...

ერთ მშვენიერ დღესაც, მე და ჯონი მორიგ შეკვეთაზე გაგვაგზავნეს, თან ესპანური წარმოშობის ორი მუშა გამოგვაყოლეს. ჰარლემიდან ბრუკლინში უნდა გადაგვეყვანა ოჯახი. მოგეხსენებათ, ჰარლემი მანჰეტენის კუნძულზე, შავკანიანებით მასობრივად დასახლებული ადგილია; შესაბამისად, არცთუ ისე კარგი რეპუტაციით სარგებლობს. რამდენჯერმე კი, მოგვიწია მე და ჯონის ჰარლემში გამგზავრება, მაგრამ ყოველთვის ნორმალურ სიტუაციაში გვიხდებოდა მუშაობა. ამიტომ, როცა ეს შეკვეთა მოგვცეს, შესაძლო ხიფათზე არც მიფიქრია. მაგრამ როგორც ამბობენ — კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო...

კლიენტები ზანგები იყვნენ: მოხუცი ცოლ-ქმარი, მათი ორი ქალიშვილი და შვილიშვილები, რომელთა დათვლა ვერც მოვახერხე, იმდენად ბევრნი იყვნენ, ისე ჰგავდნენ ერთმანეთს და ისე მოუსვენრად დარბოდნენ აქეთ-იქით. თანაც, ისეთი სასაცილო ტიპები იყვნენ — ნახევრად ტიტლიკანები, სულ-სულ შავები და ხუჭუჭთმიანები... ერთ-ერთს საღეჭი რეზინა მივეცი და უცებ მოჰყვნენ დანარჩენები. კიდევ კარგი, კაბინაში რამდენიმე შეკვრა მქონდა, თორემ, ნამდვილად „შევრცხვებოდი“. თანაც, ეტყობა, მიხვდნენ, რომ ერთმანეთისგან მათი გარჩევა მიჭირდა და თითოეული მგონი, ორ-ორჯერ მოვიდა თავისი წილი საღეჭი რეზინის მისაღებად.

იქვე ორი ახალგაზრდა მამაკაცი ტრიალებდა, როგორც შემდეგ გავარკვიე — ამ ოჯახის სიძეები იყვნენ, რომელთაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ ავეჯის გადაზიდვაში და რომელთა გამოც მერე, შარში გავეხვიეთ...

ავეჯი არ იყო ბევრი, მაგრამ მისი შეფუთვა და მანქანაში ჩატვირთვა დროს მოითხოვდა. ჩვენც ჩვეულებრივად შევუდექით მუშაობას.

შევამჩნიე, რომ სახლთან ხშირად ჩერდებოდა მანქანები. ერთ-ერთი ახალგაზრდა ზანგი ჩაუჯდებოდა მოსულებს, ისაუბრებდნენ ცოტა ხანს, მერე, სერიოზული გამომეტყველებით, კმაყოფილი გადმოვიდოდა მანქანიდან... ამას ალბათ არც მივაქცევდი ყურადღებას, მაგრამ ჯონიმ გამომარკვია:

— კაკო, რაღაც არ მომწონს აქაური სიტუაცია... — ჩამჩურჩულა მაშინ, როდესაც გვერდით ჩამიარა.

— ვერ გავიგე, რას გულისხმობ და თანაც, რა გაჩურჩულებს? ხომ არავინ შეგაშინა?.. — გამიკვირდა მე.

— შიში რა შუაშია? უბრალოდ, ძალიან ბევრი ხალხი მოძრაობს, რაღაც საეჭვოს ვგრძნობ!..

— მოგცლია ერთი! არ იცი, ზანგებს უამრავი მეგობარი ჰყავთ და ისინიც მოდიან, რა! — ჩემებურად ავუხსენი სიტუაცია.

— გაახილე თვალები — მარტო ზანგები არ მოდიან!

— მოვიდნენ მერე, შენ რას გიშლიან, ვერ გამიგია.

— როგორ გეტყობა, რომ პიჟონი ხარ!.. — ჯონი ყველას „პიჟონს“ ეძახდა, ვინც კი, მისი აზრით, ცუდად ერკვეოდა ამერიკული ცხოვრების წესში. და როცა მეც ამ ეპითეტით შემამკო, ბუნებრივია, არ მესიამოვნა და რევანშის აღების მიზნით, სწორედ ის სიტყვა გამოვიყენე, რომელიც ყველაზე მეტად გამოიყენა წონასწორობიდან:

— პიჟონიცა ხარ და შაითანიც!.. — ბოლო სიტყვა დამარცვლით წარმოვთქვი, გავუღიმე და მშვიდად წავედი მანქანისკენ.

ჯონის უკვე, ასე თუ ისე, ვიცნობდი. კარგად ვიცოდი, როგორ „ვარდებოდა“ სიტყვა „შაითანზე“, რაც მაჰმადიანისთვის — არც მეტი, არც ნაკლები — ეშმაკს ნიშნავს!

ჯონიმ ერთი შემომხედა, ფერი ეცვალა, რაღაც თურქულად ჩაიბურდღუნა, მერე გაგისწორდებიო, — დააყოლა და უკმაყოფილოდ გამეცალა...

ხუმრობა ხუმრობად, მაგრამ მანქანებმა რომ თანდათან იმატა, მეც შევფიქრიანდი. თანაც, სულ ერთმანეთისგან განსხვავებული ტიპები მოდიოდნენ. საერთო მათ შორის მხოლოდ ის იყო, რომ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდნენ, თითქოს ვიღაცის თავდასხმის ეშინიათო. ნერვიულობისგან ზოგი ცხვირს იფხანდა, ზოგი კეფას და ზოგიც კიდევ სათვალეს ისწორებდა. მივხვდით — ჩვენი კლიენტი ნარკოდილერი იყო და ეს ჭრელ-ჭრელი ხალხი მასთან წამლის შესაძენად მოდიოდა... მაგრამ როცა ჯონიმ პირველად ეს ვარაუდი გამიმხილა, მაინც დავამშვიდე:

— მერე შენ რა განერვიულებს, ჯონი? კისერიც უტეხიათ! ჩვენ ჩვენს საქმეს ვაკეთებთ, ისინი — თავისას...



— როგორ გითხრა... ასეთ ხალხთან ურთიერთობა ცუდად მაქვს დაცდილი... — თავის მართლებასავით წაილუღლუღა ჯონიმ.

სამწუხაროდ, მისი ვარაუდი გამართლდა...

ორი საათი მოვანდომეთ ავეჯის შეფუთვასა და ძარაზე მის დატვირთვას. დავძარით თუ არა მანქანა, მალე ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც მბაფრსიუჟეტიან დეტექტივში ხდება ხოლმე.

მე და ჯონი — „დეტექტივის“ გმირები

არ გასულა ხუთიოდე წუთი, რომ პოლიციის ოთხმა მანქანამ ალყაში მოგვაქცია, თანაც ისეთ საშინელ სირენას აკივლებდა ოთხივე, რომ გული ლამის საგულიდან ამომივარდა.

— ხომ გითხარი, კაკო, ეს ხალხი არ მომწონს-მეთქი! — კბილებში გამოცრა ჯონიმ და გვარიანად შეიკურთხა. მერე კი განაგრძო: — უნდა მივმხდარიყავით და ეს სამუშაო არ უნდა აგვეღო!..

ჯონი აღელვებული ლაპარაკობდა, სახეზე ადამიანის ფერი აღარ ედო...

პოლიციელებმა უცერემონიოდ გადმოგვყარეს კაბინიდან, ხელებზე ბორკილები დაგვადეს, სახით ძარის მხარეს შეგვაბრუნეს, ფეხები გაშალეთო, — გვიბრძანეს და ჩვენს ჩხრეკას მიჰყვეს ხელი.

— რა დავაშავეთ, სერ? — ამოვიღე ხმა.

— „შათ აფ!“ (ხმა ჩაიწყვიტეო), გააკეთე ის, რასაც გეუბნებიან!.. — ისე მიღრიალა პოლიციელმა, რომ მივხვდი — სახუმაროდ ნამდვილად არ მქონდა საქმე. ამომალაგებინა ჯიბეებიდან, რაც კი რამ მეწყო და როდესაც ნახა, საეჭვო არაფერი მქონდა, უკან დამიბრუნა და კვლავ უხეშად მიბრძანა — არ გაინძრეო!..

პოლიციელის ღრიალმა ისე ამაფორიაქა და დამაბნია, რომ ვერც კი ვამჩნევდი, რა ხდებოდა ჩემ გარშემო. ჯონი და ის ორი ესპანელი მუშაც გაჩხრიკეს. ჯონის პატარა ცელოფანის პაკეტი უპოვეს, რომელშიც მომწვანო ფერის ბალახი ეყარა — მარიხუანა!.. ჩემი ამერიკელი თურქი მეგობარი მოსაწევით რომ ირთობდა ხოლმე თავს, ეს კი ვიცოდი, მაგრამ ასე გაუფრთხილებლად თუ ჩაიდებდა ჯიბეში ნარკოტიკს, ნამდვილად არ მეგონა. ამ ფაქტმა, ისედაც გაცეცხლებული პოლიციელები კიდევ უფრო გააშმაგა და თავიანთი მანქანებიდან ორი გაწვრთნილი ნაგაზი გადმოიყვანეს და ჩვენი მანქანის ძირისძირობამდე ჩხრეკა დაიწყეს. ნარკოტიკებს ვერსად მიაგნეს.

უშედეგო ნახევარსაათიანი ძებნის შემდეგ, ერთ-ერთი პოლიციელი ნაგაზთან ერთად გადმოხტა ძარადან და კაბინის კარი გააღო. როგორც კი ძაღლი კაბინაში შევარდა, ისეთი ყეფა ატეხა, რომ მივხვდი — გაწვრთნილმა ნაგაზმა იპოვა ის, რასაც ეძებდა. განცვიფრებული და გაოგნებული შევყურებდი პოლიციელებს, როცა მათ ჩემი სავარძლის ქვემოდან მოზრდილი პაკეტი გამოიღეს. გახსნეს და დავინახე, როგორ გადმოიყარა თეთრი ფხვნილი... ძვირად ღირებული ჰეროინი ასფალტზე იყრებოდა. მე კი ვგრძნობდი, როგორ მეკარგებოდა მეტყველების უნარი...

იქ, სადაც ყველა უდანაშაულოა...

წარმოიდგინეთ, რა გუნებაზე უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც ბრალი ედება ნახევარი კილოგრამი ნარკოტიკული ნივთიერების (თანაც — ჰეროინის!) შენახვა-გადაზიდვაში...

როგორ მიმიყვანეს პოლიციის განყოფილებაში და როგორ მოვხვდი დაკითხვის მაგიდასთან, ვერაფრით ვიხსენებ. ჩემ წინ იჯდა ამერიკელი პოლიციელი და მკაცრი გამომეტყველებით მისვამდა ფორმალურ კითხვებს. მას სულაც არ აინტერესებდა ჩემი მდგომარეობა — თავის საქმეს აკეთებდა...

— რა გვარი ხარ?

ვუპასუხე.

— რამდენი წლისა ხარ?

ვუპასუხე.

— დაბადების ადგილი?!.

— იცით, მე არაფერ შუაში ვარ, ნამდვილად არ ვიცი, როგორ მოხვდა ის პაკეტი მანქანაში... მე...

— მე სულაც არ მაინტერესებს, შენ რა იცი!.. მიპასუხე იმ კითხვებზე, რომელსაც გისვამ!.. — გარდა იმისა, რომ უხეშად მელაპარაკებოდა, მის გამოხედვაში აშკარა ზიზღიც დავინახე და უფრო მეტად წამიხდა ხასიათი.

— სად შეიძინეთ ნარკოტიკი და სად მიგქონდათ? — თვალი თვალში გამიყარა მან.

— მე ხომ გითხარით, არაფერი ვიცი-მეთქი...

— მეხუმრები? ნახევარი კილო ჰეროინი გედო კაბინაში და არ იცი, იქ საიდან მოხვდა?! — ირონიულად ჩაიცინა.

— არა, ნამდვილად არ ვიცი! ყველაფერს გეფიცებით, ნამდვილად არ ვიცი!.. — ალბათ ძალიან გულწრფელად გამომივიდა.

— გეტყობა, მაგარი გაიძვერა ხარ!.. ელექტროსკამზე რომ მოხვდები, მერე უკეთესად ალაპარაკდები. ახლა შენთვის არ მცალია! — მითხრა და ხელქვეითს დაუძახა: — გაათრიე აქედან და მე-6 საკანში შეაგდე!

თავი ძლივს შევიკავე, რომ ამერიკელ პოლიციელს არ ვცემოდი, მაგრამ რას იზამ, როცა თავს ზემოთ ძალა არ არის?!.

მეორე პოლიციელს ჩემთვის ბორკილებიც არ აუხსნია, ისე შემაგდო საკანში. როცა ვანიშნე — მომხსენი-მეთქი, — ცივად მიპასუხა: ამის ბრძანება არ მიმიღიაო, — და შეკრული ხელებით აღმოვჩნდი ჩაბნელებულ, რკინისგისოსებიან საკანში.

ისეთი სიბნელე იყო, თავიდან მეგონა, რომ მარტო ვიყავი. მერე, როცა სიბნელეს თვალი შევაჩვიე, ვნახე, რომ ხუთ პატიმართან ერთად ვყოფილვარ: მათ შორის, ორი ზანგი იყო და სამი თეთრკანიანი. მისალმებაზე არ მიპასუხეს, მანიშნეს — ფეხზე რას დგახარ? — დაჯექიო. ეტყობა, ისეთი შეშლილი სახე მქონდა, რომ ნახევარი საათი მაინც, არავინ დამლაპარაკებია. საკანში სამარისებური სიჩუმე იდგა. ბოლოს, ერთმა ზანგმა ვერ მოითმინა და „გამეხუმრა“:

— ხომ მშვიდობაა გარეთ?..

კითხვა ვერ გავიგე და გავამეორებინე. მანაც დამარცვლით წარმოთქვა:

— კიდევ იჭერენ ხალხს?

— მე კი დამიჭირეს და სხვებისა არაფერი ვიცი... — ჩემთვის წავიბუტბუტე.

პატიმრებს გაეცინათ. ასე დაიწყო გაცნობის პროცესი.

— რისთვის დაგიჭირეს? — მკითხა ერთ-ერთმა თეთრკანიანმა.

— არაფრის გულისთვის — უბრალოდ, რაღაც გაუგებრობაა და მეტი არაფერი!.. — გამოვცოცხლდი და ჩემი სიმართლის მტკიცება დავიწყე...

— ე-ე, აქ ყველანი ანგელოზები ვართ, ყველანი უდანაშაულოები... ჰო, რას მიყურებ, აქ ყველა უცოდველია!.. — ეს თქვა და საკანში გულიანი ხარხარი ატყდა.

მივხვდი, სრულიად ახალ სამყაროში ამოვყავი თავი — სამყაროში, რომელიც დიდი გამოცდის წინაშე მაყენებდა! ■

29 აპრილს ქარვასლაში დიზაინერ ნატა ჩაჩუას გამოფენა-გაყიდვა გაიხსნა, რომელიც 5 დღეს გასტანს. ექსპოზიცია ძალზედ მრავალფეროვანია: პროფესიით გობელენისტს რაში აღარ მოუსინჯავს ბედი — წარმოდგენილი იყო ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ჩანთები, აქსესუარები, გრაფიკა, გობელენი, თექა, ბატიკა, ფარდაგი. როგორც დამსწრე საზოგადოებამ აღნიშნა, ასეთი გამოფენა ჯერ არავის მოუწყვია.

ნატამ სულ რამდენიმე თვეა, რაც ტანსაცმლის და ფეხსაცმლის დიზაინს მოჰკიდა ხელი. ბოლო ორი-სამი წლის მანძილზე ეს ქალბატონი საქორწილო სუფრისა და ინტერიერის დიზაინითაც დაინტერესდა და როგორც თვითონ ამბობს, არაერთი ცნობილი ადამიანისთვის გაულამაზებია საქორწილო სუფრა.

რამდენი ეხდებათ ელიზარებს საქორწილო სუფრა

ნინო ჯავახიშვილი

— ნატა, თავდაპირველად შენ შესახებ მითხარი რაიმე...

— პროფესიით გობელენისტი და კერამიკოსი ვარ. ორი წლის წინ მქონდა პერსონალური გამოფენა ბათუმში. უფრო ადრე კი, საფრანგეთში ქალაქ ლიჟონში. ორივე ექსპოზიციაზე მხოლოდ გობელენები და თექები იყო წარმოდგენილი. ეს გამოფენა კი, გარკვეულწილად ექსპერიმენტულია, რადგან მინდოდა, მომეხდინა სინთეზი ყველა იმ ნამუშევრისა, რაც სხვადასხვა დარგში შემიქმნია. დიზაინერობა ტყავთან შეხებამ გადამაწყვეტინა. პირველად გავაკეთე ტყავის ქამარი და მერე ვიფიქრე, რომ ამ ქამარს კაბაც სჭირდებოდა, კაბას — ფეხსაცმელიც, ამ ყველაფერს კი სამკაულებიც დაამშვენებდა... მასალა თვითონ მკარნახობს, მისგან რა და როგორ უნდა გავაკეთო. შეიძლება, კალამი და ფურცელი არც ავიღო და ესკიზი არც დავხატო, რადგან, მთელი დღის განმავლობაში, რა საქმესაც არ უნდა ვაკეთებდე, ტვინი სულ მუშაობს, „ხარშავს" ყველაფერს და ბოლოს, „გამოვაცხობ" ხოლმე ესკიზს, რომელსაც ფაქტობრივად, უკვე დასრულებული სახე აქვს. ეს ყველაფერი საკუთარი ხელით მაქვს გაკეთებული, რაც ძალზედ რთული და დამღლელი იყო. თითოეულ ნივთში მთელი სული და გული მაქვს ჩადებული...



— შენს მოდელებში და, რაც ყველაზე უცნაურია, საქორწილო კაბებშიც კი, ტყავი დომინირებს...

— მინდოდა, მეჩვენებინა, ტყავის მნიშვნელობა. იმდენად ვგრძნობ ამ მასალას და იმდენად ვიმორჩილებ, რომ გადავწყვიტე, ჩემს ნამუშევრებში ძაფის მაგივრობა ტყავს გაეწია. დამთვალიერებელი შეაფასებს, თუ როგორი გამომივიდა... გარდა ამისა, ტყავით გავაწყვე საქორწილო კაბებიც. ერთი შეხედვით, უცნაურია, ასეთი ტლანქი და უხეში მასალით საქორწილო კაბის გაწყობა, მაგრამ ვფიქრობ, ამ ექსპერიმენტმა გაამართლა...



— ფეხსაცმელზე რას მეტყვი?

— რამდენიმე ხნის წინ, ერთ ცნობილ ფირმაში შევაკერინე ფეხსაცმელი, მერე რაღაც შევაცვლევინე ჩემი ინიციატივით და ფეხსაცმელმა საერთოდ იცვალა სახე. მაშინ გადავწყვიტე, რომ კლასიკური ფორმის ფეხსაცმელზე ზედაპირი ჩემი დიზაინით გამეკეთებინა. ფეხსაცმლის სილუეტი უკვე კარგა ხნის მოფიქრებული და დახვეწილია, რაღაც ახალს ვეღარ გამოვიგონებდი... ამ ფეხსაცმელზე ტყავი, ფერი და ტყავის დეკორი (სამშვენისები) ჩემი გაკეთებულია, კალაპოტი და საერთოდ ტექნოლოგია კი, ერთ-ერთ ფირმას ეკუთვნის.

— როგორც ვიცი, საქორწილო სუფრის დიზაინსაც აკეთებ და არაერთი ცნობილი ადამიანისთვის გაგილამაზებია გაბედნიერების დღე...

— თბილისის ორ პოპულარულ რესტორანში გაწყობილი ყველა საქორწილო სუფრა ჩემი გაფორმებულია. ბავშვობიდანვე მქონდა სურვილი, რომ ნეფეპატარძლის სუფრა ძალიან რომანტიკული და განსხვავებული ყოფილიყო. მეცინებოდა, მათ ზურგს უკან ხალიჩაზე მიკრულ ორ მიხაკს რომ ვხედავდი ხოლმე. კარგია, პროფესიონალურ დონ-

ტესტი

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გეგახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. ვინ ასრულებს ძიტესას როლს მხ/ფ-ში „ამბავი ივანე კოტორაშვილისა“?

ა) რეზო ამაშუკელი;
ბ) ვახტანგ ცხადაძე.
გ) ვახტანგ ჭაბუკიანი;

2. რომელი დაავადებით არ სნეულდებიან ზვიგენები?

ა) გრიპით;
ბ) კარიესით;
გ) კიბოთი.

3. რა თანდაყოლილი ნაკლი აძვს ლეიტენანტ კოლომბოს როლის შემსრულებელ მსახიობს, პიტერ ფალკს?

ა) ენაბლუა;
ბ) სმენადაქვეითებულია;
გ) ცალ თვალში მხედველობა არა აქვს.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

დიზაინერი



ეზე ინტერიერის გაფორმების სურვილი და მოთხოვნილება რომ გაუჩნდა ხალხს... ჩემი დის ახლობელმა მთხოვა – საქორწილო სუფრის და ინტერიერის მოწყობაში მომეხმარეო, – და იმ დღიდან ძალზედ შემოქმედებითად მივუდექი ამ საქმეს. შევქმენი ესკიზები, რომელშიც დომინირებს ფაიფური, ლითონი, ნახევრად ძვირფასი ქვებით დამზადებული გვირგვინი, ხელოვნური და ცოცხალი ყვავილები და ა.შ. გარდა ამისა, დიდი რაოდენობით ქსოვილიც მჭირდება, რადგან ეს სამუშაო ძალიან შრომატევადია და ერთი ადამიანი რამდენიმე საათის განმავლობაში ვერ შექმნის რომანტიკულ გარემოს, ამიტომ მყავს დამხმარე პერსონალიც.

— მაინც ვისი საქორწილო სუფრა გაგილამაზებია?

– ხელმოკლე ადამიანი ელიტურ რესტორანში ქორწილს ვერ გადაიხდის არა?! არაერთი პარლამენტარისა და დიდი თანამდებობის პირის შვილის საქორწილო სუფრა და ინტერიერი გამიკეთებია. ბევრი ჩემი კლიენტის ვინაობა დღესაც არ ვიცი... პარლამენტარების – რეზო არველაძის, რუზგენ გოგოხიას შვილების ქორწილები გავაფორმე. კიდევ კახა იმნაძე გახლდათ ერთ-ერთი პარლამენტარის მეჯვარე და იმ ქორწილის ინტერიერზეც ვიმუშავე. საერთოდ, ამ საქმეში დიდ პოტენციალს ვდებ. პატარძლის გაბრწყინებული თვალები კი, ჩემი შრომის შეფასებაა. ტრაბახით არ ვამბობ, მაგრამ ყველა აღფრთოვანებული რჩება ხოლმე ჩემი ნამუშევრით. ამას წინათ, ჯგუფი „ა-სტუდიო“ რომ ჩამოვიდა თბილისში, რესტორან „სარაჯიშვილში“ უნდა ემღერა. მამუკა ონაშვილი ტექნიკურ მხარეს აწესრიგებდა და იქ შეესწრო საქორწილო ინტერიერის მოწყობის პროცესს. ყველაფერი რომ დამთავრდა, მამუკამ – რა მშვენიერია, ასეთი რამ სხვა დროს არსად მინახავსო, – გაოცებით გვითხრა.

— საინტერესოა, მაინც

რამდენი უჯდებათ ელიტარებს ეს სიამოვნება?

– საშუალოდ, 250-300 დოლარი. ზოგისთვის ეს ძალიან დიდი თანხაა, ზოგი მთელ ქორწილში იხდის 300 დოლარს, ზოგი კი – მარტო საქორწილო სუფრისთვის, ინტერიერისა და ამაღლებული განწყობის შესაქმნელად ხარჯავს ამდენივეს...

■

„მატრიცის“ გადაღებებზე მსახიობები დაშავდნენ

საკულტო ფილმის – „მატრიცას“ მეორე და მესამე ნაწილის გადაღებები დასრულდა. მაგრამ როგორც ცნობილი გახდა, სურათში თამაშისას ჰოლივუდის არაერთი ვარსკვლავი დაშავდა. ამის შესახებ ავსტრალიელ ჟურნალისტებს მსახიობი ჰუგო უივინგი ესაუბრა, რომელიც ფილმში აგენტი სმიტის როლს ასრულებს. მაგალითად, კერი-ენ მოსმა (ტრინტის როლის შემსრულებელი) ერთ-ერთი ტრიუკის შესრულებისას ფეხი მოიტეხა; ლოურენს ფიშბერნმა (მორფუსი) ვარჯიშისას სერიოზულად დაიზიანა ხელი; თავად ჰუგო უივინგიც ვერ გადაურჩა ტრავმას. ყველაზე მეტად სწორედ მას არ გაუმართლა – უხერხულად დაცემისას კისრის მალის დისკი დაიზიანა. მას ინტენსიური მკურნალობის კურსი ჩაუტარდა და ახლა თავს შედარებით უკეთ გრძნობს. „საკმაოდ დიდ მანძილზე უნდა მეფრინა და შემდეგ ზურგზე დავცემულიყავი. ყველაფერი სათანადოდ გავაკეთეთ და საკმაოდ ეფექტური სცენაც გამოვიდა, მაგრამ არ გამიმართლა, ცოტა უხერხულად დავეცი და ხერხემლის დისკი დავიზიანე“, – უთხრა მსახიობმა ჟურნალისტებს.

სხვათა შორის, მთავარი როლის – ნეოს შემსრულებელს, კიანუ რივზს, სხვა კოლეგებისაგან განსხვავებით, აშკარად გაუმართლა. უივინგმა აღნიშნა, რომ იგი არაჩვეულებრივ ფორმაში იყო. „კიანუ შესანიშნავად აღმოჩნდა მომზადებული. იგი ურთულეს ტრიუკებს ასრულებდა და ძალიან ბრაზდებოდა, როცა პროდიუსერები განსაკუთრებით სახიფათო ეპიზოდებში გადაღებას უკრძალავდნენ.

15 მარტს კანის კინოფესტივალი იხსნება, სადაც საკონკურსო პროგრამის გარეშე, ტრილოგიის მეორე ნაწილი იქნება წარმოდგენილი. ფესტივალს ფილმის ჯანმრთელი და ტრავმირებული ჯგუფის წევრებიც დაესწრებიან. ფილმის მესამე ნაწილი ეკრანებზე მხოლოდ წლის ბოლოსთვის გამოჩნდება.

შეგახსენებთ, რომ „მატრიცას“ პირველმა ფილმმა ოთხი „ოსკარი“ მოუტანა შემქმნელებს და კინოგაქირავებაშიც 460 მლნ-ს მოუყარა თავი. ტრილოგიის II და III ნაწილების ბიუჯეტი 300 მლნ-ს შეადგენდა. ■

„ჯოჯოხეთის“ ვნემანი



მსახიობ სკოტ სპიდმენის მიერ გაზეთ „ქალგარი სანისათვის“ მიცემული ინტერვიუდან ცნობილი გახდა, რომ მიმდინარეობს ვამპირული ტრილერის – „ჯოჯოხეთის“ გადაღებები, რომლის შინაარსიც ფრიად მოგაგონებთ უკვდავ „რომეოსა და ჯულიეტას“ სიუჟეტურ ქარგას.

სურათში წარმოდგენილია ვამპირთა საიდუმლო კლანი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან თანამედროვე, დახვეწილი არისტოკრატები. ამ კლანის დაუძინებელი მტრები არიან მაქციები – ქუჩის თავზეხელაღებული ბანდიტები, რომლებიც ღამღამობით ქალაქის ქუჩებში დაძრწიან.

ამ ორ ძალას შორის, ბალანსი ირღვევა მაშინ, როცა ახალგაზრდა ვამპირ ქალს ერთ-ერთი მაქცია უყვარდება. „კეიტ ბეკინსეილი ვამპირთა წინამძღოლის როლშია, სწორედ მას შეუყვარდება მაქცია და კლანისადმი მისი ერთგულება ეჭვქვეშ დგება“, – განმარტავს სპიდმენი.

თავად სკოტ სპიდმენის პერსონაჟი თავდაპირველად ადამიანია, მაგრამ შემდეგ მას მაქცია უკბენს და ისეთ არსებად გადაიქცევა, რომლის სახის მისაღებადაც მსახიობი ყოველი გადაღების წინ საგრიმიოროში სამ საათს მაინც ატარებს.

ფილმი ეკრანებზე 19 სექტემბერს გამოვა. ■

„იურული პერიოდის პარკის“ მეოთხე ფილმი საკუთარ ფესვებს უმრუნდება

სპეცეფექტების ცნობილი სპეციალისტის, სტენ უინსტონის (იგი „უცხოპლანეტელის“, „ტერმინატორისა“ და „მტაცებლის“ სპეცეფექტებზე მუშაობდა) მიერ ჟურნალ „ბოქსოფისისათვის“ მიცემული ინტერვიუდან ცნობილი გახდა, რომ იგი სტივენ სპილბერგთან ერთად მუშაობას განაგრძობს „იურული პერიოდის პარკის“ მეოთხე ფილმის სცენარზე.

„ფილმი ჯერჯერობით პროექტის სტადიაშია. ჩვენ ვამზადებთ ნახატებსა და კონვენციას, რომელსაც შემდეგ სტივენი განიხილავს და კორექტივები შეაქვს. ჩვენ უამრავ ექსპერიმენტს ვატარებთ, რადგან გვსურს, რომ დინოზავრები ძალზედ რეალისტურად გამოიყურებოდნენ.

ფილმის სიუჟეტის თაობაზე უინსტონმა განაცხადა: „სურათის ეს ნაწილი ძალზედ განსხვავებული იქნება წინა სამი სერიისაგან. სტივენს სურს, რომ მაიკლ კრაიტონის ინტელექტუალური რომანის ფესვებს დაუბრუნდეს. ფილმის პირველ

სერიაში მომხდარი მოვლენებიდან 12 წლის შემდეგ, მოქმედება კვლავ კოსტარიკას სანაპიროზე განვითარდება“.

სავარაუდოა, რომ სემ ნილსა და ჯეფ გოლდბლიუმს მაყურებელი კვლავ იხილავს ფილმში, რომლის პრემიერაც 2005 წლისთვისაა დაგეგმილი. ■

საზაფხულო შეტევა ჭარბ წონაზე

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

ახლოვდება სარაფნების, შორტებისა და საბანაო კოსტიუმების სეზონი. როგორ დავიკლოთ 2-3 კილოგრამი სეზონის დაწყებამდე? გთავაზობთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან შეკრებილ რეცეპტებს.

ფრანგული

შეცვალეთ ჩვეული რაციონი

უარი თქვით ცხიმიან, მარილიან, სანელებლიან საკვებზე. მენიუში ხშირად შეიტანეთ ახალი ხილი და ბოსტნეული, რომელიც ვიტამინების, მინერალების, უჯრედისისა და ნახშირწყლების წყაროა. სხვათა შორის, ნახშირწყლების გადამუშავებისას ორგანიზმი მეტ კალორიას წვავს, ვიდრე ცხიმის ათვისებისას.

არ გამოტოვოთ საუზმე

წინაღმდეგ შემთხვევაში შუადღისათვის ისეთ მდგომარეობაში მოხვალთ, რომ ჩვეულებრივზე გაცილებით მეტს შეჭამთ. დილის ტრაპეზი ორგანიზმის დღის მოთხოვნილების 20%-ს უნდა შეადგენდეს. სასარგებლოა ცნობილი ფრანგული სილამაზის სალათა. 3 ს/კ შვრიის ბურბუშელას დაასხით ცოტაოდენი ადუღებული წყალი. ერთ საათში ბურბუშელები გაფუვდება. დაუმატეთ 4 ს/კ უცხიმო რძე, 1 ს/კ თაფლი და მსხვილად გახეხილი ვაშლი. კარგად აურიეთ და მოასხურეთ ლიმონის წვენი.

უარს ნუ იტყვით წვნიანზე

დიეტოლოგთა აზრით, პირველი კერძი კარგად თრგუნავს მადას. უცხიმო წვნიანის მირთმევის შემდეგ სწრაფად დანაყრდებით, თანაც ნაკლებ კალორიას მიიღებთ. განსაკუთრებით კარგია ბოსტნეულის წვნიანი.

ნუ გამორიცხავთ რაციონიდან პურს

უბრალოდ გადადით შავ პურზე, რომელიც ენერგიისა და უჯრედისის საუკეთესო წყაროა. კვების სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ კილოგრამების სიჭარბეში ხშირად დამნაშავეა არა პური, არამედ კარაქის, ჯემის, ქონიანი ლორისა და ძეხვის ჭარბად მიღება. მათი ჯანსაღი ალტერნატივაა დაბალკალორიული ბოსტნეულის, თევზისა და ხილის ბუტერბროდები.

კვირაში ერთხელ მოაწყვეთ განტვირთვის დღე

ეს აუმჯობესებს თვითშეგრძნებას, ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას და ცხიმების წვის პროცესს. ამასთან ცოცხალი ხილი შეიცავს აუცილებელ საკვებ ნივთიერებებს, რომელიც მოდუნების, ძილიანობისა და თავბრუსხვევისგან გვიცავს.

ვაშლის დღე: 1 კგ ვაშლი (შეიძლება შემწვარიც), ორი ჭიქა ჩაი ან ყავა უშაქროდ.

გრეიპფრუტის დღე: 1,5 კგ გრეიპფრუტის რბილობი, 2 ჭიქა მინერალური წყალი.

წვენების დღე: დილიდან მოამზადეთ 1 ლ ახალგამოწურული გრეიპფრუტისა და 150 მლ ლიმონის წვენის კოქტეილი მთელი დღისათვის. წვენი გაანაწილეთ მცირეოდენი ანადუღარი წყლით და სვით მთელი დღე.

ჰოლანდიური

სატაცურის დიეტა

გაზაფხულობით ჰოლანდიელები შლაკებისა და ტოქსინებისგან ორგანიზმის ერთკვირიან წმენდას იტარებენ, რისთვისაც სატაცურის კერძებზე გადადიან. იგი ბიოლოგიურად ღირებული პროდუქტია.

მსუბუქი საუზმისთვის მოხარშეთ სატაცური 3-5 წუთით ოდნავ მარილიან წყალში, შემდეგ შეაზავეთ ზეთით. თუ ნახარშს ტომატის წვენს დაუმატებთ, მიიღებთ შესანიშნავ დიეტურ წვნიანს.

გამწმენდი ნახარშის მოსამზადებლად 3 ჩ/კ ყლორტებს დაასხით 500 მლ მდუღარე წყალი, ადუღეთ 5 წთ და გააჩერეთ 2 სთ. გაწურეთ ნახარში და სვით 1/2 ჭიქა 3-ჯერ დღეში ჭამამდე.

ამერიკული

გააააქტიურეთ ნივთიერებათა ცვლა

თუ მიეჩვევით ტელეფონით ფეხზე მდგომი საუბარს, ამგვარად ორჯერ მეტ კალორიას დახარჯავთ.

ტელევიზორის ყურებისას ნუ დაიზარებთ ყოველ ნახევარ საათში წამოდგეთ, გაიჭიმოთ, იხტუნოთ, რამდენჯერმე ჩაბუქნოთ.

ჩვეულებრივზე 10-15%-ით მეტ კალორიას დახარჯავთ, თუ კომპიუტერთან მუშაობის ან წიგნის კითხვის დროს სწორად დაჯდებით, არ გადაწვებით სავარძელში და მაგიდასთან არ მოიხრებით.

აღმოსავლური

დაიოკეთ მადა წერტილოვანი მასაჟის მეშვეობით

მსუბუქად დაიზილეთ წრიული მოძრაობით თვალის კაკლები: მათთან მდებარეობს შიშილის გრძნობის მარეგულირებელი წერტილები. ამ გზით დათრგუნავთ მოძალებულ მადას.

შეისუნთქეთ არომატები

მწვანე ვაშლის, ბანანის, ვარდის, ვანილის, პიტნის და პილპილის არომატი აქვეითებს მადას და ხელს უწყობს გახდომას. ამიტომ იქონიეთ თან თქვენ მიერ შერჩეული არომატის მქონე არომამედალიონი და დროდადრო დაყნოსეთ ხოლმე. ჭამის წინ და ჭამის დროს მაგიდაზე დაანთეთ არომატული სანთელი და ზედმეტს აღარ შეჭამთ. ყველაზე კარგი ვარი-

ანტია — დაჭერით ბანანი და მწვანე ვაშლი, მოაყარეთ ცოტა ვანილი და ისუნთქეთ ნატურალური არომატი მთელი სადილის განმავლობაში, შემდეგ კი მიირთვით ხილი დესერტად.

შვედური

ივარჯიშეთ ფართლექსი

გახდომისთვის სულაც არ არის აუცილებელი ვარჯიში დაუძლურებამდე. მთავარია, ყოველდღიურად დაუთმოთ ფიზიკურ დატვირთვას თუნდაც 30 წუთი, მაგრამ სიამოვნებით. ამ მხრივ შესანიშნავია მოდური სტილის გამაჯანსაღებელი სიარული „ფართლექსი". შვედურად ეს სიტყვა „სიჩქარეთა თამაშს" ნიშნავს.

დილაობით სიარული უნდა დაიწყოთ ნელ ტემპში და ააჩქაროთ ყოველ 2-3 წუთში. როცა დაიღლებით, თანდათანობით შეანელეთ სიჩქარე ყოველ 2 წუთში. ნუ დაიძაბებით, იდაყვები ამოძრავეთ მშვიდად.

საღამოს ვარჯიში ზომიერ ტემპში ჩაატარეთ. ყურადღება გაამახვილეთ არა სიჩქარეზე, არამედ სუნთქვაზე: 2 ნაბიჯი — ღრმად ჩაისუნთქეთ ცხვირით, 2 ნაბიჯი — ნელა ამოისუნთქეთ პირით. 3-4 კვირაში თქვენ 500-700 გ-ის დაკლებას შეძლებთ.

■

დღეგრძელობის საიდუმლო

დასავლეთში დღეგრძელობის ნამდვილი ბუმია. ჯანმრთელი, ენერგიული, ფინანსურად უზრუნველყოფილი პენსიონერები საავადმყოფოებსა და მოხუცებულთა სახლებს კი არ ავსებენ, არამედ — სპორტულ დარბაზებს, საცეკვაო მოედნებსა და აეროპორტებს. ისინი აშენებენ სახლებს, ყიდულობენ იახტებს, აწარმოებენ ბიზნესს... რაში მდგომარეობს ამ ადამიანთა საიდუმლო და როგორ დავემსგავსოთ მათ?

ახალი ერა

როცა გასული საუკუნის 70-იან წლებში დემოგრაფებმა გამოთვალეს, რომ ახალი ათასწლეულის დასაწყისისათვის მოხუცებულთა წილი მკვეთრად გაიზრდებოდა, მომავალი საკმაოდ მუქ ფერებში მოჩანდა: საზოგადოება დაბერდება — მაშასადამე განვითარება შეფერხდება, მოხუცებზე ზრუნვა კი მძიმე ტვირთად დააწვება შრომისუნარიან მოსახლეობას.

დღეს უკვე ნათელია, რომ ეს მოსალოდნელი საფრთხე არ გამართლდა. კაცობრიობის საუკუნეობრივი ნატვრის: „ახალგაზრდებმა რომ იცოდნენ, მოხუცებს რომ შეეძლოთ..." — მეორე ნაწილი მაინც თითქმის განხორციელდა. თანამედროვე პენსიონერები ითვისებენ ახალ პროფესიებს და სპორტის ახალ სახეობებს (რა თქმა უნდა, არა ჩვენში), სექსოლოგსაც კი მიმართავენ პრობლემების წარმოშობის დროს.

არ შეიძლება არ აღინიშნოს მედიცინის წვლილი: მისმა ბოლოდროინდელმა მიღწევებმა მნიშვნელოვნად გაახანგრძლივა ადამიანის სრულყოფილი, აქტიური ცხოვრება, მაგრამ ასეთი გლობალური ცვლილებები შეუძლებელია აიხსნას მხოლოდ კორონარული შუნტირების მეთოდის (გულის სისხლძარღვთა პლასტიკური ქირურგიის მეთოდი) დანერგვით. რაც არ ძალუძს ოპერაციებსა და რთულ სამედიცინო ტექნიკას, მხოლოდ სწორი კვებითა და ჯანსაღი ცხოვრების წესით მიიღწევა.

საკუთარ დღეგრძელობას ყველა თავად იქმნის

წავიდა ის დრო, როცა ყველაფერს მემკვიდრეობითობას მიაწერდნენ. დღეს გამოთვლილია, რომ გენეტიკის წილი ჩვენს ჯანმრთელობასა და დღეგრძელობაში საშუალოდ 10-დან 30%-მდეა. დანარჩენი კი ჩვენზეა დამოკიდებული. ყველაზე საუკეთესო მემკვიდრეობითობაც კი, არ იძლევა არავითარ გარანტიებს და არ უნდა გახდეს არაჯანსაღი ცხოვრების წესის მიზეზი. ასევე ცუდი მემკვიდრეობითობაც არ არის განაჩენი: თუ პაპას ან მამას 40 წლის ასაკში ჰქონდა ინფარქტი, უბრალოდ საჭიროა გარკვეული ზომების მიღება, რომ თქვენც იგივე არ დაგემართოთ.

მაგრამ როგორ? ამის გაგება ყველაზე რთულია. ჩვენ მივეჩვიეთ, რომ ჩვენზე ვიღაც სხვა ზრუნავს. ექიმმა გვირჩია ვიტამინების მიღება — რას ვიზამთ, დავლიოთ, თუკი არ დაგვავიწყდება. ისე კი, რა საჭიროა აბები, ჯერ ხომ არაფერი გვტკივა?

უახლოეს ათწლეულებში მოგვიწევს, თავად ვაგოთ პასუხი საკუთარ სიცოცხლესა და თვითშეგრძნებაზე. იდეალური ჯანმრთელობა, როგორც ბუნების საჩუქარი, დღეს იშვიათობაა. აქტიური დღეგრძელობა კი გაცნობიერებული დღეგრძელობაა, რომელიც დაუნდობელ დროსთან ბრძოლაშია მოპოვებული. იგი მოითხოვს არა მხოლოდ ნებისყოფას, არამედ ცოდნასაც (არა იმას, რომელსაც სკოლაში ვღებულობთ). ვისაც სურს, დიდხანს იცოცხლოს, თავიდან უნდა შეისწავლოს ბავშვობიდან ნაცნობი საგნები.

უნდა გავიხსენოთ თუნდაც ყველაზე მარტივი სამკურნალო მცენარეები. სკოლაში გვასწავლიდნენ მენდელეევის ცხრილს — ახლა კი დროა, შევიტყოთ, რა ფუნქციებს ასრულებს ეს ელემენტები ჩვენს ორგანიზმში. აგრეთვე, რა რაოდენობითაა ისინი საკვებში, რა სიმპტომებს იწვევს მათი დეფიციტი და როგორ უნდა შეივსოს ეს დეფიციტი.

მხოლოდ ასე, თანდათანობით შეისწავლება ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გახანგრძლივების მთავარი გაკვეთილი. ნუ გეშინებათ იმედი, რომ მას თქვენ მაგივრად თქვენი ექიმი შეისწავლის. ეს ხომ თქვენი ცხოვრებაა და არა მისი.

დავრჩეთ ოცი წლისანი

სიბერესთან ბრძოლა არასოდეს არის ადრე. ყველა უახლესი ბიოქიმიური ტექნოლოგია ათვლის წერტილად ოცი წლის ადამიანის ორგანიზმს იღებს. ამ ასაკში ზრდა და მომწიფება დასრულებულია, ხოლო მნიშვნელოვან ჰორმონთა შემცველობა პიკს აღწევს. ნებისმიერი ჩანაცვლებითი თერაპიის მიზანი და იდეალი ოცი წლის ორგანიზმის ბიოქიმიური პარამეტრებისაკენ დაბრუნებაა.

მსგავსი ჩანაცვლებითი თერაპიები (თანამედროვე მედიცინის არსენალში ისინი ათეულობითაა) წარმოადგენს სიცოცხლის გახანგრძლივების საფუძველს. შევსება ხდება არა მხოლოდ ჰორმონების, არამედ ფერმენტების, ვიტამინების, მინერალების, ამინომჟავების და შეუცვლელი ცხიმების დეფიციტისა. გონივრულ დიეტასთან და ადეკვატურ ფიზიკურ აქტიურობასთან ერთად, ეს გასაოცარ შედეგებს იძლევა.

საკუთარი 20 წლის ძიების დაწყება უკვე 30 წლის ასაკშიც შეიძლება — რაც ადრე იქნება, მით უკეთესი. ვინც ადრე იწყებს ამაზე ზრუნვას, მას მეტი დრო რჩება იმისათვის, რომ იპოვოს საკუთარი ოპტიმალური ცხოვრების წესი და დატკბეს მისი ნაყოფით.

სიბერესთან ბრძოლა არასოდეს არ არის გვიან. ენერგიული ზომები და გამარჯვების



რა უწყობს ხელს ინტელექტუალურ დღეგრძელობას

1. ასეთი დღეგრძელობის საფუძველი ბავშვობაშივე იქმნება. მშობლის მზრუნველობა, სიყვარული და ალერსიანი დამოკიდებულება პატარას ნაკლებად მგრძნობიარეს ხდის სტრესებისადმი. ეს უკანასკნელი კი იწვევს ნერვული სისტემის გადაძაბვას, ზრდის ადრენალინისა და კორტიზოლის დონეს სისხლში, რის გამოც იღუპება ტვინის უჯრედები. დედის სიყვარულის ფრთებქვეშ ბავშვი ყველაფერს მშვიდად აღიქვამს და უკეთ უძლებს ცხოვრების მარათონს.

2. ვისაც პატარაობიდანვე უყვარდა სწავლა, მას უკეთ აქვს განვითარებული კავშირები ნერვულ უჯრედებს შორის. ამის გარეშე კი შეუძლებელია ტვინის მუშაობა. რა თქმა უნდა, სიბერის დროს ამ კავშირთა ნაწილი იშლება, მაგრამ დარჩენილი ნაწილიც საკმარისია ინტელექტუალური მუშაობისათვის.

3. ტვინი საკვებ ნივთიერებას სისხლით იღებს, ამიტომ მისი ფუნქციები სისხლის მიმოქცევის სისტემის (გულისა და სისხლძარღვების) მდგომარეობაზეა დამოკიდებული. მათი მოფრთხილება კი ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვას გულისხმობს: არ მოსწიოთ, ზედმეტი არ ჭამოთ, განსაკუთრებით მარილიანი, ტკბილეული და ცხიმიანი საკვები, კარგად გამოიძინეთ და ბევრი იმოძრავეთ.

4. მეცნიერებმა ცოტა ხნის წინ აღმოაჩინეს, რომ როდესაც ადამიანი სწავლობს, მნიშვნელობა არა აქვს ასაკს, მას მუშაობისას ერთვება ის გენები, რომელიც ბავშვობასა და ახალგაზრდობაში ჰქონდა „გააქტიურებული“. თუ ტვინი ინტენსიურად მუშაობს, ასაკოვან ადამიანშიც კი იგი განაგრძობს განვითარებას. ამასთან ახალი ინფორმაციის აღქმა დადებითად მოქმედებს ტვინის სტრუქტურაზე, რომელიც არეგულირებს სტრესის ჰორმონების წარმოქმნას. ეს იმას ნიშნავს, რომ ინფორმაცია არა მარტო ავითარებს ტვინს, არამედ იცავს მას დაღუპვისაგან.

5. როდესაც ჩვენ დადებით ემოციებს განვიცდით, ტვინი ენდორფინებს გამოიმუშავებს. მათ ბედნიერების ჰორმონებსაც უწოდებენ. ისინი ეწინააღმდეგებიან სტრესს და აუმჯობესებენ მეხსიერებას. ენდორფინების მომარაგება შეუძლებელია. ამიტომ დადებითი ემოციები მუდმივად უნდა განვიცადოთ.

6. ხანდაზმულ ასაკში აუცილებლად უნდა ვადევნოთ თვალი ტვინის ენერგეტიკულ ცვლას, დაქვეითებულია იგი თუ მომატებული. თუ რაიმე ცვლილება აღინიშნება, მისი კორექტირება სპეციალური პრეპარატებითაა შესაძლებელი. ამიტომ საჭიროა, რეგულარულად მივმართოთ ექიმს კონსულტაციისათვის.

■

რწმენა კარგ შედეგს იძლევა 70 წლის ასაკშიც კი. ბევრი ადამიანი სწორედ ამ ასაკში მიდის პირველად სპორტულ დარბაზებში და ახალ ცხოვრებას იწყებს.

რა თქმა უნდა, ისინი ვერ შეძლებენ თავიანთი ახალგაზრდობის დაბრუნებას, და საჭიროა კი განვლილი ათწლეულების მანძილზე მიღებული, სიხარულის, სიყვარულის და მიღწევებისაგან მოწყვეტა? აქტიური დღეგრძელობა არ ცდილობს დროის უკან დაბრუნებას, პირიქით, იგი საშუალებას გვაძლევს, მედგრად ვიყუროთ წინ, ნებისმიერ ასაკში. ამისათვის კი ნამდვილად დაგვჭირდება ოცი წლის ადამიანის აზარტი და სითამამე, რათა ავირჩიოთ ეს ახალი ცხოვრება კიდევ და კიდევ – ხვალ, ზეგ და ათი წლის შემდეგაც.

ატიპური ვირუსის შეტევა სუსტდება

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფექციურ დაავადებათა ქვედანაყოფის ხელმძღვანელმა, დევიდ ჰეიმანმა განაცხადა, რომ „მძიმე, მწვავე რესპირატორული სინდრომის“ (SARS) გავრცელების კულმინაცია ვიეტნამში, სინგაპურში, კანადასა და ჰონკონგში უკან დარჩა. ჰეიმანის თქმით, ამ ქვეყნებში SARS-ით დასნებოვნების შემთხვევათა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. ამასთანავე, პირველ სახელმწიფოდ, რომელმაც ამ დაავადების მოთოკვა მოახერხა, ვიეტნამი მოგვევლინა. როგორც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, პასკალ ბრიუდონმა აღნიშნა, ასეთი შედეგი ბევრმა ფაქტორმა განაპირობა, პირველ რიგში – სწრაფმა და ადეკვატურმა რეაქციამ და საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაციის გამჭვირვალობამ. ამის შედეგად, ვიეტნამში, სადაც სულ 63 ადამიანი დაავადდა და 5 გარდაიცვალა, 12 აპრილიდან მოყოლებული, ატიპური ვირუსით დასნეულებულთა რიცხვი აღარ გაზრდილა.

სამაგიეროდ, ჩინეთში სიტუაცია კვლავ ძალზედ მძიმეა. 28 აპრილის მონაცემებით, იქ საშიში ვირუსი სულ 3106 ადამიანს შეეყარა, მათგან 1199 შემთხვევა ქვეყნის დედაქალაქ პეკინზე მოდის.

უფრთხილდით კომპიუტერს!

კომპიუტერთან მუშაობა გაცილებით მეტ საფრთხეს შეიცავს, ვიდრე შორეული ნაოსნობის მეზღვაურის პროფესია – ასეთი დასკვნა გამოიტანეს იაპონელმა მეცნიერებმა, რომლებიც სამი წლის მანძილზე აკვირდებოდნენ და იკვლევდნენ 25000 საოფისე მუშაკს. პროფესიონალურ სნეულებათა შორისაა: თავის ტკივილი, ხერხემლის დაავადებები, რევმატიზმი, დეპრესია, უძილობა, ლეთარგია და ქრონიკული დაღლილობის სინდრომი. დასნეულების რისკი მით უფრო მატულობს, რაც უფრო მეტ დროს ატარებს ადამიანი კომპიუტერთან. მეცნიერთა თქმით, კომპიუტერთან მუშაობის უსაფრთხო, ყველაზე ოპტიმალური დღეღამური ნორმა 5 საათს შეადგენს.

სადილის შემდეგ აუცილებელია ძილი...

ამის შესახებ ყველას გვსმენია, ზოგი კი, თანამიმდევრულად მისდევს ამ სასარგებლო წესს. მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ მუყაითი ამერიკელები და სხვა განვითარებული ქვეყნების მოქალაქეები სამუშაო საათებშიც მიმართავენ ამ „პროცედურას“?! ეს მაშინ გახდა საქვეყნოდ ცნობილი, როცა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სადილის შემდგომი „მკვდარი საათის“ გამო, მსოფლიოს ეკონომიკას წელიწადში დაახლოებით 6 მლრდ დოლარის ზარალი ადგება. როგორც გაირკვა, ძილისაკენ მიდრეკილება, სახამებლით გაჯერებული საკვებით აიხსნება (ასეთია, მაგალითად: პური, პიცა, ბანანი, კარტოფილი). აი, ცხიმი, ცილა და უჯრედისი კი, თურმე ძილის მომგვრელი თვისებებით არ გამოირჩევა. ამიტომ, ეკონომიკური ეფექტის გასაზრდელად, სპეციალისტები დამქირავებლებს ურჩევენ, თავიანთ ხელქვეითებს სამუშაო საათებში, მეტი სუკი, სოკო, მწვანილი და ხიზილალა მიაწოდონ.

■

ექიმის პასუხი

კითხვა: როგორ იწყება ალცჰაიმერის დაავადება, როგორია მისი ნიშნები და არსებობს თუ არა მისი სამკურნალო რადიკალური საშუალებები სადღეისოდ?

პასუხი: ალცჰაიმერის დაავადების სიხშირემ, ბოლო დროს, საგრძნობლად იმატა. ეს ის სენია, რომლისგანაც დედამიწაზე არავინ არის დაზღვეული. მით უფრო – მოხუცები. ამერიკაში სიკვდილის მიზეზთა შორის, ალცჰაიმერის დაავადება მეოთხე ადგილზეა. მსოფლიოში, სტატისტიკის თანახმად, 10 მილიონზე მეტი ადამიანია ავად. ვარაუდობენ, რომ 40 წლის შემდეგ, მათი რიცხვი 100 მილიონამდე გაიზრდება.

ადამიანს პირველ ხანებში მეხსიერების მსუბუქი დაქვეითება აღენიშნება. უჭირს სიტყვების შერჩევა და მეტყველება მარტივი უხდება. შემდეგ თანდათანობით კარგავს დროსა და სივრცეში ორიენტაციის უნარს, ბოლოს კი, დგება ყველაზე მძიმე ეტაპი: მეტყველებისა და მეხსიერების სრული დაკარგვა, რაც ფაქტობრივად, პიროვნების ლიკვიდაციას ნიშნავს. დაავადების განვითარებაში მთავარი დამნაშავეა მე-19 ქრომოსომაში მოთავსებული გენი APOE4.

დაავადებულთა სიცოცხლის ხანგრძლივობა პირველი სიმპტომების გაჩენიდან საშუალოდ 8-10 წელია, თუმცა ცნობილია შემთხვევები, როცა სიცოცხლის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ნაკლები ან, პირიქით, მეტი ყოფილა.

საზოგადოდ, ალცჰაიმერის დაავადება ემართებათ ყველაზე მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ადამიანებს, მათ, ვისაც ხშირად უწევს ტვინის ვარჯიში და ცნობიერი რეზერვების აქტივაცია.

სამწუხაროდ, დაავადების მკურნალობის რადიკალური მეთოდი არ არსებობს. დღემდე არსებულ ყველა პრეპარატს მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლია ავადმყოფთა დახმარება.

კითხვა: 5 წელია გათხოვილი ვარ. ბავშვი არ მიჩნდება. დავდიოდი ექიმებთან, ხან მითხრეს, ანთება გაქვსო, ხან – სოკო, ხან კიდევ რა. ბევრი ვიმკურნალე, მაგრამ შედეგი ვერ მივიღე – ბავშვი არ მიჩნდებოდა. ბოლოს, დიდი ხვეწნით დავიყოლიე ჩემი მეუღლეც, რომ ექიმთან წამოსულიყო გამოსაკვლევად. მას დაუდგინეს დიაგნოზი „ნეკროსპერმია“. გთხოვთ, განმიმარტოთ, რას ნიშნავს ეს? მაქვს თუ არა თუნდაც მცირე შანსი მაინც, რომ ოდესმე შვილი მეყოლება? როგორ მოვიქცე?

პასუხი: უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ უშვილობის დროს აუცილებელია ორივე პარტნიორის ერთდროული გამოკვლევა. თუ უშვილობის მიზეზი სასქესო ინფექციაა, დაინფიცირებული იქნება ქალიცა და მამაკაციც და ერთ-ერთის მკურნალობა აზრს მოკლებულია, რადგან იგი მეორისაგან განმეორებით დაინფიცირდება. რაც შეეხება უშვილობის გამომწვევ სხვა მიზეზებს, აქაც ქალი და მამაკაცი თანაბარი ალბათობით შეიძლება იყოს „დამნაშავე“, ამიტომ ორივემ უნდა მიაკითხოს შესაბამის სპეციალისტს. თუმცა ჩვენში რატომღაც არსებობს უშვილობაში ქალის დადანაშაულების სტერეოტიპი, მამაკაცებს კი ასეთ დროს ექიმთან მისვლის გარკვეული კომპლექსი აქვთ.

როდესაც მამაკაცის სასქესო ჯირკვლებში სპერმატოზოიდები ვერ მწიფდება, ვითარდება მდგომარეობა, რომელსაც ნეკროსპერმია ეწოდება. იგი შეიძლება იყოს ნაწილობრივი ან ტოტალური (როცა აბსოლუტურად ყველა სპერმატოზოიდი სიცოცხლისუუნაროა). ნაწილობრივი ნეკროსპერმიის დროს შესაძლებელია ხელოვნური გზით განაყოფიერება, ხოლო აბსოლუტური ნეკროსპერმიისას დონორის სპერმას იყენებენ.

კითხვა: შეიძლება თუ არა, რომ ტკივილი გულის არეში გამოიწვიოს არა გულის, არამედ სხვა ორგანოს დაავადებამ?

პასუხი: დღეისათვის დადგენილია, რომ შემთხვევათა 70%-ში გულის არეში ტკივილი არაკარდიალური წარმოშობისაა. ანუ სხვა ორგანოთა პათოლოგიითაა გამოწვეული.

სტენოკარდიის მსგავსი ტკივილი შეიძლება გამოიწვიოს კუჭ-ნაწლავის სისტემის პათოლოგიამ. ამ ორგანოებიდან წამოსული პათოლოგიური იმპულსი, გულის ტკივილის მსგავს შეგრძნებებს იწვევს. ასეთ შეტევას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ქოლეცისტიტის (ნაღვლის ბუშტის ანთების), კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადების, კოლიტებისა და სხვათა დროს.

გულის არეში ტკივილის მიზეზი ხშირად არის ხოლმე ხერხემლის, კისრისა და გულმკერდის მალების ოსტეოქონდროზი, შუასაყარის დიაფრაგმის თიაქარი, რეფლექს-ეზოფაგიტი (საყლაპავის ანთება), როცა კუჭის მჟავე შიგთავსი საყლაპავში ბრუნდება და ტკივილის პროვოცირებას იწვევს.

იმის დასადგენად, თუ რა იწვევს გულის არეში ტკივილს, საჭიროა, ჩატარდეს სათანადო გამოკვლევები.

კითხვა: არის თუ არა რაიმე კავშირი C ჰეპატიტის განვითარების პროგნოზსა და პაციენტის ასაკს შორის?

პასუხი: C ჰეპატიტი საკმაოდ სერიოზული პათოლოგიაა და ნებისმიერ ასაკში შეიძლება გართულდეს ციროზით ან ღვიძლის კიბოთი, მაგრამ რაც მეტია დაავადებული ადამიანის ასაკი, მით მძიმედ მიმდინარეობს დაავადება და მკურნალობის ეფექტიც იკლებს. ■

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲒᲝᲜᲔᲡ ᲛᲐᲚᲐᲛᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲢᲣᲩᲘᲡ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐᲡ ᲖᲘᲚᲘᲡ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ XXIV ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲖᲔ, ᲞᲚᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲘᲡ ᲠᲘᲝ-ᲓᲔ-ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝᲔᲚᲛᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲛᲐ ᲠᲝᲛᲣᲚᲝ ᲛᲔᲜᲔᲛ ᲔᲡ ᲯᲐᲓᲝᲡᲜᲣᲠᲘ ᲛᲐᲚᲐᲛᲝ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲡ ᲬᲐᲠᲣᲓᲒᲘᲜᲐ. ᲙᲠᲔᲛᲘ ᲝᲠᲘ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲕᲐ: ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ — ᲘᲒᲘ ᲐᲘᲫᲣᲚᲔᲑᲡ ᲢᲣᲩᲘᲡ ᲣᲯᲠᲔᲓᲔᲑᲡ ᲨᲔᲘᲡᲘᲠᲣᲢᲝᲜ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲜ ᲙᲝᲚᲐᲒᲔᲜᲘ; ᲛᲔᲝᲠᲔ — ᲙᲕᲔᲑᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲐᲜᲝᲢᲘᲕᲔᲑᲡ ᲛᲐᲡ.

ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ, ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ „ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ“ ᲣᲙᲕᲔ ᲣᲡᲙᲐᲚᲞᲔᲚᲝᲓ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ,

ᲩᲐᲛᲝᲑᲔᲠᲘᲚ ᲗᲕᲐᲚᲘᲡ ᲣᲠᲔᲑᲡ ᲫᲚᲘᲔᲠᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲨᲠᲐᲢᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲨᲕᲔᲚᲘᲐᲜ. ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲢᲣᲩᲔᲑᲡ, — ᲒᲐᲜᲛᲐᲠᲢᲐᲕᲡ ᲛᲔᲜᲔ, „ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲪᲣᲚᲝᲑᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲐ ᲣᲯᲠᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲐ ᲟᲐᲜᲒᲑᲐᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ, ᲞᲘᲠᲘᲡ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡ ᲕᲐᲡᲙᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ. ᲔᲡ ᲙᲘ, ᲣᲯᲠᲔᲓᲔᲑᲡ ᲐᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲡ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲔᲑᲘᲗ, ᲮᲔᲚᲡ ᲣᲬᲧᲝᲑᲡ ᲠᲔᲒᲔᲜᲔᲠᲐᲪᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲜᲝᲢᲘᲕᲔᲑᲡ ᲢᲣᲩᲔᲑᲡ — ᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓᲐᲪ ᲛᲘᲘᲦᲬᲔᲕᲐ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲢᲣᲩᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲔᲡ „ᲡᲘᲡᲐᲕᲡᲔ“ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲛ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘ ᲐᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲔᲑᲡ“.

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲐᲡᲐᲙᲝᲕᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲐᲚᲐᲛᲝᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲒᲐᲛᲝᲛᲘᲡᲐᲮᲕᲔᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲔᲤᲔᲥᲢᲘ ᲐᲠ ᲔᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝ�გᲝᲠᲘᲪ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ �გᲝ�გᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲣᲚᲢᲐᲢᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ᲐᲕᲘᲪᲘᲚᲔᲑᲗ ᲘᲛ ᲐᲠᲐᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕ ᲘᲔᲠᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲘᲜᲗᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲐᲮᲚᲐᲕᲡ. ■

ᲮᲝᲩᲕᲐᲢᲘᲔᲚᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲯᲘᲜᲐᲚᲐᲛ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲛᲐ ᲩᲐᲩᲣᲛᲥᲘᲐ

ᲖᲐ�გᲠᲔᲑᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲛᲐ 60 ᲬᲚᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲛᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲔ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲝᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲘᲒᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲛᲐ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐᲛ ᲐᲠ ᲓᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲢᲧᲕᲔᲝᲑᲘᲓᲐᲜ.

ᲠᲝᲪᲐ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲛᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲓᲦᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲐᲙᲘᲗᲮᲐ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ ᲛᲬᲝᲚᲘᲐᲠᲔ ᲪᲝᲚᲡ, ᲘᲒᲘ ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲓᲐ. ᲨᲘᲜ ᲐᲠᲪ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲝᲑᲓᲐ ᲥᲛᲐᲠᲘ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲪᲝᲚᲛᲐ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲠᲔᲙᲐ ᲓᲐ ᲥᲛᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲔᲑᲐ ᲡᲗᲮᲝᲕᲐ. ᲙᲐᲠᲗᲐᲜ ᲛᲘᲡᲣᲚ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲡ ᲛᲐᲗᲘ ᲑᲘᲜᲘᲡ ᲡᲘᲦᲠᲛᲘᲓᲐᲜ ᲧᲠᲣ ᲙᲕᲜᲔᲡᲘᲡ ᲮᲛᲐ ᲛᲝᲔᲡᲛᲐᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲫᲐᲮᲔᲡ. ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲐᲕᲔᲑᲛᲐ ᲑᲘᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲮᲐᲜᲨᲘ ᲨᲔᲡᲣᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲡᲐᲫᲘᲜᲔᲑᲔᲚᲨᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲠᲝᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲔᲡ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ, ᲡᲐᲬᲝᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲨᲔᲡᲣᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐᲜ. ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔᲕᲔ ᲐᲦᲛᲝᲣᲩᲘᲜᲔᲡ — ᲰᲝᲡᲞᲘᲢᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲛᲐᲜ ᲣᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ. ■

ᲛᲐᲰᲗᲚᲐᲡ ᲫᲐᲚᲚᲘᲡ ᲑᲔᲓᲘᲡ ᲛᲥᲝᲜᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲔᲗᲗᲒᲣᲚᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ

ᲙᲐᲚᲘᲤᲝᲠᲜᲘᲐᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ ᲫᲐᲚᲚᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲘᲡᲔᲗ ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐᲨᲘ, ᲠᲝ�გᲝᲠᲨᲘᲪ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ, ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲫᲐᲚᲚᲘ ᲓᲐᲘᲦᲣᲞᲔᲑᲝᲓᲐ. ᲓᲝᲨᲐ ᲙᲘ (ᲫᲐᲚᲚᲘᲡ ᲯᲘᲨᲘ ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘᲐ), ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲠᲘᲡᲐ, ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲐ. ᲗᲐᲕᲓᲐᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ, ᲛᲐᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲓᲐᲔᲯᲐᲮᲐ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲔᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲕᲐᲠᲘᲐᲨᲘ ᲛᲝᲧᲝᲚᲘᲚᲘ ᲫᲐᲚᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲓᲐ, ᲞᲘᲡᲢᲝᲚᲔᲢᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗ ᲒᲐᲣᲕᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲢᲧᲕᲘᲐ ᲫᲐᲚᲚᲡ ᲗᲐᲕᲨᲘ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲫᲐᲚᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲙᲕᲓᲐᲠᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ �გᲝᲜᲔᲑᲐ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲐ. �გᲝᲜᲬᲐᲡᲣᲚᲘ ᲓᲝᲨᲐ ᲛᲙᲕᲓᲠᲐᲓ ᲩᲐᲗᲕᲐᲚᲔᲡ ᲓᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲣᲚ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲧᲕᲐᲜᲔᲡ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲛᲐᲪᲘᲕᲐᲠᲨᲘ ᲛᲝᲐᲗᲐᲕᲡᲔᲡ. ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲐᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐ ᲛᲐᲪᲘᲕᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ �გᲐᲛᲝᲐᲦᲝ ᲓᲐ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲫᲐᲚᲚᲘ ᲡᲣᲜᲗᲥᲐᲕᲓᲐ. ᲐᲛᲯᲐᲛᲐᲓ ᲓᲝᲨᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲣᲚ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲨᲘ ᲘᲛᲧᲝᲤᲔᲑᲐ, ᲫᲐᲚᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲙᲘ, ᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲓ ᲤᲣᲚᲡ ᲐᲒᲠᲝᲕᲔᲑᲔᲜ. ■

ᲐᲘᲬᲝᲜᲜᲔᲜ — ᲓᲐ ᲒᲐᲤᲘᲜᲓᲜᲔᲜ

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲮᲐᲜᲔᲑᲨᲘ, ᲛᲝᲓᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲡᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲝ ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲭᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲕᲚᲘᲡ ᲠᲘᲢᲣᲐᲚᲘᲡ ᲣᲩᲕᲔᲣᲚᲝ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐ. ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲐᲓ: ᲰᲐᲔᲠᲨᲘ, ᲬᲧᲚᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ, ᲖᲦᲕᲐᲨᲘ, ᲛᲗᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ; ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ — ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲡᲬᲕᲓᲔᲑᲐ. ᲐᲛ ᲘᲐ�პᲝᲜᲔᲚᲛᲐᲪ ᲬᲧᲕᲘᲚᲛᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲐ, ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲢᲔᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲝᲓᲐ. ᲐᲚᲑᲐᲗ ᲐᲮᲐᲚᲓᲐᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲝᲪᲜᲐ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲮᲐᲜᲡ ᲓᲐᲐᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲓᲔᲑᲐᲗ ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲜᲔᲤᲔ-ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲐᲚᲡ, ᲘᲡᲔ ᲛᲐᲗ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲛᲝᲣᲚᲝᲚᲓᲜᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲪᲐ ᲬᲧᲕᲘᲚᲛᲐ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲒᲣᲛᲑᲐᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲘᲬᲧᲝ. ᲗᲕᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲮᲘᲚᲐᲕᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲔᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲖᲔ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ. ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲢᲠᲘᲣᲙᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲬᲧᲝᲑᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲡ ᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲤᲘᲜᲠᲝ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ „ᲛᲐᲢᲠᲘᲪᲘᲡᲐ“ ᲓᲐ „ᲰᲐᲠᲘ ᲠᲝᲢᲔᲠᲘᲡ“ ᲒᲐᲓᲐᲦᲔᲑᲘᲡᲐᲡ ᲘᲧᲔᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲡᲣᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲙᲕᲠᲔᲚ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲝᲑᲐᲡ ᲪᲔᲠᲔᲛᲝᲜᲘᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲘ ᲤᲘᲠᲛᲐ ᲣᲤᲐᲡᲝᲓ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲡ ᲙᲚᲘᲔᲜᲢᲔᲑᲡ, ᲝᲦᲝᲜᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲔᲖᲦᲣᲓᲕᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ: ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘᲡ ᲬᲝᲜᲐ 70 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲘ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲝᲓᲔᲡ. ■



ფილტვების მოცულობის გასაზომი ხელსაწყო

ფრანგი ფერმწერი

რაციაზე მომუშავე

ლოკატორი

ფულის აღნიშნული ღირებულება

„ჩრდილის“ ფრანგი მოთამაშე

განთიადი

კორიდის ცხენზე მჯდომი მონაწილე

ბეთჰოვენის ცნობილი სონატა

იგორ გიორგაძის მამა

კილაძის კოლეგა „მილანში“

ქართული ფილმი

სპორტსმენი

პერსონაჟი ვერდის ოპერაში „აიდა“

ღმერთი ეგვიპტურ მითოლოგიაში

სხვისი ბავშვების გამზრდელი

იარაღის რუსი კონსტრუქტ. XIX-ს-ში

სხეულის მნათი გარსი

რკინა ჩლიქზე

ოდისევსის მეუღლე

ერთი გვერდიდან მეორეზე ბრუნვა

ამერიკელი მსახიობი ... ბერიმორი

ბუნებრივი წყალსაცავი

მოკრძალება

ძალადობა პოლიტიკური მიზნით

ფილთაქვა

... ელიავა

ხემიანი საკრავი

ჯრს ფლმში „ჩაჩვულებრივი შეიდეული“

სახელმწიფო ევროპაში

ნაჭრილობევი

მილიონი ჟარგონზე

კავშირგაბმულობის სახეობა

ზოდიაქოს ნიშანი

დიდი საზეიმო კონცერტი

ბულგარელი ნათელმხილველი

ჯგუფად მდგარი ხეები

სპირტიანი სასმელი

სენეგალის დედაქალაქი

პუგაჩოვა

სიცილიური დანაშაულებრივი ორგანიზაცია

ინდოელი ქალის კაბა

რუსთაველის გამზირის უწინდელი სახელწოდება

შეადგინა რამაზ ალანიამ

54-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-გ; 3-გ;

კვირის (5 – 11 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი

ვარსკვლავი – 21/IV-21/V

კვირის დასაწყისში, დაინახავთ, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად საკმარისი ცოდნა არა გაქვთ. მაგრამ ამას ნუ შეუშინდებით, მაინც სიმტკიცე გამოიჩინეთ, რათა მიზანს მიაღწიოთ. ყველაფერი თქვენთვის ხელსაყრელი სცენარით წარიმართება. და კიდევ: ამ კვირაში, მოულოდნელი ხარჯის გაწევა მოგიწევთ.

მარიგები – 22/V-21/VI

ძალზედ ჩვეულებრივი კვირა გელით. კარიერაზე ფიქრის საფუძველი მოგეცემათ, ამავე დროს, საკუთარ ჯანმრთელობაზეც უნდა იზრუნოთ. სამსახურში სიფრთხილე გმართებთ, რადგან შეიძლება, შეცდომა დაუშვათ. უქმეებში, მოთმინება გამოიჩინეთ უფროსი ასაკის ნათესავებთან ურთიერთობისას.

პირიხები – 22/VI-22/VII

კვირის დასაწყისში შესაძლოა, დამატებითი შემოსავალი გქონდეთ. სჯობს, უმალ არ დახარჯოთ ეს თანხა და გადაინახოთ. თუ ამ კვირაში მივლინებაში წასვლა შემოგთავაზეს, უარს ნუ იტყვით – საუცხოო მოგზაურობა გექნებათ.

ლომი – 23/VII-23/VIII

ძალა და მოთმინება მოიკრიბეთ: თითქმის მთელი კვირა, დინების საწინააღმდეგოდ მოძრაობა მოგიწევთ. იძულებული იქნებით, დაარღვიოთ დადგენილი წესები, ყური არ ათხოვოთ ავტორიტეტულ ადამიანებს. და თუმცა უმეტესად, მართალი იქნებით, გარშემომყოფნი დაგიპირისპირდებიან.

ქალწული – 24/VIII-23/IX

განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდეთ თქვენს სამსახურებრივ მოვალეობებს; ნურც ოჯახს მოაკლებთ ყურადღებას. ამავე დროს, მზად იყავით, რომ თავგამოდება შეიძლება, არ დაგიფასდეთ. გულს ნუ გაიტეხთ, მით უმეტეს, რომ შაბათს სიყვარულით ტკბობა გელით.

სასწორი – 24/IX-23/X

ეს კვირა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებსა და სასიკეთო სიახლეებს გიქადით. ნუ შეუშინდებით მასშტაბურ საქმეებსა და უჩვეულო წამოწყებებს. თითოეული მათგანი სასიკეთოდ შემოგიბრუნდებათ – ოღონდ, მთავარია, გონივრულად იმოქმედოთ.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

კვირის დასაწყისში, ბედის ერთმა შემობრუნებამაც კი შეიძლება დაგირღვიოთ გეგმები. მაგრამ იცოდეთ, რომ შესაშფოთებელი არაფერი ხდება – უბრალოდ საჭიროა, მეტი ენერგია მოახმაროთ ყველა საქმეს, რომელსაც კი ხელს მოჰკიდებთ. უქმეებში, შეიძლება თქვენი საოცნებო ადამიანი შეგხვდეთ.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

კვირის პირველ ნახევარს, რომ იტყვიან, დაუბრკოლებლად გაირბენთ: ყველა საქმე საუცხოოდ გამოგივათ. ამის შემდგომ, შესაძლოა, უცაბედად გაჩერდეთ: რაღაც პრობლემა ჩიხში მოგაქცევთ, მაგრამ კედელს შუბლს ნუ მიახლით – უქმეებში კვლავ ოპტიმიზმის ახალი საბაბი გაგიჩნდებათ.

თხის რქა – 22/XII-20/I

კარგი გუნება-განწყობა და ძალების მოზღვავება მომხიბლაობასა და ენერგიას შეგმატებთ. ოთხშაბათს, შეიძლება, მეგობართა წვეულებაზე გამოიჩინოთ თავი. აი, პარასკევს კი დიდი ყურადღება გმართებთ: ზედმეტი ემოციურობის გამო შეცდომა არ დაუშვათ.

მერწყული – 21/I-19/II

ეს კვირა უსიამოვნო ფინანსური სიურპრიზით შეიძლება დაიწყოს, მაგრამ სასოწარკვეთას ნუ მიეცემით: რამდენიმე დღეში სიტუაცია გამოსწორდება. საერთოდ კი, ეს პერიოდი თქვენთვის ძალზედ კარგია ადამიანებთან ურთიერთობის თვალსაზრისით – როგორც სამსახურში, ისე ოჯახსა თუ მეგობრების წრეში.

თევზები – 20/II-20/III

თუ რომელიმე თქვენი პროექტი კვირის დასაწყისში, თუნდაც მცირედ სარგებელს მოგიტანთ, ეცადეთ, გეგმების შედგენისას სწორედ მასზე გადაიტანოთ აქცენტი. საერთოდ კი, ეს კვირა სჯობს, მომავალზე ფიქრში გაატაროთ.

ვერძი – 21/III-20/IV

კვირის შუა პერიოდამდე, ყველაფერი უპრობლემოდ წარიმართება, მეორე ნახევარში კი, მკვეთრად მოიმატებს დაძაბულობა სამსახურში: შესაძლოა, დროის მუდმივი უკმარისობის პირობებში მოგიხდეთ მოქმედება და უფროსობის ზეწოლის ობიექტადაც იქცეთ. ეცადეთ, არ გადადგათ ნაჩქარევი ნაბიჯი.

რა უნდა ვაკეთოთ ერთმანეთის კუთხე

ამჟამინდელი ნიშნის ქვეშ დაბადებულებს მიეცემათ საშუალება, უკეთესი მხრიდან დაინახონ მეგობრები და ახლობლები. თქვენ დარწმუნდებით, რომ ადამიანები გაცილებით უკეთესები არიან, ვიდრე აქამდე გეჩვენებოდათ. აქედან გამომდინარე, გირჩევთ, ოდნავ მაინც უფრო მოკრძალებული გახდეთ...

თუ თქვენი დაბადების დღე 21-დან 30 აპრილამდეა, წარმატება განვლილ ორ კვირაზე მოდის, თუმცა, არც მაისის პირველი ნახევარი იქნება თქვენთვის უიღბლო. ეს განსაკუთრებით, დაუგეგმავ მატერიალურ შემოსავალს ან მოულოდნელ შენაძენს ეხება. ამასთან, გირჩევთ, მხოლოდ საკუთარ გემოვნებას დაეყრდნოთ და კარგად გათვალოთ ყველა ნაბიჯი.

პირველიდან 10 მაისამდე დაბადებულთ თავიანთ მეორე ნახევრებთან ლიდერობისთვის ბრძოლა მოუწევთ. ჩხუბისა და დავიდარაბის თავიდან ასაცილებლად, სჯობს, ხმამაღლა აღიაროთ, რომ ის – ყველაზე ლამაზი, ჭკვიანი, ნიჭიერი და სამართლიანია. ყოველ შემთხვევაში, ამ ზოდიაქოს თვეში, ეს ხერხი ნამდვილად სასარგებლო იქნება თქვენთვის.

თუ 10-დან 20 მაისამდე დაიბადეთ, ახლა საკმაოდ საინტერესო, თუმცა შფოთიანი პერიოდი გაქვთ. თვითდამკვიდრების დაუოკებელი ჟინი თქვენში, ყველა სიტუაციში იჩენს თავს. სხვათა შორის, ბევრი რამ გამოგდით კიდეც. მაგრამ მაინც, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ამიტომ სჯობს, თავი აარიდოთ ზედმეტ ვალდებულებებს. არც შვებულებაში გასვლა და ბუნების წიაღში დასვენება გაწყენთ, თუ საშუალება მოგეცემათ.

როგორი ინტუიცია გაქვთ?

ადამიანების უმრავლესობა ირწმუნება, რომ საკმაოდ მძაფრად განვითარებული ინტუიციის გრძნობა აქვს და ბევრი მოვლენის განვითარებას წინასწარ გრძნობს. მაგრამ ინტუიცია საკმაოდ რთული ცნებაა და მხოლოდ მასზე დაყრდნობა უმეტესად, არ ღირს. თუმცა არც მისი სრულ უგულებელყოფას გირჩევთ, მით უმეტეს თუ შეგიმჩნევიათ, რომ ის ხშირად, სწორ გადაწყვეტილებას გკარნახობთ. ქვემოთ მოყვანილი ტესტის მეშვეობით შეძლებთ დაადგინოთ, რამდენად გაქვთ განვითარებული ინტუიცია.

1) როგორ მოიქცევით, თუ ისეთ წვეულებაზე მიგიწვევენ, სადაც თქვენთვის ბევრი უცნობი ადამიანია?

ა) ერთი შეხედვითაც ხვდებით, თუ ვისი გაცნობა ღირს და ვისი – არა – 2;

ბ) გაეცნობით ყველას, ვისაც თქვენთან საუბრის სურვილი გაუჩნდება და დასკვნებს შემდეგ გააკეთებთ – 1;

გ) ყველას გაიცნობთ და არც ეცდებით, ღრმად ჩასწვდეთ იმას, თუ ვისთან გაქვთ საქმე, რადგან ამ ხალხს ალბათ აღარასოდეს შეხვდებით – 0.

2) რა გრძნობა გეუფლებათ, თუ შუაღამისას კოშმარული სიზმარი გაგაღვიძებთ?

ა) მაშინვე დაივიწყებთ და ძილს გააგრძელებთ – ეს ხომ მხოლოდ სიზმარია – 0;

ბ) შიშობთ, რომ სიზმრის ზოგიერთი დეტალი მოგვიანებით, შესაძლოა, რეალობად იქცეს – 1;

გ) მაშინვე გააღვიძებთ ოჯახის წევრებს, სიზმარს მოუყვებით და სთხოვთ, ფრთხილად იყვნენ – 2.

3) როგორი გრძნობა გიჩნდებათ ტელევიქტორინის ცქერის დროს?

ა) ტელევიქტორინის დასაწყისშივე ხვდებით, თუ ვინ იქნება გამარჯვებული – 2;

ბ) ცოტა ხანს უყურებთ და შემდეგ, როცა მოთამაშეები საკუთარ შესაძლებლობებს გამოავლენენ, ივარაუდებთ, თუ ვინ შეიძლება მოიგოს თამაში – 1;

გ) ვიქტორინის დროს, რამდენჯერმე შეგეცვლებათ აზრი მოთამაშეების შესახებ – 0.

4) ახალი ბინის შეძენისას, რა პრინციპით შეარჩევთ მას?

ა) სახლის ადგილმდებარეობისა და მისი კონსტრუქციის მიხედვით – 0;

ბ) მხოლოდ საკუთარი შეხედულებით; ყურადღებას არ მიაქცევთ მაკლერისა და თქვენი ოჯახის წევრების აზრს – 1;

გ) ნახავთ ყველა შესაძლო ვარიანტს და იმას შეიძენთ, რომლისკენაც გული მეტად გაგიწევთ – 2.

5) მაღაზიაში ფეხსაცმლის საყიდლად შეხვედით და საუცხოო პიჯაკი დაინახეთ. როგორ მოიქცევით?

ა) დაივიწყებთ ფეხსაცმელს და პიჯაკს შეიძენთ – 2;

ბ) პიჯაკს არ შეიძენთ და მთელ ყურადღებას ფეხსაცმლის სექციასა და სასურველი ფეხსაცმლის შერჩევაზე გადაიტანთ – 0;

გ) ფეხსაცმელს იყიდით, შინ დაბრუნდებით და იმაზე დაიწყებთ ფიქრს, თუ როგორ შეიძინოთ მოწონებული პიჯაკი უახლოეს მომავალში – 1.

6) რა გრძნობა დაგეუფლათ, როცა პირველად დაინახეთ თქვენი საყვარელი ადამიანი?

ა) არც კი გახსოვთ, პირველად სად ნახეთ და ვინ გაგაცნოთ – 0;

ბ) ის ხალხით სავსე ოთახში შესვლისთანავე შეამჩნიეთ და მუხლები აგიკანკალდათ – 2;

გ) დანახვისთანავე მიიზიდა თქვენი ყურადღება, მაგრამ ეს არ შეიმჩნიეთ – 1.

7) ჩვეულებრივ, გიმართლებთ თუ არა აზარტული თამაშების დროს?

ა) პირველი წაგებისთანავე, მოწინააღმდეგის „გაცურებას“ ეცდებით – 0;

ბ) ხშირად იგებთ – 2;

გ) მოგება-წაგება ძმები არიან – ეს პრინციპი თქვენს შემთხვევაშიც მოქმედებს – 1.

8) როგორი გრძნობა გიჩნდებათ ტელეფონის ყოველ ზარზე, როცა მნიშვნელოვან ცნობას ელოდებით?

ა) თითოეული ზარი გაფორიაქებთ – 1;

ბ) არც კი გახსოვთ, რომ უნდა დაგირეკონ – 0;

გ) ტელეფონის ზარზე რეაქცია არ გაქვთ; როცა თქვენ დაგირეკავენ, ამას წინასწარვე აუცილებლად იგრძნობთ – 2.

9) როგორ იქცევით, როცა არცთუ ისე ახლო ნაცნობი სესხად ფულს გთხოვთ?

ა) მოძებნით თქვენს საერთო მეგობარს და ჰკითხავთ, შეიძლება თუ არა ამ ადამიანის ნდობა – 1;

ბ) არასოდეს აძლევთ ფულს სესხად ადამიანებს, რომლებსაც კარგად არ იცნობთ – 0;

გ) ფულს იმ შემთხვევაში ასესხებთ, თუ ეს ადამიანი თქვენში სიმპათიას აღძრავს – 2.

10) წარმოიდგინეთ, რომ დაბადების დღეზე უჩვეულოდ გაფორმებული ყუთი მოგართვეს; რა გრძნობა დაგეუფლებათ, სანამ ყუთს გახსნით?

ა) ეცდებით, გამოიცნოთ, თუ რა შეიძლება იდოს ყუთში – 1;

ბ) ზუსტად იცით, რა დევს ყუთში – 2;

გ) იცით, რა არის ყუთში, რადგან წინა კვირაში მეგობრებისგან შეიტყვეთ, თუ რას გიმზადებდნენ საჩუქრად – 0.

დაანჯამეთ ქულები

0-6 ქულა: მიგაჩნიათ, რომ ინტუიცია ნაკლებად გაქვთ განვითარებული და ეს მართალიცაა. გადაწყვეტილების მიღებისას ინტუიციას ნუ დაეყრდნობით, სჯობს ფაქტები და მოვლენები კარგად გააანალიზოთ. თქვენი წარმატების საწინდარი — რეალობის სწორი შეფასებაა.

7-13 ქულა: ინტუიციის გრძნობა გაქვთ, ოღონდ, ის ყოველთვის არ ამართლებს. კარგი იქნება, თუ ინტუიციას, თქვენს ლოგიკურ აზროვნებას შეუხამებთ და გადაწყვეტილებას ისე მიიღებთ — ის აუცილებლად სწორი იქნება.

14-20 ქულა: ინტუიციის გჯერათ და ის არც გღალატობთ ხოლმე. მუდამ სწორად ახერხებთ იმის განჭვრეტას, თუ რა მოჰყვება ამა თუ იმ მოქმედებას. ადამიანს ერთი შეხედვისთანავე ატყობთ, თუ რას წარმოადგენს იგი სინამდვილეში. პრობლემების გადაწყვეტისას, სწორედ ინტუიციას ეყრდნობით და ამას იმდენად შეეჩვიეთ, რომ სხვაგვარად ქმედება ვერც კი წარმოგიდგენიათ.

ჯაჭოჩენილი ადამიანების ხუმრობები

რაბლეს გასაჭირი

ერთხელ, გამოჩენილი ფრანგი სატირიკოსი ფრანსუა რაბლე იმდენად დიდ მატერიალურ გასაჭირში აღმოჩნდა, რომ ქალაქ ლიონიდან პარიზში წასასვლელი ფულიც არ ჰქონდა. მაგრამ რაბლეს მხრების ჩამოყრა არ სჩვეოდა. სასტუმროში მყოფმა მწერალმა სამ პატარა პარკში შაქრის ფხვნილი ჩაყარა და დააწერა: „საწამლავი მეფისთვის“, „საწამლავი დედოფლისთვის,“ „საწამლავი დოფინისთვის“. თვალში მოსახვედრ ადგილზე დადებული პარკები დამლაგებელმა ნახა და შეშინებულმა სასტუმროს მეპატრონეს აცნობა. რაბლე დაიჭირეს და ბადრაგის თანხლებით, პარიზში გაამგზავრეს. დაკითხვისას მან პროკურორს თავისი გასაჭირისა და ოინის ამბავი გაუმხილა და სიმართლის დასამტკიცებლად, პირში ერთ-ერთი პარკის შიგთავსი ჩაიყარა...

გარდაცვლილი ხელმომწერი

დილით გაზეთის კითხვისას, მწერალმა რედიარდ კიპლინგმა შეიტყო, რომ მოულოდნელად გარდაცვალა გამოჩენილი მწერალი... რედიარდ კიპლინგი. მას ბევრი არ უფიქრია, კალამს მოჰკიდა ხელი და გამომცემელს მისწერა: „თქვენმა პატივსაცემმა გაზეთმა მკითხველს ჩემი სიკვდილის შესახებ აუწყა. როგორც ჩემთვის ცნობილია, ეს გამოცემა მუდამ უტყუარ ინფორმაციებს აქვეყნებს, ამიტომ არა მაქვს საფუძველი, ეჭვი შევიტანო ამ სამწუხარო ფაქტის სიმართლეში. ნათქვამიდან გამომდინარე, იძულებული ვარ, უარი ვთქვა შემდგომში, თქვენი გაზეთის ხელმოწერაზე“.

აინშტაინის ჩოჩელი ამოცანა



ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენების შემდეგ, ალბერტ აინშტაინს ჰკითხეს:

— რა იყო თქვენთვის ყველაზე რთული ამ თემაში?

აინშტაინმა მშვიდად უპასუხა:

— ყველაზე მეტად, ჩემი წარმდგენის მიერ წარმოთქმული სიტყვის შედეგად დაძინებული აუდიტორიის გაღვიძება გამიჭირდა.

თომას მანის დჩიგუბა

გამოჩენილ გერმანელ მწერალს ახალგაზრდა ლიტერატორმა ხელნაწერთა მთელი დასტა მიუტანა და სთხოვა — ჩემს ნაწარმოებებზე რეცენზიები დამიწერეთო. თომას მანმა მიუგო: „ძალიან ბევრი უნდა იკითხოთ. რაც უფრო მეტ წიგნს წაიკითხავთ, მით უფრო ნაკლები დრო დაგრჩებათ წერისათვის...“

ღუნული ვოლტერი

როგორც ცნობილია, რეაქციონერი მღვდელმსახურების მწვავე კრიტიკის გამო, ვოლტერის წიგნებს სასტიკი ცენზურის მარწუხებში ატარებდნენ ხოლმე. ბევრი მისი ნაწარმოები ცეცხლისთვის მიუციათ. ერთ-ერთი ნაწარმოებისთვის ასეთი განაჩენის გამოტანის შემდეგ, ბრძენკაცმა კმაყოფილებით წარმოთქვა: „მით უკეთესი! ჩემი წიგნები წაბლს ჰგავს: რაც უფრო მეტად ხრაკავენ, ადამიანები, მით უფრო მეტად ეტანებიან მათ...“

რა კავშირი აქვს კაცს ცოლგრავთან

გამოჩენილ ინგლისელ მწერალს ჰერბერტ უელსს სთხოვეს, აეხსნა, რა არის ტელეგრაფი.

— წარმოიდგინეთ ვეებერთელა კატა, — თქვა მწერალმა-ფანტასტმა, რომლის კუდი ლივერპულშია, თავი კი — ლონდონში. როცა მის ლივერპულში კუდზე დააბიჯებენ, ლონდონში კნავილი ისმის. აი, ზუსტად ასე მოქმედებს ტელეგრაფი.

— მაშ, უსადენო ტელეგრაფი რაღას ნიშნავს?

მწერალი წამით დაფიქრდა და მიუგო აბეზარს:

— ზუსტად იმავეს, ოღონდ — უკატოდ...

ჯანშამი კონცერტის დასასრულს

ცნობილმა პიანისტმა და კომპოზიტორმა ფრიდერიკ შოპენმა მიიღო მოსაწვევი ბარათი, რომელშიც ეწერა: „... ჩემი ქალიშვილი შეასრულებს რომანსებს, ჩემი ვაჟიშვილი ვიოლინოზე დაუკრავს, 10 საათზე კი, ბანკეტი გვაქვს დაგეგმილი“. მუსიკოსმა მიწვევას მოკლედ უპასუხა: „ზუსტად 10-ზე გეახლებით“. ■

ფოტოკუთხეები



ბ 22/18

N9(43) 1/V-14/V-2003

ოჯახის მეუღლეობა

სამედიცინო ჟურნალი

ფასი 70 თ.

მთავარი თემა
ჰორმონები და ენდოკრინული სისტემა

ჰომეოპათია

ბავშვი და მეტყველების დეფექტი

ღვიძლის ცირროზი: მკურნალობა უფასოდ

ვიზიტი სექსოპათოლოგთან

თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის